


მესხეთი

თი შიგნითი რეაგრაფიული
 აღმსრულებელი ნაკვეთი და მასის მონაცემი
 XIII-XIV სსუკუნი სსუკუნი



სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ასოციაცია „ტოლერანტი“

დეპორტირებული მესხები – წარსული და დღევანდელი

საერთაშორისო სამეცნიერო-თემატურ კონფერენციაზე
წაკითხული მოხსენებები

17–18 მაისი, 2013 წელი

თბილისი
2013

პუბლიკაცია მომზადებულია ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის, „რეპატრირებულთა ჰუმანიტარული დახმარება „თვით-რეპატრიაციის“ პრევენცია“ ფარგლებში. მის შინაარსზე პასუხისმგებელია ასოციაცია „ტოლერანტი“ და მისი პარტნიორები, პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები არ ეკუთვნის ევროკავშირს.

ამ წიგნის ნებისმიერი ნაწილის რაიმე სახით გამოყენება ან მისი ხელახლა გამოცემა დაუშვებელია ავტორების წერილობითი ნებართვის გარეშე, გარდა მცირე ციტატებისა, რომელთა ჩართვა მნიშვნელოვან სტატიებსა თუ მიმოხილვებში ნებადართულია.

The publication was prepared in the framework of the EU-funded project “Provision of humanitarian assistance to repatriates, prevention of “self-repatriation”. The responsibility on its contents lies with the Association “Toleranti” and its partner organisations; views expressed in this publication do not necessarily reflect the position of the European Union.

It is inadmissible to use any part of this publication for any purpose or to re-issue, without the author’s prior written authorization, except for small citations, which could be used in important articles or reviews.

სარედაქციო კოლეგია:

გია ნოდია

ცირა მესხიშვილი


მერაბ ბერიძე

უჩა ბლუაშვილი

ავთანდილ ჯოხაძე

გოჩა ნათენაძე

როლანდ თოფჩიშვილი



სარჩევი

ცირა მესხიშვილი წინათქმა.....	7
Tsira Meskhishvili Foreword	13
ავთანდილ ჯოხაძე დეპორტირებული მესხების იდენტობა.....	18
ელდარ ნადირაძე მემორიალური კულტურა, როგორც ეთნიკური იდენტობის ნიშანი.....	39
უჩა ბლუაშვილი სამხრეთ საქართველოდან მაჰმადიანი მოსახლეობის გასახლების მოტივაციის საკითხისთვის.....	47
ლავრენტი ჯანიაშვილი საქართველოში თურქთა ინფილტრაციის ისტორია და მესხეთიდან დეპორტირებულთა იდენტობის საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში	58
როლანდ თოფჩიშვილი რელიგიური და ეთნიკური ფაქტორების ურთიერთმიმართების პრობლემა ისტორიული სამცხის მოსახლეობაში	79
ტარიელ ფუტყარაძე საქართველოს სახელმწიფოს პრობლემები თანამედროვე გეოპოლიტიკურ კონტექსტში და 1944 წელს მესხეთიდან დეპორტირებული მოსახლეობის შთამომავალთა რეპატრაციის საკითხი.....	115

სოფი ტურნონი

«მესხური საკითხი» საქართველოში: გამოწვევა ქართველი მკვლევარებისთვის. წარსულის, საკუთარი ფობიებისა და პასუხისმგებლობის პირისპირ..... 136

Мераб Беридзе

Омусулманивание грузин и изменение фамилии в месхетии 154

Merab Beridze

Conversion of georgians to moslemism and changing of family names in meskheta 173

ეკა ფირცხალავა

მუსლიმი მესხები – ინტეგრაცია თუ სეპარაცია 189

მექა ხანგოშვილი

უსაშობლობის დაუსრულებელი გზა და მესხების თავშესაფრად ქცეული ჩრდილო კავკასია..... 200

ზურაბ ქუქჩიშვილი

ასპინძის რაიონის ეკონომიკური და დემოგრაფიული მდგომარეობა XX საუკუნის 30–40–იან წლებში 227

ციური ლაფაჩი

1944 წელს სამხრეთ საქართველოდან მესხების დეპორტაციის ქრონიკები 234

დალი გოგოლაძე

პოლიტიკური მდგომარეობა სამცხე-ჯავახეთში 1917-21 წწ. 244

ნატო ყრუაშვილი

1918 –1919 წლების ეთნიკური კონფლიქტები სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის მოგონებებში 262

მანანა წერეთელი

დეპორტირებული მესხების ეთნიკური იდენტობის პრობლემა (დას. საქართველოს მაგალითზე) 277

ვალერი მოდებაძე

ეთნიკური იდენტობის კრიზისი და მესხური იდენტობის ცვალებადი ხასიათი..... 287

Сарвар Лазидшвили

О воспоминаниях депортированного населения из южной Грузии305

ნელი ღონღაძე

რეპატრიანტთა სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოში 309

გულო კობოძე

მუსლიმი მესხები და ქართული მედია 2011 -2013 წწ 323

გია გოთუა

მაჰმადიან მესხთა რეპატრიაციის პროცესი ქართველი

პოლიტიკოსების აღქმაში (კვლევის ანგარიში)..... 332

Ghia Gotua

Politicians views on the issue of Meskhetian repatriation

Report of research..... 349

რეპატრიანტთა ადაპტაციისა და ინტეგრაციის კონცეფცია

და რეკომენდაციები 361

Concept paper and recomandations on Repatriates' Adaptation

and Integration 376

წინათქმა

სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ასოციაცია „ტოლერანტი“ საქართველოს მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიურ ინსტიტუტთან, აზერბაიჯანის ჰუმანიტარული კვლევების ცენტრთან თანამშრომლობით უკანასკნელი 30 თვის განმავლობაში ახორციელებდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტს „რეპატრირებულთა ჰუმანიტარული დახმარება, „თვითრეპატრიაციის“ პრევენცია“.

„ტოლერანტი“, თითქმის, ათი წელია მუშაობს პროექტებზე, რომელთა მიზანი რეპატრიანტ მესხთა ჰუმანიტარულ-სოციალური და სამართლებრივი დახმარებაა. მუსლიმ მესხთა რეპატრიაცია XXI საუკუნის საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა. მისი აქტუალობა განსაკუთრებით გაიზარდა ევროკავშირის მიმართ საქართველოს მიერ 1999 წელს აღებული ვალდებულებების შემდეგ.

საქართველოში რეპატრიაციის თანმხლები მოვლენა გახდა ქვეყანაში სტატუსის გარეშე შემოსულ დეპორტირებულთა პრობლემა. ამ ე. წ. თვითრეპატრირებულებს, (აღნიშნული ტერმინი სამეცნიერო ბრუნვაში „ტოლერანტმა“ დაამკვიდრა). ცხადია, არა აქვთ რეპატრიანტის სტატუსი, მათი ცხოვრება არ რეგულირდება სახელმწიფოს შესაბამისი კანონმდებლობით, რაც ძალზე ართულებს ახალ გარემოში მათ სამართლებრივ და სოციალურ ადაპტაციას. პროექტი „რეპატრირებულთა ჰუმანიტარული დახმარება „თვითრეპატრიაციის“ პრევენცია“, სწორედ მათ დახმარებაზე იყო ორიენტირებული. პროექტის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენდა, აგრეთვე, საზღვარგარეთ მყოფ დეპორტირებულ მესხთა პრევენციული ინფორმირება სამშობლოში სტატუსის გარეშე ჩამოსვლის შემთხვევაში მოსალოდნელი სირთულეების შესახებ.

მუშაობა, ძირითადად, სამიმი მართულებით მიმდინარეობდა:

- ჰუმანიტარული დახმარება, ადაპტაცია – ინტეგრაცია, საჭიროებების კვლევა;

- უსტატუსო რეპატრიანტების ლეგალიზაციის ხელშეწყობა; (ადვოკატირება);

- საინფორმაციო კამპანიის წარმოება თვითრეპატრიაციის პრევენციის მიზნით;

პროექტის ფარგლებში სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ იანეთში, მე-9 უბნის საბაზო სკოლაში გაიხსნა „საინფორმაციო და სოციალური ინტეგრაციის“ ცენტრი, რომელმაც სერიოზული მუშაობა გასწია რეპატრირებულთა საზოგადოებრივი ინტეგრაციის ხელშეწყობის, მათთვის ქართული ენის, კულტურისა და ისტორიის შესწავლის, სამედიცინო და იურიდიული მომსახურების აღმოჩენისთვის.

„ქართული ენისა და კულტურის“ ცენტრი გაიხსნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნასაკირალშიც.

„საინფორმაციო ცენტრი“ გაიხსნა აგრეთვე თბილისში, პარტნიორი ორგანიზაციის „მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის“ ოფისში.

კიდევ ერთი „საინფორმაციო ცენტრი“ გაიხსნა აზერბაიჯანში, საათლის რაიონის სოფელ ნასიმიქენდში (ყოფილი „ადიგენი“), სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ 1944 წელს საქართველოდან დეპორტირებულები და მათი შთამომავლები. რეპატრიანტის სტატუსის მიღების ყველაზე ბევრი მსურველი სწორედ აზერბაიჯანიდანაა, სწორედ ამიტომ აზერბაიჯანში საინფორმაციო ცენტრის გახსნას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. მისი მთავარი მიზანი ინფორმირებულობის გზით „თვითრეპატრიაციის“ პრევენცია იყო.

უნდა ითქვას, რომ განვლილი 30 თვის მანძილზე „ტოლერანტისა“ და მისი პარტნიორების მიერ ფრიად მნიშვნელოვანი მუშაობა იქნა გაწეული. ახალციხეში, იანეთში, ნასაკირალში, აბასთუმანსა და ნასიმიქენდშიც (აზერბაიჯანი) გახსნილი იყო ქართული ენის დაჩქარებული სწავლების კურსები როგორც სკოლამდელი, ისე უფროსი ასაკის მუსლიმი მესხებისთვის. მაღალკვალიფიციური პედაგოგების მიერ უნარიანად წარმართულმა სწავლებამ რეპატრიანტთა მოწონება დაიმსახურა.

იანეთსა და ნასაკირალში რეგულარულად ტარდებოდა

საქართველოს ისტორიის შემსწავლელი ლექცია-სემინარები. რეპატრიანტები ცხოველი ინტერესით ეცნობოდნენ თავიანთი სამშობლოს წარსულს.

იანეთში მცხოვრები მესხი ბავშვებისთვის ფუნქციონირებდა კომპიუტერის შემსწავლელი კურსებიც.

ახალციხის, იანეთისა და ნასაკირალის ცენტრებში ბენეფიციარების ჯანმრთელობაზე ზრუნავდა ოჯახის ექიმი და სამი ქვეკონტრაქტორი კლინიკა. რეპატრიანტებს 12 სახის უფასო სამედიცინო-ლაბორატორიული და საკონსულტაციო მომსახირება უტარდებოდათ.

განსაკუთრებით ფასეული ბენეფიციარებისთვის იურიდიული მომსახურება იყო, რადგან თვითრეპატრირებული მესხები (ასეთები კი განსაკუთრებით, სამცხე-ჯავახეთში არიან) უამრავ სამართლებრივ ბარიერს აწყდებიან (მოქალაქეობის, ან ცხოვრების უფლების მიღება, სრულყოფილი განათლების ხელმისაწვდომობა, საცხოვრებელი სახლის გაფორმება, მიწის ნაკვეთის იჯარით აღება, ყიდვა-გაყიდვა, და ა. შ.), რომელთა გადალახვა მათ კვალიფიციური იურიდიული დახმარების გარეშე არ შეუძლიათ.

პროექტის განხორციელების მთელ მანძილზე ახალციხეში, თბილისში და აზერბაიჯანში ფუნქციონირებდა „ცხელი ხაზის“ სამუშაო ჯგუფები - ოჯახის ექიმები, იურისტები, საინფორმაციო სამსახურები და თარჯიმნები. მხოლოდ ამ ხაზით 351 ბენეფიციარს გაეწია სხვადასხვა სახის დახმარება.

პროექტის მიმდინარეობის მთელ მანძილზე სისტემატურად ხდებოდა ახალციხე-აბასთუმანში, ნასაკირალში, იანეთში, თბილისში, გორში მცხოვრები რეპატრიანტების მონაცემების კომპიუტერული ბაზის განახლება. „ტოლერანტის“ ყველა ოფისში ახალციხეში, იანეთში, აბასთუმანში, ნასაკირალში, თბილისში მოეწყო მინი-ბიბლიოთეკები, რომლებისთვისაც შევიძინეთ მხატვრული და ისტორიული ხასიათის ლიტერატურა, სპეციალური ლიტერატურა იურიდიული და ადამიანის უფლებების დაცვის თემებზე და ა. შ.

პროექტის ფარგლებში რეპატრიანტი ბავშვებისთვის ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა კეჩხოზში ორი წლის განმავლობაში ოთხ

ნაკადად ფუნქციონირებდა საზაფხულო ბანაკი, რომელშიც 140-ზე მეტმა ბავშვმა დაისვენა. დასვენებასთან და ჯანმრთელობის გაკაუებასთან ერთად ბენეფიციარი ბავშვები მონაწილეობას ლებულობდნენ ტრენინგ-სემინარებში, გასართობ და შემეცნებით ღონისძიებებში. მათთვის ეწყობოდა ფილმების ჩვენებები, სპორტული შეჯიბრებები, დისკუსიები, ლაშქრობები, ექსკურსიები და ა. შ. სწორედ ბანაკებში ყველაზე სწრაფად და ეფექტურად ხდებოდა რეპატრირებულ ბავშვთა ინტეგრაცია, მათი დამეგობრება ადგილობრივ ბავშვებთან.

2012 წლიდან პროექტის ფარგლებში სოფლის მეურნეობის ხაზით გაიცა მცირე გრანტები ახალციხის, ადიგენის, სამტრედიის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ რეპატრიანტებზე. რეპატრიანტთა მიერ წარმოდგენილი 31 პროექტიდან გრანტები მიიღო 11 პროექტმა.

„ტოლერანტის“ მიერ მოძიებული ახალი პარტნიორის პოლონეთის ორგანიზაციის მეშვეობით მოხერხდა 2012-2013 წწ ზაფხულის თვეებში 6 რეპატრიანტი ბავშვის გაგზავნა პოლონეთში იუნესკოს ეგიდით გამართულ ფესტივალ “Brave kids”-ში მონაწილეობის მისაღებად.

პროექტის ფარგლებში „ტოლერანტმა“ გადაიღო დოკუმენტური ფილმი „სამშობლო, რომელიც შორია“. მასში ასახულია დეპორტირებული თუ რეპატრირებული მესხების მძიმე ყოფა, მათი ტკივილიანი ისტორიები და პრობლემები. ფილმი გავიდა საზოგადოებრივი მაუწყებლის, აგრეთვე საპატრიარქოსა და ადგილობრივი ტელევიზიებით და მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა. მომზადდა, აგრეთვე, ოთხი სოციალური კლიპი. ორი მათგანი თვითრეპატრიაციის პრევენციის, ორი კი - „ტოლერანტის“ მიერ გაწეული ჰუმანიტარული დახმარების თემებისადმი მიძღვნილი.

პროექტის მსვლელობის მთელ მანძილზე სამთვიანი ინტერვალით სამ ენაზე (ქართული, რუსული, აზერბაიჯანული) გამოიცემოდა გაზეთი „ფესვები“. რეგულარულად ახლდებოდა ასოციაციის ვებ-გვერდიც. გამოიცა სამართლებრივი, ჰუმანიტარული და ინფორმაციული ხასიათის სამი ლიფლეტი.

აზერბაიჯანში მცხოვრები დეპორტირებულების მოლოდინების აგრეთვე, უკვე რეპატრირებულთა განწყობის შესწავლის მიზნით პარტნიორი ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით ჩატარდა ფოკუსირებული კვლევა. კვლევის შედეგები გაანალიზდა და ცალკე ბროშურის სახით გამოიცა.

მოწყო სამი ვორქშოფი: პირველი სამდღიანი ვორქშოფი ბაკურიანში, მეორე ქართული ენის მასწავლებლებისთვის ბილინგვური სწავლებისა და სკოლამდელ არაქართულენოვან ბავშვებთან მუშაობის გამოცდილების გათვალისწინებით, და, მესამე მოსახლეობის სოციალური კვლევის ჯგუფისთვის თბილისში.

ზემოჩამოთვლილი ღონისძიებები პროექტის ფარგლებში ჩვენს მიერ განხორციელებული აქტივობების მხოლოდ ნაწილს წარმოადგენს, თუმცა, ვფიქრობთ, ესეც საკმარის წარმოდგენას ქმნის გაწეული მუშაობის მასშტაბებზე და მრავალმხრივობაზე.

პროექტის დამაგვირგვინებელი აკორდი იყო ასოციაცია „ტოლერანტის“, მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის, აზერბაიჯანის ჰუმანიტარული კვლევების ცენტრისა და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო-სასწავლო უნივერსიტეტის ორგანიზებით თბილისში ჩატარებული სამეცნიერო-თემატური კონფერენცია - „დეპორტირებული მესხები წარსული და დღევანდელი“. კონფერენციას ესწრებოდნენ საქართველოდან, რუსეთიდან, აზერბაიჯანიდან მოწვეული ექსპერტები, ევროკავშირის, საქართველოს პარლამენტის, აღმასრულებელი ხელისუფლების, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, აგრეთვე, მესხური დიასპორების წარმომადგენლები. წაკითხულ იქნა 26 მოხსენება, საქმიან და შინაარსიან დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს საზოგადოება „ვათანის“ წარმომადგენლებმა რუსეთიდან, მოწვეულმა სტუმრებმა აზერბაიჯანიდან, ქართველმა ექსპერტებმა და ისტორიკოსებმა. კონფერენციამ შეიმუშავა რეკომენდაციები აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის.

წინამდებარე კრებულით დაინტერესებულ მკითხველს ვთავაზობთ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებების ტექსტებს,

აგრეთვე, „ტოლერანტის“ მიერ შემუშავებულ რეპატრიანთა ადაპტაციის, ინტეგრაციისა და თვითრეპატრიაციის კონცეფციას და რეკომენდაციებს. ვფიქრობთ, კრებული, ისევე, როგორც პროექტის ფარგლებში ჩვენს მიერ განხორციელებული სხვა აქტივობები, თავის პოზიტიურ წვლილს შეიტანს ქართულ საზოგადოებაში რეპატრირებულ მესხთა ინტეგრაციისა და ადაპტაციის კეთილშობილურ საქმეში.

პროექტის მოქმედების 30 თვიანი ვადა ამოიწურა, მაგრამ ადგილებზე რჩებიან და ფუნქციონირებას განაგრძობენ ჩვენს მიერ გახსნილი და აღჭურვილი საინფორმაციო, სოციალურ-კულტურული და ინტეგრაციის ცენტრები. რეპატრიციის მსურველებს და უკვე რეპატრირებულებს კვლავაც შეუძლიათ აღნიშნულ ცენტრებში კვალიფიციური რჩევების დ დახმარების მიღება.

დასასრულს, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და უღრმესი მადლობა გადავუხადო ევროკავშირს პროექტის „რეპატრირებულთა ჰუმანიტარული დახმარება, თვითრეპატრირებულთა პრევენცია“ დაფინანსებისა და მხარდაჭერისთვის. განსაკუთრებული მადლობა ბატონ ოლივერ რაისნერს, რომლის ყურადღებას და დახმარებას პროექტის განხორციელების მსვლელობისას მუდმივად ვგრძნობდით. გულწრფელი მადლობა ჩვენს პარტნიორ ორგანიზაციებს - „მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიურ ინსტიტუტს“, მის ხელმძღვანელს ბატონ გია ნოდისას, „აზერბაიჯანის ჰუმანიტარული კვლევების ცენტრს“, მის ხელმძღვანელს - ავაზ ჰასანოვს.

ცირა მესხიშვილი
პროექტის დირექტორი

Foreword

For the last 30 months, the Samtskhe-Javakheti Regional Association “Toleranti” together with the Caucasus Institute for Peace, Democracy and Development (CIPDD) and the Azerbaijani Centre for Humanitarian Research has been implementing the EU-funded project - **“Provision of humanitarian assistance to repatriates, prevention of “self-repatriation”**”.

“Toleranti” has been working for almost 10 years on projects aimed at provision of humanitarian, social and legal assistance to repatriate Meskhetians. Repatriation of Muslim Meskhetians has been one of the topical issues for Georgia in 21st century. Its importance is further underpinned by the obligations that Georgia has assumed before the Council of Europe in 1999.

The process of repatriation in Georgia is accompanied by immigration of deported population without status. These so called **“self-repatriates”** (the term **“self-repatriate”** was introduced in scientific language by **“Toleranti”**), obviously, do not hold a status of repatriate and therefore, their life is not regulated by the relevant national legislation, which further exacerbates their legal and social adaptation to the new environment. The project **“Provision of humanitarian assistance to repatriates, prevention of “self-repatriation”**” is aimed to support these people. Moreover, provision of preventive information to deported Meskhetians living abroad on potential complications if they would decide to return to Georgia without the status, formed an important component of the project. It is crucial to timely provide the information to those Meskhetians, living abroad, who have decided to return to Georgia, without waiting for the repatriate status.

Activities were mainly carried out in three directions:

- Humanitarian assistance, adaptation-integration, needs assessment;
- Support for the legalisation of illegally residing repatriates, holding no status (advocacy);
- Information campaign to prevent self-repatriation;

In the frames of the project, Information and Social Integration Centre was opened in the 9th base School, in the village Ianeti, Samtredia district, which undertook significant efforts to support social integration of repatriates, teach them Georgian language and history, provide medical and legal services to them.

Georgian Language and Culture Centre was opened in the village **Nasakirali**, **Ozurgeti** municipality.

Information Centre was opened in **Tbilisi**, at the office of the partner organisation **CIPDD**.

Another “**Information Centre**” was opened in the village **Nasimikent** (former **Adigeni**), **Saatli** district, **Azerbaijan**, where the population deported in 1944 from **Georgia** and their descendents reside in compact settlement. The majority of those willing to receive the status of repatriate come from **Azerbaijan**. Therefore, having the information centre opened in **Azerbaijan** has been of particular importance. The main aim of the centre was to prevent “self-repatriation” through raising awareness.

It must be noted that for the past 30 months, “**Toleranti**” and its partner organisations have done a tremendous work. Accelerated **Georgian** language courses were launched for the pre-school, as well as adult **Muslim Meskhetians** in **Akhaltsikhe**, **Ianeti**, **Nasakirali**, **Abastumani**, as well as in **Nasimikent** (**Azerbaijan**). The repatriates positively assessed the teaching process skilfully conducted by highly qualified teachers.

History classes were regularly conducted in **Ianeti** and **Nasakirali**. Repatriates studied the history of their homeland with keen interest.

Computer courses were offered to **Meskhetian** children living in **Ianeti**.

In the **Akhaltsikhe**, **Ianeti** and **Nasakirali** centres, the beneficiaries were served by the family doctor and three sub-contractor clinics in the frames of the project. The repatriates received 12 types of free medical, laboratory and consultation services.

Legal assistance proved the most important for the project beneficiaries, as the self-repatriate **Meskhetians** (who mostly reside in **Samtskhe-Javakheti**) encounter numerous barriers in legal terms (acquisition of **Georgian** citizenship or receipt of the residence permit; access to full education; legalization of dwelling house; land lease, sale or purchase; etc), which they cannot solve without qualified legal assistance.

Throughout the project implementation period, a hot line working groups, involving family doctors, lawyers, information services and interpreters offered their services in **Akhaltsikhe**, **Tbilisi** and **Azerbaijan**. 351 beneficiaries received different kind of assistance through the hot line.

During the entire project implementation period, a computer-based database of repatriates living in Akhaltsikhe-Abastumani, Nasakirali, Ianeti, Tbilisi, Gori was regularly updated. Mini-libraries were set up in every office of the Association “Toleranti” - Akhaltsikhe, Ianeti, Abastumani, Nasakirali, Tbilisi, for which fiction and historic literature, specialised literature on legal and human rights issues, etc., were purchased.

In the frames of the project, a four-phased summer integration camp was organized in Kechkhobi, Borjomi municipality for the repatriate children during two years, where over 140 children spent their holidays. Apart from leisure and physical activities, beneficiary children participated in trainings and seminars, entertainment and cognitive activities. Furthermore, movie sessions, sport competitions, discussions, walking tours, excursions, etc., were organised for the children. The camp facilitated effective integration of repatriate children and building friendly contacts with local children.

From 2012, small grants were given to the repatriate Meskhetians from Akhaltsikhe, Adigeni, Samtredia and Ozurgeti municipalities in the field of agriculture within the project. 11 projects out of 31 won grant financing.

With the assistance of a new partner - a Polish organization, attracted by “Toleranti”, 6 repatriate children were sent to Poland to participate in the “Brave Kids” Festival in summer of 2012-2013, organised under the UNESCO aegis.

In the frames of the project, “Toleranti” produced a documentary “Faraway Homeland”, which depicts the hard life of deported and repatriate Meskhetians, their stories full of pain and problems. The film was broadcasted on the Georgian Public Broadcaster, Patriarchate TV Channel and local TV channels and won positive reactions from the spectators. Four social video-clips were also made. Two videos tell about prevention of self-repatriation, the other two – about the humanitarian assistance rendered by the Association “Toleranti”.

During the project implementation period, trilingual (Georgian, Russian and Azerbaijani) newspaper “Pesvebi” was issued on a quarterly basis. The web-page of the Association was being regularly updated. Three leaflets related to legal and humanitarian issues, as well as the one offering information were issued. A focused research was carried out with active

participation of partner organisations, aimed to assess the expectations of the deported Meskhetians living in Azerbaijan, as well as attitudes of those, who have already repatriated. Results of the research were analysed and published as a separate brochure.

Three workshops were organised: 1. a three-day workshop in Bakuriani, 2 - for Georgian language teachers on bilingual teaching and working with non-Georgian children of pre-school age, and 3 – for population’s social survey team in Tbilisi.

The above listed activities are just a part of work done by our organisation within the project. Though, we deem that these achievements are enough to imagine the scale and diversity of the work conducted.

The final touch of the project was the international scientific-thematic conference “Deported Meskhetians – Past and Present”, organised by the Association “Toleranti”, CIPDD, Society for Humanitarian Research (Baku, Azerbaijan) and The Samtskhe-Javakheti State Education University in Tbilisi. Participants of the conference included experts from Georgia, Russia, Azerbaijan, as well as representatives of the EU, Parliament of Georgia, the Government, the Diplomatic Corps accredited to Georgia and Meskhetian Diaspora. 26 speeches were presented; business-oriented and meaningful discussions followed with the participation of representatives of “VATAN” from Russia, invited guests from Azerbaijan, Georgian experts and historians. The conference elaborated recommendations for the Government.

To those interested in the present publication, we offer texts of speeches presented at the conference, as well as the concept paper on adaptation, integration of repatriates and self-repatriation and the respective recommendations, elaborated by “Toleranti”. We believe that the publication, as well as other activities implemented within the project will make a positive contribution to the noble action of integration and adaptation of repatriate Meskhetians to the Georgian society.

The 30-month period of project duration has expired, but the information, Social-Cultural and Integration Centres, which we have opened and equipped, remain to continue functioning. Repatriates and those, willing to repatriate, can apply to the centres again for qualified advice and assistance.

In conclusion, I would like to avail of this opportunity and extend my

deepest appreciation to the European Union for funds and support provided to the project – **“Provision of humanitarian assistance to repatriates, prevention of “self-repatriation“”**. We specially thank Mr. Oliver Reisner, whose attention and help was always felt throughout the project implementation. We are sincerely grateful to our partner organisation – CIPDD and its director Mr. Gia Nodia; our kind thanks to our partner organisation – Azerbaijani Centre for Humanitarian Research and its director Mr. Avaz Hasanov.

Tsira Meskishvili
Project Director

დეპორტირებული მესხების იდენტობა

ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორის, ენტონი დ. სმიტის თანახმად, წინამოდერნული ხანის „პირველი ნაციები... დედამიწის სხვადასხვა კუთხეში მოგვევლინენ ნაციების მოდელებად“ (ენტონი დ. სმიტი – „ნაციონალური იდენტობა“ თბ. 2008. გვ. 52). ქართველები, უსათუოდ, ამ პირველი ნაციების რიგებშია საგულებელი. უხსოვარი წარსულის ქართულმა საზოგადოებამ სოციალური სტრუქტურირების არაერთი საფეხური გაიარა და სახელმწიფოებრიობის სიმაღლეს ანტიკურ ხანაშივე ააღწია. სახელმწიფო კი, მოგეხსენებათ, ეროვნულ-პოლიტიკური ვინაობის ყველაზე მძლავრი გენერატორია. ქართული სახელმწიფო პირველდაწყებითი ეთნოსური ბირთვის, მესხური თემების გარშემო ჩამოყალიბდა: ანტიკური “იბერიის” გულში, მცხეთაში მესხური კოლონია ემკვიდრა (დედაქალაქის სახელწოდება, მცხეთა “მესხეთას” – ანუ მესხთა ქალაქის – ფონეტიკური ვარიაციის გზით არის წარმოქმნილი). ეს სახელწოდება – მესხი, არა მარტო ქართველი ერის ფუძემდებელი ეთნოსის სატომო სახელად, არამედ მთელი ქართველი ერის მარკერადაც გამოიყენებოდა.¹ ფუძემდებელი მესხური ახალშენი «არიან-ქართლიდან» გადმოსული ხალხის სამკვიდროდ ფიქსირდება ქართულ მატრიანებში; გამოდის, მესხები და ქართველები არსებითად ერთი ხალხი ყოფილა. სახელწოდების სხვადასხვაობა მხოლოდ ერთი და იგივე ხალხის სხვადასხვა მახასიათებლებზე აქცენტირების შედეგად არის

¹ ჩრდილო კავკასიელი ხალხები მეზობლად მოსახლე ქართულ თუ ქართიზირებულ ტომებს მესხებს უწოდებენ. „წოვა თუზნი ჩაჩნების ანუ ნახჭების ტომია, ლეკები მას „მოსსოხ“-ს უწოდებენ. ამიტომ ეს სახელი „მოსსოხ“-ი ნახჭუს ტომის სახელადაც გამოდის და ჩვეულებრივ-კი ქართველთა ტომის, მესხების სახელად იხმარება“ (ივ. ჯავახიშვილი – თხზ. 12 ტომად. ტომი 11. თბ. 1998. გვ. 58). უბველესი ქვეყნის დამლა-დანაწილების მერე – მესხეთი სამმა სახელმწიფომ გაინაწილა. „სტრაბონივე ამბობს, რომ მესხების ქვეყანა სამ ნაწილად იყოფა: ერთს ფლოზენ კოლხები, მეორეს – ივერები, მესამეს – არმენიელები“ (ს. ჯანაშია – შრომები. ტ. 5. თბ. 1987. გვ. 496).

წარმოქმნილი; სამცხეს მესხეთის გარდა აკი ქართლიც მუდამ ერქვა – ე.წ. «ზემო ქართლი», ანუ «ზემო ქვეყანა». ქართლის და მესხეთის მოსახლეობის იგივეურობას ამ ორი მხარის ბინადართა გამუდმებული ურთიერთმონაცვლეობაც აპირობებდა. უამრავი შემოსევის და მარბიელის თარეშის პირობებში, მესხური თემები დედაბუდიანად აიყრებოდა და თავშესაფარად ქართლ-კახეთში გარბოდა; სხვა დროს – პირიქით, ქართლ-კახეთის დარბეული მოსახლეობა სწორედ სამცხეში ილტვოდა და იქ ემკვიდრებოდა.

ქართველი ერი, მამასადამე, ანტიკური დედაქალაქის, მცხეთის გარშემო შეიკრა ერად, ქართული ენის, ქართული დამწერლობის, ერთიანი ქართული წარმომავლების და ქართული სახელმწიფოს მტკიცე საყრდენზე და ეს ძველი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნიდანაა ასე.¹

ადრეულ შუა საუკუნეებში საქართველო უკვე წინა აზიის უძლიერეს სამეფოს წარმოადგენდა. ხელისუფლების კანონიერი გამოყენების ექსკლუზიური უფლება ხელმწიფის კარზე იყო კონცენტრირებული, ხოლო მისი ინსტიტუტები მთელი საზოგადოების წიად განტოტებული. ფეოდალური საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ვასალიტეტის ტიხარი, რომლის ძალითაც სიუხერენის უფლება ვასალის ვასალზე ვედარ ვრცელდება, მაშინდელ საქართველოში მორღვეული იყო და მეფის ხელს ვერ აბრკოლებდა. საჯარო ურთიერთობების რეგულირება მთლიანად სახელმწიფო სამართლის დისკრეციას განეკუთვნა. ამასთან, სასამართლო სისტემა ცალკე სახელისუფლებო განშტოების სახით იქნა გამოყოფილი და ერთიანი, უნიფიცირებული კოდექსის საფუძველზე მოქმედებდა. მაშინდელ საქართველოში ადამიანის უფლებების მაღიარებელი ისეთი ნორმებიც კი მოვიდა მოქმედებაში, როგორც სიკვდილით დასჯის გაუქმება და სახელმწიფო შემოსავლებიდან სოციალური დახმარების ფონდის – “გლახაკთა ნათალის” – დაწესება იყო. აღნიშვნის ღირსია განსასჯელის ადვოკატირების გამართული სისტემის და უზენაესი სააპელაციო სასამართლოს არსებობაც. ეს ყველაფერი სხვადასხვა სოციალური

¹ სამეფო დინასტიის ფუძემდებელმა, ფარნავაზმა (331 - 239) «განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თჳნიერ ქართულოსა. და აჲან შექმნა მწიგნობრობა ქართული» («ქართლის ცხოვრება» თბ. «ნიკე» – 1996. გვ. 58).

კუთვნილების ადამიანების ერთ საზოგადოებად შეკვრას და ერთიანი ერის ფორმირებას აპირობებდა. ადრეულ შუა საუკუნეებში ქართველებს და მათ შორის, რასაკვირველია, მესხებსაც, ეროვნული ვინაობა უკვე მკაფიოდ ჰქონდათ გამოკვეთილი.

ძლიერი ქართული სახელმწიფოს მესვეური, მისი სამხედრო-პოლიტიკური ელიტა, თავს უკვე "ქართველ ერს" უწოდებდა და იმ ერთიანი იდეოლოგიური დოქტრინით ხელმძღვანელობდა, რომლის პრინციპები და მორალური იდეალები სწორუპოვარი მესხის, შოთა რუსთველის "ვეფხისტყაოსანში" და ქართულ საისტორიო მწერლობაშია მანიფესტირებული. ქართული ელიტის წევრობა მხოლოდ "ქართული ზრდილობის" და "საქართველოს ზნეობის" სახელით ცნობილი მორალური კოდექსის აღიარების პირობით და კიდევ იმ "ქართულ" საზოგადოებასთან სისხლითნათესაური კავშირის წყალობით იყო შესაძლებელი, რომელი საზოგადოებაც მოცემულ ტერიტორიაზე დამკვიდრებული ხალხის, ანუ „ქართველთა ნათესავის“ წიაღს გამოეყო პოლიტიკური კლასის სახით. ეთნოსური წარმომავლობის სიტყვა "ქართველი" ამ ახალი ელიტის შემთხვევაში ნაციონალური კუთვნილების აღსანიშნად იქნა გამოყენებული; ახალწარმოქმნილმა ელიტამ ეროვნულ-პოლიტიკური ვინაობა გაიცნობიერა; მაგრამ საზოგადოების ქვედა, უფართოეს ნაწილს – ე.წ. „ქართველთა ნათესავს“ რაღა დაემართა?

ეროვნული იდენტობის ფორმირების პროცესში „ქართველთა ნათესავი“ „ქართველი ერის“ დიალექტიკური მეწყვილის როლში გამოდიოდა; არისტოკრატია მხოლოდ მასთან ურთიერთქმედების გზით იძენდა პოლიტიკურ იდენტობას. სწორედ ეს „ნათესავი“ (ხალხი) იყო მისი ეკონომიკური და სამხედრო ძლიერების პირველწყარო; „ქართველი ერი“ – სწორედ ამ „ნათესავის“ მეშვეობით, ამ «ნათესავის» გულისთვის და ამ «ნათესავთან» ერთად იცავდა პერმანენტული საგარეო აგრესიის მარწუხებში გამომწყვდეულ ქვეყანას. ქართული სამხედრო-პოლიტიკური ელიტის – «ნათესავთან» მიმართება პრინციპულად განსხვავდებოდა იმ მიმართებისგან, რაც რომის, არაბთა, სელჯუკთა, მონგოლთა ან ოტომანთა იმპერიების ელიტებს ჰქონდათ თავ-თავიანთი

საბრძანისის ქვედა ფენებთან; მათ გარედან დაიპყრეს ქვედა ფენები. «ქართველი ერი» – მათგან განსხვავებით – გარედან შემოჭრილი გადამთიელი და დამპყრობელი როდი იყო. ასეთად, ანუ მისივე წარმოშობი ხალხის დამპყრობლად, ის გვიან შუა საუკუნეებში გადაგვარდა, მისი ევოლუციის (უფრო სწორად – ინვოლუციის) ბატონყმურ ფაზაში. ადრეულ საუკუნეებში კი ქართული ელიტა მის ხალხს იმ ზომამდე არ დასცილებია, სოციალურ კლასთა გამიჯვნა–ფორმირების პროცესი სამხედრო დაპირისპირებად ექცია და საზოგადოების ერთიანი იდენტობა წაეშალა. იმის მიუხედავად, რომ „ქართველი ერის“ სახელი მან (ელიტამ) სათავეს დაიწყო, ქართველობის უფლება არც ქვედა ფენებისთვის აუყრია და ვერც აპყრიდა. მან, უბრალოდ, საკუთარ კლასობრივ უპირატესობას, საკუთარ წარმმართველ ფუნქციას გაუსვა ხაზი, როცა „ქართველი ერის“ ტიტული მისსაკუთრა, ქვემდებარე ფენის წარმომადგენლებს კი – „წვრილი ერის“ დამამცირებელი მეტსახელი უწილადა. ამ „ქართველი ერის“ „წვრილ ერთან“ ბმას ეთნოკულტურული და საერთოეკონომიკური საფუძვლის გარდა, ადგილობრივი თემების დონემდე შეღწეული სამეფო-სახელმწიფო ინსტიტუტებიც აპირობებდა: სამეფო და საეკლესიო მართლმსაჯულება, მათი რეგიონალური და ადგილობრივი მოხელენი, პატრონყმულ-სახელმეკრულებო ურთიერთობის დავაში მეფის სასამართლოს მედიატორული როლი, ისევე როგორც საგადასახადო და საპოლიციო სამსახურების ცენტრალური უწყებების ადგილობრივი წარმომადგენლობის არსებობა – საზოგადოების ყველა ფენას ამთლიანებდა და აკავშირებდა. ხშირი, შეიძლება ითქვას – არანორმალურად ხშირი, იყო ქვედა ფენების სამხედრო მობილიზაციის საჭიროებაც; საჯარო და სამხედრო-პოლიტიკურ პროცესში თანამონაწილეობა, ისევე როგორც მებრძოლი იდეოლოგიური დაწესებულების – საქართველოს ეროვნული ეკლესიის წევრობა – «წვრილი ერის» პოლიტიკურ პროცესში ჩართულობას აპირობებდა.

თავდაცვის უზრუნველყოფის საჭიროებას მართალაც გამორჩეული ადგილი ეჭირა ეროვნული მეობის მაფორმირებელ ფაქტორთა შორის. საქართველო, იმპერიათა ალყაში მომწყვდეული

მცირე ქვეყანა – გამუდმებული ომების ფასად ინარჩუნებდა სუვერენიტეტს და ვინაობას.¹ სახელმწიფოს შეუვალობის (სუვერენიტეტის) საიმედო დარაჯად მისი ძლევამოსილი ჯარი იდგა, ხოლო ძლევამოსილების წყარო ქართული სოციო-პოლიტიკური სისტემიდან მოედინებოდა. როდესაც ეს სისტემა აიჭრა და სახელმწიფო ხელისუფლება ძალაუფლების სამამულო სისტემამ (სათავადომ) ჩაანაცვლა – ყოვლის უწინარეს, ეს ჯარს დაეტყო: მანამდე უძლეველმა მხედრობამ ბატონყმურ ხანაში უკვე დამარცხებებს მოუხშირა. ქართული ჯარი გამუდმებით ომში იყო ჩაბმული. მარტო მეთორმეტე საუკუნეში, 100 წლის განმავლობაში 136 ხმალთაკვეთებას ჰქონდა ადგილი; ქართული ჯარი აქედან მხოლოდ ოთხჯერ დამარცხდა; დიდგორის, შამქორის და ბასიანის გრანდიოზულ შეტაკებებში კი – ქართულმა მხედრობამ სელჯუკთა სულთნების და ბაღდადის ხალიფას კოალიციური არმიები გაანადგურა; ამ ომებში თითოეულ ჯერზე ნახევარ მილიონზე მეტი მებრძოლი ღვრიდა სისხლს და ოფლს; თითოეულ ამ შეტაკებაში – და არა მარტო ამ შეტაკებებში – ქართველი ერის ყოფნა-არყოფნის ბედი – ბეწვზე ეკიდა. მესხური პროვინციებიდან გამომავალმა ქვედანაყოფებმა – რომლებსაც, ჩვეულებრივ, მეწინავე რიგები ეჭირა – ამ შეტაკებებში ყველაზე რთული ტაქტიკური ოპერაციების ტვირთი იკისრეს; სწორედ მესხების თავგანწირვის და თავზეხელაღებული სიმამაცის შედეგად გადაურჩა მაშინ ქართველი ერი განადგურებას. ცხადია და მარტივი: ასეთმა ისტორიულმა გამოცდილებამ წარუხოცელი კვალი დატოვა იქ მებრძოლთა და მათი შთამომავლების მენტალობაში...

ეროვნული იდენტობის ფორმირების და განმტკიცების საქმეში დიდი იყო ქართული ეკლესიის ღვაწლიც. ქართული სახელმწიფოებრიობის იდეური უზრუნველყოფა სწორედ ეკლესიას ეკისრა (გრიგოლ ხანძთელი და მისი თანადასელები, ეკლესიის კომპეტენციაში მოქცეული საისტორიო მწერლობა, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინსტიტუტები). მუსლიმანური იმპერიების წინააღმდეგ ქართველობის, ქართული იდენტობის

¹ საქართველოს სამეფომ სუვერენიტეტი მე-9 საუკუნეში აშოტ კურაპალატის დროს, 813 წელს აღიდგინა და მცირე წყვეტილების მიუხედავად, 1225 წლამდე, ანუ მთელი 400 წლის განმავლობაში არ დაუთმოა, რაც საერთოდაც უპრეცედენტო მოვლენაა იმდროინდელ მსოფლიოში.

გადასარჩენად წარმოებული მრავალსაუკუნოვანი ომის იდეოლოგიურ მედროშედაც, რასაკვირველია, ეკლესია გამოდიოდა. ქართული ეკლესია, მაშინ, სამეფოსთან გადაწულ სახელმწიფო-პოლიტიკურ ინსტიტუტს წარმოადგენდა. ამ ეკლესიის წევრობას ვერც ერთი სოციალური ფენის ვერც ერთი წარმომადგენელი აცდებოდა; მის წევრობას მკვეთრად პოლიტიზირებული, ნაციონალური იდეოლოგიით გაჯერებული დოქტრინის ათვისება მოსდევდა (ამ ეკლესიის წმინდანების აბსოლუტურ უმრავლესობას ქართული სახელმწიფოს გადარჩენისთვის თავდადებული ადამიანები შეადგენდნენ, მცხეთა ახალ «აღთქმულ მიწად» და «ახალ იერუსალიმად» იყო გამოცხადებული, ხოლო სრულიად საქართველო და ქართველი ერი – ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვედრ ხალხად). სხვა მართმადიდებელი და არამართლამადიდებელი ეკლესიებისგან სრულიად დამოუკიდებელი (ავტოკეფალური) და თეოკრატიული სახელისუფლებო წყობის მქონე ქართული ეკლესია – პატრიოტული იდეოლოგიის ინსტიტუციურ ბურჯს წარმოადგენდა მაშინდელ საქართველოში; სწორედ ამ ეკლესიისადმი კუთვნილება განსაზღვრავდა ქართულ ეროვნულ – და არავითარ შემთხვევაში ტომობრივ – იდენტობას. «ქართლად (ამ შემთხვევაში პოლიტიკური შინაარსის ეს ტერმინი – „ქართლი“, მერმინდელი „საქართველოს“ იგივეურია) ფრიადი ქვეყანა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების.»¹ გიორგი მერჩულეს ამ კონცეფციის თანახმად, ქართული სახელმწიფო სწორედ იქ იყო, სადაც «საქართველოს კათოლიკე, სამოციქულო ეკლესიად» სახელდებული დაწესებულება ფუნქციონირებდა; ამ ეკლესიის წევრები კი – როგორც აღვნიშნეთ – პოლიტიკური ზედაფენის წარმომადგენლებიც იყვნენ და ე.წ. „წვრილი ერიც“ – ანუ სახალხო მასებიც. ამრიგად ქართული ეროვნულ-პოლიტიკური იდენტობის შეგნება საზოგადოების ყველა სოციალურ ფენას მოიცავდა – მეტ-ნაკლები ინტენსივობით, რასაკვირველია. თუ

¹ გიორგი მერჩულე – «შრომა და მოღვაწეა ღირსად ცხოვრებისა წმინდისა და ნეტარისა მამისა ზენისა გრიგოლისი» – («ბეველი ქართული ლიტერატურის ძეგლების» თბ. 1978. გვ. 182).

იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს სამეფო დომენები – სახელმწიფოს მატერიალური სიძლიერის პირველწყარო – უმთავრესად სამცხეში მდებარეობდა, მაშინ მეტი საფუძველი გვექნება ვიფიქროთ, რომ მესხეთის მკვიდრებს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერება საქართველოს სხვა კუთხის ხალხზე მეტად უნდა ჰქონოდათ განვითარებული.

ყოველივე ზემოთქმულიდან ვასკვნით: როგორც მისი ელიტის, ისე ქვედა ფენების შემთხვევაში მესხური საზოგადოება არა მარტო ეთნო-კულტურული თვალსაზრისით იყო ერი (ფრიდრიხ მაინეკეს Kulturnation), არამედ სახელმწიფო-პოლიტიკური თვალსაზრისითაც (ფრიდრიხ მაინეკეს Staatnation).¹

• • •

გვიან შუა საუკუნეებში მესხური საზოგადოების (ისევე როგორც მთელი ქართული საზოგადოების) ცხოვრებაში კატასტროფული ცვლილება მოხდა. პიროვნების თავისუფლების პრინციპზე დაფუძნებული პატრონყმული სოციალურ-ეკონომიკური სისტემა თავისუფლების უარყოფელმა ბატონყმობამ შეცვალა და კლასთა თანამშრომლობის სივრცე ძალიან დავიწროვდა. ორი მთავარი სოციალური კლასის – გაბატონებული უმცირესობის და დაყმევებული უმრავლესობის – გამოყვამა ნაპრალმა იმ სახიფათო ნიშნულამდე გააღო პირი, რომლის შემდგომი გაფართოვებით საზოგადოების მთლიანობა ირღვეოდა. ამ კრიზისულ ვითარებაში, ცეცხლზე ნავთის დასხმას ჰგავდა სამცხის, როგორც ქართული სახელმწიფოს, ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში მოქცევა; ოსმალური წესების შემოღებით მესხური ზედაფენა ქვემდებარე სოციალურ სტრატებს არა მარტო უფლებრივად, არამედ რელიგიური და ენობრივი ნიშნითაც დასცილდა. ამ მომენტიდან მესხურ საზოგადოებაში, პირველ რიგში მის ელიტაში, ქართული ნაციონალური იდენტობის რღვევის პროცესი დაიწყო.

მართალია, ქართული იდენტობის აღმოფხვრას იმპერია მიზანმიმართულად ცდილობდა (ზედაფენის ისლამიზაცია,

¹ მით უმეტეს, რომ ამ ორი კატეგორიის დაპირისპირება (რაც ეთნოსური და სამოქალაქო ნაციების დაპირისპირების იდენტურია) თეორიული ნაზმნარი უფროა, ვიდრე ფაქტური რეალობა და სინამდვილე. სინამდვილეში ყოველი ნაციონალიზმი სხვადასხვა დოზითა და ხარისხით შეიცავს როგორც სამოქალაქო, ისე ეთნიკური მოდელის ელემენტებს – (ანტონი დ. სმითი – დასახელებული ნაშრომი გვ. 15).

თურქული ენის სახელმწიფო სტატუსი, პოლიციურ-სადასჯელო დასახლების ქსელის (ყარაფაფახები/თარაქამები) შექნა, ქართული ეროვნული ეკლესიის შეზღუდვა, მიწათმფლობელობის ქართული წესის მოშლა, პანისლამისტური იდეოლოგიური დაწესებულებების – ჰადისების სახლების დანერგვა...), მაგრამ ქართული ვინაობა და მესხური საზოგადოების მთლიანობა – ბოლომდე მაინც არ დარღვეულა. ორი ისტორიული მნიშვნელობის ფაქტი – ამის უტყუარი დასტურია: 1816 წელს იმპერიის მარწუხებისაგან მესხეთის გამოხსნის მიზნით საყოველთაო-სახალხო აჯანყება და – ისლამის დატოვების და ქართულ ქრისტიანობაზე გადმოსვლის წინადადება, რომლითაც სამცხის ელიტამ პეტერბურგს მიმართა. გათურქულენოვანების გზაზე შემდგარ ელიტას, არც თავისი ქართული წარმომავლობა და ვინაობა დაუციწყებია (თაობიდან თაობაში ინახავდნენ აზნაურული, და მამასადამე ქართული, წარმომშობის მამტიციებელ სიგელ-გუჯრებს) და არც ისლამზე ყოფილა თავგადაკლული. მით უმეტეს ასე იყო ეს ქვედა ფენების შემთხვევაში. სამცხის გლეხობა (რაიები) ოსმალურ პერიოდში არც ენობრივად გადათურქებულა და ისლამიც გვიან, მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში, აღიარა.¹ უცნაურია, მაგრამ თურქული ენის ინტენსიური გავრცელება ქვედა ფენებში რუსულ პერიოდში დაიწყო; მე-19 საუკუნის 70-იან წლებში სამცხე-ჯავახეთის მკვიდრ მოსახლეობაში «Грузинский язык вошёл, можно сказать, почти во всеобщее употребление... при всем том и турецкий входит употребление» (Л. Загурский – Поездка в Ахалцихский уезд в 1872 г. стр. 5. ციტირებულია შ. ლომსაძის «სამცხე-ჯავახეთიდან». ახალციხე. 2011. გვ. 308). მესხების ასეთი გამძლეობა არ უნდა

¹ აი, რას წერს ვახუშტი მესხების შესახებ მე-18 საუკუნეში: «ენა აქუსთ ქართული და უწყიან მოთავეთა თათრულიცა დამჭირებობისათვის ოსმალთა» (ვახუშტი – აღწერა სამეფოსა საქართველოსა» თ. ლომოურის და 5. ბურძინაშვილის რედაქციით, თბ. 1941. გვ. 131). ასევე მე-18 საუკუნის 70-იან წლებში სამცხე-ჯავახეთის «მოსახლეობის დიდი ნაწილი ქართველებია და რადგან თურქებმა მათ დაუტოვეს ეკლესიები, უმეტესობა ჯერ კიდევ ქრისტიანია. მცირე რაოდენობა გამაჰმადიანდა და ყველა ესენი არიან თავადები და უმთავრესად აზნაურები» (გიულდენშტენდტი – მოგზაურობა საქართველოში» ტ. 1. თბ. 1962. გვ. 215). მე-19 საუკუნე. აი, რას წერდა გაზეთის «Кавказ» კორესპონდენტი კონსტანტინოვი 1846 წელს მესხეთის მკვიდრებზე: «მთელი კავკასია შემოვიარე და მხოლოდ აქ შევხვდი ნამდვილ თურქულ ჩაცმულობას, თუმცა ენა მათ ისევ ქართული აქვთ და თათრულს დამახინჯებით ლაპარაკობენ» (შ. ლომსაძის «სამცხე-ჯავახეთი» - ახალციხის უნივერსიტეტი 2011. გვ. 314).

გაგვიკვირდეს. «კულტურის რადიკალური ცვლილება იდენტობისა და საერთო ეთნიკურობის შეგნების შესუსტებას კი არ იწვევდა, არამედ მის განახლებას უფრო უწყობდა ხელს. იმ ტიპურ შემთხვევებში, რომლებიც ასეთი იდენტობის კულტურის არსის ღრმა ცვლილებებს იწვევს – იგულისხმება ომი და დაპყრობა, გადასახლება და ტყვეობა, მიგრანტების მოზღვავება და სხვა სარწმუნოებაზე მოქცევა... არც თუ მთლად სასიკეთო გარეგანი ფაქტორებისა და მდიდარი «ეთნო» ისტორიის კომბინაციას შეუძლია ხელი შეუწყოს ეთნიკური იდენტობების კრისტალიზაციასა და შენარჩუნებას» (ენტონი დ. სმითი – დასახელებული ნაშრომი გვ. 32–33). ქართველ გლეხებზე რა უნდა ვთქვათ, როცა თვითონ ოსმალეთის იმპერია არ იდგა თურქიზმის საფუძველზე. «თურქები ანატოლიაში 1900 წლამდე უმეტესწილად არ იცნობდნენ განკერძოებულ «თურქულ» იდენტობას – ვგულისხმობ დომინანტური ოსმალური ან უფრო მრავლისმომცველი ისლამური იდენტობისაგან განსხვავებულ იდენტობას. ადგილობრივი საგვარეულო, სასოფლო თუ რეგიონული იდენტობები ხშირად უფრო მნიშვნელოვანი იყო მათთვის» (იქვე. გვ. 26). რუსეთის ცარისტულმა იმპერიამ, სამცხის სახით ისლამიზირებული, მაგრამ აშკარად ქართული ქვეყანა ჩაყლაპა, თუმცა «ცარიზმის მოხელენი მცხოვრებლებს მიმართავდნენ, როგორც თურქებს და მათი ქართველობის გაგონებაც არ სურდათ. მოუწოდებდნენ არა მამა-პაპათა ზნე-ჩვეულებისა და სარწმუნოების აღდგენისაკენ, არამედ თურქეთში გადასახლებისაკენ» (შ. ლომსაძე – დასახელებული ნაშრომი. გვ. 314).

საკითხავია, რამ განაპირობა რუსების ეს თავგამოდება?

გააფთრებულმა წინააღმდეგობამ, რაც რუსეთის იმპერიას სამცხის მოსახლეობამ გაუწია, დაარწმუნა იმპერიის მესვეურები, რომ სამცხის მუსლიმი მოსახლეობის მიმართ რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარება წყლის ნაყვა იქნებოდა. სწორედ ამიტომ დაადგა ცარი მესხეთის ეთნოწმენდის გზას. ამ უღმობელი და კაცთმოძულური პოლიტიკის შედეგად გამოთავისუფლებული მიწები ცარიზმის მოხელეებს სახელმწიფო რეესტრში გადაჰქონდათ და ზედ სომეხ და რუს კოლონისტებს ასახლებდნენ, სახელმწიფო

ყმების სტატუსით. ოსმალეთთან საომარი მდგომარეობის პირობებში (1818–29), ეთნოწმენდა ჯავახეთში სწრაფად განხორციელდა. ქართველების (ჯავახების) ოსმალეთში განდევნით და მათ ნასახლარზე არზრუმელი სომხების დამკვიდრებით ერთმანეთთან მეომარი ორი იმპერია, კაცმა რომ თქვას, ეთნორელიგიური ნიშნით დახარისხებულ მოსახლეობას უცვლიდა ერთმანეთს. საომარი მოქმედებების შეწყვეტის პირობებში კი, სამცხის დანარჩენი ტერიტორიიდან მოსახლეობის მასობრივ აყრა-დაწიოკებას და მეზობელი იმპერიის მიმართულებით ლტოლვილების ნაკადის მიშვებას, პეტერბურგმა წელი და ნებაყოფლობითი მიგრაციის პროცესის სტიმულირება ამჯობინა. სამცხის უკვე გამუსლიმებული მოსახლეობის ლინგვისტური გათურქება ამ მიზანს ემსახურებოდა. ცარიზმის ყველა ხრიკის მიუხედავად სამცხის მკვიდრთა უმრავლესობას მშობლიური ადგილ-სამყოფელი არ მიუტოვებია. მესხები განაგრძობდნენ მედგარ წინააღმდეგობას.

ბოლშევიკურ ყაიდაზე ტრანსფორმირებულმა რუსულმა იმპერიამ ახალი გლობალისტური სტრატეგიის შესაბამისად "დახვეწა" სამცხის დექართველიზაციის პროექტი: ტრადიციული არისტოკრატიის განადგურების პარალელურად, ბოლშევიკურმა რეჟიმმა პროსაბჭოური ელიტის ფორმირება და საჯარო სივრცის ენად აზერბაიჯანულის დამკვიდრება მოინდომა. ამ მიზნის მისაღწევად კრემლმა მოდერნული საცეცები აამოძრავა (აზერბაიჯანული საგანმანათლებლო დაწესებულებები; თეატრი და სხვა კულტურული ინსტიტუტები; გაზეთი, რადიო და სხვა მედიასაშუალებები...) და მრავალწლიანი რუდუნების შედეგად საქმე იქამდე მიიყვანა, რომ დეპორტაციის მომენტისთვის მესხების ნაწილი ქართულ ენაზე უკვე ვეღარ ლაპარაკობდა; მართალია, მომეტებული ნაწილი ჯერაც ქართულად მეტყველებდა, მაგრამ რელიგიური განსხვავების და სახელმწიფოს მხრიდან თურქული (აზერბაიჯანული) იდენტობის მოხვევის მცდელობის გამო, მესხები, მთლიანობაში, თავს დანარჩენი ქართველებისგან უკვე დისტანცირებულად განიცდიდნენ. თქმული იმას მაინც არ ნიშნავს, რომ მათ ქართველობის შეგნება გაუქრათ. ენობრივი

გადათურქების და ისტორიული მემკვიდრეების წაშლის ხანგრძლივი მცდელობის მიუხედავად, მესხები თავს მაინც ავტოხტონურ ხალხად თვლიდნენ და დღესაც ასე თვლიან. „იერლი“ და „ბინალი“ მესხების ვინაობის აღმნიშვნელი ის მაგიური ტერმინებია, რაც მათ ქართული ნაციონალური იდენტობის გაბუნდოვნებული, მაგრამ წარუბოცელი ხსოვნის აღსანიშნავად შეიმუშავეს. ქართული ვინაობის წაშლის მრავალსაუკუნოვანმა მეცადინეობამ ის შედეგი გამოიღო, რომ ეროვნული მეობა ისევ პირველსაწყის ეთნოსურ თვითმყოფადობამდე რედუცირდა, თუმცა, და ეს ძალიან მნიშვნელოვანია, მას ზედ სხვა, არაქართული პოლიტიკური ზედნაშენი მაინც არ მიმცნობია და ბუნებაში არსებულ რომელიმე სხვა იდენტობად არ გადაკეთებულა.¹

დეპორტაციის მერე, დიასპორად გაფანტულ თემებში ახალი ელიტის ფორმირების დუნე პროცესი მალევე დაიწყო, რაც, ძირითადად, რეპატრიაციის მოსურნე ორგანიზაციული ერთეულების წარმოქმნაში გამოიხატა. რუსული სახელმწიფოს სათანადო სამსახურებს არ გასჭირვებიათ კომენდატის პირობებში გამოწყვედილი თემების საზოგადოებრივი ინიციატივის კონტროლი და სასურველ კალაპოტში მოქცევა: მესხური დაწესებულებების საპროგრამო ამოცანებში ქართული სახელმწიფოებრივი ინტერესის საზიანო და რუსეთის ანტიქართული სტრატეგიების შესაფერისმა ტენდენციებმა იჩინა თავი. მოსკოვში ფორმირებული და სათავეოფისდადებული «ვათანის» სარეპატრიაციო პროგრამა კრემლის პოლიტიკური ინტერესით არის შემარჩილებული. ახალგამოჩვეილი ორგანიზაციების ხელმძღვანელთა გარედან მანიპულირების იოლშესამჩნევმა ფაქტმა კი ელიტისადმი უნდობლობის ძველი ტრადიცია გამოაფხიზლა.

¹ ამ გამბეობას, სხვათა შორის, მშობელი მიწის სიყვარულიც აპირობებდა. ცნობილია, ხალხი და ქვეყანა ერთმანეთს კუთვნიან. მიწა-წყალი არის იმ ხალხის მიერ ნამძერწი ტერიტორია, ვინც ზედ ათასწლეულების განმავლობაში ამკვიდრია. ის «სამშობლო მიწა», იქაური მკვიდრების «აკვანი» და «მამა-პაპათ ძვალთმესალაგი». მიწა-წყალი ნაციონალური გრძნობის ხილული კულტურული მარკერია. დიდი ქართული საკლესიო და საერო არქიტექტურის აუარებელი ნიმუში, რომლითაც მთელი საქართველო და განსაკუთრებით კი სამცხეა მოფენილი, იქაური მოსახლეობის თვალში, რასაკვირველია, ქართული ვინაობის შებუსვრილ, მაგრამ მაინც შთაბეჭდვად ნიშანსვეტად რჩებოდა.

ის ფაქტი, რომ მესხურ დიასპორაში მომრავლებული კულტურული და სხვა სამოქალაქო ორგანიზაციების საქმიანობა ხშირ შემთხვევაში გარე პოლიტიკური ცენტრებთან არის კოორდინირებული და თურქული პოლიტიკური იდენტობის ხელოვნური ჩანერგვა-ჩამოყალიბებისკენ მიმართული, სხვა არაფერია, თუ არა იმ დისკრიმინაციული პოლიტიკის გაგრძელება, რომლის კულმინაციური ფაზა და შემზარავი გამოვლენაც საქართველოდან მესხების აყრა-გადასახლება იყო. საუკუნეების წინ წამოწყებული გენოციდი ჯერაც არ დასრულებულა. რუსეთის გეოპოლიტიკური ვნებების მიზეზით საქართველოდან აყრილი და სვეგამწარებული ხალხით მანიპულირება არ წყდება: მესხების პოლიტიკური იდენტობის რენიშმაციის პოტენციალს – რაც რასაკვირველია, მათ პირველსამშობლოს, საქართველოს უკავშირდება – არაერთი ორგანიზაცია და “ექსპერტ-განმანათლებელი” ზედ თურქულ პოლიტიკურ იდენტობას ატმასნის.

გარეცენტრებიდან ხელოვნურად სტიმულირებული ორგანიზაციული ჯგუფების თუ ცალკეული ექსპერტ-სპეციალისტის თურქოფილური მოღვაწეობის და გარჯის მიუხედავად, მესხების ძირითადი მასის იდენტობა დღეს მაინც ოჯახის, სანათესაოს, სასოფლო თემის (“ქიოვ”) – საზოგადოდ, პოლიტიკური განზომილების ქვემოთ დონით არის შემოფარგლული, რაც ეროვნული ვინაობის რეალიზების შეუძლებლობის და ძველი ელიტის ამოკვეთის ოპერაციის ბუნებრივი შედეგად მიგვაჩნია. “იერლის” და “ბინალის” ცნებებში დაღეჭილი ოდინდელი ქართული პოლიტიკური იდენტობა სადღეისოდ თანდათან ნავლდება (მკვიდრის აღმნიშვნელ ამ ცნებებს მაშინ ჰქონდა აზრი, როცა ხალხი მამაპაპეულ ფუმეზე ემკვიდრა). თუმცა მესხების ქართული იდენტობა დეპორტაციის მერეც იმავე საყრდენს, გენიალოგიის შტოს მოეჭიდა, ანუ ნაციის იმ «არადასავლურ მოდელს» დაებლაუჭა, რომლის თანახმადაც „განურჩევლად იმისა, შენს საზოგადოებაში დარჩები თუ ემიგრანტად იქცევი, აუცილობლად და სამუდამოდ ნიშანდებული და ორგანულად დაკავშირებული იქნები იმ საზოგადოებასთან, რომლის წევრადაც დაიბადე...

ნაცია არის, უპირველეს ყოვლისა, საერთო წარმომავლობის საზოგადოება» (ენტონი დ. სმითი – დასახელებული ნაშრომი. გვ. 14). საკუთარი ფესვების ხსოვნას მესხები დღემდე თვალის ჩინივით უფრთხილდებიან. ამ მხრივ, განსაკუთრებულ ღვაწლად უნდა მივიჩნიოთ, ქალბატონმა კლარა ბარათაშვილის, თვითონ დეპორტირებული მესხის ჩამომავლის შრომა – «მაჰმადიანი მესხების ქართული გვარები» (თბ. 1997). სადაც მესხების ქართული გვარები წარმოშობის ადგილების მიხედვითაა დადგენილი.

სწორედ ეს ბედისწერასავით დაუძლეველი წარმომავლობაა ძირითადი იდეური საზრდო, რის გამოც დიასპორის მესხები მოცემული ქვეყნების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობას გაურბიან: მესხებს არ მიაჩნიათ, რომ ქვეყანა, რომლის მოქალაქეებადაც ირიცხებიან, მათი უსაფრთხოების გარანტიად დგას; მათ ესმით, მოცემული ქვეყნის პოლიტიკურ სისტემას საკუთარი ინტერესების სამსახურში ვერ ჩააყენებენ და საკუთარ პოლიტიკურ იდენტობას ვერ დაუკავშირებენ ქვეყანას, რომლის მოქალაქეებიც ისინი სადღეისოდ არიან. მესხებს არ სურთ ნებით გახდნენ: ყაზახი, ყირგიზი, რუსი, უზბეკი... და თუნდაც თურქი ერის შემადგენელი ნაწილი; საილუსტრაციოდ, ამჯერად, ყაზახეთში მაცხოვრებელი მესხი რესპოდენტის პასუხს დავეკრდეთ: «ყაზახებს ჩვენთვის არაფერი ცუდი არ გაუკეთებიათ. ერთი ენა გვაქვს, რელიგიაც ერთი გვაქვს. ყაზახეთი სამშობლო როგორ გახდება ჩემთვის. აგე, ებრაელებმა რამდენი წელიწადი იხეტიალეს და, სულ ერთია, მაინც დაბრუნდნენ»//„казахи ничего плохого не сделали, язык один, религия одна, как Казахстан для меня родиной станет? Вот еврей, сколько лет скитались, все ровно вернулись“ (Игор Савин – „Казахстан: успешная интеграция“ Сборник – “Турки-Месхетинцы“ под редакций Тома Триера и Аядрейя Ханжияна. С.-П. 2007. ст. 72). მაშ, სადღეისოდ შექმნილი ვითარების თანახმად მესხების იდენტობა უპირატესად მათი სისხლისმიერი ერთობით შემოისაზღვრა და ამ „სიწმინდის“ დარღვევის მიმართულებით (რაც შერეული ოჯახების შექმნის გზით არის შესაძლებელი) თურქეთის რესპუბლიკაში „რეპატრირებული“ მესხებიც კი ფეხათრევიტ მოძრაობენ.

თურქული პოლიტიკური იდენტობის მესხურ თემებში ჩანერ-

გვას ბევრი ცდილობს და არც თუ უშედეგოდ, მაგრამ ქართული პოლიტიკური იდენტობის სრული ამოშანთვის შემთხვევაში, მესხების მეშვეობით საქართველოში დესტაბილიზაციის გამოწვევა – რაც კრემლისთვის ასე სასურველია – ვეღარ მოხერხდება: თურქული პოლიტიკური იდენტობის აღსარების პირობით, მესხები აკი საქართველოში საერთოდ აღარ დაბრუნდებიან. პარადოქსულმა ვითარებამ პარადოქსული ტერმინი შვა – “თურქი მესხები”; ამ ეთნოგრაფიული ჟონგლიორობის შედეგად, ხალხის აღმნიშვნელი ცნების საბურველში პოლიტიკური პროგრამის კოდი შეიფუთა. იგივე მიზანდასახულობის შემცველია საქართველოდან აყრილი მესხებისთვის ორმაგი სამშობლოს რეგეპტის შეჩერება: საკრალური და სათაყვანებელი «ვათანის» – ანუ თურქეთის და რეალური – «მემლექეთის», ანუ საქართველოსი. საქმეს ეს, რასაკვირველია, ვერ შველის და ვითარება ჩიხური რჩება: თუ დეპორტირებულების სამშობლოდ მხოლოდ საქართველოს მოვიაზრებთ, რაც ნორმალურია, მაშინ მესხების პოლიტიკური იდენტობა ქართული გამოდის და დანარჩენ ქართულ მოსახლეობასთან იდენტობის მიზეზით კონფლიქტის გამოწვევას საფუძველი ეცლება. მესხების თურქული იდენტობის პროპაგანდისტებს კი ქიციც უნდათ და ქიცმაცურიც: ისიც, რომ მესხები საქართველოში, ესე იგი სამშობლოში, დაემკვიდრონ და ისიც – რომ საქართველოში ისინი თურქული პოლიტიკური იდენტობის განცდით დაბრუნდნენ. სურვილი სურვილად, მაგრამ რაკი ქართველი-თურქი ბუნებაში არ არსებობს კრემლის პოლიტ-ტექნოლოგებმაც ჩიხური ვითარების ინტელექტუალური ტალკვესი – დამატებითობის დიალექტიკური პრინციპი ამოქექეს თავიანთი ჭკუის კოლოფებიდან და ორლესული ტერმინები დააცხვეს: «თურქი-მესხები», «მესხეთელი თურქები», «ახისკა თურქები».

გახლეჩილი იდენტობის დამკვიდრების ეს მზაკვრული მეცადინეობა მთელ დიასპორაშია გაშლილი. ამ მიზნის მისაღწევად ექსპერტების, მკვლევარების, უფლებადამცველების, თუ თეორეტიკოსების საპატიო სახელს შეფარებული ულო მოუღლეღად ზუზუნებს. მზაკვრული პოლიტიკური ჩანაფიქრის ხორცშესასხმელად „მემლექეთის“ ცნების ერთი პროვინციის

დონემდე დავიწროვების ხრიკსაც მარჯვედ იშველიებენ, მაგრამ შუბი ხალთაში არ იმალება: პროვინცია – „ახისკა“ ბუნებაში არ არსებობს. „ახისკა თურქი“ როგორც მესხების მარკერი, ხელოვნური, შეთითხნილი და საკუთარი თავის მაკომპრომიტირებელია!!!

მესხების თურქებად გადამნათვლელები და ავტონომისტები, ადამიანის უფლებების დაცვის ლიბერალურ პრინციპს არიან ამოფარებული, სინამდვილეში კი ანტილიბერალურ და კონფლიქტოგენურ მოთხოვნას აყენებენ; მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის, ასოციაცია „ტოლერანტის“ და აზერბაიჯანის ჰუმანიტარული კვლევების საზოგადოების 2012 წელს ჩატარებულმა კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ რეპატრიაციის მოსურნე მესხები არამცთუ დისპერსული განსახლების წინააღმდეგი არ არიან (ასე ცხოვრებას ისინი ისედაც შეეჩვივნენ დიასპორაში და არც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დამკვიდრების ისტორიული გამოცდილება აკლიათ, რაც ზემოთაც აღვნიშნეთ), არამედ დანარჩენ ქართულ საზოგადოებასთან სწრაფი ადაპტაციის და ინტეგრაციის სურვილი აქვთ და მცირე სანათესაო ჯგუფების სხვადასხვა რეგიონში განთესვის მიზანშეწონილებას ამტკიცებენ; მათი თქმით, საქართველო პატარა ქვეყანაა და საჭიროების შემთხვევაში ახლობლებს ერთმანეთთან კონტაქტის შესაძლებლობა ისედაც ექნებათ.¹ რეპატრიანტების ერთ პროვინციაში თავმოყრის იდეა, მათი თურქებად მიჩნევა და იქვე მათი ავტონომიურობის ხაზგასმა, სხვას არას ნიშნავს, თუ არა იმის მტკიცებას, რომ პროვინცია სამცხე-ჯავახეთი საქართველოს თურქეთისგან მიუტაცნია, მაშინ როცა საქმე პირიქითაა.

მესხების რეპატრიაცია და თითოეული მოქალაქის უფლებების დაცვა, რასაკვირველია, ლიბერალური პრინციპების გამტარი ხელისუფლების და საზოგადოების ვალია. მაგრამ ლიბერალიზმი ინდივიდის უფლებების თეორიაა; თუ ინდივიდის უფლებების რანგში და ადგილას ჯგუფის უფლებები წამოსკუპდა – საკითხი ყალბდება. წინასწარ დაანონსებული ჯგუფური ინტერესის ბაზაზე რაიმე სამართლებრივი გარანტიების მოთხოვნა (იქნება ეს

¹ „სამხრეთ საქართველოდან დეპორტირებული მოსახლეოა: რეპატრიაცია, ინტეგრაცია“ (თბ. 2012 გვ. 10-12).

ავტონომია, თუ სხვა) ჯგუფის სახელით მანიპულირების და ამ ჯგუფის, სხვათა პოლიტიკური მიზნით გამოყენების საფრთხის შემცველია. თუ ლიბერალიზმის თეორიულ საფუძველზე ვრჩებით, მაშინ ჯერ ის უნდა ვიკითხოთ, ვინ ახდენს "ჯგუფის" ინტერესის არტიკულირებას? არ არის გამორიცხული (სულაც ძალიანაც არის მოსალოდნელი), რომ დეპორტირებული მოსახლეობის სახელით, უცხო სახელმწიფოს პოლიტიკური ინტერესის მსახური გველაპარაკებოდეს. უცხო სახელმწიფო ინტერესების სასარგებლოდ მოღვაწე ექსპერტ-ინტელექტუალთა ქსელის იდეურ პლატფორმად მულტიკულტურალიზმის დოქტრინაა შეგულებული. იმის მიუხედავად, რომ სადღეისოდ არა de facto მრავალკულტურული საზოგადოების კულტურული სიჭრელის შეწყნარებად გაგებული, არამედ ეთნოსური, რელიგიური და კულტურული ჯგუფების სამართლებრივი უფლებების მოთხოვნად მიჩნეული მულტიკულტურალიზმი, ფაქტიურად, ყველა თანამედროვე ლიბერალურ დემოკრატიაშია დამკვიდრებული... პიროვნების უფლებების ლოკისეული ტრადიცია იმის დასტურია, რომ ჯგუფური უფლებების დამკვიდრების ეს მცდელობა ყოველთვის უაღრესად საკამათოა//Multiculturalism, understood not just as tolerance of cultural diversity on de facto multicultural societies but as the demand for legal recognition of the rights of ethnic, racial, religious, or cultural groups, has now become established in virtually all modern liberal democracies Lockeian tradition of individual rights has meant that these efforts to assert group rights have been tremendously controversial" (Francis Fukuyama – „Identity, Immigration, and Liberal Democracy“ „Jornal of Democracy“ – April 2006, Volume 17, Number 2. pg. 9). ეს ასეა, რადგან ჯგუფის ინტერესი არასოდეს მასში შემავალი ინდივიდების ინტერესების ჯამს არ ედრება; ჯგუფის ინტერესი, სინამდვილეში ზოგადია და ამავე ჯგუფის ერთი დამატებითი „წევრის“ ინტერესს ემთხვევა, იმ პირობით კი, რომ ეს „წევრი“ ანონიმურია. ჯგუფის რომელიმე წევრის მიერ ამ ანონიმური ზოგადი საწყისის ინტერესის მანიფესტირება ყოველთვის პრევენციულია და განაჩენს ჯგუფის სხვა დანარჩენი წევრებისგან ელოდება. მანიფესტირებული ინტერესის ნამ-

დვილობა ჯგუფის წევრთა კონსენსუსის და საყოველთაო „რეფერენდუმის“ გზით დგინდება. ეს „რეფერენდუმი“ დროს მოითხოვს. ყოველმა ინდივიდმა ცხოვრებისეულ პრაქტიკაში უნდა შეამოწმოს: დაადასტუროს, უარყოს, ან დააკორექტიროს – არის თუ არა ჯგუფის საჭიროებად შერაცხული და მანიფესტირებული ინტერესი, მისი ნამდვილი ინტერესი. მესხების ის ნაწილი, ვინც სამშობლოდ საქართველოს ირჩევს, ამ არჩევანით თავის ქართულ პოლიტიკურ იდენტობას ადასტურებს. თუ რა ჯგუფური ინტერესი გაუჩნდება რეპატრირებულებს სამომავლოდ, ამას მათ დანარჩენ ქართულ საზოგადოებასთან თანაცხოვრება დაანახებს; რაიმე სამართლებრივი გარანტიის წინასწარ მოთხოვნა ჯგუფის, ან, მით უმეტეს, დოქტრინის (თუნდაც ლიბერალიზმის) სახელით, საქმის გაუკუღმართებული წარმოდგენაა. ქართული საზოგადოება და ქართული სახელმწიფო ყველა რეპატრირებულს ისე უნდა მოექცეს, როგორც თანასწორუფლებიან პირს და არა როგორც ეთნო-რელიგიური ჯგუფის ფარგლებში მომწყვდეულ წევრებს. «ლიბერალიზმი, რასაკვირველია, ჯგუფის უფლებებს ვერ დაეფუძნება, რადგან ყველა ჯგუფი როდი ეყრდნობა ლიბერალურ ღირებულებებს... იმიგრანტთა თემის წევრები და მათი შთამომავლებიც იმას იმსახურებენ, რომ მათაც ინდივიდულებით მოვექცეთ და არა კულტურული ნიშნით გამორჩეული თემის წევრებით// Liberalism cannot ultimately be based on group rights, because not all groups uphold liberal values. ... Members of immigrant communities and their offspring deserve to be treated equally as individuals, not as members of cultural communities (Francis Fukuyama – Identity, Immigration, and Liberal Democracy. „Jornal of Democracy“ April 2006, Volume 17, Number 2. pg.15).

...

ეროვნული იდენტობა მესხებს ადრეულ შუა საუკუნეებში ჩამოუყალიბდათ და ის არა თურქული – არამედ ქართული გახლდათ. მაიბულებელი გარემოპირობების მიზეზით ამ იდენტობამ ტრანსმუტაცია და ერთგვარი დეგრადაცია დიახ განიცადა, მაგრამ სხვა, მის გარეთ არსებულ იდენტობად ის მაინც ვერ გადაკეთდებოდა და არც გადაკეთებულა. სხვა (თურქული,

ამერიკული) იდენტობა მხოლოდ ცალკეულ ინდივიდებს ჩამოუყალიბდა, რაც სხვა არაფერია, თუ არა მათი ასიმილაცია. თვითონ იდენტობა ატომის, მონადის ბუნებისაა და არ იხლიჩება. მისი სახეცვლის და გაფერმკრთალების მიუხედავად, ძველისძველი მესხური იდენტობა ვერც თურქულ, ვერც ამერიკულ და ვერც ვერანაირ სხვა იდენტობას ორგანულად ვერ შეერწყმება, ის შეიძლება მხოლოდ საერთოქართულ პოლიტიკურ იდენტობას დაემთხვეს (გაგახსენებთ – ქართული და მესხური იდენტობა – იდენტურია: «მესხი» და «ქართველი» ერთი და იგივე პოლიტიკური შინაარსით იხმარებოდა წარსულში).

ერთხელ უკვე ჩამოყალიბებული იდენტობა, ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული იდენტობაა, მას ვერ გადააკეთებ. ის ფაქტი, რომ ქართველად ფორმირებული იდენტობის თურქად ან საბჭოელად ტრანსფორმირება ვერც ენის ჩანაცვლების და ვერც სარწმუნოების შეცვლით მოხერხდა – კანონზომიერების გამოვლენაა და არა მესხების გამძლეობის შედეგი (თუმცა, მესხებს გამძლეობა მართლაც შესაშური აღმოაჩნდათ). სრულფასოვანი პოლიტიკური ცხოვრებისთვის მესხების გაცოცხლება, სანათესავო, სასოფლო, თუ სატომო დონიდან მათი ვინაობის ისე ამოწევა, რომ მათი ტომობრივი და თემობრივი მეობა არ დაიკარგოს, მხოლოდ მესხურ იდენტობაზე დაყრდნობით და მხოლოდ ქართულ ეთნო-პოლიტიკურ სივრცეშია შესაძლებელი, რაც სხვას არას მოასწავებს, თუ არა მესხების რექართველიზაციას. სხვაგან, სხვა პოლიტიკურ სივრცეში, თურქეთი იქნება ეს თუ აშშ – მესხები მხოლოდ საბოლოო ასიმილაციისთვის იქნებიან განწირულები.

დამოწმებული ლიტერატურის სია

- ბარათაშვილი კ. – «მაკამდიანი მესხური ქართული გვარები» თბ. 1997.
- გიულდენშტენდტი – «მოგზაურობა საქართველოში» ტ. 1. თბ. 1962.
- ვახუშტი – «აღწერა სამეფოსა საქართველოსა» – თ. ლომოურის და
5. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ. 1941
- ლომსაძე შ. – «სამცხე-ჯავახეთი» – ახალციხის უნივერსიტეტი – 2011.
- მერაჟულე გ. – «შრომა და მოღვაწეობა ღირსად ცხოვრებისა წმინდისა

და ნეტარისა მამისა ჩვენისა გრიგოლისი» – ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები – თბ. 1978.

«სამხრეთ საქართველოდან დეპორტირებული მოსახლეობა: რეპატრიაცია ინტეგრაცია (ფოკუსირებული კვლევის შედეგები)» – თბ. 2012.

სმითი ე. დ. – «ნაციონალური იდენტობა» – თბ. 2008.

სურგულაძე ივ. – «ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან» თბ. 1965

«ქართლის ცხოვრება» – თბ. «ნიკე» – 1996.

ჯავახიშვილი ივ. – თხზ. 12 ტომად.

ჯანაშია ს. – შრომები ტ.5. თბ. 1987.

Francis Fukuyama – «Identity, Immigration, and Liberal Democracy» – Journal of Democracy. April 2006, Volume 17, Number 2.

Том Триер и Андрей Ханжин – «Турки-Месхетинцы» С-П 2007.

Summary

The existence of the state is crucial to form a political identity. Georgia, a homeland of Meskhethians, became a political entity yet in medieval centuries, which fully met the minimum requirement of the definition of a state by Weber. Not only the inhabitants of the country belonging to the higher stratum, but also those from the wider lower classes possessed the political identity; The area of competences of the then country's state institutions covered all layers of the society and the entire society obeyed common, unified legal system. From the point of view of the national-political identity, the existence of the general military-mobilisation system and of the Georgian Church, as an ideological institution encompassing all social strata, was also very important.

In 13th-14th centuries, an essential change took place in the life of the Georgian society, which set the start to the decay of the identity: serfdom, which denied the freedom of a person, replaced the serfdom-based contractual relationship founded on the principles of freedom of a person; inequality in rights between the élite and lower layers of the

society transcended the boundaries. The transition of Samtskhe, as the Georgian land, under the rule of Ottoman Empire, further deepened this inequality; the existing estrangement between the élite and lower layers of the society was accompanied by religious and partial linguistic differences. Though, despite all the above mentioned, the common national identity of inhabitants of Meskheta was not fully destroyed in the Ottoman period: Samtskhe managed to retain partial autonomy (i.e. some elements of old Georgian state and local government structures), Georgian church was also functional; Islam only penetrated into the lower layers of the society later in the second half of 18th century; Georgian language was never forgotten.

Intensive expansion of the Turkish language in Meskheta started during the Russian rule. In parallel, the Russian Empire continued Ottoman Empire's policy of inciting the élite and lower layers of the society against each other and also attempted to clear Meskheta of Georgian population. For this purpose, during the wars, it exercised the policy of ethnic cleansing, and in peaceful times – it stimulated the migration process of population of Samtskhe deep into Ottoman country. This became the reason why the Russian Empire so ardently instigated expansion of Turkish language among Muslim Georgians. In later period, to accelerate the process of expansion, the Bolshevik regime put into action the modern instruments: schools were opened, mass media and cultural institutions were established and all in Azerbaijani language (!). Despite such pressure, by the time of deportation, the majority of Meskhetians still remembered Georgian. It was only the next generation after the deportation, which lost the ability to speak the Georgian language...

Due to the criminal policy of the Russian Empire, the national-political identity of Meskhetians, naturally, became subject to transmutation:

During the Ottoman rule, step-by-step the area of realisation of Georgian political identity narrowed down and the Georgian identity was gradually emptied of political meaning. Georgian identity of Meskhetians slowly moved on to the ethnic basis and got hold of the idea of ethno-origin and being autochthonous. Despite such degradation, both people and the ruling élite still were conscious of their Georgian identity. Two

historical facts serve as true evidence: people's common rebellion of 1816 to free Georgia from Ottoman rule; and another, during the Russian rule, a petition sent to St. Petersburg by the élite of Samtskhe to allow to restore Christianity – the religion of their ancestors (in response, Meskhetians received denial from St. Petersburg!).

The policy of transformation of the ruling élite into Turkish and inciting them against the rest of the population, exercised by the Russian Empire, was later revised by Soviet Russia in the new light – the Communists destroyed the old élite (“destroyed as a class”) and instead started to form a new, Soviet, but Azerbaijani (!) élite; although, the deportation put the end to these attempts. after the deportation, the household and administrative infrastructure for functioning of the new Soviet élite vanished entirely and this last heritage of the assimilatory policy of the Russian Empire was over. Afterwards, another new élite started to emerge among Meskhetians, which was mainly seen in formation of civil society organisations striving to repatriate. naturally, it was not difficult for the Soviet empire to control and correct respectively the civic initiatives of Meskhetians under the strict supervision of commandant: along with call for repatriation, the civic organisations took up the mission to propagate selling the linguistic identity of Meskhetians as their political identity; today, along with facilitating repatriation process, activists operating in the Meskhetian Diaspora serve, voluntarily or unconsciously, the mission to prepare preconditions for provoking ethno-national conflict in Georgia.

Though Meskhetians speak Turkish, it does not necessarily mean that they have Turkish political identity. The ancient identity of Meskhetians is reduced to the level of the community and relatives. Reanimation of their political identity and bringing Meskhetians back to political life is possible only through their repatriation and integration into the Georgian society. Settling Meskhetians elsewhere – be it Turkey or USA – will result in their final assimilation.

მემორიალური კულტურა, როგორც ეთნიკური იდენტობის ნიშანი

მემორიალური კულტურა (საფლავის ძეგლები) წარმოადგენს ზოგადქართული კულტურულ-ისტორიულ კვლევის ნაწილს. ერთობლიობაში ესაა დაკრძალვის წესების დინამიკა, საფლავის ინვენტარი, ქრონოლოგია, კლასიფიკაცია და მასზე ასახული სიმბოლო-ნიშნები. ეს მასალა საინტერესოა საზოგადოების მეურნეობის, ყოფა-ცხოვრების, ხელოსნობის, რელიგიის და ზოგადად, საზოგადოების სოციალ-ეკონომიკური ვითარების რეკონსტრუქციისთვის (ნ.ბერძენიშვილი, 1964,56) აღარაფერს ვლპარაკობთ უაღრესად დიდი ისტორიული მნიშვნელობის შესახებ, რომლებიც ამ ტიპის ძეგლებს აქვთ მიკუთვნებული, განსაკუთრებით, ეთნიკური იდენტობის დაცვისა და გამოკვლევისათვის, ამ შემთხვევაში საფლავის ძეგლები გვევლინებიან საქართველოს ისტორიული ტერიტორიის საუკეთესო დამცველად „მათთვის უცხოა უპრინციპობა და კომპრომისი რომელიც ჩვენ, დღევანდელ ცოცხლებს – გვახასიათებს, უცხოები მათ ანადგურებენ, რადგან მათში ხედავენ შეურიგებელ მოწინააღმდეგეს. ჩვენთან ამა თუ იმ ფორმით ახერხებენ გარიგებას, მაგრამ მათ ვერ გაურიგდები. ამდენად, მამა-პაპის საფლავის ქვები ფარია საქართველოსი“ (ი.სურგულაძე, 2001.4). განსაკუთრებით კი იმ რეგიონებში სადაც ისტორიის ბედუკუღმართობის გამო ქართული მოსახლეობა განადგურდა და მათი ადგილი, სხვადასხვა ისტორიული კონიუნქტურის დამატებით, დაიკავა უცხო ეთნიკური წარმომავლობის მოსახლეობამ. ჩვენმა მეცნიერებამ უამრავი მაგალითი იცის საქართველოს ტერიტორიაზე არსებული მატერიალური კულტურის ძეგლებში ქართული ნიშან-თვისებების აღმოფხვრისა, რაც ზოგადად გამოიხატა ქრისტიანული საკულტო ძეგლების გადაკეთებაში, იდენტიფიკაციის მატარებელი წარწერების აღმოფხვრაში. პირვანდელი ადგილსამყოფლიდან მოცილებაში და უბრალოდ, განადგურებაში.

ამ ტენდენციის ერთ-ერთ თვალსაჩინო ილუსტრაციას წარმოადგენს ქვემო და ზემო ქართლში (განსაკუთრებით ჯავახეთში) გავრცელებული საფლავის ქვის ზოომორფული ძეგლების (ცხვრისა და ცხენის სკულპტურული გამოსახულებანი) მიმართ გაჩაღებული კამპანია, რომელმაც საბოლოო შედეგით უარყო მათი ქართველებისადმი კუთვნილება და მთლიანად დაუქვემდებარა იგი თურქმანული მოდემის ხალხს. ამ თემას თავის დროზე შეეხნენ ისეთი გამოჩენილი ქართველი მეცნიერები, როგორც იყვნენ ექვთიმე თაყაიშვილი, ნიკო ბერძენიშვილი, ლევან მუსხელიშვილი, გიორგი ჩიტაია, თეიმურაზ ჩიქოვანი. მაგრამ ეს დაინტერესება არასდროს გადაზრდილა ფართო ხასიათის კვლევაში, რადგან თითოეულის კვლევის სფერო, ძეგლებთან შეხებისას, დატვირთული იყო სხვა საკითხებით და რადგან პრობლემა საგანგებო კვლევას მოითხოვდა, ისინი მხოლოდ, ამ ძეგლთა ზოგადი მნიშვნელობის კონსტატაციით და შესწავლის აუცილებლობის დეკლარირებით იფარგლებოდნენ, რასაც ახლდა საგანგაშო სიგნალი მათ მიმართ გაჩაღებული ვანდალური დამოკიდებულების გამო. ჯავახეთის მატერიალური კულტურის მკვლევარის, ეთნოლოგ, თეიმურაზ ჩიქოვანის გამოთქმა, რომ მოვიშველიოთ“ ასეთი ძეგლები კატასტროფულად მცირდება, მათ ანგრევენ, გააქვთ სხვა რესპუბლიკებში და თუ ასე გაგრძელდა, ალბათ შორს აღარაა ის დღე, როცა ქართველი ხალხის მიერ შექმნილი ეს უნიკალური ძეგლები აღიგვებიან მიწისაგან პირისა“. (თ. ჩიქოვანი, 1982.5)

როგორც ცნობილია, საფლავის ქვის ზოომორფული ძეგლები საქართველოს გარდა გავრცელებულია ირანში, აზერბაიჯანში, სომხეთში, თურქეთში და ფრაგმენტული მინიშნებით შუა აზიის მემორიალურ კულტურაში. ერთ-ერთი ვინც ამ ძეგლებით დაინტერესდა იყო ინგლისელი არქეოლოგი ბარტონ ბრაუნი, რომელიც არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა ე.წ. ირანის აზერბაიჯანში და ადგილ გეუ-თეთეზე აღმოაჩინა რამდენიმე ისეთი ძეგლი, (ძირითადად ცხვრის ქანდაკებები). მიუხედავად იმისა, რომ ბრაუნმა, ეს მასალა, შეცდომით რკინის ხანის დასაწყისი ეპოქით დაათარიღა, მას არ გამორჩენია აღენიშნა, რომ ისინი და მათი მსგავსი ძეგლები, ძირითადად დაკავშირებულნი იყვნენ

ქრისტიანი ასირიელების საფლავებთან, რაც კარგად ჩანდა მათზე ასახული ქრისტიანული სიმბოლიკისათვის დამახასიათებელი ნიშნებით.

ბრაუნის მსჯელობა განსაკუთრებით იმითაა საინტერესო, რომ მას ეს ძეგლები არ დაუკავშირებია მუსულმანური მოდგმის ეთნოსებისთვის და ასირიელთა მატერიალურ კულტურაში მათი გამოყენება ნორმალურ მოვლენად მიიჩნია (თ. ბარტონ ბრაუნი, 1948, 267-268). ასეთივე აზრის იყო გერმანელი მეცნიერი ვოლფრამ კლეისი, რომლის მიერ ირანში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად, აღმოჩენილი იქნა ცხრა ზოომორფული ძეგლი, რომელიც მან უყოყმანოდ მიაკუთვნა ქრისტიანი ნესტორიანების მემორიალურ კულტურას (ჟ. კლეისს, 1970, 51).

როგორც აღნიშნული იყო, ზოომორფული ქანდაკებანი გავრცელებულია აზერბაიჯანში და განსაკუთრებით: მულანში, ყარაბახის ველზე, მთიან ყარაბახში, ნახჭევანში, ქელჯაბარის, აგდამის, ტაუზისა და ლერიქის რეგიონებში. ბუნებრივია ეს ძეგლები ყურადღების გარეშე არ დარჩენიან აზერბაიჯანელ მეცნიერებს, რომელთა ნაშრომებშიც, როგორც წესი, ისინი მიჩნეულნი არიან თურქული მოდგმის ხალხის ხელოვნებად და მათ გავრცელებას ამიერკავკასიაშიც მათსავე ხალხს უკავშირებენ. ეს შეხედულება რასაკვირველია იმსახურებს შეწყნარებას, რადგანაც თურქმანულენოვანი ეთნოსის განსახლების არეალში, ასეთი ძეგლები შთამბეჭდავდაა წარმოდგენილი და შესაძლებელია დავუშვათ ვარაუდი, რომ იდეა ზოომორფული ქანდაკების საფლავის ძეგლად გამოყენებისა, შესაძლოა, მართლაც ამ წრეში წარმოიშვა, მაგრამ ყოვლად შეუწყნარებელია აზრი იმის შესახებ, თითქოს ისინი მხოლოდ და მხოლოდ თურქმანული მოდგმის ტომების მიერაა დამზადებული და შემდგომში მეორადად გამოიყენა კავკასიის ქრისტიანულმა მოსახლეობამ.

უკიდურესობის ასეთი ელემენტები პირველად გაჩნდა რასიმ ეფენდისა (P. Эфенди, 1976, 174) და მ. ნეიმატოვას (M. Нейматов, 1981, 6) ნაშრომებში, განსაკუთრებით კი იმ უკანასკნელის გამოკვლევაში, რომელშიც საგანგებოდ იქნა განხილული საქართველოში გავრცელებული ზოომორფული ძეგლები

და არცერთ შემთხვევაში არ იქნა გათვალისწინებული ის არსებითი მონაცემები, რომლებიც ამ მასალისთვის ძირითადი მახასიათებელია. სტატიის პარამეტრები არ იძლევა საშუალებას მთლიანობაში წარმოვადგინოთ ნეიმატოვას დაკვირვებანი და მსჯელობა საქართველოში გავრცელებული ზოომორფული ძეგლების შესახებ, მაგრამ, რომ არაფერი ვთქვათ სტილისტური განსხვავებულობის შესახებ, რომელიც აშკარადაა გამოკვეთილი აზერბაიჯანულ, სომხურ და ქართული ძეგლებში, იგი როგორც მეცნიერი ვალდებული იყო, ქართულ ნიმუშების აღწერისას მათზე შეენიშნა ვადაჯვრიანი ხმალი, ადგილობრივი სამიწადმოქმედო იარაღები, სახენელი გუთნის ჩათვლით, რომელიც მხოლოდ ამ რეგიონისთვისაა დამახასიათებელი, ვაზთან დაკავშირებული ატრიბუტიკა, ქრისტიანული სიმბოლიკის ისეთი ნომანდოპლივი ელემენტები როგორცაა ფრინველი, საზიარებელი ჭურჭელი, ჯვარი და ბოლოს, ქართული წარწერები.

ამ თვალსაზრისის ნათელსაყოფად ორ მაგალითს მოვიყვან: პირველი ეხება ცხვრის ქანდაკებას რომელიც ამჟამად, თბილისში, რუსთაველის გამზირზე დგას და რომლის გრაფიკულ ჩანახატს, ნეიმატოვას ნაშრომში, გამოტოვებული აქვს ცხვრის ზურგის მთელ პარამეტრზე რელიეფურად ამოკვეთილი აყვავებული ჯვარი, როგორც ქრისტიანულ მრწამსის სიმბოლო, შესრულების მანერით ამ დეტალს პირდაპირი ანალოგი ეძებნება განვითარებული შუასაუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების კომპოზიციებთან. ამავდროულად, ყოველმხრივ დასტურდება, რომ ქანდაკების კვეთის თავდაპირველ ეტაპზევე იყო ჩაფიქრებული ჯვრის გამოკვეთა და მისი მეორადი სახით ამოყვანა ფიგურაზე სავსებით დაამახინჯებდა ფიგურას. ანალოგიურ მოვლენასთან გვაქვს საქმე სამშვილდის ტერიტორიაზე დაცულ ცხენის ქანდაკებასთან, რომელსაც ქართული სამეურნეო და საბრძოლო იარაღების გვერდით გამოკვეთილი აქვს ტოლმკლავიანი ჯვარი-ნიშანი მისი ქრისტიანისადმი კუთვნილებისა, სამწუხაროდ, ეს ჯვარი "გამქრალია", როგორც ნემატოვას, ასევე რასიმ ეფენდის ნაშრომებში, რაც კიდევ ერთხელ გამოკვეთს არასასურველ ტენდენციას ამ ძეგლთა ორიგინალობასა და ავთენტურობის უგუ-

ლვებელყოფის თვალსაზრისით.

ზოომორფული ძეგლების შემკულობაში ყურადღებას იქცევს ერთი მნიშვნელოვანი დეტალი – ცხერის ზურგზე დადგმული გუმბათის სახით, რომელსაც როგორც წესი მიიჩნევენ მავზოლეუმის გუმბათის სიმბოლოდ, როგოც დამატებით არგუმენტს მათი მუსულმანური ეთნოსისადმი კუთვნილებისა. სხვათაშორის, “გუმბათები” ახლავს ირანში, ნესტორიანთა სასაფლაოზე მიკვლეულ ძეგლებსაც, რაც მათი წარმომობის მრავალპლანიანობაზე მიუთითებს, კერძოდ, ამ დეტალში აშკარად შეინიშნება როგორც მუსულმანური, ასევე ქრისტიანული იდეა საიქიო ცხოვრებისა, სადაც რწმენა-ღვთისა სახლისა და მორწმუნის საცხოვრისისა, უთანაბრდება ერთმანეთს და მიცვალებულის საფლავზე გამოისახება სიმბოლურად გუმბათის ან პირდაპირ ეკლესიისა და მეჩეთის სახით. ასეთი დეტალებით შემკული ძეგლების საუკეთესო ნიმუშია დადასტურებული ქვემო ქართლში: სოფლებში- ძველ ტაშ-ბაშში (წალკა), სათხეში, სალამოში, ხულგუმოში, კოთელიაში, აზავრეთში, ჩუნჩხაში, ეშტიაში, ხიზაბავრაში. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ საფლავის ქვის ტაძრად, სამარტვილედ, კოშკად და სახლად გამოკვეთა და მისი გამოყენება ძალზე გავრცელებულია ქრისტიანულ ხელოვნებაში. წმ. იოანე ოქროპირის ხატოვანი თქმით – ღმერთმა ისე დააფუძნა ეკლესიები, როგორც ზღვისპირას ადამიანთა ნავთსაყუდელნი (წმ.იოანე ოქროპირი, 1990,123) ეს “ნავთსაყუდელი” ესაჭიროება მიცვალებულის სულს, ჭირისუფლის გაგებით კი ეკლესიის (ან თუნდაც მეჩეთის) ფორმა ან მისი ცალკეული ელემენტი, რომელიც მიანიშნებს მის მყოფობას, ყველაზე კარგად მიესადაგება სამუდამო სამყოფელს. საქართველოში საფლავის ძეგლად გამოიყენებოდა, არა მხოლოდ გუმბათიანი ეკლესიის მოდელები, არამედ ბაზილიკისა და სამარტვილე-საყამნოს არქიტექტურული ფორმები, ამიტომ, კატეგორიული დასკვნა იმის შესახებ, რომ ზოომორფული ქანდაკებანი მხოლოდ მუსულმანური მეჩეთის შინაარსითაა დატვირთული ვერ პოულობს გამართლებას.

ამიერკავკასიის (საქართველო, აჯერბაიჯანი, სომხეთი) ზოომორფული ძეგლების გამიჯვნისთვის ჩვენ შევეცადეთ ცალკე

დაგვეჯგუფებინა თითოეულ ქვეყანაში გავრცელებული ნიმუშები და სტილისტურმა და მხატვრულმა ანალიზმა სავსებით ცხადად დაადასტურა მათი განცალკევებულად ინდივიდუალური ხასიათი, რაც კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ მემორიალური კულტურის ასეთ ეგზემპლარებს, გარკვეულ პერიოდში დიდი გავრცელება ჰქონდათ სამხრეთ კავკასიის ხალხებში. უფრო მეტის თქმაც შეიძლება: მემორიალური კულტურის ამ მიმართულებამ მეოცე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედამდე შეინარჩუნა თავისი აქტიური ხასიათი და პირადად მომიხდა დამედასტურებინა 1986 წელს ჯავახეთში, სოფელ რეხაში, 76 წლის ქვისმთლელის სოსო მელიქიძის პრიმიტიულ სახელოსნოში, ზოომორფული ქანდაკების კვლევის პროცესი.

საქართველოში გავრცელებული ზოომორფული ქანდაკებანი, ხალხური ხელოვნების შესანიშნავ გამოხატულებას წარმოადგენს, შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთი მათგანი მაღალ ესთეტიკურ შეფასებას იმსახურებს (მაგ, ჯიგრაშენისა და სათხეს ვერძები), ბუნებრივია მსგავსი დარგის განვითარება და გაღრმავება შეეძლო ისეთ პირს, ვინც დაუფლებულია ქვითხუროების ყველა ხერხს, ქანდაკების კვეთა, როგორც ძალზე რთული სახელოვნებო საქმე, თუნდაც ის პრიმიტიულ ფორმაში იყოს განხორციელებული, მოითხოვს უადრესად შრომატევად პროცესს და ადგილზე მკვიდრობის აუცილებელ პირობას, რაც მომთაბარე ბუნების ხალხისთვის არ იყო დამახასიათებელი, განსაკუთრებით თურქმანულ ტომების იმ ნაკადისათვის, რომლებიც ზემო ქართლში XVI საუკუნიდან შემოედინებოდნენ.

სავსებით ვუშვებთ იმის შესაძლებლობას, რომ მარცვალი ანუ იდეა ზოომორფული ძეგლის საფლავის ქვად გამოყენების შესახებ შემოსული იყოს საქართველოში თუნდაც თურქმანული სამყაროდან, მაგრამ შემდგომში ვინ როგორ განავითარა ჩვენთვის ამას აქვს უმთავრესი მნიშვნელობა. კულტურათა დიალოგის მექანიზმი წარმოშობს ინტეგრირების აუცილებელ პირობას, მაგრამ ის არ გვაძლევს უფლებას ინდივიდუალობის უარყოფისა. მოცემულ შემთხვევაში, საქართველოში გავრცელებული ზოომორფული ძეგლები, ნაწილია ამ მასალის ზოგად-აღმოსავლური ნიმუშებისა,

მაგრამ მათში მკვეთრადაა გამოხატული ქართული ტრადიციული ხელოვნებისა და ხელოსნობის ნიშნები, ისტორიული და რელიგიური ნაკადები, რომლის შეუმჩნეველობა და იგნორირება არ მიგვაჩნია გამართლებულად.

ნიკო ბერძენიშვილის ვარაუდით მარტო ჯავახეთში ისტორიულ წარსულში 240-250 ცოცხალი სოფელი მაინც უნდა ყოფილიყო. "თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ თითო სოფელში საშუალოდ 30 კომლი ცხოვრობდა, ხოლო თითოეულ კომლზე 10 სულს ვიანგარიშებთ, მაშინ ჩვენ მივიღებთ 75.000 სულ მოსახლეს" (ნ. ბერძენიშვილი, 1964, 167), მოსახლეობით ასე კომპაქტურად დასახლებულ მხარეს თავისი მკვეთრად გამოხატული სოციალური და კულტურული პროფილი ჰქონდა, რომლის გაფერმკრთალება ნაწილობრივ მოახერხა დრომ და ვითარებამ, რისი ერთი უმთავრესი მიზეზი სწორედ კულტურული მემკვიდრეობის დაუცველობაა. ამ შემთხვევაში მემორიალურ კულტურას გააჩნია ეთნიკური იდენტობის გამოხატული ნიშნები. ეს ფაქტი არამცირედია საიმისოდ, რომ ისინი შესწავლილი და დაცულნი იქნენ თავიანთ თავდაპირველ ადგილას, როგორც მეტყველი დოკუმენტები ისტორიული სამართლიანობის დაცვისა.

გამოყენებული ლიტერატურა:

ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი I, 1964.

ი. სურგულაძე, შესავალი ენადირაძის ნაშრომისათვის "საქართველოს მემორიალური კულტურა", 2001.

თ. ჩიქოვანი, ჯავახეთი, 1982.

T. Burton Brown, Excavation in Azerbaijan, 1948.

W. Kleiss, Erkundungstahrten in Iran, 1970.

Р. Эфенди . Декоративно-прикладное искусство Азербайджана. 1976.

М. Неиматова. Мемориальные памятники Азербайджана. 1981.

წმ. იოანე ოქროპირი, ქადაგება ეკლესიაში სიარულის შესახებ წიგნში "სიტყვა მართლისა სარწმუნეობისა", 1990

Summary

The work focuses on the zoomorphic gravestone statues characteristic in Zemo Kartli and Kvemo Kartli. Opposing the opinions given in foreign scientific literature, the author maintains that these monuments reflect characteristic traits of Georgian ethno-culture and clearly indicate that they are made by Georgian craftsmen for local population of Georgian ethnicity.

სამხრეთ საქართველოდან მაჰმადიანი მოსახლეობის გასახლების მოტივაციის საკითხისთვის

ქართულ ისტორიოგრაფიაში და, შესაბამისად, ქართულ საზოგადოებრივ ცნობიერებაში დამკვიდრებულია მოსაზრება, რომ 1944 წელს სამხრეთ საქართველოდან მაჰმადიანი მოსახლეობის დეპორტაციის თუ ერთადერთი არა – მთავარი მიზეზი იყო საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობის მიერ „თურქეთთან თანამშრომლობისა და მის მიმართ გამოჩენილი კეთილგანწყობისთვის“ ამ მოსახლეობის დასჯა.

მეორე მსოფლიო ომში თურქეთი უშუალოდ არ ჩაბმულა, მაგრამ, სხვა მხრივ, აშკარად თანამშრომლობდა ფაშისტებთან და სიმპატიებს გამოხატავდა გერმანიის მიმართ. საბჭოთა საზღვართან მას დისლოცირებული ჰყავდა სამ ათეულამდე დივიზია, რის გამოც სსრკ იძულებული იყო გერმანიის ფრონტზე ასე საჭირო სამხედრო კონტიგენტის მნიშვნელოვანი ნაწილი მუდმივად ჰყოლოდა დაბანდებული თურქეთის საზღვართან.

1942 წლის 4 მაისს საბჭოთა სარდლობამ მიიღო დამატებითი ზომები საბჭოთა კავშირ-თურქეთის სახელმწიფო საზღვრის ხაზიდან 15 კმ-ის სიღრმის ტერიტორიის ზოლში მტრის დივერსანტების, ჯაშუშებისა და პარაშუტისტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისთვის. ასეთ პირობებში სასაზღვრო ზოლში საეკვო და არასანდო ელემენტების დარჩენა სარისკო იყო. სამხრეთ საქართველოს მაჰმადიან მოსახლეობას კი საბჭოთა ხელმძღვანელობა სწორედ ასეთად მიიჩნევდა. (უნდა ითქვას, რომ მას ამის გარკვეული საფუძველი ჰქონდა კიდეც. სამცხე-ჯავახეთის მაჰმადიანები კონდრაბანდისტული მიზნებით თავისუფლად გადადიოდნენ თურქეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, სადაც მათი ნათესავები ცხოვრობდნენ. თურქეთის ხელისუფლება

სარგებლობდა ამ ვითარებით და არც თუ იშვიათად ახერხებდა ჯამუშურ ქსელში მათ ჩაბმას). აქედან გამომდინარე, დეპორტაციის ერთ-ერთ მიზეზად თურქული საფრთხის მიმართ პრევენციული ზომების მიღებაც სახელდება. ეს არგუმენტი საფუძველს მოკლებული არ იქნებოდა, რომ არა ერთი გარემოება. 1944 წლის ბოლოს საბჭოთა არმია ბრძოლებს უკვე ქვეყნის საზღვრებს გარეთ აწარმოებდა, ომის ბედი, ფაქტიურად, გადაწყვეტილი იყო და გერმანიის მხარეს ომში თურქეთის ჩაბმაც – გამორიცხული. ამ დროისთვის თურქეთმა მთლიანად შეცვალა თავისი პოზიცია და გერმანიასთან ყოველგვარი ურთიერთობა, მათ შორის – დიპლომატიურიც გაწყვიტა. 1945 წლის თებერვალში კი თურქეთი ანტიფაშისტურ კოალაციასაც შეუერთდა. ამიტომაც ომის მიწურულს არც თურქული საფრთხე არსებობდა და, შესაბამისად, არც ამ საფრთხისგან პრევენციის საჭიროება.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, საბჭოთა ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული მოსაზრება დეპორტაციის, როგორც სადამსჯელო ღონისძიების შესახებ, სწორად უნდა მივიჩნიოთ. თუმცა, აქ წერტილის დასმა, მით უმეტეს, დეპორტაციის უმთავრეს და ერთადერთ მიზეზად აღნიშნული ფაქტორის დასახელება მართებული არ არის. საკითხისადმი ასეთი მიდგომა მეტისმეტად ავიწროებს საბჭოთა სახელმწიფოს მიერ ამ უაღრესად არაჰუმანური აქტის მოტივაციის ფარგლებს, რაც, თავის მხრივ, არასწორი შეფასებებისა და დასკვნების საფუძველი ხდება.

საქმე ის არის, რომ ომის მსვლელობაში მომხდარი გარდატეხის შემდეგ, (1943 წ.) საბჭოთა ხელმძღვანელობა სერიოზულ სამხედრო და პოლიტიკურ საშუადისს შეუდგა 1918-20 წლებში თურქეთის მიერ მიტაცებული ქართულ-სომხური ტერიტორიების დაბრუნებისთვის. 1945 წლის ივნისში გამართულ საბჭოთა კავშირ-თურქეთის მოლაპარაკებაზე საბჭოთა კავშირმა თურქეთს სხვა პრეტენზიებთან ერთად ტერიტორიული პრეტენზიებიც წაუყენა. ეს საკითხი საგანგებოდ დაისვა პოტსდამის კონფერენციაზეც. თურქეთის მიმართ საბჭოთა კავშირის მიერ წაყენებული პრეტენზიები ამკარად ულტიმატუმის ხასიათს ატარებდა. შემფოთებული თურქეთი საბჭოთა კავშირს შეჰპირდა, რომ

„ჯეროვანი ყურადღებით“ შეისწავლიდა ტერიტორიულ პრეტენზიებს, მის ზურგს უკან კი საბჭოთა ექსპანსიონიზმისგან თავის დასაცავად დახმარება ინგლისს და აშშ-ს სთხოვა. თავის მხრივ, ინგლისი და აშშ-ი თვით იყვნენ შემფოთებულნი საბჭოთა გავლენის ზრდით და დიპლომატიურ ძალისხმევას არ იშურებდნენ მის შესაჩერებლად. 1945 წლის 22 ივლისს პოტსდამის კონფერენციის სხდომაზე უინსტონ ჩერჩილმა განაცხადა, რომ ძალზე „მნიშვნელოვანია არ შევამინოთ თურქეთი“. მან საბჭოთა დელეგაციისგან მოითხოვა მოკავშირეებისთვის განემარტა თურქეთის მიმართ საბჭოთა პრეტენზიების არსი. სტალინმა სიტყვა მოლოტოვს გადასცა. ამ უკანასკნელმა კი განაცხადა: „ჩვენ გვაქვს ორი საკითხი. სამოკავშირეო ხელშეკრულების დადება გულისხმობს საზღვრის ერთობლივ კონტროლს, მაგრამ ზოგიერთ უბანზე სსრკ-თურქეთის საზღვარს მივიჩნევთ უსამართლოდ. მართლაც, 1921 წელს თურქეთმა საბჭოთა საქართველოს და საბჭოთა სომხეთს ჩამოაჭრა ყარსის, ართვინისა და არდაგანის ოლქები (წარმოადგენს რუკას). ამიტომ განვაცხადე, რომ ხელშეკრულების დასადებად აუცილებელია საკითხის მოგვარება, დაუბრუნდეთ მათ ეს ტერიტორიები.“¹

ტერიტორიების შესახებ კამათი პოტსდამის კონფერენციის მომდევნო სხდომაზეც გაგრძელდა. ამჯერად საბჭოთა პოზიციის განმარტება პირადად იოსებ სტალინმა ითავა: „შეიძლება თურქეთი შეაშინა საზღვრის შესწორების წინადადებაზე? აქ საუბარი იყო პირველ მსოფლიო ომამდე არსებული საზღვრის აღდგენაზე. მხედველობაში მაქვს ყარსის რაიონი, რომელიც ომამდე იყო სომხეთის შემადგენლობაში და არდაგანის რაიონი, რომელიც ომამდე საქართველოს ეკუთვნოდა. ძველი საზღვრების აღდგენის საკითხი არ წამოიჭრებოდა, თურქებს რომ სსრკ-თურქეთს შორის სამოკავშირეო ხელშეკრულების საკითხი არ დაეყენებინათ. ეს კავშირი კი ნიშნავს, ჩვენ ვკისრულობთ თურქეთის, ისევე როგორც თურქები ჩვენი საზღვრის დაცვას. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ყარსისა

¹ საბჭოთა კავშირი საერთაშორისო კონფერენციაზე დიდი სამამულო ომის დროს 1941-1945 წწ. სამი მოკავშირე სახელმწიფოს – სსრკ-ს, აშშ-ს და დიდი ბრიტანეთის ხელმძღვანელთა ბერლინის (პოტსდამის) კონფერენცია 1945 წლის 17 ივლისი – 2 აგვისტო, მოსკოვი, 1980, რუს. გვ. 145.

და არდაგანის რაიონში საზღვრები უმართებულოა და თურქებს განუვუცხადეთ, რომ ჩვენთან კავშირის შემთხვევაში საზღვარი უნდა გასწორდეს,¹ განაცხადა მან.

ქართულ-სომხური ტერიტორიების თურქეთის მიერ მიტაცების ისტორია კარგადაა ცნობილი. ამიტომ აქ მასზე არ შევჩერდებით. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ 1921 წლის 16 მარტის მოსკოვისა და იმავე წლის 13 ოქტომბრის ყარსის ხელშეკრულებების თანახმად საბჭოთა რუსეთის მიერ ჩვენი ტერიტორიების ყოველგვარი ყოყმანის გარეშე თურქეთისთვის დათმობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ათათურქის ხელისუფლების მხრივ სოციალიზმისადმი გამოვლენილი ერთგვარი სიმპათია გახლდათ. მაშინ საბჭოთა ხელმძღვანელები და პირადად ლენინი შეპყრობილნი იყვნენ ილუზიით, რომ თურქეთის ახალგაზრდა და ენერგიული ლიდერი მუსტაფა ქემალ-ფაშა თავის ქვეყანას სოციალიზმის გზას გაუყენებდა. საზღვრების საკითხში მოლაპარაკებებზე თურქებთან გამოვლენილ პრინციპულობას კი, საბჭოთა ხელმძღვანელთა აზრით, შესაძლოა, თურქების გაღიზიანება და მათი მხრივ „სოციალისტურ არჩევანზე“ ხელის აღება მოჰყოლოდა. ასეთი ილუზია საბჭოთა ხელმძღვანელებს დიდხანს, თითქმის 30-იანი წლების მეორე ნახევრამდე გაჰყვიათ. სწორედ ამის გამო ეუნხეოდნენ საბჭოთა საქართველოს ლიდერები უარს მაჰმადიან მესხებს ქართული სკოლების გახსნაზე, ისტორიული გვარების აღდგენაზე და ა. შ. (გავიხსენოთ, თუ რა პასუხი გასცა საქართველოს განათლების სახალხო კომისარმა მარიამ ორახელაშვილმა ოშორის, მუგარეთის, გიორგიწმინდისა და სხვა სოფლების მაჰმადიანი მოსახლეობის თხოვნას – გაეხსნათ მათი ბავშვებისთვის ქართული სკოლები: „თქვენ თათრები ხართ და თქვენს შშობლიურ ენაზე უნდა ისწავლოთ“). მას შემდეგ კი, რაც საბჭოთა კავშირის მიმართ თურქეთის მტრული პოზიცია სრულიად აშკარად გამოიკვეთა, ილუზიები საბოლოოდ გაიფანტა და საბჭოთა ლიდერებმაც 180 გრადუსით შეცვალეს მაჰმადიანი მოსახლეობის

¹ საბჭოთა კავშირი საერთაშორისო კონფერენციაზე დიდი სამამულო ომის დროს 1941-1945 წწ. სამი მოკავშირე სახელმწიფოს – სსრკ-ს, აშშ-ს და დიდი ბრიტანეთის ხელმძღვანელთა ბერლინის (პოტსდამის) კონფერენცია 1945 წლის 17 ივლისი – 2 აგვისტო, ქვე. გვ. 159.

მიმართ დამოკიდებულება. სამცხე-ჯავახეთში დაიწყო ქართული გვარების აღდგენის, ქართული სკოლების გახსნის პროცესი. ომის მსვლელობაში მომხდარი გარდატეხის შემდეგ საბჭოთა კავშირი სერიოზულ მზადებას შეუდგა ქართულ-სომხური ტერიტორიების ნებით თუ ძალით დაბრუნებისთვის. ამ ნაბიჯის გადადგმისთვის სტალინს, სულ მცირე, სამი მოტივი გააჩნდა: 1. მას სურდა გერმანიასთან თანამშრომლობისთვის სამაგალითოდ დაესაჯა თურქეთი; 2. აღმოსავლეთით ქვეყნის საზღვრების გაფართოება სტალინს აღმოსავლეთის ხალხებში სოციალიზმის ექსპორტის პლაცდარმდაც მიაჩნდა; 3. ქართულ-სომხური ტერიტორიების დაბრუნებით სტალინი საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობის და პირადად მის მიერ 20-ან წლებში საქართველოსა და სომხეთის წინაშე ჩადენილი დანაშაულის გამოსწორებას და ისტორიული სამართლიანობის აღდგენასაც ცდილობდა:¹

საბჭოთა ხელმძღვანელობის ამ ჩანაფიქრის პრაქტიკული რეალიზაციის შემთხვევაში საქართველოს დაუბრუნდებოდა

¹ 1946 წლის ოქტომბერში სტალინმა სოჭში, აგარაკზე თავისი სიყრმის მეგობრები და ქართველი მსახიობები მიიწვია. აკაკი ვასაძე იგონებს, რომ მათთან საუბარში სტალინმა შემდეგნაირად გაიხსენა ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პერიპეტიები: „ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების დადების პერიოდში კავკასიის ფრონტის ჯარებს ეროვნული არ ჰქონდათ დატოვებული; საბჭოთა რუსეთის საზავო კომისიის თავმჯდომარედ ტროცკი იყო დანიშნული, ხოლო ამ კომისიის კონსულტანტად ლენინმა მე მიმავლინა, როგორც ეროვნულ საქმეთა კომისარი. ... ამიერკავკასიის ქვეყნების საზღვართა მცოდნე .. ქიაზიმ ბეიმ ყოველგვარ საფუძველს მოკლებული .. პრეტენზიები წამოაყენა. ..ყარსი და არდაგანი რა საკითხავია, ბათუმიც თავის საზღვრებში მოიყოლიეს. ... ქიაზიმ ბეიმ გადასინჯვაზე კი არ ისურვა მოლაპარაკება და დიპლომატიური მსჯელობების შეწყვეტითაც დამემუქრა. მაშინ მე .. განვუცხადე, როგორც ვენეზოთ, მაგრამ საზღვრებზე საუბრის გაგრძელება იქნებ ერზრუმში მოგვიხდეს-მეთქი და წამოვდექი. ახლა კი იკადრა უკან დახევა: მოითმინეთ, მესულაც არ მინდა თქვენი მომდურება, რუსეთთან მხოლოდ კარგი დამოკიდებულებით ვართ დაინტერესებულიო .. მე მოკლედ ვუთხარი: დამარცხებული ქვეყნისთვის სასიცოცხელი როდია, თუ თავისი ძველი საზღვრების შენარჩუნებას მონიღომებს-მეთქი. თანახმა ვარო, დამეცა ქიაზიმ ბეი და მეც დასრულებულად მივიჩნიე ჩემი მისია. .. გზაში უეცრად ტიფი შემეყარა. მხოლოდ ორი-სამი კვირის შემდეგ მოვახერხე წამოდგომა. (კრემლში რომ მივედი) რას ვხედავ: ქიაზიმ ბეის კომისიის თავმჯდომარისთვის საზღვრების დანაწილების პირველი ვარიანტისთვის მოუწერიანებია ხელი ... რაღას ვიღონებდი, ლენინსაც უკვე ხელი ჰქონდა მოწერილი ხელშეკრულებაზე...“ (აკაკი ვასაძე, „სტალინი“, თბ. 2012). შესაძლოა, სტალინი აქ თავისი წილი დანაშაულის სხვაზე გადაბრალებას ცდილობდეს, მაგრამ ასეც რომ იყოს, ეს კიდევ უფრო მეტად მოწმობს, რომ მას სავესებით აქვს შეგნებული საბჭოთა ხელისუფლების მიერ საქართველოსა და სომხეთის მიმართ ჩადენილი დანაშაული.

მაჰმადიანებით დასახლებული ბათუმის ოლქის სამხრეთი ნაწილი – მაჭახელა, ბორჩხა და მაკრიალი და სამცხე-ჯავახეთის მოსაზღვრე არტანის, ართვინისა და ტაოს, ანუ ოლთისის ოლქების საკმაოდ ვრცელი ტერიტორია. სამცხე-ჯავახეთისა და აჭარის მაჰმადიან მოსახლეობასთან ერთად ახლადშემოერთებული მოსახლეობა შექმნიდა ვრცელ მაჰმადიანურ არეალს, რომელსაც შეეძლო კონფესიური და პოლიტიკური თვალსაზრისითაც კი პრობლემები შეექმნა პატარა საქართველოსთვის. განსაკუთრებით ხიფათის შემცველი იყო ახალი მაჰმადიანური ნაკადის მიერთება სამცხე-ჯავახეთის მაჰმადიან მოსახლეობასთან. ამ უკანასკნელს დაკარგული ჰქონდა არა მხოლოდ ენა და სარწმუნოება, არამედ – ეროვნული ცნობიერებაც. სამცხე-ჯავახეთის მაჰმადიანი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ამ დროისთვის უკვე თურქულ ცნობიერებას ატარებდა. ასეთ პირობებში ქართულ მოსახლეობასთან ახლადშემოერთებული მოსახლეობის ინტეგრაციის პროცესი ძალზე გაჭიანურდებოდა. მეტიც, შესაძლოა ის პრობლემატურიც გამხდარიყო.

შეუძლებელია, რომ სტალინის მხედველობის არეში ქართულ-სომხური ტერიტორიების დაბრუნების პრობლემის ეს ასპექტი არ მოხვედრილიყო და მისი გადაწყვეტის გზებზე არ ეფიქრა.

ფიქრობთ, სწორედ საკითხის ამ კონტექსტში განხილვა იძლევა სრულ სურათს სამხრეთ საქართველოდან მაჰმადიანთა დეპორტაციის ჭეშმარიტი მოტივების შესახებ. თურქული ცნობიერების მაჰმადიანი მოსახლეობის დეპორტაციით და მათ ადგილზე დასავლეთ საქართველოდან ქართული ცნობიერების ქრისტიანი მოსახლეობის ჩასახლებით საბჭოთა ხელმძღვანელობა ცდილობდა გარკვეულწილად დაებალანსებინა კონფესიური ვითარება სამხრეთ საქართველოში, რაც საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობდა ინტეგრაციულ პროცესებს ამ რეგიონში.

ეკვსგარეშეა, რომ სამხრეთ საქართველოდან მაჰმადიანი მოსახლეობის დეპორტაცია საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელთა მიერ დაიგეგმა, როგორც ქართული ტერიტორიების დაბრუნების შორსგამიზნული სტრატეგიული გეგმის ნაწილი, როგორც ამ გეგმის პრაქტიკული რეალიზაციის პირველი, მოსამზადებელი ეტაპი.

გერმანიასთან ომის დამთავრებისთანავე ქართულ-სომხური ტერიტორიების დასაბრუნებლად მუშაობა მთელი ძალით გაიშალა. საბჭოთა პროპაგანდამ დაიწყო მძლავრი იდეოლოგიური კამპანია, რომელშიც მონაწილეობდნენ საბჭოთა მეცნიერები, მწერლები, საზოგადო მოღვაწეები, სასულიერ პირები, საქმეში ჩაერთო ქართული და სომხური პოლიტიკური ემიგრაციაც.

საზღვრის გადასინჯვის მოთხოვნით პირველად სომხები გამოვიდნენ. 1945 წლის ივნისში ეზმიადინის საეკლესიო კრებაზე, რომელსაც მსოფლიოს 15 ქვეყნიდან მოწვეული დელეგატები ესწრებოდნენ, დაისვა საკითხი თურქების მიერ მიტაცებული ტერიტორიების რაც შეიძლება სწრაფად დაბრუნების შესახებ. 1945 წლის ოქტომბრის დასაწყისში ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებულმა სომხურმა ორგანიზაციებმა საგარეო საქმეთა მინისტრთა ლონდონის საბჭოს გაუგზავნეს წერილი, რომელშიც სომხეთისთვის თურქეთის მიერ წართმეული ყველა ტერიტორიის დაბრუნებას მოითხოვდნენ.

თურქეთის მიერ მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნების კამპანიაში საქართველო 1945 წლის დეკემბრიდან ჩაერთო. 14 დეკემბერს გაზეთმა კომუნისტმა გამოაქვეყნა სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის სტატია „თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ“. უკვე 20 დეკემბერს აღნიშნული სტატია გაზეთებმა – „პრავდამ“ და „იზვესტიამ“ გადაბეჭდეს, რითაც სრულიად ღიად დაფიქსირდა ამ სტატიის პოლიტიკური ხასიათი. სწორედ ასეთად აღიქვა იგი უცხოეთმა, რომელმაც, თავის მხრივ, არ დააყოვნა ჯანაშიასა და ბერძენიშვილის სტატიის თავისი პრესის ფურცლებზე გადაბეჭდვა.

ამას მოჰყვა არნოლდ ჩიქობავას, დ. ზავრიევის, ექვთიმე თაყაიშვილისა და სხვათა პუბლიკაციები. კამპანიაში ჩაერთო საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე, ამიერკავკასიის მუსლიმთა სასულიერო სამმართველოს წევრი, აჭარის ყადი რასიხ ბერიძე და სხვ.

თურქეთთან საზღვრის გადასინჯვის საკითხზე ღიად ალაპარაკდნენ საბჭოთა საქართველოს ხელმძღვანელებიც. 1946 წლის თებერვალში, საქართველოს გასაბჭოების 25-ე წლისთავისადმი

მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე ქართველი კომუნისტების ლიდერი კანდიდ ჩარკვიანი აღნიშნავდა: „... ჯერ კიდევ არ განხორციელებულა ქართველი ხალხის საუკუნეობრივი ოცნება: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. მის საზღვრებს გარეთ ჯერ კიდევ რჩება ოდითვე ქართული მიწა-წყალი: არტანის (არდაგანის), ართვინის, ოლთისის, თორთუმის, ბაიბურთის, ისპირის, გიუმშიშხანეს, ლაზისტანის რაიონები. ამიტომ გასაგებია ქართველი საბჭოთა საზოგადოებრიობის დაჟინებითი მოთხოვნები იმის შესახებ, რომ საქართველოს დაუბრუნდეს ჩვენი სამშობლოსაგან მოწყვეტილი ტერიტორიები, რომლებიც ქართველი ხალხის კულტურისა და სახელმწიფოებრიობის აკვანს წარმოადგენდა.“¹

ამავე პერიოდში ქართველი პოეტები ზედიზედ აქვეყნებენ რევანშისტული სულისკვეთებით გაუღენთილ ლექსებს. ასე მაგალითად:

„იქ არის შენი აკვნის გამთლელი,
შენი დაშლილი ოდა-სართული;
ქართველო, სანამ გქვიან ქართველი
გემახის შენი მიწა ქართული.“
(ირ. აბაშიძე)

„მე ტრაპიზონის ოლქკომში ვზივარ,
ოლქკომის მდივანს ვესაუბრები.....
წუხელ გვიანდამ ჰქონდა თათბირი,
დღეს რაიონი თვითონ არკვია.....
რეკავს თბილისი და პირდაპირი
ხაზით მდივანი უსმენს ჩარკვიანს.
(გრ. აბაშიძე)

„ბუმბერაზი გოლიათები,
გორგასლანიდან, ვიდრე ჩვენამდის,
ყველა ფეხზეა, ერთი გაფრენით,
რომ შენთან გაჩნდეს მტრის გაჩენამდის!“
(გ. ლეონიძე)

¹ საბჭოთა კავშირის პრეტენზიები თურქეთისადმი, თბ. 2003, გვ 14;

„ტაო-კლარჯეთში კვენისის ნიავი,
გრემლის გუბეა ყრმათა აკვანთან.
გმინავს ჭანეთი თურქთა სიავით,
შფოთავენ ძვლები მამაპაპათა.“

(ვ. ჟურული)¹

და ა. შ.

1951 წელს გრიგოლ აბაშიძეს ლექსების ციკლისთვის „სამხრეთ საზღვრებზე“ და „სამგორის ველზე“, ილო მოსაშვილს პიესისთვის „ჩადირული ქვები“, რომელიც ასევე დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების პრობლემას ეძღვნება, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია მიენიჭათ.

მამინ მთელი საქართველო მოუთმენლად ელოდა თუ როდის გადალახავდნენ საბჭოთა არმიის ნაწილები თურქეთის საზღვარს და საქართველოს ისტორიულ მიწებს დედასამშობლოს დაუბრუნებდნენ...

სამწუხაროდ, ამ მოლოდინს ახდენა არ ეწერა. მსოფლიოს წამყვანმა სახელმწიფოებმა, პირველ რიგში კი ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, დიპლომატიური ძალისხმევა გააათმადგეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. 1946 წელს აშშ-მა თავისი მე-6 ფლოტი ხმელთაშუა ზღვაში შეიყვანა, საიდანაც მას დროის უმოკლეს მონაკვეთში შეეძლია ომში თურქეთის მხარეს ჩართვა. საბჭოთა კავშირისთვის ცნობილი იყო აშშ-ის საიდუმლო გეგმის შესახებაც, რომლის თანახმადაც აშშ სსრკ-თან ომის შემთხვევაში მზად იყო ატომური ბომბები ჩამოეყარა სსრკ-ს 50 ქალაქში, რომელთა შორის საქართველოს დედაქალაქიც მოიაზრებოდა.

ასეთ პირობებში სამხედრო გზით თურქეთთან ტერიტორიული დავის გადაწყვეტა სერიოზულ და რეალურ რისკთან იყო დაკავშირებული. მეორე მხრივ, მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების მხარდაჭერით გულმოცემულმა თურქეთმა ყირიმის ნახევარკუნძულთან დაკავშირებით შემხვედრი პრეტენზიები წაუყენა საბჭოთა კავშირს. ამ უკანასკნელთან მიმართებაში კი, სამართლებრივი თვალსაზრისით, საბჭოთა კავშირის პოზიციები ისეთივე მტკიცე როდი იყო, როგორც

¹ საბჭოთა კავშირის პრეტენზიები თურქეთისადმი, გვ. 14-16;

კავკასიაში. თურქეთმა ძირეულად შეცვალა დემოგრაფიული ვითარება სადავო ტერიტორიებზეც. მან იქაური მკვიდრი ქართული მოსახლეობა ქვეყნის შიდა რაიონებში გადაასახლა.

ზემოთ დასახელებული მიზეზების გამო თურქეთის მიერ მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნების საკითხის გადაწყვეტა გაკიანურდა, თუმცა, სტალინი ამ საკითხს დღის წესრიგიდან მაინც არ ხსნიდა. სტალინის სიკვდილის შემდეგ, საბჭოთა ხელმძღვანელობამ საბოლოოდ თქვა უარი ქართულ-სომხურ ტერიტორიებზე, საბჭოთა მთავრობის 1953 წლის 30 მაისის ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ თურქეთთან კეთილმეზობლური და მშვიდობიანი ურთიერთობის შენარჩუნების ინტერესებიდან გამომდინარე სომხეთი და საქართველო უარს ამბობდნენ თავიანთი მიწების დაბრუნებაზე. ამით საქართველომ საბოლოოდ დაკარგა თურქეთის მიერ მიტაცებული ქართული ტერიტორიების დაბრუნების შანსი. 1992 წლის 30 ივლისს ანკარაში ხელმოწერილ მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის ხელშეკრულებაში ქართული და თურქული მხარეების მიერ საზღვრის დემარკაციის საკითხი ყარსის 1921 წლის ხელშეკრულებით განისაზღვრა. მხარეები შეთანხმდნენ, რომ თავიანთ ტერიტორიებზე არ დაუშვებენ მეორე მხარისადმი მტრულად განწყობილი ძალების თუ პოლიტიკური ორგანიზაციების საქმიანობას.

სწორედ აღნიშნული ხელშეკრულება უდევს საფუძვლად ქართულ-თურქულ ურთიერთობებს დღევანდელ ეტაპზე.

P.S.

საქართველო მუდამ ერთგულებდა საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო სამართლის პრინციპებს, თავის მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებს. აქედან გამომდინარე, ის აღარ აყენებს ტერიტორიულ პრეტენზიებს თურქეთის მიმართ. ამ სტატიის მიზანს არ შეადგენს წარსულის იარების გახსენება. ამიტომაც პოლიტიკურ ჭრილში, მით უმეტეს, მეზობელი სახელმწიფოს მიმართ ტერიტორიული პრეტენზიების ასპექტით მისი განხილვა მართებული არ იქნება. სტატიის მიზანია ქართველი

მკითხველისთვის სამხრეთ საქართველოდან დეპორტირებული მოსახლეობის გასახლების მოტივების მეტნაკლები სისრულით წარმოჩენა. დეპორტირებული მოსახლეობის მასობრივი დაბრუნების ეტაპის წინ კი ამას არა მხოლოდ შემეცნებითი, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც გააჩნია.

Summary

According to the opinion prevailing in the Georgian historical sources, the main reason of the deportation of Muslim population from southern Georgia in 1944 was the decision of the authorities of the Soviet Union, to punish this people for "their positive disposition towards Turkey" during the war. This opinion may be grounded, though it is not correct to name this factor as the main reason of deportation of the Muslim population.

In fact, the authorities of the Soviet Union intended to recover, in peaceful manner or by use of force, the historical territories of Armenia and Georgia annexed by Turkey following the war with Germany in 1918-1921. In such case, Georgia would regain significantly large territory. Together with Muslim population of Samtskhe-Javakheti, it would become a huge area of land populated with Muslims, which would cause serious problems to small Christian Georgia not only in terms of confession, but also from political point of view. By deportation of Muslim population from Samtskhe-Javakheti and settling Christian population in their places, the Soviet authorities tried to balance the situation with regard to confession in the region.

The Muslim population of Samtskhe-Javakheti became victims of this very geopolitical aims of the USSR authorities. Although, the new balance of powers formed after the war destroyed the plans of Stalin, but the fact of the deportation remained as a fact.

ლაგრენტი ჯანაშვილი

საქართველოში თურქთა ინფილტრაციის ისტორია და მესხეთიდან დეპორტირებულთა იდენტობის საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში

საბჭოთა ხელისუფლების მიერ სამხრეთ საქართველოდან (მესხეთიდან) იძულებით გადასახლებული მოსახლეობის ეთნიკური ისტორიის შესახებ ორი ერთმანეთისაგან პოლარულად განსხვავებული თეორია ჩამოყალიბდა. ორივე თეორია ამ კონტინგენტს ავტოქთონად აღიარებს, თუმცა განსხვავებული დამოკიდებულებაა მათი ეთნიკური წარმომავლობის შესახებ. ერთის მიხედვით გადასახლებულთა უმრავლესობა წარმომავლობით ქართველი იყო, რომელთა წინაპრებმაც ისტორიული ავბედობის პირობებში ისლამი მიიღეს, ხოლო მეორე თეორიის მიმდევრები ამტკიცებენ, რომ დეპორტირებულთა ეთნიკურობა ძირითად განისაზღვრა მესხეთის ტერიტორიაზე თურქული სუბსტრაქტის, გაბმული და ბუნებრივი კონცენტრაციით და მათი აბსოლუტური უმრავლესობა საქართველოში უძველესი დროიდან მცხოვრები თურქების შთამომავალია.

მესხეთის ისტორიის, იქ მიმდინარე ეთნიკური პროცესებისა და მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების აღწერილობა ძველი დროიდან გვხვდება სხვადასხვა სახის წყაროებში, ქართული საისტორიო მწერლობის უძველეს ნიმუშებსა და მოგზაურთა ცნობებში. განსაკუთრებით ბევრი საყურადღებო ცნობა და მოსაზრებაა დაფიქსირებული ამ კუთხის მოსახლეობის შესახებ XIX საუკუნის ბოლოსა და XX-ის დასაწყისში გამოცემულ სამეცნიერო ლიტერატურასა და პერიოდიკაში (ქ. ვერმიშევი, კ. ზისერმანი, ლ. ზაგურსკი, ნ. მარი,

ა. ხახანაშვილი, დ. ბაქრაძე, გ. ჩიტაია, ს. მაკალათია და ა.შ.)¹

ქართული საზოგადოება ეროვნული კუთვნილების განსაზღვრის საქმეში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ენასა და ეთნიკურ წარმომავლობას ანიჭებოდა. ჯერ კიდევ დეპორტაციამდე (1944 წლამდე) ქართველი მოღვაწეები გრძნობდნენ რა მესხეთის ქართველ მუსლიმანთა ერთიან ეროვნულ ორგანიზმში ინტეგრაციის აუცილებლობას, მიაჩნდათ რომ საჭირო იყო გარკვეული ღონისძიებების გატარება მესხების იმ ნაწილში ვინც ჯერ კიდევ საუბრობდა ქართულად და ახსოვდა თავისი ქართული წარმომავლობა. XX ს-ის 30-იანი წლების ბოლოს ს. ჯანაშიასა და პ. ინგოროყვას ინიციატივით მუშავდებოდა პროგრამა, რომლის მიხედვითაც ქართველ მუსლიმთა შვილებს აზერბაიჯანულის ნაცვლად ქართულ სკოლებში უნდა ესწავლათ.

1941 წელს ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ფუძემდებელმა გ. ჩიტაიამ დაავალა ლატიფშაჰ ბარათაშვილს (შემდგომში რეპატრიაციისათვის ბრძოლის ერთ-ერთ ლიდერს) შეეკრიბა ეთნოგრაფიული მონაცემები მათი წარმომავლობის შესახებ.² მესხების დეპორტაციის წინა ხანებშიც კი (1944 წ.) კომუნისტური პარტიის ადგილობრივი ლიდერი გ. კირვალიძე გეგმავდა ღონისძიებებს მუსულმანი მესხების "ქართველად მოქცევისათვის".³

საბჭოთა რეჟიმმა 1944 წელს დეპორტაციის განმსაზღვრელ მთავარ ნიშნად ეთნიკური (ეროვნული) კუთვნილება გამოაცხადა

¹ Вермишев Х.А. Экономический быт государственных крестьян в Ахалцихском и Ахалкалакских уездах Тифлисской губернии, МИЭБГКЗ, т.3, ч.2. Тифлис, 1886; Сборник материалов для описания Тифлисской губернии, под редакцией К.Л. Зиссермана, Т. 1. Выпуск 1, Тифлис 1870; Загурский Л. П. Поездка в Ахалцихский уезд в 1872 г. Тифлис 1873; Н.Я. Марр, Племенной состав населения Кавказа, классификация народов Кавказа (рабочий проспект), Петроград 1920; Кучаев М.Н. Ахчевое и талное земледелие в Ахалцихском уезде, СМЭБГКЗ, т.5.ч.2. Тб., 1888ж А. Хаханов, Месхи, Этнографический очерк, Этнографическое обозрения, Москва 1891; Бакрадзе Д. Исторически очерк Турецкой системы землоуладения. Приложение к протоколу Кавказского юридического общества №9, Тф. 1889, გ. ჩიტაია, მოკლე ანგარიში ეთნოლოგიური ექსპედიციის შესახებ მესხეთში, შრომები, ტ. III, თბ., 2001; გ. ჩიტაია, გლეხის სახლი ქვაბლიანში, შრომები, ტ.1, თბ., 1997; ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, თბ. 1938.

² Л. Бараташвили, К. Бараташвили. Мы – Месхи. Литературная Грузия. 1988, №9, გვ.137- 140

³ გ. კირვალიძე, მოხსენებითი ბარათი, საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს აშ. ვ. ნ. ჩარკვიანს, საქართველოს სსრ სახალხო კომისარია საბჭოს თავმჯდომარეს აშ. ვ. მ. ბაქრაძეს, ლიტერატურული მესხეთი, 2011 წლის იანვარი, №1 (145)

(ოფიციალური ვერსიით გაასახლეს თურქები, ქურთები და ხემშინები). გასახლებული მოსახლეობის მეცნიერულ კვლევას ტაბუ დაედო, რადგან პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიზანს წარმოადგენდა საბოლოოდ გაეწყვიტა დეპორტირებულებისა და ქართულ საზოგადოებას შორის დამაკავშირებელი ძაფები და ამით გასახლებული კონტინგენტის უკან დაბრუნების შესაძლებლობა გამოერიცხა. ხელისუფლების გადაწყვეტილების გამართლების მიზნით ცდილობდნენ საქართველოში შეექმნათ სტერეოტიპი "კაციკამია", მოძალადე მუსულმანისა, რომელიც ყოველთვის მზად იყო ანტისაბჭოთა და ანტიქართული ქმედებისათვის. ხელისუფლების ამ ხაზს დაუპირისპირდა ქართული ინტელექტუალური ელიტა, იგი ისტორიულ არგუმენტებზე დაყრდნობით გასახლებულების უმრავლესობას ქართული ეთნიკური ორგანიზმის განუყრელ ნაწილად მიიჩნევდა და დეპორტაცია ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგოდ მიმართულ არაადამიანურ აქტად მიაჩნდა.

ქართული ინტელიგენციის მნიშვნელოვან ნაწილში არასოდეს ჩამქრალა თანაგრძნობა გასახლებულთა მიმართ. მათ ახლო ურთიერთობა ჰქონდათ რეპატრიაციისათვის ბრძოლის მესხ ლიდერებთან. დაბრუნების მოძრაობას თანაუგრძნობდნენ და ეხმარებოდნენ ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწეები (გ. ჩიტაია, ვ. ჯაფარიძე, შ. ლომსაძე, კ. გამსახურდია, გ. ლეონიძე, ი. აბაშიძე, ლ. გუდიაშვილი, პ. ხუჩუა, ს. ქობულაძე, უ. ჯაფარიძე, ა. მაჭავარიანი, შ. შველიძე, ა. ბალანჩივაძე და სხვები). ფერდანის მოვლენებამდე რეპატრიაციის განხორციელებას ემხრობოდა ქართველ დისიდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილიც (მაგ. ზ. გამსახურდიას ჯგუფი). დეპორტირებულთა ლიდერები გრძნობდნენ რა როლს ანიჭებდნენ საქართველოში მათ მიერ ქართული წარმომავლობის აღიარებასა და ქართული გვარების დაბრუნებას. ამის გამო მათ დაიწყეს თავიანთი წარმომავლობის შესწავლა და ქართული ისტორიული ძირების მოძიება.¹

¹ ვაჩნაძე, დეპორტირებული მესხი ქალის – ნაზირას წიგნი, "კავკასიური სახლი", თბ., 2005; ი. ვარსკენელიძე, ჩვენი ფესვები მესხეთის მიწაშია, თბ., 2000; Халил Умаров-Говалишвили, Трагедия Месхов, Тб., 2004; Л. Бараташвили, К. Бараташвили. Мы – Месхи. Литературная Грузия. 1988 #8,9,10,11; К. Бараташвили, Грузинские фамилии месхов-мусульман, Тб., 1997

ამ მიმართულებას დაუპირისპირდნენ თურქული ორიენტაციის ჯგუფები (როგორც ჩანს, დაპირისპირების ჩამოყალიბება-გამოღობაში საბჭოთა უშიშროების ხელიც ერია ლ.ჯ.). პრო-თურქულ ორგანიზაციას სათავეში ჩაუდგა ადრე ქართულ ორიენტაციაზე მდგომი ენვერ ოდობაშევ-ხოზრევანიძე. 1964 წლიდან მან "ალიარა", რომ გასახლებულები თურქები იყვნენ და საქართველოში უნდა დაბრუნებულიყვნენ, როგორც ეთნიკური თურქები. განსაკუთრებით გააქტიურდა ოდობაშევი საპრობლემაში მოხვედრისა და იქიდან გამოსვლის შემდეგ.¹

უნდა ითქვას, რომ საბჭოთა მეცნიერები ერიდებოდნენ დეპორტირებულთა პრობლემატიკის კვლევას, ამიტომ 1989 წლამდე ნაკლებად იქმნებოდა რუსულენოვანი ნაშრომები ამ საკითხზე. თუმცა, ქართულ სამეცნიერო საზოგადოებაში არ შეწყვეტილა ხსენებული კონტინენტის ეთნოისტორიული საკითხების შესწავლა. გამოქვეყნდა საინტერესო ნაშრომები (ნ. ბერძენიშვილი, შ. ლომსაძე, მ. სვანიძე, ნ. ხაზარაძე, გ. მამულია, ლ. ბერიაშვილი ა.შ.²

ფერდანის ტრაგედიისა და პოსტსაბჭოთა სივრცეში დემოკრატიული პროცესების განვითარების შემდეგ დეპორტირებულთა პრობლემატიკის გააქტიურებამ გაზარდა მის მიმართ სამეცნიერო ინტერესი.³ ამასთან, უცხოურ სამეცნიერო

¹ ხალილ უმაროვ-გოზალიშვილი, მესხთა ტრაგედია, "კავკასიური სახლი", თბილისი, 2005, გვ.116-119

² ნ. ბერძენიშვილი, ბორჯომის ხეობა (დღიური) საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი I, ისტორიული გეოგრაფია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი 1964, გვ. 256; შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი (XVIII ს. შუა წლებიდან XIX საუკუნის შუა წლებამდე), თბ., 1975; მ. სვანიძე, გლეხთა მიწათმფლობელობისა და მიწისთარგებლობის წესები ახალციხის სალქოში კანუნ-ნამუშების მიხედვით, საკითხისათვის, ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1976; ლ. ბერიაშვილი, მიწათმოქმედება მესხეთში, თბ., 1973; Г. Мамулия, Концепция государственной политики Грузии в отношении депортированных и репатрированных в Грузию мсехов, Централная Азия и Кавказ, №1(2), 1999 г. თ. ჩიქივანი, ჯავახეთი, თბ., 1982.

³ Лурье М., Месяц ожидания и тревоги, Правда, 5 июля, 1989.; Э. Панеш, Л. Ермолов, Месхетинские турки, Вопросы истории 1991, №9-10; Осипов А. Г., Основные направления изменений в самосознании и культуре ахалцихских (месхетинских) турок. 20-е годы XIX – 90-е годы XX в. Диссертация на соискание ученой степени кандидата исторических наук, М., 1993; Н. Бутай, Турки из Месхетии: долгий путь к реабилитации, Москва, 1994 г.

ლიტერატურაში გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ტრადიციულმა მიდგომამ, გარკვეული ტრანსფორმაცია განიცადა და ზოგ ნაშრომში წმინდა სამართლებლივი ხასიათი მიიღო,¹ ზოგან კი მჭიდროდ დაუკავშირდება ხსენებული კონტინგენტის ორიენტაციას ეთნიკურ თურქობაზე.² ამგვარი მდგომარეობა განპირობებულია ერთის მხრივ საერთაშორისო ორგანიზაციების მისწრაფებით დაცული იყოს ადამიანთა უფლებები, მეორე მხრივ კი კონკრეტული მიზნით მოახდინონ მათი თურქულ-აზერბაიჯანულ გარემოში ინტეგრაცია.

საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის დეპორტირებულთა ეთნიკურობა მეორეხარისხოვანი ფაქტორია. ადგილებზე კი (მაგ. საქართველოში, აზერბაიჯანში) ამ კონტინგენტის ინტეგრაციის უშოკლეს გზად ეთნიკურ კუთვნილებაზე მათ ორიენტაციას მიიჩნევენ.

ამდენად, 1944 წ. მესხეთიდან დეპორტირებულთა ეთნიკური იდენტობის გარკვევას არა მარტო მეცნიერული, არამედ პრაქტიკული დანიშნულებაც აქვს, რადგან ამჟამინდელ საცხოვრებელ ადგილებში მათ უფლებრივ მდგომარეობას, სტატუსს და მომავალში ცხოვრების პერსპექტივას, ხშირად სწორედ ამ საკითხს უკავშირებენ. აღსანიშნავია რომ, ისტორიულ მონაცემებს გამოდევნებული ზოგი ქართველი მეცნიერი დეპორტირებულთა წარმომავლობას, ამჟამად მათში არსებულ ეთნიკურ სიტუაციასთან აიგივებდა და დეპორტირებულთა უმეტესობას ე.წ. “ქართული ორიენტაციის” ჯგუფს აკუთვნებდა.

გასული საუკუნის 50-იან წლებში აზერბაიჯანის კომუნისტურმა მთავრობამ შუა აზიაში მცხოვრებ მესხებს შესთავაზა მათ რესპუბლიკაში გადასახლება. 1958 წ. დეპორტირებულთა ერთი ნაწილი აზერბაიჯანში, ძირითადად მუდანის ველზე, საათლისა

¹ Steve Swerdlow, Reflections on Transnational Minorities and Human Rights: Meskhetians and Hemshins in Georgia and Krasnodar, BULLETIN antropology minoritis multiculturalizm, #5, 2004; Осипов А. Дискриминация по этническому признаку против мигрантов в Российской Федерации. Бюллетень (антропология, меньшинства, мультикультурализм), №1, Декабрь, 1999.

² А. Юнусов, Азискионские (месхетинские) турки: дважды депортированный народ. Баку, 2000; А. Юнусов. Азискионские (месхетинские) турки: дважды депортированный народ, Центральная Азия и Кавказ, №1(2) , 1999 г. http://www.cac-c.org/journal/cac-02-1999/st_20_junusov.shtml

და საბირაბადის რეგიონებში ჩასახლდა. ამ კონტინგენტის ადაპტაცია და ინტეგრაცია შედარებით ადვილი ჩანდა, რადგანაც უმეტესობას პასპორტებში ეროვნებად აზერბაიჯანელი ეწერა (ეს ადამიანები დიდ მნიშვნელობას აძლევენ ეთნიკური კუთვნილების ფორმალიზაციას), თანაც ზოგმა ლიდერმა (მაგ. მ. ბაირახტაროვმა) ჩათვალა, რომ აზერბაიჯანში გადასახლებით მათი მიზანი მიღწეული იყო და, როგორც საბჭოთა ფუნქციონერი, სათავეში ჩაუდგა მულანის ველის ათვისებას.¹

XX-ის ბოლოს ცხადი გახდა, რომ საბჭოთა ხელისუფლების მიზანმა, შეექმნა ერთეოვანი სახელმწიფო, კრახი განიცადა. შესაბამისად, არ განხორციელდა რუსიფიკაციის ნიშნით დაწყებული ეთნოკულტურული უნიფიკაცია. კომუნისტური იდეოლოგია „საბჭოთა ხალხის“ საერთო თავგადასავლის დასაბუთებისათვის, შუა აზიის, ბალტიისპირეთისა თუ კავკასიის ხალხთა ისტორიულ წარსულს რუსეთის ისტორიის შუქზე განხილავდა. ახალმა გლობალურმა ტენდენციებმა კი დღის წესრიგში დააყენა ახალი კონცეპტუალური პარადიგმების გამოძებნის აუცილებლობა, რაც ერთის მხრივ, დიდი სახელმწიფოების ეთნიკური პოლიტიკით, მეორე მხრივ კი, „მცირე“ ხალხების ეროვნული მობილიზაციისა და კონცენტრაციის აუცილებლობით იყო ნაკარნახევი. ამგვარი სამეცნიერო ინტერესის სფეროში მოექცა 1944 წ. სამხრეთ საქართველოდან დეპორტირებული კონტინგენტიც. ქართულ საისტორიო მწერლობაში ხსენებული მიმართულებით კვლევას ხანგრძლივი ტრადიცია და შესაბამისი საფუძველი გააჩნია; აზერბაიჯანული ისტორიოგრაფიისათვის კი 1944 წ. სამხრეთ საქართველოდან დეპორტირებულთა თურქული წარმომავლობის მტკიცება შედარებით ახალი და, შესაბამისად, საკმად რთული ამოცანაა. ერთის მხრივ აუცილებელია არსებული არგუმენტების გაბათილება, რაც მოითხოვს ისტორიულ წყაროების ახლებურ (ზოგჯერ სრულიად არაადეკვატურ) ინტერპრეტირებას, მეორე მხრივ კი თავად დეპორტირებულთა მიერ შექმნილი ნაშრომების (ლ. ბარათაშვილი, ხ. უმაროვ-გოზალიშვილი ნ. ვაჩნაძე, კ. ბარათაშვილი ი. ვარსკენელიძე და ა.შ.) უგულვებელყოფა. იმავე-

¹ ლ. Бараташвили, К. Бараташвили. Мы – Месхи. Литературная Грузия. 1988, №10, გვ.103

დროულად, უნდა უარყონ ის ეთნოკულტურული ელემენტებიც, რომელებიც დეპორტირებულთა მნიშვნელოვანი ნაწილის ქართულ წარმომავლობაზე მეტყველებენ.¹

ამრიგად, შეიქმნა ნაშრომები რომელთა ნაწილი კავკასიოლოგიაში ასწლეულობით გა-ბატონებულ დებულებათა ახლებური ინტერპრეტაციის მცდელობას წარმოადგენს. გვხვდება ძველი შეხედულებების უაპელაციო და დაუსაბუთებელი რევიზიის შემთხვევები. ეს კვლევები ახალი იდეოლოგიური საფუძვლის შექმნას და ეთნიკური პროცესებისათვის გარკვეული მიმართულების მიცემას ისახავს მიზნად, მათ გეოპოლიტიკური მნიშვნელობაც ენიჭება და ფართოდ გამოიყენებენ პოლიტიკური მოღვაწეები. უცხოელ მკვლევართა ნაწილი (ს. სვერლოვი, კ. ტომლინსონი, ტ. ტრიერი, ა. ოსიპოვი და ა.შ.) რომელთათვისაც, ქართულ ენაზე გამოცემული ნაშრომები და ქართველ მკვლევართა არგუმენტაცია ხელმისაწვდომი არ არის, ეყრდნობიან ძირითადად რუსულენოვან პუბლიკაციებს, რაც მათი ნაშრომების გარკვეულ ცალმხრივობას განაპირობებს.² ჩამოყალიბდა თეორია, რომლის მიხედვითაც მესხეთის მოსახლეობის ეთნოგენეზს განსაზღვრავდა რევერსია, ანუ თურქული სუბსტრატის, ე.წ. "თურქი მესხების" შემადგენელი ძირითადი ელემენტის, გაბმული და ბუნებრივი კონცენტრაცია მესხეთის ტერიტორიაზე.³

ხსენებული თეორიის განვითარების შემდეგ ეტაპზე უკვე მთლიანად საქართველოს განიხილავენ თურქთა უწყვეტი მკვიდრობის რეგიონად, სადაც თურქები ჯერ კიდევ ჩვ. წ-ად II ს-ში მოვიდნენ და ამის შემდეგ ყოველთვის წამყვან როლს თამაშობდნენ. VI-VII სს.მათ ფორმირებაში მნიშვნელოვანი გავლენა იქონიეს ბუნ თურქებმა და ხაზარებმა, ("Огромную роль в изучаемом регионе в

¹ ლ. ჯანაშვილი, 1944 წ. სამხრეთ საქართველოდან გასახლებულთა ეთნოს-ტორიული პრობლემები, თბ., 2006, 88-130

² ქართველ მეცნიერთა მოსაზრებები საქართველოში თურქთა ინფილტრაციის შესახებ იხ. ე. გოილაძე, პუნ-თურქების კავკასიაში, თბ., 2008; ითონიშვილი ე-კავკასიის უძველესი ეთნონიმიიდან ("ჰონთა" ეთნიკური კუთვნილებისა და "ჰონთა ქვეყნის" ლოკალიზაციის საკითხისათვის), მაცნე, ისტორიის სერია, 1991, №1, მ. სანაძე, "ქართლის ცხოვრება" და საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდი (ქართლოსიდან პირიანამდე) თბ., 2001

³ Э. Панеш, Л. Ермолов, Месхетинские турки, Вопросы истории 1991, №9-10, გვ. 213

свое время играли тюрки-хазары и тюркские племена бунтюрков, живших по течению Куры, и взаимодействовавших с гуянами на юго-востоке нынешней Грузии, то есть в местах компактного проживания азербайджанцев, еще в IV веке н. э.“¹ XI-XII სს-დან ყივჩაყებმა და ოგუზებმა, XVI საუკუნის დამლევადან კი ოსმალებმა² (“Всего же в XII-XIII вв. в Грузию переселилось не менее 350 тыс. кыпчаков и в основном в районы, где ныне в Грузии живут азербайджанцы и жили до 1944 г. ахыскинские (месхетинские) турки. Если учесть, что ранее, в XI-XII вв. на юге и востоке Грузии осели десятки тысяч огузов, то станет ясно,

почему древнегрузинские летописцы того времени делят Гзუიუიუ на «Картвелობა» (букв. «Собственная Грузия») и «დიდი ტუკობა» (букв. «Великий (!) Туркестан»)³ საქართველოში უძველეს ეპოქაში დამკვიდრებული თურქული მოდგმის ხალხებად თვლიან ზოგიერთ ქართულ ჯგუფსაც მაგ. გურულებს (Название примыкающей к Месхетии области Грузии Гурия также явно связано с гуяно-булгарской группой племен, о чем свидетельствует этнический компонент “гур”, что означает “страна (о) гуров.”) და ა.შ.)⁴ ზოგი ავტორი სამცხეს უპირობოდ აცხადებს აზერბაიჯანის ისტორიულ ტერიტორიად “Ахалцых, в числе других мест Азербайджана, входил в состав государства Атабеков.”⁵

ელემენტარული ქართულის უცოდინარობას შეიძლება მიეწეროს ქვემოთ მოტანილი ტოპონიმური ანალიზი – „Существует большое количество топонимов (в Месхетии), связанных с племенем тоба/туба: села Тоба, Схалтубо и Гурутубан в Ахалцыхском районе и села Каратубан, Кортубан, Зедубан, Абастубан в Адигенском районе. Зафиксирован этноним “туба” и в других районах Грузии: с.Тобахчи

1 И. Алиева Политическое и социально-экономическое положение азербайджанцев тифлисской губернии (1846-1917) «Тажил» Баку-2009 გვ. 14

² А. Юнусов, Ахыскинские (месхетинские) турки: дважды депортированный народ, Баку, 2000, გვ. 11-47

³ იქვე, გვ.34

⁴ А. Юнусов, Ахыскинские (месхетинские) турки: дважды депортированный народ, Центральная Азия и Кавказ, №1(2) , 1999 г. http://www.ca-c.org/journal/cac-02-1999/st_20_junusov.shtml

⁵ ი. ალიევა დასახელებული ნაშრომი, გვ.14

(სევერნეე ახალციხის რაიონი), ზელტუბანი (უ რ.გორი), რ.ცხალტუბი.“¹ ავტორს შეეძლო კიდევ უამრავი ქართული ტოპონიმი მოეძებნა სადაც ფუძეში „უბანი“, „თბ“, „ტბ“, „ტუბ“, ან „ტობ“ ფიგურირებს. ამგვარი მარგალიტები მრავლად შეიძლება მოიძებნოს ა. იუნუსოვის ნაშრომში. მაგ. მას ახალციხის თურქული დასახელება „ახ-სიკა“ (თურქ. თეთრი ციხე), ქართული დასახელების ასლად მიაჩნია (ე.ი თეთრი=ახალს?).² ხსენებულ ტოპონიმიკურ ინსინუაციებს პასუხი გასცა ვ. გოილძემ, თუმცა სამწუხაროდ, მისი ნაშრომი მხოლოდ ქართული ენის მცოდნეთათვისაა ხელმისაწვდომი.³

ეთნოკონფესიურ საკითხებზე მსჯელობისას ხშირია ციფრებით თავისუფალი მანიპულირება და სასურველი სურათის დახატვის მცდელობა. მოვიტან კიდევ ერთ მაგალითს, ა. იუნუსოვი წერს – “Накануне падения Российской империи, в 1916 г., в Ахалцихском и Ахалкалакском уездах Тифлисской губернии уже проживало 172 тыс. чел. Из них турок было 59 тыс. чел. (34%), армян – 80 тыс. (46%) и грузин – 29 тыс. (17%). Однако турки по-прежнему составляли абсолютное большинство в Ахалцихском уезде – 52 тыс. чел. (72%), тогда как армяне в Ахалкалакском – 76 тыс. чел. (76%)”⁴ ეს მონაცემები ავტორს აუღია მარატ ბარათაშვილის ბროშურიდან.⁵ მ. ბარათაშვილი თავის მხრივ ამ ნაკვეთში იმონებს პ. ინგოროყვას. მაგრამ, რაც მთავარია, იუნუსოვთან თურქებს მიკუთვნებული 59 ათასი ადამიანი პ. ინგოროყვასთან და მ. ბარათაშვილთანაც მუსლიმ ქართველებადაა მოხსენიებული.⁶

როგორც ითქვა, XIX საუკუნიდან მოყოლებული, სამეცნიერო ლიტერატურაში ეჭვს არ იწვევდა დებულება, რომ სარწმუნოებრივი

¹ А. Юнусов, Ахыскынские (месхетинские) турки: дважды депортированный народ, Централная Азия и Кавказ, №1(2) , 1999 г. http://www.ca-c.org/journal/cac-02-1999/st_20_junusov.shtml

² А. Юнусов, Ахыскынские (месхетинские) турки: дважды депортированный народ, Баку, 2000, გვ.38

³ ვ. გოილაძე, “შიწის ენა” მრუდე სარკეში, თბ. 2007

⁴ А. Юнусов, Ахыскынские (месхетинские) турки: дважды депортированный народ, Централная Азия и Кавказ, №1(2) , 1999 г. http://www.ca-c.org/journal/cac-02-1999/st_20_junusov.shtml

⁵ მ. ბარათაშვილი, მესხ რეპატრიანტთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში., თბილისი, 1998

⁶ პ. ინგოროყვა საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ, თბ., 1990, გვ. 16-17; მ. ბარათაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 8

განსხვავების მიუხედავად, მესხეთის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა წარმომავლობით ქართველი იყო. ამგვარი მიდგომა ეყრდნობოდა არა მარტო ქართულ სიატორიო წყაროებს არამედ რუსული და თვით თურქული აღწერის მასალებსაც.¹ ამასთანავე, აღიარებულია, რომ თანდათანობით იზრდებოდა თურქული თვითშემეცნების მატარებელთა ოდენობა და ისიც, რომ მესხეთში ცხოვრობდა თურქული წარმოშობის გარკვეული მოსახლეობაც. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ თურქების გაბატონებამდე მესხეთში მხოლოდ მცირერიცხოვანი არაქართველი მოსახლეობა (სომხური, თურქული და ქურთული წარმომავლობის) იყო.²

გვიან შუა საუკუნეებში მუსულმანობამიღებულ ქართველებს, რომლებიც მესხეთშიც მომრავლდნენ “თათარს” უწოდებდნენ, რადგან მაშინდელი საზოგადოებისათვის სარწმუნოება ეთნიკურობის განმსაზღვრელ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენდა. შ. ლომსაძის დაკვირვებით, თანდათანობით მაჰმადის რჯულს მინდობილი ბევრი ქართველის შეგნებაში ქართველობა მხოლოდ ქრისტიანობის სინონიმი ხდებოდა და როგორც ქრისტიანობას ქართველობასაც თანდათან შორდებოდა. დროთა განმავლობაში ეროვნული შინაარსისაგან დაკლილი სიტყვა “ქართველი” მისთვის ამ ენაზე ლაპარაკს ნიშნავდა. ამიერიდან ქართულს, როგორც “ქართველს” იგი თურქულად “გურჯით” აღნიშნავდა და სწამდა, რომ ღვთის წყალობით ალლაჰის ნათელში იგი ამ ურწმუნო გურჯობიდან “იყო შესული და ერთგვარი ცოდვისაგან თავდახსნილი.” შემდგომ ეტაპზე გამუსულმანებული ქართველი, თავს თვლიდა რა “ოტომანად” თავის გურჯულ წარმოშობას წინაპართა ცოდვად აღიარებდა და ცდილობდა ამ მონანიებით ალლაჰის წინაშე თავის უცოდველობა დაემტკიცებინა. მომდევნო მესამე ეტაპზე “გურჯულ” წარ-

¹ Сборник материалов для описания Тифлиской губернии, под редакцией К.Л. Зиссермана, Т. 1. Выпуск 1, Тифлис 1870; Свод статистических данных о населении Закавказского края извлеченных из посемейных списков 1886 г. Тифлис, 1893; გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. II, თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი და კომენტარები დაურთო ს. ჯიქიაშ, თბ., 1941

² შ. ჯიქია, ქართული ანთროპონიმები, “გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით”, ქართული ონომასტიკა II, 2004, გვ. 284

მოშობაზე უკვე უარს ამბობდა და თავს ეთნიკურადაც თურქად აცხადებდა.¹ ამისდა მიუხედავად ცხადი იყო, რომ რწმენაგამოცვლილი, გამუსულმანებული, ქართველი გენეტიკური და კულტურული თვალსაზრისით განსხვავდებოდა თურქებისგან.

ისტორიული წყაროების, სამეცნიერო ლიტერატურისა და ეთნოგრაფიული მასალის ანალიზი მოწმობს, რომ XIX საუკუნის ბოლოსათვის საზოგადოების ერთი ნაწილი "თათარში" უფრო განსხვავებულ შინაარს დებდა და მუსულმანი ქართველების დანარჩენ მუსლიმთაგან გამოსარჩევად გაჩნდა ტერმინი "ქართველი-თათარი".² თათრებად ან "ქართველ თათრებად" მოიხსენიებდნენ მუსლიმ მესხებსაც XX საუკუნის 20-იან წლებამდე, ვიდრე საბჭოთა ხელისუფლების ძალისხმევით მათ ნაწილს ახალი ეთნონიმი "თურქი" არ მიანიჭეს. ბუნებრივია, თურქად ჩაწერილი მესხი კულტურული და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით უცებ ვერ გათურქდებოდა.

შეიძლება წარმოვიდგინოთ ეთნონიმის ტრანსფორმაციის შემდეგი სქემა: ქართველი (მესხი) – თათარი (ქართველ-თათარა) – თურქი (თურქი მესხი).

დეპორტირებულთა დასახელება რამდენიმე ფორმითაა გამოხატული: "მესხები", "თურქი მესხები", "ახსიკელი თურქები" "მუსულმანი მესხები" და ა.შ. ამჟამად ყველაზე გავრცელებულია "თურქი მესხი." ეს ტერმინი შეგდება ორი ნაწილისაგან, რომელიც ერთმანეთს გამორიცხავს. თურქი არ შეიძლება იყოს მესხი, რადგანაც მესხების ტომი ეთნოგენეტიკურად ქართველური სამყაროს წევრია, თურქი კი თურქულ-თურქმენულის. ტერმინი სრულიად ვერ ასახავს (დეფინიციურად) დეპორტირებულთა ეთნიკურ შემადგენლობას, რადგან ეთნიკური შემადგენლობის მიხედვით იგი შედგებოდა ქართველი მუსულმანებისაგან (თურქულენოვანი და ქართულენოვანი), თურქმანული მოდგმის ადამიანებისაგან (თარაქამა, ყოფილი ოსმალური სამოხელეო აპარატის წარმომადგენელთა შთამომავლები, აქ ოსმალეთიდან გადმოსახლებული ადამიანები), ქურთებისაგან და ხემშინებისაგან

¹ შ. ლომსაძე, მესხები, ახლციხური ქრონიკები II, თბ., 1997, გვ. 87

² ნ. ზოსტავილი, იასე რაჭველის /მეზუზალა/ წერილები თურქეთიდან, თბ., 1991, გვ.33

(ეთნიკურად სომხობაზე ორიენტირებული მუსულმანური ჯგუფი).

დეპორტირებულთა ყოფაში ტერმინი თურქი ფართოდ გავრცელებულა დეპორტაციის შემდეგ. “შუა აზიაში უფრო ხშირად თურქებად გვწერდნენ, (და მთელი საინფორმაციო საშუალებები ... ან “თურქ მესხებად”, ან “აზერბაიჯანელებად”, “მუსლიმანებად” თუ “კავკასიელებად გვიხსენებდნენ) ასევე გვწერდნენ “უზბეკებად.” მაგალითად, ერთი დედამამიშვილები _ ოთხი ძმა ზაუტაძე _ ოთხ სხვადასხვა ეროვნებას მიათვალეს და ერთი _ აზერბაიჯანელად, მეორე _ თურქად, მესამე _ “კავკასიელად”, მეოთხე კი “უზბეკად” ჩაწერეს.” _ წერს ხ. უმაროვ გოზალიშვილი.¹

ეთნონიმის სახით “თურქი მესხი” არც სამეცნიერო ლიტერატურაში და არც საარქივო მასალაში 60-70-იან წლებამდე არ გვხვდება. როგორც ჩანს იგი 60-იან წლებში წარმოიშვა და დეპორტირებულთა ლიდერებს შორის განხეთქილებასაც ასახავს. იმ ხანებში ეს ჯგუფი გაითიშა პროქართულად (მესხები) და პროთურქულად (თურქები). სავარაუდოდ, ეს განხეთქილება საბჭოთა უშიშროების მიერ იყო პროვოცირებული, რათა არ დაეშვათ დეპორტირებულთა “ქართველობის” იდეის ირგვლივ გაერთიანება და ამგვარად საქართველოში მათი დაბრუნებისათვის დამატებითი არგუმენტების შექმნა. სხვათა შორის, ამ ფაქტს ჩვენი ცალკეული მთხრობელებიც ამოწმებენ. განსაკუთრებით პოპულარული გახდა ეს ტერმინი XX საუკუნის 90-იანი წლებიდან. დღეისათვის სწორედ იგი გვხვდება ოფიციალურ დოკუმენტებში (თვით ევროსაბჭოშიც), სამეცნიერო თუ პოპულარული ხასიათის გამოცემებში და ნარკვევებში. საკვლევი ჯგუფის წევრები უფრო ხშირად თვითსახელად ხმარობენ: “ahiska türkleri” (ახალციხელი თურქები), “ahiskalileri” ან “bizim şennik” (ჩვენი ხალხი).² აღსანიშნავია, რომ თავიანთ ჯგუფს დანარჩენი (თურქეთში მცხოვრები) თურქებისაგან დეპორტირებულები განასხვავებენ იქაც კი, სადაც ამას პოლიტიკური კონიუნქტურითა და იძულებით ვერ ავხსნით (მაგალითად უკრაინაში).

რაც შეეხება ქართულ გვარსახელებს, რომლებიც დღემდე

¹ ხ. უმაროვ გოზალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 157

² K. Tomlinson, Meskhetian Turks: Displacement, Self-Perception, and the Future, Bulletin of Anthropology and Minorities Studies, #6, 2004, p.13

ფიქსირდება დეპორტირებულთა შორის (როგორც წესი პოლიტიკური ლიდერების უმეტესობას ქართული გვარსახელები აქვთ – ლ.ჯ.). მკვლევართა ზემოხსენებული ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს ფენომენი 1918-21 წლებში მენშევიკური საქართველოს ხელისუფალთა იბულების შედეგად არის გაჩენილი, ხოლო სხვები კი აქ, უფრო მოგვიანებით, 1938 წ. კომუნისტური საქართველოს მესვეურთა და ქართველი ინტელიგენციის იბულების კვალს ხედავს.¹ წყაროების უგულველბეყოფით და ქართული ანთროპონიმებისათვის თურქული ჟღერადობის მიცემით ცდილობენ ცალკეული ისტორიული პირების თურქული წარმომავლობის მტკიცებას. ასე იქცა მზეკაბუკი – მირზა ჩაბუკად, ყვარყვარე – კორკორედ და ა.შ.²

გვარსახელების საკითხი ზემოხსენებულ შემთხვევაში გაუკულმართებულადაა წარმოდგენილი. რეალურად კი სრულიად საპირისპირო ვითარებასთან გვქონდა საქმე. კომუნისტური პარტიის გადაწყვეტილებით 1923 წლიდან მესხეთის მუსლიმანური მოსახლეობა თურქულენოვან უმცირესობად გამოაცხადეს და ოფიციალურ ენად აზერბაიჯანული (თურქული) და რუსული შემოიღეს. ამ პერიოდიდან ახალციხის რაიონში გაიხსნა თურქული სკოლები, აზერბაიჯანიდან მოიწვიეს პარტიული და სამეურნეო მუშაკები, ინტელიგენციის წარმომადგენლები და ა.შ. 1926 წელს, ახალციხის რაილმასკომის თავმჯდომარემ შამანოვმა გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმადაც მუსულმანი მესხები, როგორც აზერბაიჯანელები (ამ ხანებში აზერბაიჯანელებს გვარსახელები ჯერ არ ჰქონდათ) ვალდებული იყვნენ გვარის გარეშე ჩაწერილიყვნენ.³ "გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის" თანახმად მესხეთის მოსახლეობის უმეტესობაში ქართული ანთროპონიმები იყო გავრცელებული. XVIII ს-ის 30-იან წლებში ახალციხის მაზრის მკვიდრი მოსახლეობის უმრავლესობას ისევ

¹ Steve Swerdlow, Reflections on Transnational Minorities and Human Rights: Meskhethians and Hemshins in Georgia and Krasnodar, BULLETIN antropology minoritis multiculturalism, #5, 2004, p. 18; А. Юнусов, Ахыскыинские (месхетинские) турки: дважды депортированный народ, Баку, 2000, გვ. 62

² А. Юнусов, Ахыскыинские (месхетинские) турки: дважды депортированный народ, Баку, 2000, გვ. 62, გვ.36-39

³ ხ. უმაროვ-გოზალისვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 69

ქართული გვარები ჰქონდა.¹

1886 წლის საოჯახო სიების ანალიზით დგინდება, რომ ახალციხის მაზრის 16 სოფელში ამ დროისათვის მუსლიმთა დედაენა ქართული იყო, 51 სოფელში კი თურქული. თუმცა საგულისხმოა ის, რომ საოჯახო სიაში ყოველმხრივ თურქად გატარებული პირებიც კი ხშირად ქართველებს წარმოადგენდნენ, რასაც აღწერისას სხვათა შორის მათზე მიწერილი ქართული გვარი გვაგულისხმებინებს.²

განსხვავებულადაა წარმოდგენილი გვარსახელების წარმოქმნის მექანიზმი სამეცნიერო ლიტერატურაში. აზერბაიჯანული თვალსაზრისით ბევრი გვარსახელი წარმოადგენს მცირედ შეცვლილ თურქულ “გილს”, პირველყოფილ გვარს (poda). ასე მაგალითად სარაჯიშვილი წარმომდგარია სარაჯ-გილიდან, ხუციშვილი – ხუცი-გილიდან, კოტეძე – კოტე-გილიდან.³ მოტანილი მაგალითები გვარწმუნებს გვარსახელის ამგვარი ეტიმოლოგიის სიყალბეში. ფუძეში “ხუცესის” და “სარაჯის” არსებობა სწორედ საპირისპიროს ამტკიცებს, რადგან ორივე გვარსახელი ისეთი პროფესიიდან არის ნაწარმოები, რომელიც მუსულმანურ სამყაროში მათი წარმოშობას გამორიცხავს. ქართველ მეცნიერთა აზრით კი, მესხური გვარების წარმოქმნის მექანიზმი მთლიანად ემორჩილება ქართული ანთროპონიმების წარმოების კანონებს.⁴

ყოველგვარ ლოგიკასაა მოკლებული ვარაუდი, რომ ქართული გვარსახელები, რომელიც 1886 წლის საოჯახო სიებშია დაფიქსირებული, მესხებს ყოველგვარი სტანდარტის გარეშე მიანიჭეს.⁵ მაშინ როგორ შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ

¹ შ. ლომსაძე, მესხები, ახლციხური ქრონიკები II, თბ., 1997, გვ. 80

² რ. თოფჩიშვილი, ქართველი მაჰმადიანები, ქართველი კათოლიკეები, ქართველი გრიგორიანები, სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის ბრძოლა მცირეაზიური მომთაბარე ტომების წინააღმდეგ. კრ. დიდგორი, თბ., 1991, გვ.33-35

³ А. Юнусов, Ахыскинские (месхетинские) турки: дважды депортированный народ, Баку, 2000, გვ.62, გვ. 60-61

⁴ რ. თოფჩიშვილი, ქართული გვარსახელები, ეთნოისტორიული ეტიუდები, წიგნი I, თბ., 2005, გვ., 273-281; მისივე, ქართული ანთროპონიმული მოდელი, წარსულში, აწმყოსა და მომავალში, ეთნოისტორიული ეტიუდები, წიგნი I, თბ., 2005, გვ., 305-332

⁵ А. Юнусов, Ахыскинские (месхетинские) турки: дважды депортированный народ, Баку, 2000, გვ. 62, გვ.61

თურქული აღწერის მასალებში XVI საუკუნეში სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ქართულ სახელებს ატარებდა?! მ. ჯიქიამ გამოიკვლია ამ წყაროში დაფიქსირებული ანთროპონიმები და აღმოჩნდა, რომ 260 სახელი ქართულია, ასამდე – ქრისტიანული, ორმოცდაათამდე – სომხური, ათამდე კი ებრაული. აღმოჩნდა ასევე თურქული მოდგმის ხალხთან და ისლამურ სამყაროსთან კონტაქტების შედეგად შემოსული ანთროპონიმებიც: ოცდაათზე მეტი თურქული, ათიოდე ირანული და ორმოცამდე არაბული სახელი.¹

საველე ეთნოგრაფიული მასალა ნათლად მოწმობს, რომ პირიქით, სამცხე-ჯავახეთში არსებობდა ქართული გვარ-სახელების თურქულ და რუსულ ყაიდაზე გადაკეთების ტენდენცია. ამრიგად, კაკაბაძეები იქცნენ ათუნოვებად (მათ გვარსახელის ქართული ფორმა მოგვიანებით უკვე ათუნიშვილის სახით დაიბრუნეს); კოჭიბროლაძე გოზალოვად გადააკეთეს (მოგვიანებით გოზალიშვილები); ნებიერიძე თელიევი გახდა (ახლა თელაშვილები); საყვარელიძეები – ხითაროვებად იქცნენ (ახლა ხითარიშვილები); გვარამაძე იანულოვად აქციეს, კიკნაძე – ალემოვად, ვარდიძე კი ჩილინგაროვად და ა.შ.

კ. ბარათაშვილის დაკვირვებით 1886 წ. საოჯახო სიებში სამცხე-ჯავახეთის მუსულმან მოსახლეობაში სამასზე მეტი გვარია დაფიქსირებული,² ხოლო გ. მამულიას ერთი ცნობის თანახმად დღეისათვის დეპორტირებულ მოსახლეობაში 1094 ქართული გვარი გვხვდება.³

არსებობს ვარაუდი, რომ ოსმალთა ბატონობის პირობებში, არა მარტო გათურქება-გაოსმალების, არამედ გაქურთების შემთხვევებიც იყო. შ. ლომსაძე ფიქრობს, რომ ქურთების სოფ. ჯოლდამი XIX ს- ში, ზაგურსკის მიერ მოხსენიებული მოძღვარი ოღლი და კოჯორი ოღლი მესხეთში ფართოდ გავრცელებული ქართული გვარების მოძღვრიშვილისა და კოჟორიშვილის ანალოგიურია. შესაძლებელია, აქ ქურთული მოსახლეობის დამკვიდრების შემდეგ

¹ მ. ჯიქია, დასახ. ნაშრომი, გვ., 284

² К. Бараташвили, Грузинские фамилии мещков-мусульман, Тб., 1997, გვ., 19

³ Г. Мамулия, Концепция государственной политики Грузии в отношении депортированных и репатриированных в Грузию мещков, Централная Азия и Кавказ, №1(2), 1999 г. გვ., 154

ამ სოფელში მცხოვრები ქართული ოჯახების გაქურთების კვალიც ჩანდეს.¹

ამრიგად, ზემომოტანილი მასალიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ საბჭოთა რეჟიმმა 1944 წელს გასახლებული მოსახლეობის მეცნიერულ კვლევას ტაბუ დაედო, თუმცა ქართულ სამეცნიერო საზოგადოებაში არ შეწყვეტილა ხსენებული კონტინგენტის ეთნოისტორიული საკითხების შესწავლა. ისტორიულ წყაროებზე, საარქივო მასალებსა და ეთნოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით გასახლებულთა უმეტესობა წარმომავლობით (გამუსულმანებულ) ქართველად მიიჩნის, რაც ქართულ საზოგადოებაში მათი დაბრუნების და ინტეგრირების პროპაგანდისათვის სათანადო საფუძველს იძლეოდა. ანალოგიური პრობლემის წინაშე იდგა აზერბაიჯანი სადაც 1950-იან წლებში აზერბაიჯანის კომუნისტურმა მთავრობამ შუა აზიიდან მესხების დიდი ნაწილი ჩაასახლა. ამ კონტინგენტის ასიმილირებისათვის მნიშვნელოვანი იყო მათი და აზერბაიჯანელების ერთიანი გენეტიკური ძირების მოძებნა. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მეცნიერთა ნაწილმა მიზნად დაისახა სამხრეთ საქართველოდან დეპორტირებულთა თურქული წარმომავლობის მტკიცება. ამისათვის საჭირო გახდა საქართველოში თურქთა შემოსვლის ისტორიის დაბეჭელება, რაც მოითხოვდა უკვე არსებული არგუმენტების გაბათილებას, ისტორიული წყაროების ახლებურ (ზოგჯერ სრულიად არაადეკვატურ) ინტერპრეტირებას, თავად დეპორტირებულთა მიერ შექმნილი ნაშრომების უგულვებელყოფას და იმ ეთნოკულტურული ელემენტების უარყოფას, რომელებიც დეპორტირებულთა მნიშვნელოვანი ნაწილის ქართულ წარმომავლობაზე მეტყველებენ. ამგვარი მიდგომა ხშირად ყოველგვარ მეცნიერულ ობიექტურობასაა მოკლებული და კრიტიკას ვერ უძლებს.

¹ შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი (XVIII ს. შუა წლებიდან XIX საუკუნის შუა წლებამდე), თბ., 1975, გვ., 336

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბარათაშვილი მ., მესხ რეპატრიანტთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში, თბილისი, 1998

2. ბერძენიშვილი ნ., ბორჯომის ხეობა (დღიური) საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი I, ისტორიული გეოგრაფია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი 1964

3. ბერიაშვილი ლ., მიწათმოქმედება მესხეთში, თბ., 1973

4. ბოსტაშვილი ნ., იასე რაჭველის /მეზუხალა/ წერილები თურქეთიდან, თბ., 1991,

5. გოილაძე ვ., "მიწის ენა" მრუდე სარკვეში, თბ. 2007

6. გოილაძე ვ., ჰუნ-თურქების კავკასიაში, თბ., 2008. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. II, თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი და კომენტარები დაურთო ს. ჯიქიამ, თბ., 1941

7. ვარსკვლავიძე ი., ჩვენი ფესვები მესხეთის მიწაშია, თბ., 2000

8. ვაჩნაძე ნ., დეპორტირებული მესხი ქალის – ნაზირას წიგნი, "კავკასიური სახლი", თბ., 2005

9. თოფჩიშვილი რ., ქართველი მაჰმადიანები, ქართველი კათოლიკეები, ქართველი გრიგორიანები, სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის ბრძოლა მცირეაზიური მომთაბარე ტომების წინააღმდეგ, კრ. დიდგორი, თბ., 1991

10. თოფჩიშვილი რ., ქართული გვარსახელები, ეთნოისტორიული ეტიუდები, წიგნი I, თბ., 2005

11. თოფჩიშვილი რ., ქართული ანთროპონიმული მოდელი, წარსულში, აწმყოსა და მომავალში, ეთნოისტორიული ეტიუდები, წიგნი I, თბ., 2005

12. ითონიშვილი ვ., კავკასიის უძველესი ეთნონიმიიდან ("ჰონთა" ეთნიკური კუთვნილებისა და "ჰონთა ქვეყნის" ლოკალიზაციის საკითხისათვის), მაცნე, ისტორიის სერია, 1991, #1

13. ინგოროყვა პ., საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ, თბ., 1990

14. კირვალიძე გ., მოხსენებითი ბარათი, საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. კ. ნ. ჩარკვიანს, საქართველოს

სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ვ. მ. ბაქრაძეს, ლიტერატურული მესხეთი, 2011 წლის იანვარი, #1 (145)

15.ლომსაძე შ., სამცხე-ჯავახეთი (XVIII ს. შუა წლებიდან XIX საუკუნის შუა წლებამდე), თბ., 1975

16.ლომსაძე შ., მესხები, ახლციხური ქრონიკები II, თბ., 1997

17.სანაძე მ, «ქართლის ცხოვრება» და საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდი (ქართლოსიდან მირიანამდე) თბ., 2001

18. სვანიძე მ., გლეხთა მიწათმფლობელობისა და მიწისთარგებლობის წესები ახალციხის საფაშოში კანუნ-ნამეების მიხედვით, საკითხისათვის, ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1976

20.უმაროვ-გოზალიშვილი ხ, მესხთა ტრაგედია, “კავკასიური სახლი“, თბილისი, 2005

21.ჩიქოვანი თ., ჯავახეთი, თბ., 1982

22.ჩიტაია გ., მოკლე ანგარიში ეთნოლოგიური ექსპედიციის შესახებ მესხეთში, შრომები, ტ. III, თბ., 2001

23.ჩიტაია გ., გლეხის სახლი ქვაბლიანში, შრომები, ტ.1, თბ., 1997; ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, თბ. 1938.

24.ჯანიაშვილი ლ., 1944 წ. სამხრეთ საქართველოდან გასახლებულთა ეთნოისტორიული პრობლემები, თბ., 2006

25.ჯიქია მ., ქართული ანთროპონიმები, “გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით“, ქართული ონომასტიკა II, 2004

26.Алиева И. Политическое и социально-экономическое положение азербайджанцев тифлисской губернии (1846-1917) «Тахсил» Баку-2009

27.Бакрадзе Д. Исторически очерк Турецкой ситемы земловладения. Приложение к протоколу Кавказского юридического общества №9, Тф. 1889

28.Бараташвили Л., Бараташвили К. Мы – Месхи. Литературная Грузия. 1988, №8, №9, №10, №11

29.Бараташвили К, Грузинские фамилии месхов-мусульман, Тб., 1997

30.Бугай Н., Турки из Месхетии: долгий путь к реабилитации, Москва, 1994 г

31.Вермишев Х.А. Экономический быт государственных крестьян в Ахалцихском и Ахалкалакских уездах Тифлисской губернии, МИЭБГКЗ, т.3, ч.2, Тифлис, 1886

32. Загурский Л. П. Поездка в Ахалцихский уезд в 1872 г. Тифлис 1873
33. Кучаев М.Н. Акчевое и тапное земледелие в Ахалцихском уезде, СМЭБГКЗ, т.5.ч.2. Тб., 1888
34. Лурье М., Месяц ожидания и тревоги, Правда, 5 июля, 1989
35. Мамулия Г., Концепция государственной политики Грузии в отношении депортированных и репатрированных в Грузию месхов, Центральная Азия и Кавказ, №1(2), 1999 г..
36. Марр Н.Я. Племенной состав населения Кавказа, классификация народов Кавказа (рабочий проспект), Петроград 1920
37. Осипов А. Г., Основные направления изменений в самосознании и культуре ахалцихских (месхетинских) турок. 20-е годы XIX – 90-е годы XX в. Диссертация на соискание ученой степени кандидата исторических наук, М., 1993
38. Осипов А. Дискриминация по этническому признаку против мигрантов в Российской Федерации. Бюллетень (антропология, меньшинства, мультикультурализм), №1, Декабрь, 1999.
39. Панеш Э., Ермолов Л, Месхетинские турки, Вопросы истории 1991, #9-10
40. Сборник материалов для описания Тифлиской губернии, под редакции К.Л. Зиссермана, Т. 1. Выпуск 1, Тифлис 1870
41. Хаханов А., Месхи, Этнографический очерк, Этнографическое обозрения, Москва 1891
42. Юнусов А., Ахыскинские (месхетинские) турки: дважды депортированный народ, Баку, 2000
43. Юнусов А., Ахыскинские (месхетинские) турки: дважды депортированный народ, Центральная Азия и Кавказ, №1(2), 1999 г. http://www.ca-c.org/journal/cac-02-1999/st_20_junusov.shtml
44. Swerdlow Steve, Reflections on Transnational Minorities and Human Rights: Meskhetians and Hemshins in Georgia and Krasnodar, BULLETIN antropology minoritis multiculturalizm, #5, 2004;
45. Tomlinson K., Meskhetian Turks: Displacement, Self-Perception, and the Futur, Bulletin antrhopology minorities multiculturalism, #6, 2004

summary

The history of Turkish infiltration in Georgia and the issue of identity of the deported population from Meskheta in the scientific literature.

Two polarised theories have been formed regarding the ethnic history of the population forcefully deported from southern Georgia (Meskheta) by the Soviet regime. Both theories recognise this contingent as autochthonous population, though they regard differently their ethnic origins. According to the first theory, the majority of the deported were Georgian by origin (though, it is considered as undoubted that there were Turkish, Kurdish and Armenian/Hemshin groups among the deported), whose ancestors accepted Islam during sorrowful historical times. Supporters of the other theory maintain that ethnicity of the deported was mostly determined by the continuous and natural concentration of the Turkish substratum in the territory of Meskheta.

The Georgian historical writings, which have a long tradition and respective grounds of research, maintain that the majority of the deported are descendants of ethnic Georgian population of Meskheta. Although, in many cases, origins are regarded the same as the current situation and a big part of the deported is considered as the group with a so called "Georgian orientation". The other trend is comparatively new. The global trends that took place at the end of 20th century put on the agenda the need to find new conceptual paradigms, which was dictated by the ethnic policy of big states, on the one hand, and by the need to ensure national mobilisation and concentration of "small nations", on the other hand. It was this very area of scientific interest that the deported population from southern Georgia in 1944 came to fall under. A part of the researchers deemed necessary to attest their Turkish origins. To prove this thesis required to have older history of Turkish expansion into Georgia. This is a very difficult task. It was necessary to nullify existing arguments, to create new and sometimes inadequate interpretations of historical sources,

to find "Turkish" etymologies for Georgian toponyms, to neglect the works by the deported population and to ignore those ethno-cultural elements, which speak about Georgian origins of the significant part of the deported population. Such approach is often devoid of any scientific objectiveness and is beneath criticism.

რელიგიური და ეთნიკური ფაქტორების ურთიერთმიმართების პრობლემა ისტორიული სამცხის მოსახლეობაში

საყოველთაოდ ცნობილია, რომ შუა საუკუნეების მსოფლიოში რელიგიურ ფაქტორს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ეთნიკურობა და რელიგიურობა თითქმის ერთმანეთის იდენტური ცნებები იყო. ეთნოსში ახალი რელიგიის გავრცელება ხშირად ეთნიკური იდენტობის შეცვლას, ასიმილაციას იწვევდა. მსოფლიოს ხალხთა ეთნიკურ ისტორიიდან რელიგიის შედეგად ეთნიკურობის შეცვლის არაერთი ფაქტი შეიძლება მოვიყვანოთ. მაგალითად, ჩრდილოეთ აფრიკაში, ეგვიპტელთა და ბერბერთა შორის, არაბთა პროზელიტური საქმიანობის შედეგად, რეგიონის არაბიზაცია შეიძლება დავასახელოთ. სამხრეთ კავკასიაში სომხური მონოფიზიტური ქრისტიანობის გავრცელებას კი ადგილობრივი ალბანელების ერთი ნაწილის გასომხება მოჰყვა (მხედველობაში გვაქვს თანამედროვე ყარაბაღი). ეთნიკურ ისტორიაში როდესაც რელიგიური ფაქტორის როლზე საუბრობენ, ხშირად სამხრეთ სლავების მაგალითი მოჰყავთ: საერთო წარმომავლობის ერთენოვანი სერბები, ხორვატები, ბოსნიელები და ჩერნოგორიელები სხვადასხვა რელიგია-კონფესიებმა სხვადასხვა ხალხებად ჩამოაყალიბა.

საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს არაერთ სხვა ქვეყანაში, ეთნიკურობაზე წინ რელიგიურ ფაქტორს აყენებდნენ. ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად, მართლმადიდებელი ქრისტიანობის მქონე ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი ქვეყანაში ქართველად მიიჩნეოდა. მე-8 საუკუნის მწერალი იოანე საბანისძე თავისი გმირის შესახებ ასეთ სიტყვებს ხმარობს: „აბო ისმაიტელ-ყოფილისა ქართველისაი.“ აბო, რომელიც ეთნიკურად არაბი და სარწმუნოებით მაჰმადიანი იყო, ქრისტიანობისათვის ეწამა.

თხზულების ავტორისათვის (და, ბუნებრივია, იმდროინდელი საზოგადოებისათვისაც) მაჰმადიანყოფილი არაბი უკვე ქართველია მას შემდეგ, რაც მან მიიღო ქართული აღსარება ქრისტიანობისა. ენობრივ ფაქტორთან ერთად, რელიგიურ ფაქტორზე ამხვილებდა ყურადღებას მე-10 საუკუნის მწერალი გიორგი მერჩულეც: „ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირაგებების, რომელსა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების.“ არაბთა ბატონობის შედეგად, მართალია, ერთიანი სახელმწიფო მოიშალა და ქვეყანაში ახალი ფეოდალური სამთავროები წარმოიქმნა, მაგრამ ეკლესია ერთიანობას იცავდა, რაც გარანტი იყო ეთნიკური/ეროვნული მთლიანობისა. ქართული საისტორიო წყაროებით, განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქაში ეთნიკურობასთან მიმართებაში რელიგიური ფაქტორი უკვე გადაწყვეტი ალარ იყო; ამ დროს ქართველებად, ეთნიკურად არაქართველები და არამართლმადიდებელი სარწმუნოების მატარებელნიც მიიჩნეოდნენ. მთავარი იყო ესა თუ ის პიროვნება საქართველოს სახელმწიფოს მოქალაქე და ამ სახელმწიფოს სამსახურში ყოფილიყო. „უკვე საკმარისი არ ხდება რელიგიური მომენტი. უფრო მეტია ეროვნული შეგნება.“¹

ვითარება იცვლება გვიანი შუა საუკუნეებიდან. სხვა აღმსარებლობის (ისლამის, კათოლიკობის, მონოფიზიტობის) მატარებელ ეთნიკურ ქართველს ახლა უკვე ქართველად აღარ მიიჩნევდნენ. მაჰმადიანები „თათრებად“ მოიხსენიებოდნენ, მონოფიზიტები – „სომხებად“ და კათოლიკეები – „ფრანგებად“. ამ გარემოებამ, ერთ შემთხვევაში (ადრე და განვითარებულ შუა საუკუნეებში), თუ ეთნიკური ინტეგრაცია განაპირობა, მეორე შემთხვევაში (გვიან შუა საუკუნეებში), პირიქით, ერთიანი ქართული ეთნიკური ერთობის რღვევა გამოიწვია, როდესაც ეთნოსის შემკვერელი საერთო სახელმწიფოებრიობა აღარ არსებობდა და ქვეყნის ზოგიერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე სხვა სახელმწიფოს შემადგენლობაში მოექცა. მაგალითად. ქვემო ქართლში ადრევე მკვიდრობდნენ მონოფიზიტი ქრისტიანი ქართველები, რომლებიც, ჩვეულებრივ, სომხებად

¹ჯანაშია ს. შრომები. ტ. მე-6, თბ., 1988, გვ. 179.

მოიხსენიებოდნენ, თუმცა მათ სომხური არც ტრადიცია გააჩნდათ და არც ენა. რაც შეეხება სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებს (სამცხე, ჯავახეთი, ერუშეთი, კოლა, არტაანი, შავშეთი, კლარჯეთი, ტაო), აქ ძირითადად ისლამმა მოიკიდა ფეხი, თუმცა კათოლიკე ქართველებიც („ფრანგები“) უმნიშვნელო რაოდენობით არ იყვნენ. თქმული სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ სამცხისა და ჯავახეთის მკვიდრმა ქართველებმა მამა-პაპათა მართლმადიდებლური რწმენა არ შეინარჩუნეს.

სამცხესა და ჯავახეთში მიმდინარე რელიგიური პროცესები პოლიტიკური ფაქტორებით იყო განპირობებული – მე-16 საუკუნის ბოლოს ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები, მათ შორის, სამცხე. ხოლო 1625 წელს სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკურმა ერთეულმა არსებობა შეწყვიტა. საისტორიო წყაროებით, აშკარაა, რომ მე-16 საუკუნის ბოლოს სამცხის მოსახლეობა ქართული იყო. ამის დამადასტურებელი ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტია 1595 წელს ოსმალეთის ხელისუფალთა მიერ შედგენილი „გურჯისტანის ვილაიეთის დავთარი“.

საყურადღებოა, რომ საოჯახო სიების მიხედვით, მთლიანად ქართველი მაჰმადიანებით (სუნიტებით) იყო დასახლებული ქობლიანის უბნის ადიგენის სასოფლო საზოგადოებაში შემავალი სოფლების მოსახლეობა. ეს სოფლებია: ადიგენი, აფიეთი, არძნე, ბოლაჯური, დაღვა, გოდერძი, გორთუბანი, გუგუნაური, დერცელი, ზანავი, ზარზმა, ზედუბანი, კეხოვანი, მლაშე, მოხე, ნამნიაური, ოსიაური, ფლატე, საირმე, დიდი სმადა, პატარა სმადა, უთხის-უბანი, ციხის-უბანი, წრე, ჭეჭლა, ჩორჩანი. ამ სასოფლო საზოგადოებაში „ნაროდნოსტის“ გრაფაში „თათარი“ მხოლოდ სოფელ გომაროს მკვიდრებს (11 ოჯახი, 123 სული) აქვთ მიწერილი. დანარჩენნი ეროვნებით ქართველებად და სარწმუნოებით სუნიტებად არიან დაფიქსირებულნი. ამ სასოფლო საზოგადოებაში მთლიანად ქართველი მაჰმადიანების რაოდენობა 651 კომლი და 5101 სული იყო. ერთ სოფელში ქართველ მუსლიმებთან ერთად, ქართველი კათოლიკეებიც ცხოვრობდნენ. ეს იყო სოფელი

ბოლაჯური (ქართველი მაჰმადიანები – 327 სული და ქართველი კათოლიკეები – 43 სული). 1886 წლის საოჯახო სიების შესაბამისი სოფლების დედნებს თუ თვალს გადავავლებთ, შემდეგ სურათს დავინახავთ: ერთ დავთარში ადიგენის მთელი მოსახლეობა ქართველბადაა ჩაწერილი, მაგრამ არც ერთი ოჯახი გვართა არაა ფიქსირებული. ისინი, ჩვეულებრივ, სახელითა და მამის სახელით არიან წარმოდგენილნი შვილის შესატყვისი თურქული ლექსიკური ერთეულით „ოღლი“. ადიგენის ქართველ მაჰმადიანებს „იაზიკ დომანის“ გრაფაში „თურქული ენა“ უწერიათ. მაგრამ ადიგენის შესახებ მეორე დავთარიც არსებობს. ეთნიკურობის, სარწმუნოებისა და ენის გრაფაში იგივე ჩანაწერები არსებობს. სოფელ ადიგენში 85 კომლი მაჰმადიანი ქართველი ცხოვრობდა (573 სული). ქართული გვარები კი ზედმიწევნითაა აღწერილი: მაზინაშვილი, კიკიაძე, აფაქიძე (4 კომლი), პამკიძე, უჯმანიძე, ფრაციშვილი (3 კომლი), მაკარიძე, ლაპკიძე, რატანიკიძე, იაშვილი, სადინაძე/სადუნაძე, ჩალოშვილი, ტუიკუნაშვილი, კეკელიძე, ჩხოკაძე (2 კომლი), ზაზაშვილი, მუცლიშვილი (2 კომლი), ალიშაკიძე (?) (3 კომლი), ტუიგულაშვილი, ჩაპალაშვილი, ბარამიძე, პაპიალიშვილი, მეხტარბაშვილი, კიკინაძე (4 კომლი), გბოპაძე, ალიშანიძე, მარამიძე (2 კომლი), პაპიასშვილი (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.#1836, გვ. 68-100). 1930-იანი წლების დასაწყისში გ. ბოჭორიძეს დაუფიქსირებია: „ადიგენი. აქ არიან გადმოსახლებული კეკელიძე, მაკარიძე, ჩოკოძე, ლორთქიფანიძე, ერისთავი-გიჯავაძე სულეიმან ბეგ.“¹ ამავე წყაროთი ზემოთ ნახსენები მუხტარბაშიელების თავდაპირველი ქართული გვარი ლორთქიფანიძე ყოფილა. ცალკეა აღწერილი ადიგენის პრივილეგირებული ფენა. ესენი იყვნენ: „ფაგრატ ბეკ დადა ბეკ ზადე ერისტოვ“ და „სულეიმან ბეკ დადა ბეკ ზადე ერისტოვ“. ძმებ ერისთავებს ეროვნების გრაფაში ქართველი უწერიათ. სალაპარაკო ენას კი მათთვის უკვე თურქული წარმოადგენდა (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.#1838, გვ. 2).

სოფელ გორთუბანში 33 ოჯახი (240 სული) ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობდა. მხოლოდ 7 კომლი ჩაწერილია ქართული გვარით (მემკვიდრეობითი სახელით) – ჩხოკაძე. ყველა მათგანს „იაზიკ

¹ გ. ბოჭორიძე. მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1992, გვ. 81.

დომანის“ გრაფაში მიწერილი აქვთ „თურქული“ და „ქართული“. ე. ი. ამ სოფლის მკვიდრნი ორენოვანნი იყვნენ – ქართულთან ერთად თურქულიც ჰქონდათ შესწავლილი (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.#1836, გვ. 38-40).

სოფელი აფიეთის (14 კომლი, 116 სული) მკვიდრებს საოჯახო სიების დედნებში ეთნიკურობის გრაფაში „თურქი“ აქვთ მიწერილი. ამ შემთხვევაში ეთნიკური მონაცემები საარქივო დედნისა და დაბეჭდილი სტატისტიკური მონაცემებისა ერთმანეთს არ ემთხვევა. ენის გრაფაშიც აფიეთელებს „თურქი“ უწერიათ. მაგრამ ამ სოფლის მკვიდრნი ეთნიკურად ქართველები რომ იყვნენ, ამას აღნიშნული საოჯახო სიების დედნები მოწმობს. 6 კომლი აფიეთელი ქართული გვართ (დუაძე) არის მოხსენიებული (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.#1836, გვ. 41-44). იმავე წლის დავთრის სხვა ჩანაწერით, აფიეთელი (14 კომლი, 116 სული) ქართველი სუნიტების გვარები იყო დუაძე (10 ოჯახი) და დავლარიძე (2 ოჯახი) (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.#1836, გვ. 193-205).

1886 წლის საოჯახო სიების დედანში სოფელ ზედუბანის (30 ოჯახი, 244 სული) მკვიდრებს ეთნიკურობის გრაფაში ყველას ქართველი უწერია, სალაპარაკო ენა კი – თურქული. ერთი ოჯახი ქართული გვართაც (ჩოკაძე) არის ჩაწერილი (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.#1836, გვ. 45-46). ზედუბანის სხვა აღწერაც არის შემორჩენილი, რომელშიც უკვე რამდენიმე ქართული გვარია შეტანილი: ჩოკაძე (3 კომლი), ჩხოკოძე (3 კომლი), დიმიტრაძე (6 კომლი) (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.#1842, გვ. 177-183).

მართალია, დაბეჭდილ სტატისტიკურ მონაცემებში ნამნიაურის მკვიდრები ქართველებად არიან დაფიქსირებულნი, მაგრამ საოჯახო სიების დედნებში ენით, ეროვნებით და საარწმუნოებით თურქებად არიან აღრიცხულნი, მაგრამ ქართული გვარები მათ უდავოდ ქართველობაზე მიუთითებს; ეს გვარები იყო: პაპილაშვილი, ნაკაშიძე, თადგორიძე, მათოშვილი. ამ გვარის მატარებელი სოფელ ნამნიაურში 1879 წელს სოფელ ჭეჭლადან იყო გადმოსახლებული (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.#1836, გვ. 48-49). ამავე საოჯახო სიების სხვა დავთრით ნამნიაურელები ქართველებად არიან დაფიქსირებულნი. ამ დავთარში პაპილაშვილის ნაცვლად

პეპინაშვილი იკითხება, თადგორიძის ნაცვლად – თავდარიძე (3 კომლი). აქვე ბექაძეების 4 ოჯახს უცხოვრია. სოფელში 4 წლის გადმოსახლებული ყოფილა ჩოფაძე (ადიგენის საზოგადოების სოფელ გორთუბნიდან) (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.#1846, გვ. 44-55). პეპინაშვილები სოფელ მარეშიმც (დავთარში ასეა დაფიქსირებული. სინამდვილეში ესაა უდეს საზოგადოების სოფელი მარელი) ცხოვრობდნენ. აქ ამ გვარისანი (4 კოლი) რუსული სუფიქსით (პეპინოვი) არიან შეყვანილი და ბეგების სოციალურ ფენას მიეკუთვნებოდნენ. ბეგები კი ქართველ თავად-აზნაურთა შთამომავალი იყვნენ.

სოფელ ჩორჩანში 19 ოჯახი ცხოვრობდა (124 სული). რამდენიმე ოჯახი ამ სოფელშიც ქართული გვარებით იყო აღრიცხული: ოგიშვილები და კუნჭულაშვილები (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.#1836, გვ. 50). ჩორჩანის მეორე დავთარში უფრო მეტი ქართული გვარია შეტანილი; ეს გვარებია: გოგიბერიძე (2 ოჯახი), კოშაძე, კუნჭულაშვილი (2 ოჯახი), ოსიშვილი (?), რესაშვილი, ჯინჯალიძე (2 ოჯახი), დარანიძე, ბუზმარეთიშვილი, ჩაკმაძე (2 ოჯახი), ბათნიძე, ჩოლიშვილი (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.#1856, გვ. 62-71). მე-20 საუკუნის 30-იან წლებში ჩორჩანის „ეკლესია ახლა უჭირავს მაადინ ეიდაროდლი ლუხუმანიძეს.“¹

პატარა სმადელების ქართული გვარები იყო: აბრაზაშვილი და თურმანიძე (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.#1836, გვ. 51). 1886 წლის საოჯახო სიების სხვა დავთარი უფრო მეტი ინფორმაციის შემცველია. ირკვევა, რომ სოფელში თურმანიძეები 6 კომლი ყოფილან. პატარა სმადაში ცხოვრობდნენ აგრეთვე ბარამიძეები და მოსიძეები (3 კომლი) (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.#1850, გვ. 63-81). სოფელ ციხისუბანში თავდგირიძეებს უცხოვრიათ (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.#1836, გვ. 52). დერცელის (17 ოჯახი, 140 სული) მკვიდრთა ქართული გვარები იყო დუნუკიძე და წულუკიძე. გ. ბოჭორიძეს ანიშნული აქვს: „სოფელი დერცელი. მურთაზ შაჰაბაზოლლი ჭულუკიძე.“² რაც შეეხება სოფელ წრეს (23 კომლი, 161 სული), მისი მკვიდრნი ქართველებად არიან ჩაწერილი, მაგრამ სარწმუნოების გრაფაში „მაჰმადიანი“ უწერიათ. სალაპარაკო ენად „თურქული“

¹ გ. ბოჭორიძე. მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1992, გვ. 37.

² გ. ბოჭორიძე. მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1992, გვ. 86.

ჰქონიათ. ქართულ გვართაგან წრეში აფაქიძეს ვხვდებით. წრეს 1886 წლის სხვა დავთრით ირკვევა, რომ აფაქიძეები აქ ადიგენიდან ყოფილან გადმოსახლებული 1881 წელს. აქვე დასახლებულია ქართველ მაჰმადიანთა კიდევ რამდენიმე გვარი: მირიალაევი (3 კომლი), ლასურიძე (5 კომლი), ბერიძე (4 კომლი) (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.#1853, გვ. 79-90).

სოფელ ჭეჭლაში (62 კომლი, 430 სული) საოჯახო სიების დედნების მიხედვით, ყველა ქართველი ცხოვრობდა, თუმცა ენის გრაფაში „თურქული“ აქვთ დაფიქსირებული. ამ სოფლის მკვიდრი ქართველი მაჰმადიანების ქართული გვარები იყო: კარწელაშვილი, დედულაძე, მათომვილი (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.#1836, გვ. 56-58). თუმცა უფრო სრულყოფილია სხვა დავთარი, რომლიდანაც ჩანს, რომ ჭეჭლაში კარწელაშვილების 6 ოჯახი ცხოვრობდა, დედულაძეების – 4 ოჯახი. ამას გარდა სოფელში გვხვდება კიდევ სხვა ქართული გვარებიც: თულაბერიძე (3 ოჯახი), მახაშვილი (3 ოჯახი), ჯალაშვილი, პიპინაძე (2 ოჯახი. შდრ.: ნამნიაურელ და მარეველ პეპინაშვილ-პეპინოვებს; პიპინაშვილები გუგუზნაურშიც ცხოვრობდნენ), ტოსომვილი (2 ოჯახი), ქურდიშვილები (2 ოჯახი), ჭილაძეები (5 ოჯახი), პიბომვილები / პობომვილები (2 ოჯახი), ჩუნთომვილები (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.#1856, გვ. 14-38).

ანალოგიური ვითარებაა დაფიქსირებული სოფელ ზანავში (36 ოჯახი, 302 სული). შიგადაშიგ ზანაველებს ქართული გვარებიც აქვთ მიწერილი; ესენია: ჩახომვილი და ჩიკილაძე (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.#1836, გვ. 59). უფრო სრულყოფილია ზანავის მეორე აღწერა. მისი მიხედვით სოფელში ჩახომვილები 6 ოჯახი ყოფილან, ჩიკილაძეები – 3. ამას გარდა, ცალკე ერთი ოჯახი ჩიკილაშვილადაა დაფიქსირებული. აქვე უცხოვრიათ ბესომვილებს (2 კომლი), ვარდიძეებს, ძივაძეებსა (4 კომლი) და მარკოზაშვილებს (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.#1842, გვ. 191-203). მე-20 საუკუნის 30-იან წლებში გ. ბოჭორიძეს დაუფიქსირებია: „ზანავში არის გვარი ჩიკაძე (ჭიკაძე?).“¹

სოფელ გოდერში (27 კომლი, 225 სული) გვახიბებებს უცხოვრიათ (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.#1836, გვ. 60-61). სოფელი გოდერში ორჯელ

¹ გ. ბოჭორიძე. მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1992, გვ. 81.

აღურიცხავთ. მეორე აღწერას წინ შენიშვნა უძღვის, რომ სოფელი გოდერძი სამი უბნისაგან შედგება: „კაწარაული“, „გოდერძი“ და „გვერნი-ოღლარი“ მეორე საბუთში უფრო მეტი ქართული გვარია დაფიქსირებული. კაწარაულის მკვიდრნი ყოფილან ბაქნიძეები (ბატნიძეები - ?) (3 კომლი) და შირაძეები (5 ოჯახი), მაგალითად, „იხარაგიმ ალი ოღლი შირაძე“. უშუალოდ გოდერძში უცხოვრიათ: ნალავაშვილებს, გვახიძეებს (3 კომლი), გვერნიშვილებს (3 კომლი) და წენგოშვილებს. გვერნი-ოღლარის უბანში გამოიყოფოდნენ: ლაფოშვილები (მაგალითად, „დადა სულიემან ოღლი ლაფოშვილი“) და გაფოშვილები (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.#1840, გვ. 1-16). გ. ბოჭორიძე აქ სხვა გვარსაც მიუთითებს: „გოდერძელი აზას ქიამალ ოღლი კორკალაძე.“¹

ზარზმელ ქართველ მაჰმადიანთა (8 კომლი, 93 სული) ქართული გვარები ყოფილა ჩივჩიშვილი და შავთვალიძე (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.#1836, გვ. 61). სხვა დავთარში ზარზმის უფრო სრულყოფილი ვითარებაა მოცემული, რომლის მიხედვითაც ჩივჩიშვილები და შავთვალიძეები 2-2 კომლი ყოფილან. აქვე მოიხსენიებიან: თურმანიძეები, მამულაშვილები, ჩიკოლაშვილები და ფოცხოვლიშვილები (თითო კომლი). ანალოგიური ვითარება იყო ადიგენის სასოფლო საზოგადოების სოფელ დაღვაშიც (13 კომლი, 106 სული). დაღველებიც ქართველებად არიან აღრიცხულნი, ოღონდ ქართული გვართ 13 კომლიდან მხოლოდ 9 კომლია წარმოდგენილი: ჩხოვ(პ)აძე (4 ოჯახი), ცოლიკიძე, ჩხეიძე, ჩოკაძე (3 კომლი) (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.#1840, გვ. 112-121). „ქვედა დაღვი არის ცაცანიძეები, ჩხიაძე (ჩხეიძე?) 10 კომლი.“² ეროვნება „ქართველი“ აქვთ მიწერილი ადიგენის სასოფლო საზოგადოების სოფელ გუგუნაურის / გოგონაურის მკვიდრებსაც. ამ სოფლის მკვიდრ მაჰმადიან ქართველთა გვარები იყო: პიპინაშვილი, დვალიშვილი (2 კომლი), თურმანიძე, ჭალიძე და ჭყყაძე (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.#1841, გვ. 27-33). „გუგუნაურში არის ძველიდან დარჩენილი კარაპანი. იგი ეკუთვნის ფაჰრად აჰნად-ოღლი ფიფიას, იგივე ფიფაძეს.“³ 1886 წლის საოჯახო სიებში ქართველებად არის

¹ გ. ბოჭორიძე. მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1992, გვ. 140.

² გ. ბოჭორიძე. მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1992, გვ. 135.

³ გ. ბოჭორიძე. მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1992, გვ. 132.

ჩაწერილი სოფელ დერცელის (17 კომლი, 140 სული) მოსახლეობაც, თუმცა მათ სალაპარაკო ენას უკვე თურქული წარმოადგენდა. დერცელი სამი უბნის ერთობლიობას წარმოადგენდა; ეს უბნებია: თვით დერცელი, მარკიძელარი და ჯაბიაური. დერცელის უბანში ცხოვრობდა ჩხაიძეების მაჰმადიანთა გვარი, ჯაბნიაურში – წულუკიძეები (3 ოჯახი), მარკიძეებში/მარკიძელარში – მღებრიშვილები (2 კომლი), დუნუკიძეები, გელაძეები, ჯავახიძეები, ცულაპერიძეები, რემოშვილები, ჩხაიძეები (4 კომლი) და მარკიძეები (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.#1841, გვ. 121-139). როგორც ვხედავთ, უბანში „მარკიძელარი“ მარკიძეების ერთი ოჯახიდა იყო შემორჩენილი. ბუნებრივია, ეს უბანი თავდაპირველად ამ გვარის ხალხით იყო დასახლებული. გ. ბოკორიძეს დაფიქსირებული აქვს: „დერცელში არის თურან მგელაძე, გადმოსული გურიიდან. აქ არის 15 კომლი მგელაძენი. თურანი მშვენიერად ლაპარაკობს ქართულს. ცაცანიძეც კარგად ლაპარაკობს ქართულს.“¹

სოფელ მლამის მკვიდრებს (19 კომლი, 194 სული) 1986 წლის საოჯახო სიებში ეთნიკურობა „ქართველი“ ეწერათ, თუმცა საოჯახო ენის გრაფაში ყველა მათგანს „თურქული“ აქვს მიწერილი. ამ სოფლის მკვიდრნიც, ჩვეულებრივ, სახელითა და მამის სახელით („ოღლობით“) არიან დაფიქსირებულები, მაგრამ ზოგიერთ მათგანს ქართული გვარიც აქვთ მიწერილი: თურმანიძე, გვარაძე და კიპაბალიძე (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.#1836, გვ. 62-63). იმავე საოჯახო სიების მეორე დავთარით ირკვევა, რომ მლამეში მაჰმადიან თურმანიძეთა 4 კომლი იყო, გვარაძეებისა კი – 2. დასახლებულნი არიან აგრეთვე გვახიძეები (2 კომლი), კარელიძეები, სარალიძეები, შარაძეები, კოტობანიძეები, გარელიძეები, ჩალახიშვილები (2 კომლი) და დემუბეგიშვილები (?) (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.#1845, გვ. 1-11). ანალოგიური ვითარებაა ასახული ბოლაჯურის (48 კომლი, 370 სული) აღწერაშიც. ბოლაჯურელ მაჰმადიანებს „ნაროდნოსტის“ გრაფაში ყველას ქართველი აქვს მიწერილი, თუმცა მათ ასევე ყველას ქართული ენა უკვე თურქულით ჰქონდათ შეცვლილი. მართალია ბოლაჯურელი ქართველი მაჰმადიანები „ოღლობით“ სახელითა და მამის სახელებით არიან საოჯახო სიებში წარმოდგენილი,

¹ გ. ბოკორიძე. მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1992, გვ. 135.

მაგრამ ასევე თითოეულ ოჯახს ქართული გვარიც არ ჰქონდა დაიწყოებული: ლომანიძე, ხელაძე (3 ოჯახი), ტაბატაძე (8 ოჯახი), კოლაძე (8 ოჯახი), მაკარიძე (2 ოჯახი), ლაჩაშვილი (2 კომლი), ბაღდოშვილი, გორგაძე, სანიკიძე, სარიძე, ჯინჭარაძე (5 კომლი).

ანალოგიური ვითარება გვექონდა სოფელ არძნეში (15 ოჯახი, 114 სული). ოღობით ჩაწერილ არძნელ ქართველ მაჰმადიანებს შიგადაშიგ ქართული გვარებიც აქვთ მიწერილი; ეს გვარებია: მოსიძე, შაგანიძე, ჯავახიძე და დვალისძე (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.#1836, გვ. 175-181). „არძნეში არის გვარები: შანიძე 25 კომლი (ამათივე გვიანი ხანის გვარია კაკუჭაძე), თურმანიძე იგივე ოსიძე 1 კომლი, კეკელიძე 6 კომლი.“¹ სოფელ დიდ სმადამიგ მაჰმადიანი ქართველები მკვიდრობდნენ (32 კომლი, 180 სული). 1886 წლის საოჯახო სიებში დიდ სმადამი ალმწერებს მხოლოდ ერთი ქართული გვარი აღურიცხავთ – ბიძინაშვილი (3 კომლი) (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.#1839, გვ. 156-187).

1886 წლისათვის ადიგენის სასოფლო საზოგადოების სოფელ კეხოვანში (18 კომლი, 193 სული) მთლიანად ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობდნენ. საოჯახო სიების დედანში დაფიქსირებულია კეხოვნელი ქართველი მაჰმადიანების ქართული გვარებიც: გოლოთიძე (9 ოჯახი), დარჩიძე (4 ოჯახი), პაპიძე და შავაძე (2 ოჯახი) (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.#1843, გვ. 151-160).

სოფელ მოხეში 35 კომლი (326 სული) მაჰმადიანი ქართველი ცხოვრობდა. მოხელები უკვე თურქულ ენაზე იყვნენ გადასული, რომელთაგანაც მხოლოდ ზოგიერთია ქართული გვარით აღრიცხული: წულუკიძე, ჩხოკოძე, მახარაძე (2 ოჯახი), კაპჩაძე/კაპცაძე (4 ოჯახი), ჩხაიძე, დაგიანიშვილი, მოლაკიშვილი, ტალიშვილი, ტაკლანაშვილი, თრითინაშვილი (2 ოჯახი) (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.#1845, გვ. 14-35; საქმე# 345, გვ.264). ამ სოფელში მახარაძეები 1863 და 1873 წელსაც იყვნენ დაფიქსირებულნი: „ჰუსეინ მამუდ ოღლი, იგივე მახარაძე“ (სცსსა, ფონდი 254, ან.3, საქმე #282, გვ. 892-898). ადიგენის სასოფლო საზოგადოებაში შედიოდა ყველაზე პატარა სოფელი ოსიაური / ოსიეთი. ოსიაურში

¹ გ. ბოჭორიძე. მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1992, გვ. 131.

ორი კომლი მოსიძე¹ და ერთი კომლი მაკარიძე ცხოვრობდა. ეს უკანასკნელი 1876 წელს ადიგენიდან იყო გადმოსახლებული. ამ სოფლის მკვიდრნიც ეთნიკური ქართველები იყვნენ. ადიგენის სასოფლო საზოგადოების სხვა სოფლების ანალოგიურად ისინიც უკვე თურქულ ენაზე იყვნენ გადასული. აქვე მდებარეობდა სოფელი ფლატეც (31 კომლი, 275 სული). ამ სოფლის საოჯახო სიებში სამი ქართული გვარია შეტანილი: ზაზაშვილი (4 კომლი), წულუკიძე და ჯიჯინაშვილი (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.#1848, გვ. 127-143). სოფელ საირმის (7 კომლი, 78 სული) მკვიდრ მხოლოდ 4 კომლ მაჰმადიანი ქართველის გასწვრივაა ქართული გვარები დაფიქსირებული: დვალიშვილი (3 ოჯახი, მაგალითად, „იბრაიმ სელიმ ოღლი დვალიშვილი“) და ტეტაშვილი (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.#1849, გვ. 25-29).

1886 წლის საოჯახო სიებით, მაჰმადიანი ქართველები ცხოვრობდნენ ადიგენის სასოფლო საზოგადოების სოფელ უტყის-უბანშიც (12 კომლი, 100 სული). ამ სოფლის ქართული გვარებიდან დაფიქსირებულია შამანიძე (5 კომლი) და დემოშვილი (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.#1852, გვ. 31-38). „უტყისუბანში არიან სანიკიძეები 10 კომლი, ზოგი ქართულად ლაპარაკობს, აქვე შამანიძე.“² ამავე დროს სოფელ ციხის-უბანში ათი ოჯახი (71 სული) მაჰმადიანი ქართველი ცხოვრობდა და ყველა მათგანი გვარად თადგირიძე იყო (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.#1853, გვ. 103-109).

სოფელ აწყურში ქართველებად იყვნენ ჩაწერილი პრივილეგირებული ფენის წარმომადგენლები, მაგრამ მათ ენას თურქული წარმოადგენდა. ეს გვარები იყვნენ: ყიფიანები (3 კომლი) და „ზადე მუხრანსკი“ (2 კომლი) (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.#1837, გვ. 135). აქვე ქართველებად არიან ჩაწერილი მაჰმადიანები, რომელთა საოჯახო ენას ასევე თურქული წარმოადგენდა: „რაჯაბ იბრაიმ ოღლი გალიკაშვილი“, „მამუდ იუსუფ ოღლი ფაციევი“, „რაჯაბ იბრაჰიმ ოღლი კუპრაძე“, „საიდ სულეიმან ოღლი კუპრაძე“, „ოსმან მამედ

¹ სოფელში მოსიძეების მკვიდრობა იმაზე მოუთითებს, რომ ოსიაურის/ოსიეთის თავდაპირველი სახელწოდება „მოსიაური/მოსიეთი“ იყო. ცნობილია, რომ ქართული ტოპონიმების დიდმა ნაწილმა დროთა განმავლობაში სიტყვის თავში თანხმოვანი დაკარგა.

² გ. ბოჭორიძე. მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში. თბ., 1992, გვ. 86.

ოფლი მამუკაძე“, „ხალილ უსეინ ოფლი გურგენიძე“, „მუსტაფა ბეზგუნ ოფლი გურგენიძე“, „ალი ბეზგუნ ოფლი გურგენიძე“, „იმიხ მამედ ოფლი ჩუბინიძე“ (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.#1838, გვ. 15-72). ამ გვარების უმეტესობა, სხვა ქართულ გვარებთან ერთად, 1940-ანი წლების დასაწყისში იმდროინდელი ახალციხის რაიონის ხელმძღვანელის დოკუმენტშიც არის დაფიქსირებული, რომელშიც კიდევ ქართველ მაჰმადიანთა სხვა გვარებიცაა შეყვანილი (ბარათაშვილი, ორჯონიკიძე, ლომაშვილი, ლომიძე, ბაქრაძე, ჩხეიძე, მალრაძე, ხალაძე...)¹. აწყურის საზოგადოებაში შედიოდა სოფელი ტყემლანი/ტყემლოვანი. ამ სოფლის მკვიდრნი ქართველებად იყვნენ ფიქსირებულნი, საოჯახო სამეტყველო ენას კი თურქული წარმოადგენდა (37 კომლი, 273 სული). დასახელებულია ქართული გვარი ჩაკიძე (3 კომლი). 1873 წლის კამერალური აღწერის დავთრით ირკვევა, რომ ტყემლანაში ორი ოჯახის ქართული გვარი ყანჩაველი ყოფილა: „ქაირამ ყანჩაველ ოფლი“ და „ქაირიმ ქაირამან ოფლი, იგივე ყანჩაველ-ოფლი“ (სცსსა, ფ.254, ან.3, საქ.#283, გვ. 390). 1850 წლის დავთარში კი დაფიქსირებული არიან: „მამად ჩერეკაძე“ და „ყარამან გურჯი-ოფლი“ (სცსსა, ფ.254, ან.2, საქ.#2068, გვ.153-155). 1944 წლის დოკუმენტში ახალციხის რაიკომის მდივნის მიერ შედგენილ დოკუმენტში ტყემლანას მაჰმადიანურ ქართულ გვარებს შორის დასახელებულნი არიან აგრეთვე გვარამაძეები, ხმალაძეები და კორკოტაძეები². ლეპინის საზოგადოების სოფელ შალოშეთში ცხოვრობდნენ როგორც ქართველი მართმადიდებლები, ისე ქართველი მაჰმადიანები, რომელთა საოჯახო ენაც თურქული გახლდათ. ქართველებიდან აქ მელიქიძის 12 კომლი და ნადირაძეების 3 კომლი ცხოვრობდა. მელიქიძე ქართველ მაჰმადიანთა შორისაცაა აღრიცხული: „არიფე ალი ოფლი ალიკო ოფლი მელიქიძე“. მაჰმადიანთა ქართული გვარებიდან უნდა დავასახელოთ: ზურაბაძეები, თუთაძეები, მაშვიძეები, ვეფხიძეები (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.#1851, გვ. 107-125). შალოშეთში კი აღრიცხულნი იყვნენ: „სულეიმან ბეკ მუამედ ბეკ ზადე მაჩაბელი“, „აიდინ ბეკ ვახი ბეკ ზადე მაჩაბელი“ (სცსსა, ფ.

¹ საბჭოთა სამართალი, 1989, #7, გვ. 56.

² საბჭოთა სამართალი, 1989, #7, გვ. 56.

254, ან. 3, საქ.#1856, გვ. 207-208). ორივე ამ სოფლის მკვიდრნიც თურქულენოვან ქართველ მაჰმადიანებად არიან წარმოდგენილნი. სანიკიძეებსა და მაჩაბლებს ოდინდელი სოციალური სტატუსი შენარჩუნებული ჰქონდათ – ისინი ბეგები იყვნენ. იგივე შეიძლება ითქვას ზემოთ ნახსენებ ერისთოვებზე (ადიგენი), ზემო ოშორელ ავალოვებზე, გიორგიწმინდაძეებზე (სოფელი გიორგიწმინდა), ამილახვრებზე (სოფელი ზაზალო), ლორთქიფანიძეებზე (სოფელი ლელოვანი), თულაევეებზე (4 კომლი, სოფელი ტოლოში), ხერხეულიძეებზე (სოფელი ხურო), ფალავანდოვებზე (4 კომლი, ახალქალაქის მაზრის სოფელი დიდი ხოპსი. ამ სოფელში ცხოვრობდნენ აგრეთვე გონჯოლაძეები და თულიევეები), აბაშიძეებზე (7 კომლი, ახალქალაქის მაზრის სოფელი თოკი), ხერთვისელ ვაჩნაძეებზე (4 კომლი), კუჭაიძეებზე (3 კომლი) და კომურაძეებზე.

სოფელ ხუროში ასევე ქართველებად იყვნენ ფიქსირებულნი ხერხეულიძეები (2 კომლი, 11 სული), თუმცა საოჯახო ენად მათ თურქული ჰქონდათ. 1886 წლის საოჯახო სიებით აწყურის სასოფლო საზოგადოების სოფელ აგარაში სულ სამი კომლი მაჰმადიანი ცხოვრობდა, რომლებსაც ეთნიკურობის გრაფაში ქართველი აქვთ მიწერილი, ხოლო ენის გრაფის გასწვრივ „თურქული“ აქვთ დაფიქსირებული, თუმცა, როგორც ირკვევა, სინამდვილეში სხვაგვარ ენობრივ მოვლენასთან გვექონდა საქმე: „აგარაში 25 კომლია: გვარამაძე, ტულუშაძე, კოტაძე, ქართველი მაჰმადიანები. ქართულს ყველა კარგად ლაპარაკობს.“¹

ვარხანის საზოგადოების სოფელ წახანში მოსახლეობის უმრავლესობა ყოველმხრივ თურქადაა ჩაწერილი, მაგრამ 4 კომლი თურქულენოვანი ქართველი იყო: „იბრაჰიმ უსეინ ოღლი ხუციევი“, „დურახ ასან ოღლი მაღალოვი“ „სულეიმან ალა ბაქრაძე“, „მადად ალა ბაქრაძე“ (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.#1854, გვ. 12, 19, 30,35). ეს უკანასკნელი 1863 წლის აღწერის დავთარშიც არის შეყვანილი: „მადათ ალა აბდურახმან ალა ზადე ბაქრაძე“ (სცსსა, ფ. 254, ა.2, საქ.#345, გვ. 174). გ. ბოქორიძის მოპოვებული მასალებით, „წახნის წყაროს არის გვარი სარალიძე.“ „წახანში არის 240 კომლი:

¹ გ. ბოქორიძე, მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1992, გვ. 38.

ციციშვილი, ფეიზიშვილი, ნაფაშვილი, ხუციშვილი, ჭიჭინაძე, ქართული თითო-ოროლამ იცის.“¹

აწყურის საზოგადოებას მიეკუთვნებოდა სოფელი მეორე წინუბანი (65 კომლი, 566 სული). ამ სოფლის მკვიდრ ქართველ მაჰმადიანებს ქართული ენა დაკარგული ჰქონდათ და ისინი თურქულ ენაზე ლაპარაკობდნენ (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.#1855, გვ. 11-33). წინუბნის მკვიდრად გ. ბოჭორიძე ასახელებს „აზიზ ოსმან-ოღლი თოფალიძეს.“² „წინუბანში კომკი ყოფილა სულეიმან დადაძის და მისი მეზობლის ჩახალაი ტოტორაძის სახლების უკან.“³ წინამდებარე ნაშრომის ავტორთან ინახება სოფელ წინუბნიდან გასახლებულთა შთამომავლების მაჰომედ მეხტალის ძე ჩახალოვის, რაჯაბ მილადინის ძე და შარაფ მილადინის ძე ჰუსეინოვების და ბასხადორ სალიმოვის ძე ბახშიევის განცხადებები, რომლებიც დაწერილია 1993 წლის 25 აპრილს საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების ერთ-ერთი წარმომადგენლის ჯ. იოსელიანის სახელზე. ისინი ხელისუფალს სთხოვენ წინაპართა ქართული გვარისა და ეროვნების დაბრუნებას. პირველი მათგანის ქართული გვარი ყოფილა ტოტორაძე, მეორისა და მესამის – კილაძე, მეოთხისა – ჩოლაგიძე. განცხადებებს აწერია ჯ. იოსელიანის რეზოლუცია: „მესხების შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარეს – ბატონ გურამ მამულაის – გთხოვთ დაეხმაროთ და შუამდგომლობა გაუწიოთ შინაგან საქმეთა სამინისტროში. 17. 05. 93.“ 1944 წლის ოფიციალური დოკუმენტით სოფელ წინუბანში მართლაც ცხოვრობდნენ თოთორაძეები და ჩოლაგიძეები. აღნიშნულის აქ წარმოდგენა კიდევ უფრო იმიტომ მივიჩნიეთ საჭიროდ, რომ საბჭოთა პერიოდშიც ხდებოდა მაჰმადიან ქართველთათვის ქართული გვარების შეცვლა. გ. ბოჭორიძეს წინუბანში მოხსენიებული ჰყავს ჩახალაი ტოტორაძე. ამ ჩახალაი ტოტორაძის/თოთორაძის შთამომავლებისათვის მისი სახელი ახალი გვარის ფუძედ გამოუყენებიათ.

ანალოგიური ვითარება გვქონდა აწყურის საზოგადოების სოფელ წრიოხშიც (51 კომლი, 349 სული) (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.#185, გვ. 35-51). 1932 წლისათვის წრიოხში შემდეგი ვითარება გვქონდა: „სოფლის

¹ გ. ბოჭორიძე. მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1992, გვ. 127.

² გ. ბოჭორიძე. მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1992, გვ. 38.

³ გ. ბოჭორიძე. მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1992, გვ. 44.

ჩრდილოეთით, ზევით ხეობაში, არის ბესალთავის დიდი ციხე. აქ არიან ქართველი მაჰმადიანები 60 კომლი; ქართულს ცოტ-ცოტას პატარებიც ლაპარაკობენ.¹ ამ სოფლის ქართველ მაჰმადიანთა გვარები იყო: გურგენიძე, მღრამე და მახიაძე². სოფელ ჭარალში თურქულენოვანი ქართველი მაჰმადიანები მკვიდრობდნენ: „ოსმან ბეკ ალი ბეკ ზადე ავალოვი“, „ომარ ბეკ ალი ბეკ ზადე ავალოვი“, „ნაიმ ბეკ არიფ ბეკ ავალოვი“, ჯამალ ბეკ არიფ ზადე ავალოვი“ (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.#1856, გვ. 156). მომდევნო ორ სოფელშიც, რომელსაც შევეხებით თავადები ცხოვრობდნენ. ვარხანის სასოფლო საზოგადოების სოფელ შალოვერის (2 კომლი, 18 სული) მკვიდრნი იყვნენ: „საბიტ ბეკ იუსუფ ბეკ ზადე სანიკიძე“, „ასლან ბეკ იზატ ბეკ ზადე სანიკიძე“ (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.#1856, გვ. 203-204). კლდის საზოგადოების სოფელ ბოგას (22 კომლი, 186 სული) მკვიდრებს 1886 წლის საოჯახო სიებში „ნაროდნოსტის“ გრაფაში ქართველი აქვთ მიწერილი, მაგრამ ენის გრაფაში „თურქული“. ოღლობით ჩაწერილებში ქართული გვარებიც გვხვდება: ჩამაკიძე (3 კომლი), მეცხვარიშვილი და ცეკვიაშვილი (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.#1839, გვ. 1-14). ანალოგიური ვითარებაა დაფიქსიერებული 1873 წლის კამერალური აღწერის დავთარშიც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ცეკვიაშვილის ნაცვლად ამ დავთარში „ცერკვიაშვილი“ წერია და მეცხვარიშვილის ნაცვლად – „მეცხორა-ოღლი“. ერთი კომლი თუ ჩამაკიძის გვართაა დავთარში შეტანილი, მეორე – „ჩამაკიდ-ოღლით“ (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქმე #282, გვ. 296-300). გ. კირვალიძის მონაცემებს გარკვეული სიცხადე შეაქვს, ირკვევა, რომ ჩამაკიძეები სინამდვილეში ჩომახიძეები იყვნენ. მასვე ცეკვიაშვილები და მეცხვარიშვილები ცეკვაძისა და მეცხვარიძის ფორმით აქვს შეტანილი³.

უდეს სასოფლო საზოგადოების სოფელ ზაზალოში ფიქსირებულია ოთხი კომლი ქართველი მაჰმადიანი, რომელთა საოჯახო სამეტყველო ენა თურქული იყო; ესენი იყვნენ: „ასოტ ბეკ სულეიმან ბეკ ზადე ამილახვარი“, „ტსიფურ ბეკ დურსუნ ბეკ ზადე ამილახვარი“, „ტეიარ ბეკ დადი ბეკ ზადე ამილახვარი“, „მახმუდ

¹ გ. ბოჰორიძე. მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1992, გვ. 34.

² საბჭოთა სამართალი, 1989, #7, გვ. 56.

³ საბჭოთა სამართალი, 1989, #7, გვ. 56.

ბეკ დადა ბეკ ზადე ამილახვარი" (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.#1842, გვ. 221-224). უდეს საზოგადოების სოფელ კახარეთში 4 კომლი (21 სული) მკვიდრობდა. ისინი ქართველებად იყვნენ აღრიცხულნი, მაგრამ საოჯახო სამეტყველო ენა თურქული ჰქონდათ (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.#1843, გვ. 162-163). უდისავე საზოგადოების სოფელ ლელოვანის მოსახლეობა თათრებად იყო ჩაწერილი, ენაც თურქული ჰქონდათ, მაგრამ ერთ-ერთი ოჯახი ქართული გვარით არის წარმოდგენილი: „ასან ოსმან ოღლი ლორთქიფანიძე“ (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.#1844, გვ. 1-14). გარდა ლორთქიფანიძეებისა, რომლებიც აქ 1932 წელს შვიდი კომლი ყოფილან, სოფლის ქართველ მაჰმადიანთა გვარები იყო აგრეთვე: ზამუკაშვილი – 10 კომლი, ცენტერაძე – 15 კომლი, კოკობაშვილი – 10 კომლი.¹ მაჰმადიანი ქართველები ცხოვრობდნენ იდუმალას სასოფლო საზოგადოების სოფელ ქვემო ოშორაში (56 კომლი, 580 სული). მართალია ქვემო ოშორელების საოჯახო ენა თურქული იყო, მაგრამ თითქმის ყველა მათგანი ქართული გვართაა წარმოდგენილი; ეს გვარებია: ბაჯაჯიშვილი (3 კომლი), ზოდოშვილი (2 კომლი), ჭუჭულაშვილი (5 კომლი), ლეკიშვილი (3 კომლი), სარაჯიშვილი (3 კომლი), ფეჩოშვილი (2 კომლი), გოგდარაშვილი, თემოშვილი, თოფალიშვილი, ხოკიშვილი, მულიშვილი, დრინგაშვილი, ბახუტაშვილი, ლალიაშვილი („ალი ლომა ოღლი, იგივე ჰუსეინ ოღლი“ – ოჯახი ამკარად ახლი გამაჰმადიანებული იყო, რადგან ალის მამას ჰუსეინს გამაჰმადიანებამდე ლომა რქმევია) (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.#1846, გვ. 64-98). ანალოგიური ვითარება არსებობდა ზემო ოშორაშიც (83 კომლი, 743 სული). ზემო ოშორელთა მხოლოდ რამდენიმე ქართულ გვარს ჩამოვთვლით: ლეკიშვილი (2 კომლი), შარჩელიშვილი (?), თეთრაშვილი (3 კომლი), ჩეჩოშვილი (9 კომლი), ნანიაშვილი (4 კომლი), გონიაშვილი (2 კომლი), ზანდარაშვილი (2 კომლი), ტოროლიშვილი (2 კომლი), მამნიაშვილი, ნადინაშვილი... დავეთრის მიხედვით, ზემო ოშორაში ოჯახის უფროსები იყვნენ: „ისმაილ გონია ოღლი იგივე მირზა ოღლი“, „კიულ ახმად-ოსმან ოღლი იგივე ტატო ოღლი“. (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.#1846, გვ. 30-69). ზემო ოშორის ზემოთ ნახსენებ მაჰმადიან ქართველთა

¹ გ. ბოჭორიძე. მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1992, გვ. 78.

ზოგიერთ ქართულ გვარს გ. ბოჭორიძეც მიუთითებს, კერძოდ, ლეკიშვილებს, ზანდარაშვილებსა და თეთრადეებს. ამ სოფელში ის სხვა ასეთ გვარებსაც ჩამოთვლის: „ხუციშვილი სეიფ ისმაილის ძე“, ბექიროვი, ღონიძე (მდრ.: აღწერის დავთარში მოხსენიებულ გონიაშვილს), ტატაძე (ტატიშვილი), კუჭიაძე, ისპირიანი, თამაზიანი, პაწაკიანი.¹ 1873 წლის კამერალური აღწერის დავთარში ვალეში 52 კომლი თათარია დაფიქსირებული, რომელთა შორისაც გვხვდებიან: „იბრაგიმ დადა ბიჭო ოღლი“, „ალი აზია გიქოშვილი“, „მადათ იუსუფ ჭილო ოღლი“, „კახო-ოღლი“, „მურად კოხტა მამად ოღლი“, „ალი ლომინ-ოღლი“, „ალი ბერო-ოღლი“, „შირო კოხტა-ოღლი“, „რუსუნ პოლ-ახმედ თვალ-პატარა ოღლი“ (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქმე #282, გვ. 356-382).

1886 წლის ახალციხის მაზრის მთელი რიგი სოფლების მკვიდრნი მართალია თათრებად არიან ჩაწერილი და საოჯახო ენის გასწვრივაც თურქული ენა აქვთ მითითებული, მაგრამ აშკარად ჩანს, რომ ისინიც გამაჰმადიანებულ-გათურქებული ქართველები არიან. მაგალითად შეიძლება რამდენიმე სოფელი დავასახელოთ. ვარხანის სასოფლო საზოგადოებაში შედიოდა სოფელი აბასთუმანი (73 კომლი, 490 სული). ამ სოფელში მხოლოდ ერთი კომლი ქართველი იყო, გვარად ჩალიძე, დანარჩენ თურქებში გამოიყოფიან: „ყურბან ემინ ოღლი გურულ ოღლი“, შაქირ ალი ოღლი გურულ ოღლი“, უსეინ ალი ოღლი გურულ ოღლი“, „დურსუნ მუსტაფა ოღლი გურულ ოღლი“. ამას გარდა, თათრად ჩაწერილთაგან ორი კომლი გვარად ლორთქიფანიძეა. კიდევ შეიძლება დავასახელოთ: დედობლიშვილები (4 კომლი), კახაშვილები, კატალაშვილები (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.#1836, გვ. 214-233). ყოველმხრივ თურქებად არიან ჩაწერილი 1886 საოჯახო სიებში იდუმალას სასოფლო საზოგადოების სოფელ ყამზას მკვიდრნი (20 კომლი, 279 სული), მაგრამ მათ ქართულ წარმომავლობას ქართული გვარები მიუთითებს, რომლებიც აღმწერს დაუფიქსირებია: ჩოჩოშვილი, იბოშვილი, ჩეჩელაშვილი (8 კომლი), ჯაკაშვილი, ტოპალიშვილი, გოჩიაშვილი (3 კომლი), კუტამამაშვილი (2 კომლი), გონიაშვილი (სცსსა, ფ. 254, ან. 3,

¹ გ. ბოჭორიძე. მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1992, გვ. 29.

საქ.#1843, გვ. 85-102). გ. ბოჭორიძის 1932 წლის ჩანაწერს ერთგვარი სიცხადე შეაქვს ყაშხის მოსახლეობის ქართული წარმომავლობისა და გვარების შესახებ. როგორც ირკვევა, 1886 წლის საოჯახო სიებში გოჩიაშვილები გოჩიაძეები იყვნენ, ჩეჩელაშვილები – ჭეჭელაძეები, ჩაჩოშვილები – ჩაჩოძეები, გონიაშვილები – გონიაძეები. ისევ მშვენივრად ლაპარაკობენ ქართულს. ერთი გზაში შემხვდა – გოჩიაძე, მეორე ხევში – მახარაძე. აქ ყოფილან გვარები: მახარაძე – 20 კომლი, ცულუკიძე – 10 კომლი, გოჩიაძე, ონიაძე (უნდა იყოს გონიაძე – რ. თ.), ჭეჭელაძე, ჩაჩოძე.¹ გ. ბოჭორიძეს ყაშხას შესახებ 1886 წლის საოჯახო სიებისაგან განსხვავებით, სხვაგვარი ენობრივი ვითარება აქვს დაფიქსირებული. დავთარში ისინი თათრებად და თურქულ ენაზე მოსაუბრებადა ყავს ჩაწერილი, იმ დროს, როდესაც მე-20 საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში ყაშხას მოსახლეობა ქართულად მშვენივრად ლაპარაკობდა. აღწერის დავთრით, მათ ქართველობას ქართული გვარსახელებიც ადასტურებს. ოცივე კომლი ქართული გვარებითაა დავთარში შეყვანილი. ვალეს საზოგადოების სოფელ ინჯგოლაში 1886 წელს 5 კომლი ცხოვრობდა. ისინი თათრებად არიან დაფიქსირებულნი, თუმცა რეალურად სხვა ვითარება გვექონდა: „სოფელ ინჯგოლაში 15 კომლი ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს. ენა აღარ იციან.“² თათრებად იყო აღრიცხული უდეს საზოგადოების სოფელ იჯარეთის მოსახლეობაც (15 ოჯახი). გ. ბოჭორიძე კი ამ სოფლის შესახებ შემდეგს წერს: „იჯარეთი. 55 კომლი. ქართველ მაჰმადიანთა გვარები: სარაჯიშვილი – 20 კომლი, ხდიაშვილი 7 კომლი, კირკიტაშვილი 15 კომლი, ადამაშვილი 3 კომლი, ბისიგაშვილი 1 კომლი. ქართველმა მაჰმადიანებმა ქართული არ იციან.“³ 1886 წლის საოჯახო სიებით თათრები ცხოვრობდნენ ურაველის საზოგადოების სოფელ ღობიეთში (15 კომლი) (სცსსა ფონდი 254, ან. 3, საქ. #1840, გვ. 126), თუმცა ამ სოფელში მე-19 საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში იყო ფრანგი დიბუა დე მონპერე, რომელიც წერს: „ჩამოვიარეთ ღობიეთში. აქ სულ ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ. ყველანი ლაპარაკობენ ქართულად,

¹ გ. ბოჭორიძე. მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1992, გვ. 18.

² გ. ბოჭორიძე. მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1992, გვ. 57.

³ გ. ბოჭორიძე. მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1992, გვ. 79.

თუმცა ესმით თურქულიც. ესენი არიან ძველი სამცხე-საათაბაგოს შთამომავალნი... მე ამ ძველ ქართველებს შევნიშნე ისეთივე სახე და შეხედულება, როგორც იმერლებსა და ქართლებს. მიგვიღეს ძალიან კარგად, მეგობრულად დაგვსვეს ცეცხლის პირას, დაგვაწვინეს მშვენივრად. აქ იმერული სტუმართმოყვარეობაა, რომელიც ითვლება ცხოვრების დიდ ხელოვნებად. საოცარია, რომ აქ თურქული უღლის მიუხედავად მაინც არ დაკარგულა ქართველთა მოსაწონი ზნე-ჩვეულება... გავიარეთ ახაშენზე, რომელიც ასეთივე გამაჰმადიანებელი ქართული სოფელია და ლაპარაკობენ მხოლოდ ქართულად.¹ დიუბუა დე მონპერეს ღობიეთსა და ახაშენში სტუმრობიდან 1886 წლის საოჯახო სიების შედგენამდე, სულ 50-იოდე წლის შემდეგ ორივე სოფელში უკვე სრულიად განსხვავებული ეთნიკური და ენობრივი ვითარება გვექონდა. ღობიეთის მკვიდრთა ანალოგიურად ახაშენელებიც თათრებად იყვნენ ჩაწერილი და მათი საოჯახო სამეტყველო ენაც თურქული იყო (28 კომლი) (სცსსა ფონდი 254, ან. 3, საქ. #1838, გვ. 103). „მხოლოდ ქართული“ ორ თაობაში დაივიწყეს ქართველმა მაჰმადიანებმა? – როგორც ჩანს. იქნებ, რუსების შემოსვლის შემდეგ ქართველი მაჰმადიანები მუჰაჯირად წავიდნენ და მათი ადგილი შემდეგ სხვებმა დაიკავეს?

1886 წლის საოჯახო სიებით ახალციხის მაზრაში გამაჰმადიანებული ქართველები 67 სოფელში მკვიდრობდნენ და მხოლოდ 16 სოფელში ცხოვრობდა ორენოვანი (ქართული და თურქული ენები) მოსახლეობა. როგორც ზემოთაც აღინიშნა ორენოვანი იყო ადიგენის სასოფლო საზოგადოების სოფელ გორთუბანში მცხოვრები 33 კომლი (240 სული) ქართველი მაჰმადიანი. ასეთივე ვითარება დაფიქსირებულია სოფელ გიორგიწმინდაში (კლდის სასოფლო საზოგადოება). მართალია აღმწერებს აქ ქართული გვარები არ დაუფიქსირებიათ, მაგრამ 34 კომლს (295 სული) მიწერილი აქვთ: ეროვნება – „ქართველი“, სარწმუნოება – მაჰმადიანი სუნიტი, საოჯახო სალაპარაკო ენა – ქართული და თურქული (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.#1841, გვ. 1-23).

¹ ციტირებულია შ. ლომსაძის წიგნიდან: სამცხე-ჯავახეთი (მე-18 საუკუნის შუა წლებიდან მე-19 საუკუნის შუა წლებამდე), თბ., 1975, გვ. 307.

სხვათა შორის, სოფელი გიორგიწმინდა ურაველის სასოფლო საზოგადოებაშიც არსებობდა, სადაც პრივილეგირებული ფენის წარმომადგენელი ერთი კომლი ქართველი ცხოვრობდა; ეს იყო „ტიუფან ბეკ ემინ ბეკ ზადე გეორგწმინდაძე“ (13 სული). ეს ოჯახიც ორენოვანი იყო. 1944 წლის მონაცემებით, გიორგიწმინდის მკვიდრი მაჰმადიანი ქართველები იყვნენ ვაჩნაძეები და ჯაპანიძეები¹. ქართულ და თურქულ ენებს თანაბრად ფლობდა აწყურის უზნის კლდის საზოგადოების (კლდის სასოფლო საზოგადოება ურაველის უბანშიც იყო) სოფელ ზეუბანის მოსახლეობაც (13 კომლი, 110 სული) (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.#1842, გვ. 111-119).

აწყურის სასოფლო საზოგადოების სოფელ ზიკილიაში 64 კომლი (529 სული) მაჰმადიანი ქართველი ცხოვრობდა. ამ სოფლის მკვიდრებს აღწერის დავთარში „იაზიკ დომამნის“ გრაფაში ქართული და თურქული ენები აქვთ მითითებული. 1930-იანი წლების დასაწყისში ზიკილიაში უკვე 280 კომლი ცხოვრობდა. „გვარები: გვარამაძე, ნადირაძე, ხახუტაიაშვილი, გოგოლაძე, ზურაბაძე, კაპანაძე. ქართველი მაჰმადიანები. ქართულს ყველა მშვენივრად ლაპარაკობს. კიდევ არის გვარი: ცქიფოძე, ჩიტაძე, ბიბინაშვილი.“² ეს გვარები 1944 წლის ოფიციალურ დოკუმენტშიცაა შეტანილი, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამ უკანასკნელში ხახუტაიაშვილის ნაცვლად გვხვდება ხახუტაძე და ბიბინაშვილისა – ბიბინაძე³. სოფელ კლდეში (კლდის სასოფლო საზოგადოება) 107 კომლი (667 სული) მაჰმადიანი ქართველი ცხოვრობდა. ეთნიკურობის გრაფაში მათ „ქართველი“ აქვთ დაფიქსირებული, სარწმუნოების გრაფაში – „სუნიტი“ და საოჯახო სალაპარაკო ენის გრაფაში – „თურქულ-ქართული“ (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.#1843, გვ. 243-298). კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება იკვეთება აღნიშნული საოჯახო სიიდან. დაფიქსირებული ანთროპონიმები პირდაპირ მიუთითებენ იმ გარემოებაზე, რომ ამ სოფლის მკვიდრებს მაჰმადიანობა დიდი ხნის მიღებული არ ჰქონდათ. მაგალითად, დავთარში მითითებული ოჯახის უფროსებიდან გვხვდებიან: „რაჯაფ ბიძინ ოღლი“, „ხალილ ბიძინ ოღლი“ (გვ. 256-257),

¹ საბჭოთა სამართალი, 1989, #7, გვ. 59.

² გ. ზოჭორიძე, მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1992, გვ. 41-42.

³ საბჭოთა სამართალი, 1989, #7, გვ. 57.

„სულეიმან ბიძინ ოღლი“ (გვ. 287). დასკვნა ერთმნიშვნელოვანია: მაჰმადიანი ქართველების რაჯაბის, ხალილის და სულეიმანის მამა თუ მამები ქართულ სახელს – ბიძინას – ატარებდნენ, ე. ი. ისინი ქრისტიანები იყვნენ და არა – მაჰმადიანები. სოფელი კლდე ძირითადად ტატიძეების, ცხვედაძეების, ცხადაძეების, ჭუვაძეებისა სამკვიდრებელი ყოფილა: „ომარ ტატიძე“, „იბრაჰიმ დურსუნ ოღლი, იგივე ცხადაძე“, „ისმაილ ცხადაძე“, „ჰასან დურსუნ ოღლი, იგივე ცხვედაძე“, „ჰასან დურსუნ ოღლი, იგივე ცხვედაძე“, „აზიზ ჭუვაძე“. ამ პიროვნებათა ნაწილი 1873 წლის კამერალური აღწერის დავთარშიც გვხვდება. ამას გარდა ამ აღწერაში დასახელებულნი არიან: „ოსმან ბლიაძე“, „კოჩო კახო ოღლი“, „რეჯაბ თხილა-ოღლი“, „ჰუსეინ გერმან ოღლი“, „კიულ ახმედ მეოკო ოღლი“, „დურსო ბატონჯან ოღლი“ (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქმე #282, გვ. 784-800). ეს ანთროპონიმები პირდაპირ მიუთითებს თათრებად ჩაწერილთა ქართულ წარმომავლობაზე, აგრეთვე იმის შესახებ, რომ ბევრს ისლამი სრულიად ახალი მიღებული ჰქონდა. 1771 წლის 30 დეკემბრით დათარიღებულ რუსეთთან ხელშეკრულების დასადებ პროექტში ერეკლე მე-2 „ახალციხის ქვეყნის“ (სამცხე-საათაბაგოს) შესახებ წერდა: „ვინაითგან საქართველოს მიწა არის ქართული ენა აქუსთ და მრავალნი ქრისტიანენი არიან იმათში, და სხუანიცა ახალნი გარდაქცეულნი არიან მაჰმადიანობაზედ.“¹ ანალოგიური ვითარებაა მოცემული კლდის 1850 წლის კამერალური აღწერის დავთარშიც: „სულეიმან ტატიძე-ოღლი“, „მამედ თევდორ-ოღლი“, „კოჩო კახო-ოღლი“, „მამედ ელის-ოღლი“, „ოსმან ჭუვაძე-ოღლი“, „დურსო მამედ ჩუხოძე-ოღლი“, „სელიმ მეჩონტრიშვილი“ (სცსსა, ფ. 254, ან. 2, 2068, გვ. 73-80).

ორენოვანი იყო კლდის სასოფლო საზოგადოების სოფელ მუგარეთის მოსახლეობაც (42 კომლი, 358 სული). საოჯახო სიებში ყველა ოჯახს ეთნიკურობის გრაფაში „ქართველი“ აქვს მიწერილი, სარწმუნოების გრაფაში – მაჰმადიანი და საშინაო საოჯახო ენის გრაფაში „ქართული და თურქული“. სოფელ მუღარეთის აღწერაში ერთი ქართული გვარიცაა (მამუკაშვილი) შეტანილი (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.#1845, გვ. 48-70). ამ სოფლის 1850 წლის დავთარში

¹ ვ. მაქარაძე. გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა. დოკუმენტები. ფოტოპირები. თბ., 1983, გვ. 62.

გვხვდება: „მამედ ქარელი-ოღლი“ (სცსსა, ფ.254, ან.2, საქ.#2068, გვ. 96). აწყურის საზოგადოებაში შედიოდა სოფელი ორფოლა (14 კომლი, 158 სული). ორფოლელებიც ორენოვანი იყვნენ: „იაზიკ დომანის“ გრაფაში ყველა ოჯახს მიწერილი აქვს: „ქართული და თურქული“ (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.#1847, გვ. 22-29). ასეთივე ენობრივი ვითარება გვექონდა კლდის საზოგადოების სოფელ ფერსაში (34 კომლი, 278 სული) (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.#1848, გვ. 84-99). ფერსაში აღმწერებს ერთი ქართული გვარი (ჭუვაძე) აქვთ დაფიქსირებული. ქართულ და თურქულ – ენას ფლობდა აწყურის საზოგადოების სოფელ საყუნეთის (67 კომლი, 497 სული) ქართველი მაჰმადიანი მოსახლეობაც (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.#1849, გვ. 1-20). საყუნეთის დავთარში ერთი ქართული გვარი – ბაზაძე – გვხვდება (გვ. 14). ამ სოფლის შესახებ უფრო მეტი და საინტერესო მონაცემებია ფიქსირებული 1873 წლის კამერალური აღწერის დავარში. ბაზაძე აქაცაა აღწერილთა შორის მოხსენიებული: „მუსა ალი ოღლი, იგივე ბაზაძე“, „კიულ ახმედ ოსმან ოღლი ბაზაძე“. საყუნეთის მკვიდრები ყოფილან ფუტურაძეებიც: „ჰასან ფუტურაძე და მისი შვილები ჰუსეინ ჰასან ოღლი და შარიფ ჰუსეინ ოღლი ფუტურიძეები“. „ალი სულეიმან ოღლი ფუტურაძე“, „ალი მუსა ოღლი, იგივე კახო ოღლი“, „დურსუნ ჰასან ოღლი, იგივე ოქროპირ ოღლი“, „მურად მამადოღლი იორდანძე“, „ალი ჰასან ოღლი იორდანძე“, „იბრაჰიმ იორდან ოღლი“, „მამუდ იორდან ოღლი“, „სული იორდან ოღლი“ (სცსსა, ფ. 254, ან.3, საქ.283, გვ. 263-275). 1850 წლის აღწერაში დაფიქსირებულნი არიან: „ოსმან ფოტურაძე“, „ჰასან ფოტურაძე ოღლი“, „ოსმან ბაზაძე ოღლი“, „ოსმან კონაძე ოღლი“, „ალი ფოტურაძე ოღლი“ (სცსსა, ფ. 254, ან.2, საქ.#2068, გვ. 128-133). 1869 წელს ლ. ისარლოვი საყუნეთელთა შესახებ წერდა, რომ ისინი მშობლიურ ქართულ ენაზე ლაპარაკობენ და სოფლის ღვთისმშობლის ეკლესიის ხელყოფას არავის ანებებენ, იცავდნენ ხატ-ჯვრებს და უვლიდნენ წიგნებს, მაგრამ წინამძღვრის გარეშე იყვნენ დარჩენილი. ტაძარში შუა ღამისას გამუსლიმებული მრევლი ჩუმად ლოცულობდა. საყუნეთელები დიდხანს წითელი კვერცხებით ზეიმობდნენ აღდგომას¹ (სხვათა შორის, ბოლო

¹ Исарлов Л. Из путевых заметок об Ахалцихском уезде // газ. Кавказ, 1869, №107.

დრომდე აპრილის თვეში წითელი კვერცხების შეღებვის ტრადიცია ჰქონდა იმერხევის სოფელ ბაზგირეთის მოსახლეობასაც). კლდის საზოგადოებაში შედიოდა სოფელი სვირიც (72 კომლი, 617 სული). სვირელებიც ორენოვანნი იყვნენ და ქართულად და თურქულად საუბრობდნენ. მართალია სვირელი მაჰმადიანი ქართველები სახელითა და მამის სახელით არიან ჩაწერილი, მაგრამ ორ ოჯახს აღწერის დავთარში ადრინდელი ქართული გვარიც – ზეთიაშვილი – დაუფიქსირებია (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.#1849, გვ. 65-104). 1873 წლის კამერალური აღწერის დავთარი უფრო გვიზუსტებს სვირელების ქართულ წარმომავლობას. მაგალითად, ორი ოჯახის უფროსების სახელები ასეთი იყო: „თორმან ოსმან ოლლი, იგივე ბერელ ოლლი“, „იშიხ ოსმან ოლლი, იგივე ბერელ ოლლი“ (სცსსა, ფ.254, ან.3, საქ.#283, გვ. 278). მხოლოდ დაბეჯითებით მნელია თქმა მშების თორმანისა და იშიხის მამას, რომელსაც ოსმანი ერქვა, ქრისტიანული სახელი იყო ბერელა, თუ მათი გვარსახელი იყო ბერელამე / ბერელაშვილი. 1869 წელს სვირის შესახებ წერდნენ: „სვირში 30 ოჯახია, ყველა გამუსლიმანებული, მაგრამ ყველანი ლაპარაკობენ ქართულად. ამალეობა დღეს ყველა მიდის სოფლის ნახევრად დანგრეულ საყდარში, მოყავთ სამხთოები, ქართული წესით კლავენ ცხვრებს, ანთებენ სანთლებს. მათი რწმენით ეს ასე რომ არ გააკეთონ, ღმერთი მათ იმ ქვეყანაში პირუტყვებთან ერთად მოათავსებს.“¹ ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობდნენ აგრეთვე კლდის საზოგადოების სოფელ ტატანისში (17 კომლი, 146 სული). ტატანისელებიც ორენოვანნი იყვნენ (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.#1851, გვ. 152-155). 1850 წლის აღწერაში აქ 13 კომლი იყო აღრიცხული, რომელთა შორის მოხსენიებული არიან სოსანიძეები და „მუსტაფა გულო ბალამე ოლლი“ (სცსსა, ფ.254, ან.2, საქ.#2068, გვ. 150-151). ქართველებად და მაჰმადიანებად დაუფიქსირებიათ აღმწერებს 1886 წელს სოფელ შურდოს (კლდის საზოგადოება) მოსახლეობა. ამ სოფლის მკვიდრ 23 კომლ მაჰმადიან ქართველს „იაზიკ დომანის“ გრაფაში მიწერილი აქვთ „ქართული“ და „თურქული“ (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.#1856, გვ. 179-191). აღწერებში ქართული გვარები მითითებული არა აქვთ. თუმცა ფრიად საყურადღებო

¹ Исарлов Л. Из путевых заметок об Ахалцихском уезде // газ. Кавказ, 1869, №107.

ეთნოგრაფიული ფაქტი აქვს ამ სოფელში დადასტურებული გ. ბოჭორიძეს: „შურდოს ბოლოს კაკლებთან არის საფლავის ქვა, რომლის ზევეითა ნაწილში, მარცხნივ გამოსახულია მდგომარე კაცი. მას მარჯვენა ხელში უჭირავს ჯვარი, მარცხენა დოინჯით აქვს წელთან. მის გვერდებთან და ქვემოთ დახატულია მრავალი იარაღი: ხმალი, ცული, თოფი, ჯოხი, კიბე, წერაქვი. ქვევით: ქოშა, ე. ი. თიხის ჭურჭელი მაღალყელიანი და ყურიანი, ყანწი, ასტამი (?) თუ სხვა ჭურჭელი, იორსი (გრდემლი), ანუ რკინის სანაყი მჭედლისა, გაზები დიდი და პატარა, რკინის საჭრელი რკინა, ხის კოკა, ქვის გობი (ლახანკა) და სხვა.“¹

მართალია სოფელ უდემში ქართველი კათოლიკეები მკვიდრობდნენ, მაგრამ 1886 წელს სოფელში მცირე რაოდენობით სხვა კონფესიებისა თუ რელიგიების წარმომადგენლებიც გვხვდებოდნენ. მათ შორის, უდემში 3 კომლი (22 სული) „თათარიც“ – ქართველი მაჰმადიანიც ცხოვრობდა. თათრებად ჩაწერილები რომ ნამდვილად ქართველი მაჰმადიანები და ამასთანავე ორენოვანნი იყვნენ საოჯახო სიების დედნებიდან კარგად ჩანს. კერძოდ, ესენი იყვნენ: „ისკანდერ დადა ოლლი ბარათოვი“, „ადლამ კახრიმან ოლლი კიკნაძე“, „დურსუნ კახრიმან ოლლი კიკნაძე“ და ოღლობით ჩაწერილი მამოშვილების სამი კომლი და ასევე ოღლობით ფიქსირებული მოლოზნიანების სამი კომლი და კიდევ 17 კომლი, რომლებსაც გვარი არა აქვთ მიწერილი, მაგრამ ისევე, როგორც გვარებით მოხსენიებულ მაჰმადიან ქართველებს, ამათაც ეროვნება ქართველი უწერიათ, სარწმუნოება – მაჰმადიანი და საოჯახო ენა – „ქართული და თურქული“. შემდეგ ისევ გვარებით დაფიქსირებული ქართველი მაჰმადიანები მოსდევენ: მეტიშვილი (2 კომლი), ლაზიშვილი, პეტაშვილი (2 კომლი), ადოლაშვილი (4 კომლი). ყველა მათგანი ასევე ორენოვანი იყო (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.#1852, გვ. 52-189). ამ მონაცემებს 1873 წლის მონაცემები ავსებს, კერძოდ, ამ აღწერის დავთარში შეყვანილია: „სული ჩამკაძე, იგივე აკმედ-ოლლი“ (სცსსა, ფ.254, ან. 3, საქ.#283, გვ. 460). 1932 წელს ზემოთ აღნიშნული გვარები გ. ბოჭორიძესაც დაუფიქსირებია: „ქართველი მაჰმადიანების გვარები უდემში: ბარათაშვილი 28

¹ გ. ბოჭორიძე. მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1992, გვ. 40.

კომლი, კანჭაძე (კანჭათი), ჩილაშვილი 10 კომლი, ბერიძე (ბეროთი) 15 კომლი, აბულაძე 18 კომლი, პეტაშვილი (ეტათი, ელათი – ელაშვილი) 15 კომლი, ბაქრაძე (მოლოზნიანთი) 20 კომლი.¹ რაც შეეხება მაჰმადიან კიკნაძეებს გ. ბოჭორიძეს ისინი უდის წარბას უბანში აღურიცხავს: „წარბას უბანში არის 54 კომლი ქართველი მაჰმადიანი. გვარები კანჭაძე, 9 კომლი, კიკნაძე 12 კომლი, ვარდიძე 3 კომლი. დანარჩენები არ ახსოვთ. ქართული თითო-ოროლამ თუ იცის.“² ქართულად და თურქულად მეტყველებდა წნისის (კლდის საზოგადოება) მოსახლეობაც (36 სული, 293 სული) (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.#1854). 1850 წლის აღწერაში წნისში დაფიქსირებულია „ბექარ პავლე ოლი“ (სცსსა, ფ.254, ან.2, საქ.#2068, გვ. 172). ასეთივე ენობრივი ვითარება არსებობდა კლდის სასოფლო საზოგადოების სოფელებში ჩოხთაში (8 კომლი, 70 სული) (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.#1856, გვ. 145-150) და შურდოში (23 კომლი, 171 სული) (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.#1856, გვ. 179-191).

მხოლოდ ორი შემთხვევაა დაფიქსირებული მაჰმადიანი ქართველების მიერ მართლმადიდებლობაზე დაბრუნებისა. 1850 წლის დავთრით სოფელ ზედა თმოგვეში მართლმადიდებლები ცხოვრობდნენ. როგორც ჩანს, აქ დასახლებული მაჰმადიანები გაქრისტიანებულან. ისმაილ ლაშქარ-ოლის ჰყავდა შვილები: იაკობი, ივანე და გიორგი. ოჯახს ასეთი მინაწერი აქვს: „ქრისტიანობის მიღების გამო გათავისუფლებულია საგამოსაღებო გადასახადისაგან მთელი ცხოვრების მანძილზე“ (სცსსა, ფ.254, ან.2, საქ.#2069, ფვ. 37). ანალოგიური მინაწერი აქვს მამედ ოსმან ოლისაც, რომელსაც გრაფაში მაჰმადიანი უწერია, მაგრამ აღწერის შემდეგ – 1853 წელს გაქრისტიანებულა. ამავე აღწერის თანახმად სოფელ ქილდაში ცხოვრობდა „იუსუნ დურსუნ-ოლი“, რომელიც ისლამის მიმდევარი იყო (ეს ანთროპონიმიდანაც კარგად ჩანს), მისი ორი ვაჟი (18 წლის ალექსი და ერთი წლის ნიკოლოზი) კი ქრისტიანები იყვნენ. სოფელ გოგაშენში ერთ ოჯახში სამი ძმა ცხოვრობდა, რომელთაგან უმცროსი 26 წლის ალი (ალექსი) მართლმადიდებელი გახლდათ (სცსსა, ფონდი 254, ან. 2, საქ.#122, გვ. 262, 151).

¹ გ. ბოჭორიძე. მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1992, გვ. 67.

² გ. ბოჭორიძე. მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1992, გვ. 72.

1873 და 1886 წლების დავრებით ყოველმხრივ თურქებად იყვნენ დაფიქსირებული სოფელ ოხერას მკვიდრნი – 11 კომლი (სცსსა, ფონდი 254, ან. 3, საქ.#283, გვ. 112-114; საქ. #1846, გვ. 14-20). მაგრამ, როგორც ირკვევა, ისინიც მაჰმადიანი ქართველები იყვნენ. 1930-იანი წლების დასაწყისში გ. ბოჭორიძეს დაუფიქსირებია: აქ (ოხერაში – რ. თ.) სახლობენ ქართველი მაჰმადიანები, 30 კომლი, ენა დავიწყებული აქვთ.¹ კლდის მეორე სასოფლო საზოგადოებაში შედიოდა სოფელი მინაძე, სადაც ზუსტად ანალოგიური ვითარება დასტურდება. ოღონდ ერთგვარი გაურკვეველობა გვაქვს, რადგან 1886 წლის საოჯახო სიების დედნებით ამ სოფლის მკვიდრნი (20 ოჯახი) თათრებად არიან დაფიქსირებულნი², ხოლო დაბეჭდილ სტატისტიკურ კრებულში – ქურთებად.³ მინაძის მცხოვრებნი თათრებად არიან ჩაწერილნი 1873 წლის კამერალური აღწერის დავთარშიც (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.#282, გვ. 916-919). 1850 წლის აღწერაში კი მინაძეში მცხოვრები 9 კომლი უბრალოდ მხოლოდ მაჰმადიანადაა ჩაწერილი (სცსსა, ფ. 254, ან. 2, საქ.#2068, გვ. 94-95). მინაძის მკვიდრთა შესახებაც გ. ბოჭორიძე აღნიშნავს, რომ „ამ სოფელში ცხოვრობს 60 ქართველი მაჰმადიანი.“⁴ 1886 წლის საოჯახო სიებით ურაველის ხეობის სოფელ ტობაში მკვიდრობდა ხუთ-ხუთი კომლი ქართველი ქრისტიანი (ასპანიძეები და სუდაძეები) და თათრი (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.#1851, გვ. 162-174). 1873 წლის კამერალურ აღწერაში კი დაფიქსირებულია სამი ოჯახი ქართველი (მაისურაძე, სუდაძე და დიასამიძე) და ოთხი ოჯახი – თათარი (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.#283, გვ. 401-403). გ. ბოჭორიძე კი აღნიშნავს: „ტობას არის სოფლის დასავლეთით წმიდა გიორგის ეკლესიის ნანგრევი. აქ ცხოვრობენ რიცხვით 15 კომლი ქართველები (ასპანიძენი და სუდაძენი), პირველნი მოსულნი არიან ვალედან, სუდაძენი – ღრელიდან. ქართველი მაჰმადიანები 22 კომლი.“⁵ 1886 წელს ინდუსას მოსახლეობა (20 კომლი) თათრებად იყო ჩაწერილი (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.#1843). გ. ბოჭორიძე ამ სოფლის მკვიდრების

¹ გ. ბოჭორიძე. მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1992, გვ. 16.

² სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.#1845, გვ. 86-99.

³ Свод статистических данных о населении Закавказского края извлеченных из посемейных списков 1886 г., Тф., 1893.

⁴ გ. ბოჭორიძე. მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1992, გვ. 16.

⁵ გ. ბოჭორიძე. მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1992, გვ. 16.

შესახებაც აღნიშნავს: „ინდუსას სახლობენ ქართველი მაჰმადიანები 100 კომლი.“ „სოფელში ქართულს ყველა მშვენივრად ლაპარაკობს, თათრულს უფრო კაცები. ყველანი ნახევრად ქართულს, ნახევრად თათრულს ლაპარაკობენ... ინდუსაში მცხოვრები გვარები: რასულაშვილი 10 კომლი, სათოშვილი 50 კომლი, ხალოშვილი 10 კომლი, გელაშვილი 20 კომლი, რაშოშვილი 3-4 კომლი, შარვანდაძე 6 კომლი, ქოსაშვილი 4 კომლი, ქორობოშვილი 1 კომლი, ყოჩოშვილი 2 კომლი, ოქროპირიძე (პურის მომტანი) – 4 კომლი.“¹ 1886 წელს ასპინძაში 49 ოჯახი „თათარი“ იყო აღრიცხული. საოჯახო სიის მიხედვითაც მათი სალაპარაკო ენა თურქული იყო. გ. ბოჭორიძე კი შემდეგ წერს: „ასპინძა 130 კომლი. ენა დავიწყებული აქვთ. ერთმა ბერმა კაცმა მითხრა: ზუბალა არის ჩემი გვარიო.“² 1886 წელს სოფელ ინჯგოლაში (ვალეს საზოგადოება) მცხოვრები თათრების რაოდენობა სულ ხუთი კომლი იყო (სცსსა, ფონდი 254, ან. 3, საქ.#1843, გვ. 43). ასეთივე მდგომარეობა იყო დაფიქსირებული 1873 წელსაც. გ. ბოჭორიძის მოპოვებული მონაცემებით ინჯგოლელებიც სინამდვილეში ქართველი მაჰმადიანები იყვნენ: „სოფელ ინჯგოლაში 15 კომლი ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს. ენა აღარ იცინა.“³ უდეს სასოფლო საზოგადოებაში შემავალ სოფელ წყისეში 1886 წლის საოჯახო სიებით 16 კომლი „თათარი“ ცხოვრობდა (1873 წელს – 13 კომლი) (სცსსა, ფონდი 254, ან. 3, საქ.#1852, გვ. 91-101; ან. 2, საქ.#283, გვ. 611-613). წყისეში გ. ბოჭორიძეს ერთ-ერთ ოჯახში ჯვარი აღმოუჩენია. „ადგილობრივ პირთა ცნობით, ჯვარი აღმართული ყოფილა წყისეს აღმოსავლეთ მცირე სერზე. იგი შედგებოდა ორი ნაწილისაგან: კვარცხლბეკისაგან და სვეტისაგან. ჯვარზე შესანიშნავი წარწერაც ყოფილა მოთავსებული: „წარწერა ყურადღებას იპყრობს ენის მხრივაც, იგი ჰაემეტია (აღუჰმართე). ... პალეგრაფიულად წარწერა უნდა ეკუთვნოდეს მე-8 ს.“ „ორივე სოფელ წყისაში 50 კომლია ქართველი მაჰმადიანები. აქ არიან ასლანიშვილები ერთი გვარიდან წარმოშობილები.“⁴ 1886 წლის საოჯახო სიებში უდეს საზოგადოების სოფელ წარბასთუმანში

¹ გ. ბოჭორიძე. მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1992, გვ. 17-18.

² გ. ბოჭორიძე. მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1992, გვ. 18.

³ გ. ბოჭორიძე. მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1992, გვ. 57.

⁴ გ. ბოჭორიძე. მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1992, გვ. 63.

22 კომლი „თათარი“ იყო აღრიცხული (სცსსა, ფონდი 254, ან. 3. საქ.# 1855). უდეს საზოგადოების სოფელ იჯარეთში 1873 და 1886 წლებში 15 კომლი „თათარი“ იყო აღრიცხული (სცსსა, ფონდი 254, ან. 3, საქ.#282, გვ. 713-716; #1843, გვ. 43). იჯარეთელი „თათრები“ სინამდვილეში ქართველი მაჰმადიანები იყვნენ: „იჯარეთი. 55 კომლი. ქართველ მაჰმადიანთა გვარები: სარაჯიშვილი – 20 კომლი, ხდიაშვილი 7 კომლი, კირკიტაშვილი 15 კომლი, ადამაშვილი 3 კომლი, ბისიგაშვილი 1 კომლი. ქართველმა მაჰმადიანებმა ქართული არ იციან.“¹ უდეს საზოგადოების სოფელ ყარათუბანშიც დეეთნიზებული ქართველები მკვიდრობდნენ (სცსსა, ფონდი 254, ან. 3, საქ.#1843, გვ. 74-82). „ყარათუბანში არიან: ბათმანიძე, იუსელი (იქნებ იოსელიანი იყოს?). ამ სოფლის წინაპარი ყოფილა თომა და აქედან თომაშვილები ვიყავითო. აქ არის 60 კომლი.“² 1886 წელს 32 კომლი „თათარი“ იყო აღრიცხული ურაველის საზოგადოების სოფელ ხეოთში (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ.#1853). ადგილზე გ. ბოჭორიძემ ხეოთელების ძირად ქართველობის დამადასტურებელი მასალები მოუპოვებია: „ხეოთში არის 150 კომლი ქართველი მაჰმადიანი: მამულაშვილი – 20 კომლი, ნუზლაანთი – 10 კომლი, ორბელიანი³ – კომლი და სხვ.“⁴ ვარხანის სასოფლო საზოგადოებაში შედიოდა სოფელი ქიქინეთი. 1886 წლის საოჯახო სიებით, ქიქინეთში მცხოვრები 41 კომლი „თათრად“ იყო აღრიცხული (სცსსა, ფონდი 254, ან. 3, საქ.#1843, გვ. 225-240). ირკვევა ქიქინეთელთა ადრინდელი ქართული გვარები: ნულლაძე, გოგოლაძე, სარალიძე.⁵ 1886 წლის საოჯახო სიებში ვარხანის საზოგადოების სოფელ ხარჯამათში მცხოვრები 28 კომლი ყოველმხრივ „თათრებად“ იყო ჩაწერილი. ეს სოფელი 1863 წლის კამერალურ აღწერაში მოიხსენიება როგორც „ხარჯამი“ (სცსსა, ფონდი 254, ან. 2, საქ.#345). როგორც გ. ბოჭორიძეს აქვს გარკვეული ხარჯამის მკვიდრნი დეეთნიზებული ქართველები

¹ გ. ბოჭორიძე. მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1992, გვ. 79.

² გ. ბოჭორიძე. მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1992, გვ. 81.

³ ორი კომლი აზერბაიჯანელი ორბელიანი დღეს ქარელში მკვიდრობს. როგორც ირკვევა ოჯახი სამცხედან ქარელში მეორე მსოფლიო ომამდე გადმოსახლებულა.

⁴ გ. ბოჭორიძე. მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1992, გვ. 103.

⁵ გ. ბოჭორიძე. მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1992, გვ. 125.

იყვნენ, რომელთა ქართული გვარიც ყოფიანი იყო.¹

ზემოთ მოხსენიებული სამცხის სოფლები შეტანილია 1595 წლის „გურჯისტანის ვილაიეთის დავთარში.“ დავთარში შეყვანილი არიან ოჯახის უფროსი მამაკაცები სახელისა და მამის სახელის მითითებით. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ არც ერთი სოფლის აღწერაში არსად პიროვნებები გვარსახელით არ არიან მოხსენიებულნი, რადგან ეს სოციალური ინსტიტიტუტი თურქებისათვის უცნობი იყო. ყველა ანთროპონიმი, ფაქტობრივად, იმაზე მიუთითებს, რომ მცირე გამონაკლისის გარდა სამცხის სოფლები ეთნიკური ქართველებით იყო დასახლებული. ანთროპონიმები (პიროვნული სახელები და მამის სახელები) ქართულ-მართლმადიდებლურია. ბუნებრივია, აქ „დავთარს“ მთლიანად ვერ ვაციტირებთ და მხოლოდ რამდენიმე ნიმუში შეიძლება დავიმოწმოთ. სოფელ ბოლაჯურში საოჯახო სიებით ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობდნენ, რომლებსაც დედა ენა უკვე დაკარგული ჰქონდათ. 1595 წლის მონაცემებით კი ბოლაჯური მთლიანად ქართული იყო, რომელშიც 24 კომლი ცხოვრობდა; შეიძლება სანიმუშოდ რამდენიმე ანთროპონიმი მოვიყვანოთ: „შაველი ვარძელისძე“, „ბასილი ძე მისი“, „ნიკოლოზ გიორგის ძე“, „ბატატა ბექასძე“, „ბატატა ბესელასძე“, „ბატატა ბატიასძე“, „ნათენა ლულამისძე“, „ოტია ძმა მისი“, „როსებ ძმა მისი“, „წამალა ბატიასძე“...²

ისინი ქართველობას ინარჩუნებდნენ მე-18 საუკუნეშიც, რადგან მხარის მასობრივი ისლამიზაცია ჯერ კიდევ დაწყებული არ იყო. ამ საუკუნის პირველ ნახევარში მხოლოდ ზედაფენა იყო გამაჰმადიანებული, გლებობა კი ისევ ქრისტიანობას ინარჩუნებდა. ბუნებრივია, ქართველებს ენა, კულტურა და ეთნიკურობა კვლავ შენარჩუნებული ჰქონდათ. ვახუშტი სამცხისა და, საერთოდ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის შესახებ გარკვევით წერდა: „ხოლო კაცნი და ქალნი მგზავსნი ქართველთანი, არამედ უმეტეს ნელიად და ენა-ტკვილად მოუბარნი, ტანოვანნი, მხნენი, შემმართველნი, შუენიერნი, ცოდნა-ჯელოვნების მოყუარენი, არამედ აწ, მაჰმადიანობის

¹ გ. ბოჭორიძე. მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1992, გვ. 127.

² გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ს. ჯიქიას გამოცემა, წიგნი მე-2, თბ., 1941, გვ. 60.

გამო, არღარა. სარწმუნოებით იყვენენ წლისამდე ქრისტესა ჩ ქვე, ქართულისა ტ იდ-მდე სრულიად ქრისტეანენი ქართველთა თანა და სამწყსონი ქართლისა კათალიკოზისანი, ხოლო აწ მთავარნი და წარჩინებულნი არიან მოჰმადიანნი, და გლებნი ქრისტიანენნი... გარნა ვინანიცა არიან ქრისტიანენი, იგინიცა უმწყსელნი არიან, ვინაითგან არღარა რაისა მორჩილებენ ქართლის კათალიკოზსა, და ბერძენთა არა სცალის მათთვის. ენა საკუთრად აქუსთ იგივე ქართული. გარნა წარჩინებულნი ნადიმთა და კრებულთა შინა აწ უბნობენ თათრულსა და თვისთა სახლებთა ანუ ურთიერთის მეგობრობათა შინა იტყვიან ქართულსავე.¹ ირკვევა, რომ მე-17 საუკუნის 30-იან წლებში სამცხეში ფეოდალთაგან ბევრს ჯერ კიდევ შენარჩუნებული ჰქონდა ქრისტიანობა, რასაც უდავოდ ადასტურებს „დიდმოურავიანში“ მოხსენიებულ ფეოდალთა საკუთარი სახელები. ბაზალეთის ომის შემდეგ ქართლიდან სამცხეს ასულ გიორგი სააკაძეს, ერთი მხრივ, დახვედრია უკვე გამაჰმადიანებული დაუთ-ბეგ გოგორიშვილი და, მეორე მხრივ, თანუნა დიასამიძე, როსტომ შალიკაშვილი, ელიზბარ და ბეჟან თათქირიძეები:

„დაუთ-ბეგ გოგორიშვილსა მკვიდრად აქვს ციხისჯვარია, მითხრა: „ხელთ მოგცემ ციხესა“, მან დაიფიცა ჯვარია.“

„ფარად ფაშა ხომ სიძედ მყვა, თავდადებ, ჩემთვის მკვდარია, თანუნა დიასამიძე, კაცი ბრძენი და წყნარია მან მითხრა: „თრიალეთისკენ ასპინძა ახლო არია, ყმა და ამბავი მოგვწვდების, ავი თუ გასახარია“.

„შალიკაშვილი როსტომ და ელისბარ თათქირიძეო ყანთან სწორად ვიყავით, ერთი ძმა, სხვა კი ვიძეო, როსტომ თქვა: „იცი, აჰარას კარგა მამული მიძეო, იქ დადებ, რადგან ქართლითგან ჯერხანად გამოიძეო“.

„ბეჟან მითხრა, თათქირიძემ: „იმერეთს ვარ ბევრჯერ მსვლელი, მეცა თანა წამოგყვები, მეფესთან ხარ თუ მიმსვლელი!“²

¹ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა – ქართლის ცხოვრება. ტომი მე-4. ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1973, 660-661.

² თფილელი იოსებ. დიდმოურავიანი. – ქართული მწერლობა, ტომი მეექვსე, თბ., 1989, გვ. 634, 635, 636.

ვახუშტის დროს ძველი ქართველი ფეოდალები უკვე „არღარა იწოდებიან გვართა.“ მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან კი სამცხეში ქართველთა ისლამიზაციის ჩქარი პროცესი დაიწყო. ისლამის გავრცელებას კი ქრისტიანებისადმი შეწერილი გადასახადი აჩქარებდა; ისინი დიდ და მძიმე გადასახადს იხდიდნენ. მე-18 საუკუნის 70-იან წლებში გარმანელი გიულდენშტედტი ქვემო გურიის შესახებ ხაზს უსვამდა: „თურქთა მონობისაგან გადარჩენის საშუალება მაჰმადიანობის მიღებაა ქრისტიანთა მიერ, ამიტომ მოსახლეობის ნახევარზე მეტი გამაჰმადიანდა.“¹ ბუნებრივია, ეს სიტყვები სამცხეზეც შეიძლება თავისუფლად გადავიტანოთ. იგივე ავტორი ქალაქ ახალციხის შესახებ შემდეგს წერდა: „ცნობილია ქართული ქალაქის ახალციხის შესახებ, სადაც თურქები უკვე დიდი ხანია სხედან და რომელიც მდებარეობს კურის ან მტკვრის მარცხენა ნაპირას, თბილისიდან დასავლეთ – სამხრეთ-დასავლეთით, ქუთაისიდან თითქმის სამხრეთით, მარწმუნებდნენ, რომ ის თბილისზე ოდნავ პატარაა და იქ ახლა მშვენიერი მაჰმადიანური მეჩეთი და აგრეთვე კათოლიკური ეკლესია არის; რომ იქ ჯერ კიდევ არსებობს ბერძნულ-ქართული ეკლესიები, რომ იქ უფრო მეტად ქართულ ენაზე ლაპარაკობენ, ვიდრე თათრულად და რომ მის მოსახლეობას შორის ჯერ კიდევ ბევრი მართლმადიდებელია.“² გამაჰმადიანების მიუხედავად, ქართველი გლეხკაცობა მე-18 საუკუნის შუა ხანებისათვის კვლავ ქართულად ლაპარაკობდა: „ენა აქუსთ ქართული, და უწყიან მოთავეთა თათრულიცა დამჭირნეობისათვის ოსმალთა.“³ მე-18 საუკუნის 70-იან წლებში სამცხის (არა მხოლოდ სამცხის, არამედ მთლიანად ახალციხის საფაშოს) მოსახლეობას კვლავ „ქართული ენა აქუსთ და მრავალი ქრისტიანენი არიან იმათში და სხუანიცა ახალნი გარდაქვეულნი არიან მაჰმადიანობაზედ.“ მაგრამ ამ

¹ გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტომი პირველი, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა. თ., 1962, გვ. 313.

² გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტომი პირველი, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა. თ., 1962, გვ. 175-176.

³ ზატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა – ქართლის ცხოვრება. ტომი მე-4. ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1973, 131.

დროს „ყოველს წელიწადს მძლავრობით მაჰმადიანად მრავალს გარდააქცევენ.“¹ როგორც სამართლიანად შენიშნავენ ქართული ენის თურქული ენით ჩანაცვლებაში დიდი როლი შესარულა პირველდაწყებითა სასულიერო სასწავლებლებმა – „ჰადისების სახლებმა“, სადაც მხოლოდ ლოცვებსა და სპეციალურად თურქულ ენას ასწავლიდნენ.² პირველ რიგში მშობლიურ ენას გზების პირზე მდებარე სოფლების მოსახლეობა კარგავდა, გზებიდან დაშორებული სოფლების მკვიდრნი კი შედარებით დიდ ხანს ინარჩუნებდნენ ქართულ ენას. 1869 წელს გაზეთ „კავკაზის“ ავტორი ლ. ისარლოვი შემდეგს წერდა: «Политика Турции в покоренному народу известна; утвердившись в Саатабаго, она начала огнем и мечом обращать жителей в ислаимзм. За всем тем они до позднего времени боролись с турками и хотя уступили насилию, но понине сохранили язык, обычай и домашний бытъ грузинский.»

«Сохранилось предание, что в начале прошлаго столетия турки насильственно обратили в прошлаго столетия в магометанство жителей горных деревен: Хазабаври, Сара и проч., они изгнали или перебили там священников, а самыя церкви обратили в мечети. Долго жители оплакивали это нечастие...» «...ислаимзм не мог вытеснить из среди их глубоко вкоренившихся некоторых верований уважения к древним церквам и монастырям. Это переходит из рода в род, не смотря на то, что сами жители ныне исповедуют наружно мусульманскую веру. Есть деревни как в нашей части пашалика, и так и турецкой, куда не проник еще язык турецкой, и жители там, как например в деревне Зегани, по ныне говорят и пишут по-грузински.»³ ამ სტრიქონების ავტორი იმასაც აღნიშნავს, რომ რუსეთ-თურქეთის ომამდე ახალციხის მხარეში ისლამის მქადაგებელი მოღვაწეები ადგილობრივ ქართველ მაჰმადიანებს უკრძალავდნენ მშობლიურ ქართულ ენაზე ლაპარაკს და აიბულებდნენ თურქულ ენაზე უსათუო საუბარს. პუბლიკაციიდან ისიც ირკვევა, რომ რუსეთის იმპერიაში მუსლიმები უფრო

¹ Цагарели А. Ирамоты, т. 2, в. 1, с. 84.

² ლომსაძე შ. სამცხე-ჯავახეთი (მე-18 საუკუნის შუა წლებიდან მე-19 საუკუნის შუაწლებამდე), თბ., 1975, გვ. 297.

³ Исарлов Л. Из путевых заметок об Ахалцихском уезде // газ. Кавказ, 1869, №107.

მეტი ფანატიზმით იქნენ შეპყრობილი და ცდილობენ უფრო მეტად ყოფილიყვნენ თურქები, იმ დროს როდესაც თურქთა მფლობელობის დროს და რუსთა მმართველობის დასაწყისშიც კი ისინი ენით არაფრით არ განსხვავდებოდნენ ქართველებისაგან.¹ მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ არა მხოლოდ ოსმალეთის ხელისუფლება ცდილობდა ქართველი მუსლიმების გათურქებას, არამედ ცარიზმიც, რომელიც ასევე ცდილობდა მათ აყრა-გადასახლებას, რათა მიგრანტი სომხებისათვის რაც შეიძლება მეტი ადგილი ყოფილიყო გამოთავისუფლებული. მუსლიმი ქართველების მიმართ არც საბჭოთა ხელისუფლებას შეუცვლია პოლიტიკა, პირიქით, მათი თურქიზაცია, ქართული ეთნიკური სამყაროსაგან საბოლოოდ ჩამოშორება სწორედ მაშინ განხორციელდა.

საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ კიდევ ერთი გარემოების შესახებ: მიუხედავად ოსმალთა მფლობელობაში მოქცევისა და მოსახლეობის თანდათანობითი გამაჰმადიანების დაწყებისა, ისკვევა, რომ ქართველობა, ქართული ენა და ქრისტიანობა პოზიციებს მაინცდამაინც ადვილად არ თმობდა. გ. ბოჭორიძეს კისაბათის (თუ ღრომის) „ბაიების“ ეკლესიაზე რამდენიმე მინაწერი დაუდასტურებია: „ყველა მინაწერი მე-17-18 საუკუნისაა.“² მეგნიერს მე-18 საუკუნის რამდენიმე მხედრული მინაწერი ჭულეს გუმბათოვან ეკლესიაზეც დაუდასტურებია.³

მე-18 საუკუნის 70-იან წლებში სამცხეში ფრანგ ჟან შარდენს უმეტესად ქრისტიანები ხვდებოდნენ: „ამ მთების მცხოვრებლები უმეტესად ქართული წეს-ჩვეულების ქრისტიანები არიან. სახის კანის ფერი კარგი აქვთ; მათ შორის ზევრი ძალიან ლამაზი სახის ქალი ვნახე.“⁴ თუმცა ერთ-ერთი სოფლის შესახებ იმასაც აღნიშნავს, რომ მასში თურქებიც ცხოვრობდნენ და ქრისტიანებიც. ფრანგს არც ციხეებისა და ეკლესიების ნგრევის ფაქტები გამორჩენია: „შუა დაღმართიდან მთის მწვერვალებზე ეკლესიისა და ციხის ნანგრევები

¹ Исарлов Л. Из путевых заметок об Ахалцихском уезде // газ. Кавказ, 1869, №107.

² გ. ბოჭორიძე. მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1992, გვ. 95.

³ გ. ბოჭორიძე. მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1992, გვ. 155.

⁴ ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ), ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიძემ, თ., 1975, გვ. 271.

მოჩანდა. ადგილობრივი მცხოვრებლები ამბობდნენ, რომ ციხეები და ეკლესიები აქ ბევრი იყო, მაგრამ თურქებმა დაანგრესო.“¹ ჟან შარდენის დროს, ადგილობრივთა ჯერ კიდევ ქრისტიანობისადმი ერთგულების დამადასტურებელი ის ფაქტიცაა, რომ სამცხეში ბევრი იყო ღვინო და ღორი.

მაჰმადიანი ქართველი უკვე ქართველად აღარ მიიჩნეოდა და აღარც თვითონ ისინი მიიჩნევდნენ ასეთებად თავიანთ თავს. რუსეთის იმპერიის სამცხეში გაბატონებამ გამაჰმადიანებული ქართველების გათურქების პროცესი უფრო დააჩქარა. სხვათა შორის, ამან ადგილობრივთა ოსმალეთის სხვადასხვა ვილაეთებში გადასახლებაც გამოიწვია. მე-19 საუკუნეში ცარიზმის მიერ ჩატარებული აღწერებიდან კარგად ჩანს „თათრებად“ ჩაწერილი მოსახლეობის ქართული წარმომავლობა, ხშირ შემთხვევაში კი მათი ადრინდელი ქართული გვარებიც. აშკარაა, რომ ქართული სახელმწიფოებრიობისაგან მოწყვეტამ, რელიგიის შეცვლამ ქართველთა დეეთნიზაცია გამოიწვია. დეეთნიზაცია კი ამ რეგიონში, ისევე როგორც თითქმის ყველგან, ძალიან სწრაფად, ორო-სამი თაობის განმავლობაში მოხდა.

ამრიგად, წარმოდგენილი საარქივო მასალები *Ta da saistorio wy-aroebi* მნიშვნელოვანი დასკვნების მიღების საშუალებას იძლევა. ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები, მათ შორის, სამცხე. აშკარაა, რომ მე-16 საუკუნის ბოლოს სამცხის მოსახლეობა ქართული იყო. ისინი ქართველობას ინარჩუნებდნენ მე-18 საუკუნეშიც, რადგან მხარის მასობრივი ისლამიზაცია ჯერ კიდევ დაწყებული არ იყო. ამ საუკუნის პირველ ნახევარში მხოლოდ ზედაფენა იყო გამაჰმადიანებული, გლებობა კი ისევ ქრისტიანობას ინარჩუნებდა. ბუნებრივია, ქართველებს ენა, კულტურა და ეთნიკურობა კვლავ შენარჩუნებული ჰქონდათ. მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან კი სამცხეში ქართველთა ისლამიზაციის ჩქარი პროცესი დაიწყო. მაჰმადიანი ქართველი უკვე ქართველად აღარ მიიჩნეოდა და აღარც თვითონ ისინი მიიჩნევდნენ ასეთებად

¹ ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ), ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო შხია მგალობლიშვილმა, თ., 1975, გვ. 268.

თავიანთ თავს. რუსეთის იმპერიის სამცხეში გაბატონებამ გამაჰმადიანებული ქართველების გათურქების პროცესი უფრო დააჩქარა. სხვათა შორის, ამან ადგილობრივთა ოსმალეთის სხვადასხვა ვილაეთებში გადასახლებაც გამოიწვია. მე-19 საუკუნეში ცარიზმის მიერ ჩატარებული აღწერებიდან კარგად ჩანს „თათრებად“ ჩაწერილი მოსახლეობის ქართული წარმომავლობა, ხშირ შემთხვევაში კი მათი ადრინდელი ქართული გვარებიც. აშკარაა, რომ ქართული სახელმწიფოებრიობისაგან მოწყვეტამ, რელიგიის შეცვლამ ქართველთა დეეთნიზაცია გამოიწვია. დეეთნიზაცია კი ამ რეგიონში, ისევე როგორც თითქმის ყველგან, ძალიან სწრაფად, ორო-სამი თაობის განმავლობაში მოხდა.

Summery

It has been universally known that the religious factor was of great significance in the Middle Ages. Ethnicity and religion are concepts nearly identical to each other. Prevalence of new religion in ethnos often caused ethnic assimilation. In Georgia, as well as in many other countries worldwide, religious factor was put before ethnicity. Despite ethnic origin, an orthodox Christian or a group of Orthodox Christians was considered to be a Georgian. An ethnic Georgian of other beliefs (Islam, Catholicism, Monophysitism) was no longer considered to be a Georgian. If this circumstance, in one case (in Early and Developed Middle Ages), resulted in ethnic integration, in another (Late Middle Ages), on the contrary, it caused breakup of single Georgian ethnic unity, when the ethnic statehood, uniting ethnos, no longer existed, and some historical-ethnographic regions of the country turned out to be within another state.

In the second half of XVI century historical-ethnographic regions of South-West Georgia, among them Samtskhe, appeared to be within Ottoman Empire. The historical sources witness that in the end of XVI century Samtskhe population was Georgian. They preserved being Georgian in XVIII century as well, because conversion of the region to Islam

then was not of mass character yet. In the first half of this century only elite became Mohammedan, peasants still preserved Christianity. Naturally, Georgians then preserved language, culture and ethnicity. Since the second half of XVIII century in Samtskhe the rapid process of Georgians' conversion to Islam started. Mohammedan Georgian was no longer recognized as Georgian, and they themselves also thought they were not Georgians. Domination of the Russian Empire in Samtskhe had accelerated the process of Mohammedan Georgians' turning into Turks. By the way, this also caused migration of some native population to different wilayats of Ottoman Empire. In the census conducted by Tsarist Russia in XIX century Georgian origin of the population written as "Turks" is seen well, and in frequent cases, their earlier Georgian surnames too. It is evident that break from the Georgian statehood, change of religion resulted in the process of de-ethnicity. This process in this region, as nearly everywhere, happened very quickly, namely, within two-three generations.

**საქართველოს სახელმწიფოს პრობლემები
თანამედროვე გეოპოლიტიკურ კონტექსტში და
1944 წელს მესხეთიდან დეპორტირებული მოსახლეობის
შთამომავალთა რეპატრიაციის საკითხი**

საბიებო სიტყვები:

დეპორტაცია, რეპატრიაცია, მესხები, «თურქი მესხები», მესხეთის მოსახლეობა, ქართველი მუსლიმანები.

შესავალი

ქართველთა მიერ პირველი სახელმწიფო დაფუძნდა დაახლოებით 3300 წლის წინ; მის საზღვრებს წარმოაჩენს უძველესი კოლხური არქეოლოგიური კულტურის გავრცელების არეალი, რომელიც მოიცავს ისტორიულ მესხეთსაც. უძველესი დროიდან ქართველებით დასახლებული მესხეთი ბოლო საუკუნეებამდე ყოველთვის იყო ქართული სახელმწიფოს ერთ-ერთი ცენტრალური ნაწილი.

რუსეთის მიერ 1801-1865 წლებში ანექსირებულმა საქართველომ დამოუკიდებლობა აღიდგინა 1918 წელს. ისტორიული მესხეთი სრულად შედიოდა მის საზღვრებში, მაგრამ ოსმალეთისა (და მისი სამართალმემკვიდრე ქემალისტური თურქეთის) და რუსეთის შეთანხმებით /ქართველთა სახელმწიფოს ინტერესების იგნორირებით/ 1919-1921 წლების შემდეგ საქართველომ დაკარგა ისტორიული მესხეთის ერთი ნაწილი (ზოფა-ბორჩხა-ართვინის, ოლთისის, თორთუმის, იუსუფელის მხარეები). ამავე გარიგებით, მესხეთის მეორე ნაწილი, საქართველოს სხვა მხარეებთან ერთად, დარჩა კომუნისტურ რუსეთს.

საკუთრივ, საბჭოთა იმპერიის ხელისუფლებამ არანაკლები უბედურება მოუტანა მესხეთის მოსახლეობას; კერძოდ, საარქივო მონაცემების მიხედვით, 1944 წელს სამხრეთ საქართველოდან

გადასახლეს დაახლოებით 19 ათასამდე ოჯახი (94 000 ადამიანი); მათი უმრავლესობა, წარმოშობით, ეთნიკური ქართველი იყო, მაგრამ საბჭოურ საარქივო მონაცემებში ამათგან 14 ათას ოჯახს ეროვნებად «თურქი» უწერია, დანარჩენს – აზერბაიჯანელი, თარაქამა ან ქურთი; კერძოდ: სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1944 წლის 31 ივლისის N 6279-ის დადგენილების საფუძველზე, სულ საქართველოს სს რესპუბლიკიდან სპეცგადასახლებულ იქნა 19 818 ოჯახი. მათ შორის: თურქები — 14 493 ოჯახი; ქურთები — 1 830 ოჯახი; აზერბაიჯანლები — 3 058 ოჯახი; იეზიდები — 7 ოჯახი; თათრები — 126 ოჯახი და ხემშილები — 304 ოჯახი¹.

დღეს საქართველოს მესამედი ოკუპირებულია რუსეთის მიერ, ქართველთა სრული გენოციდია განხორციელებული აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეში; სამხრეთ საქართველოს დიდ ნაწილზე ვერ ფუნქციონირებს ქართული, როგორც სახელმწიფო ენა. ასეთ უმძიმეს სიტუაციაში შეუძლებელია დემოგრაფიული ხასიათის ისეთი სერიოზული პროექტების განხორციელება, როგორიცაა 1944 წელს კომუნისტური იმპერიის ხელისუფლების მიერ გასახლებული მოსახლეობის რეპატრიაცია; მით უმეტეს, არსებობს რისკი, მესხეთში მათი კომპაქტურად დასახლების შემთხვევაში პროვოცირდეს მათი რეალური ეთნიკური დაპირისპირება 1829 წელს რუსი გენერლის – პასკევიჩის – მიერ სამცხე-ჯავახეთში ჩამოსახლებულ სომხებთან².

¹ დეპორტირებული მოსახლეობის ეროვნების განსაზღვრის თვალსაზრისით, საინტერესოა ორი დიდი ბოლშევიკის: სერგო ორჯონიკიძისა და ფილიპე მახარაძის დისკუსია:

სერგო ორჯონიკიძე: "ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში სცხოვრობს 55 000 თურქი..."

ფილიპე მახარაძე: "ამ მაზრებში არავითარი თურქები არ მოიპოვება და იმ მოსახლეობას, რომელიც აღნიშნულია თურქებათ, 80 %, ან თითქმის 90 %-საც კი შეადგენს ქართველი მუსულმანები, დანარჩენი 10-20 %-ს კი შეადგენენ თურქები, თარაქამები და სხვანი (ფილიპე მახარაძე, თხზულებათა კრებული, ტ. IV, ნაციონალური საკითხი, თფილისი, 1924, გვ. 264).

2 ამ თვალსაზრისით საყურადღებო მასალისათვის იხ.: <http://www.ahiska.moy.su/news/2008-02-24-48>: "Фанатичная вражда армян к туркам шокировала представителей Федерального Союза народов Европы, которые 10 ноября 1998 г. участвовали во встрече с армянской общественностью в Армянском государственном театре в Тбилиси. Член делегации С.Червошная, побывавшая в Тбилиси с целью ознакомления с положением

1944 წელს დეპორტირებული მოსახლეობის შთამომავლების აღსანიშნავად გამოყენებულია სხვადასხვა სახელი: "მესხი", "მუსლიმანი ქართველი", "თურქი", "თურქი-მესხი"... წინააღმდეგობრივია ევროსაბჭოს დოკუმენტების ტერმინოლოგიაც¹: ზოგ დოკუმენტში გამოყენებულია "Meskhetian population"², რაც ქართულად „მესხეთის მოსახლეობას“ ან "მესხ მოსახლეობას" ნიშნავს, ზოგში კი – "Meskhetian Turks", ანუ "მესხეთის თურქები".

ეს ტერმინოლოგიური სიჭრელე მანიშნებელია, რომ არც საერთაშორისო სივრცეში და არც საქართველოს პოლიტიკური ელიტის დიდ ნაწილში ამ საკითხთან მიმართებით სწორი ხედვა არაა ჩამოყალიბებული.

საკუთარი ისტორიული იდენტობის განსაზღვრაში სხვადასხვა მიდგომა აქვთ 1944 წელს დეპორტირებული მოსახლეობის შთამომავლებსაც; მსჯელობისათვის იხ. მაგ.:

"Среди турок-месхетинцев нет согласия по поводу своего собственного происхождения. Более 80% из них считают себя потомками этнических турок-«ерли» (турецкоговорящие земледельцы) и «теряклы» (пастухи-азербайджанцы), остальные возводят свою родословную к части грузин-месхов и армян-хемшилов, принявших ислам в XVII – XVIII веках и перешедших на турецкий язык. Имеется также версия о том, что турки-месхетинцы

турок, отмечала в своем отчете, что делегация ФСНЕ на этой встрече «имела возможность воочию убедиться, с какой развязностью выдвигаются в этой среде претензии и идеи, проникнутые яростной туркофобией»... შტრ. სომეხების პოზიცია: <http://www.javakhk.net/forum/index.php?showtopic=146>.

¹ რომელიც შექმნილია ქართველ პოლიტიკოსებთან კოორდინაციითაც.

² [https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=26505&Site=COE:Compliancewithcommitmentsandobligations:the situation in Georgia/Principial Council of Europe texts and list of commitments/](https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=26505&Site=COE:Compliancewithcommitmentsandobligations:the%20situation%20in%20Georgia/Principial%20Council%20of%20Europe%20texts%20and%20list%20of%20commitments/). ix, agreeTve, http://www.coe.int/t/dgap/tbilisi/index4736_ge.asp: საქართველოს განაცხადი ევროპის საბჭოში გაწევრიანების შესახებ /დასკვნა 209 (1999). <http://portal.coe.ge/index.php?lan=en&id=geoc&sub=3>:

«To adopt, within two years after its accession, a legal framework permitting repatriation and integration, including the right to Georgian nationality, for the Meskhetian population deported by the Soviet regime, to consult the Council of Europe about this legal framework before its adoption, to begin the process of repatriation and integration within three years after its accession and complete the process of repatriation of the Meskhetian population within twelve years after its accession».

³ http://www.coe.int/t/dghl/monitoring/ecri/Country-by-country/Georgia/Georgia_CBC_en.asp: ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის შესახებ.

произошли от симбиоза одного из родов турок-османов, осевших здесь, все с тем же грузинским племенем месхов”¹.

რიგ შემთხვევებში წინააღმდეგობრივი შინაარსის მიუხედავად, არსებული აკადემიური კვლევები ცხადყოფს², რომ დეპორტირებული მოსახლეობის დიდი ნაწილი იყო ეთნიკური ქართველი (ან ქართულენოვანი), ხოლო ნაწილი, მართლაც, იყო ეთნიკური თურქი თუ თარაქამა; შესაბამისად, პირადად მე, დეპორტირებულთა საერთო სახელად ვირჩევ შესიტყვებას: “1944 წელს სამხრეთ საქართველოდან დეპორტირებული მოსახლეობა”.

2004-2007 წლებში ევროპულმა ცენტრმა განახორციელა ფართომასშტაბიანი პროექტი³, რომელიც მიზნად ისახავდა დეპორტირებულ მესხთა მდგომარეობის შესწავლას ამჟამინდელი განსახლების ქვეყნებში. ევროპული ცენტრის ცნობით, პროექტის ფარგლებში დეპორტირებულ მესხთა ამჟამინდელი განსახლების ცხრა ქვეყანაში პირველი რიგის კვლევები ჩატარდა. ამ მონაცემების თანახმად, აზერბაიჯანში 95 000 მესხი ცხოვრობს, ყირგიზეთში – 50-70 000, ყაზახეთში – 150 000, რუსეთში – 68 400, უზბეკეთში

¹ <http://www.ferghana.ru/article.php?id=6278>;

<http://portal.coe.ge/index.php?lan=ge&id=geoeu&sub=3>

² იხ., მაგ.: შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი (XVIII საუკუნის შუა წლებიდან XIX საუკუნის შუა წლებამდე), 1975 წ. და Л. Бараташвили, К. Бараташвили, Мы – Месхи. Литературная Грузия. 1988, А. Юнусов, Ахыскинские (месхетинские) турки: Дважды депортированный народ. Центральная Азия и Кавказ. №1(2) 1999 г.; №8,9,10,11; იხ., აგრეთვე: К. Бараташвили, Грузинские фамилии месхов мусулман. Тб. 1997; მ. ბარათაშვილი, მესხ რეპატრიანტთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში, თბ., 1998; ლ. ჯანიაშვილი, 1944 წელს სამხრეთ საქართველოდან გასახლებულთა ეთნიკური ვინაობის საკითხისათვის, თბილისი, 2006 წ.; მ. ბერიძე, გვარები და ტოპონიმები მეტყველებენ, თბილისი, 2006წ.; მ. ბერიძე, ქართველთა გამუსლიმება და გვარის შეცვლა მესხეთში, თბილისი, 2006წ.; უ. ზლუაშვილი, სამხრეთ საქართველოდან 1944 წელს დეპორტირებული მოსახლეობის ეთნიკური იდენტობა და რაოდენობა, თბილისი, 2006წ.; თ. ვარდიძე, რეპატრიაციის სამართლებრივი ასპექტები, თბილისი, 2007 წ.; ტ. ტრიერი, გთარზან-მოურავი, ფკილიშნიკი, მესხები; გზა შინისაკენ, 2011 (ამ წიგნში, რატომღაც, მესხური მეტყველება ჩათვლილია თურქული ენის დიალექტად; სინამდვილეში, უცვლელი ფაქტია, რომ ისტორიული მესხური მეტყველება არის ქართული ენის დიალექტი, ხოლო დეპორტირებული მოსახლეობის დიდი ნაწილის სალაპარაკო ენად იქცა თურქული ენის ზეპირი ნაირსახეობა)...

შდრ.: 1944 წელს მესხეთიდან დეპორტირებული მოსახლეობა თურქებადაა გამოცხადებული და, შესაბამისი კონიუნქტურითაა წარმოდგენილი ამ მოსახლეობის ისტორია ვებგვერდზე: <http://www.ahiska.moy.su/news/2008-02-24-48...> იხ., აგრეთვე: http://www.ca-c.org/journal/10-1997/st_15_enoh.shtml

³ მისი ბიუჯეტი შეადგენდა 318 ათას ევროს.

– 25 000, უკრაინაში – 9 200, თურქეთში – 35 000, საქართველოში – 700, აშშ-ში – 2 000. თუ ამ კვლევის შედეგებს დავეყრდნობით, ცხრავე ქვეყანაში ერთად დაახლოებით 455 000-მდე „მაჰმადიანი მესხი“ ცხოვრობს. ბოლო წლებში რუსეთის (კრასნოდარის მხარის) ხარჯზე 12 000-მდე გაიზარდა აშშ-ში გადასულ «მუსლიმან მესხთა» რაოდენობა. ამავე კვლევის შედეგების თანახმად, საქართველოში დაბრუნების მსურველთა რაოდენობა დაახლოებით 100 000-ს შეადგენს¹.

შდრ.:

საქართველოს ხელისუფლების ოფიციალური ცნობით, სამხრეთ საქართველოდან (მესხეთიდან) დეპორტირებულ მოქალაქეთა 5 ათასზე მეტმა შთამომავალმა საქართველოს ხელისუფლებას მიმართა, რომ დააბრუნოს წინაპართა სამშობლოში.

ისტორიული ასპექტი

ძველი ისტორიული წყაროებისა და ბოლო საუკუნეების ფაქტობრივი მონაცემების შეგერება ცხადყოფს, რომ სამხრეთ საქართველოს – ისტორიული მესხეთის – მოსახლეობა ეთნიკური ქართველი იყო²; ამ მხარეში ქრისტიანობა იქადაგა ქრისტეს მოწაფემ – ანდრია პირველწოდებულმა. IV საუკუნიდან კი საქართველოს ამ მხარეშიც ოფიციალური რელიგია იყო ქრისტიანობა.

ასევე, ყველასათვის ცნობილია, რომ სამხრეთ საქართველომ – ისტორიულმა მესხეთმა – არაერთხელ შეძლო ერთიანი ქართული (ქართულენოვანი) სახელმწიფოს აღორძინება... საქართველოს ამ მხარისთვის შეუქცევადი მძიმე პერიოდი იწყება 1555 წლიდან,

¹ მასალისათვის იხ., აგრეთვე: <http://www.toleranti.ge>.

² ბერძნული, ურარტული, სომხური... წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვისათვის იხ.: Г.А. Меликишвили. К истории древней Грузии. Тб., 1969; ტ. ფუტყარაძე, ქართველები (ისტორიული საცხოვრისი, სამწიგნობრო ენა, დიალექტები, 2005, 624 გვ.; ინგლ. 395-394 გვ.; თურქ. 395-492 გვ.; T. Putkaradze, The Georgians The Kartvels (Historical Home, Mother Tongue Dialects); English version pg. 395-492; Turkish version pg. 331-394; გამომცემლობა „ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“; T. putkaradze, Publishing house “Akaki Tsereteli State University“; <http://www.scribd.com/doc/2158690/The-Georgians-the-Kartvels>; <http://www.scribd.com/doc/2158759/Kartveller-Gurculer>.

იხ., აგრეთვე: ტ. ფუტყარაძე, იმერხევის მეტყველი მიწა-წყალი (ქართულ და თურქულ ენებზე); ქუთაისი, 2007; IMERHEVI'NİN KONUŞAN TOPRAĞI (Satav, Agara, Bzata, Şoltishevi,İvci,İmphrevli, Koklieti, Manatba, Hohlevi, Maçhateti...); kutaisi, 2007; Imerkevi Speaking Land, kutaisi, 2007.

როდესაც ქალაქ ამასიაში ოსმალეთმა და სპარსეთმა საქართველო გაინაწილეს¹, ოსმალთა პირველი იერიშების მსხვერპლი კი მესხეთი გახდა.

ოსმალეთის გავლენის ველში მოქცეულ საქართველოს ამ ნაწილში საბოლოოდ დამკვიდრების მიზნით, იმპერიის ხელისუფლება დღენიადაგ ცდილობდა დემოგრაფიული ბალანსის შეცვლას; დემოგრაფიული სიტუაციის შეცვლის ერთ-ერთი გზაა ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების შეცვლა შესაბამისი რელიგიური და ენობრივი პოლიტიკის წარმოებით.

შენიშვნა: ძლიერი გეოპოლიტიკური მოთამაშეების მრავალსაუკუნოვანი დაპირისპირების ეპიცენტრში მყოფ ისეთ ქვეყანაში, როგორცაა საქართველო, მოსახლეობა განიხილება უმთავრეს გეოპოლიტიკურ სიმძლავრედ; შესაბამისად, გარეშე ძალები დღენიადაგ ცდილობენ მოსახლეობის ცნობიერების შეცვლას (რელიგიისა ან დედაენის შეცვლით), ან ახორციელებენ გენოციდს.

ამ კონტექსტშია განსახილველი შემდეგი ფაქტი:

ოსმალეთის ხელისუფლება გამუსლიმანებულ ქართველს გადასახადს არ სთხოვდა, ქრისტიანებს კი დიდ გადასახადს უწესებდა; ასევე, გამუსლიმანებულ თავად-აზნაურობას პრივილიგიებსა და ძალაუფლებას უნარჩუნებდა, ქრისტიანს კი – ართმევდა. თავდაპირველად, ძალაუფლება რომ შეენარჩუნებინა, თავდაზნაურობა გამუსლიმანდა. ხალხის ნაწილი ჯერ ფორმალურად გამუსლიმანდა საგადასახადო შეღავათების გამო, მეორე ნაწილმა კი კათოლიკობა მიიღო, რადგან ოსმალეთი კათოლიკეებს ნაკლებად დევნიდა (ისინი დღემდე “ფრანგებად” იწოდებიან). მესხი მოსახლეობის მესამე ნაწილი მართლმადიდებელად დარჩა... პარალელურად, გამორიცხული არაა, რომ რეგიონში თურქული ტომების ჩამოსახლებაც დაიწყო.

მე-19 საუკუნეში კავკასიაში/საქართველოში გაბატონებისათვის ოსმალეთს მეტოქეობას უწევს რუსეთი. სამხრეთ საქართველოს დემოგრაფიული სიტუაცია უფრო დაამძიმა რუსეთის იმპერიის გენერალ პასკევიჩის მიერ 1829 წელს ერზერუმიდან დევნილი

¹ <http://www.history.ge/index.php?s=10>.

სომხების საქართველოში დასახლებამ... რუსეთს დღესაც სურს, კავკასიაში შექმნას მისთვის სასურველი დემოგრაფიული სიტუაცია.

სამხრეთ საქართველოს – ისტორიული მესხეთის – გამო რეგიონის ძლიერ გეოპოლიტიკურ მოთამაშეთა დაპირისპირება ახალ აქტიურ ფაზაში გადავიდა პირველი მსოფლიო ომის დროს; კავკასიაში გაბატონების მოსურნე ქვეყნების (ინგლისი, ოსმალეთი, რუსეთი...) წახალისებით 1918-1919 წლების დამოუკიდებელ საქართველოში, კერძოდ, სამცხე-ჯავახეთში პროვოცირებულ იქნა რელიგიური დაპირისპირება; დაპირისპირება სისხლიან ავანტიურად აქციეს ინგლისის გარკვეულ წრეებთან დაკავშირებულმა იმდროინდელმა ადგილობრივმა ავანტიურისტმა პოლიტიკოსებმა: ეთნიკურმა ქურთმა იბრაჰიმ-ბეი ჯიჰანგიროღლუმ და ქართული წარმოშობის ლიდერებმა: ომერ ფაიკ-ბეგ ყიფიანმა და ოსმან სერვერ-ბეგ ათაბეგოვ-ქვაბლიანსკიმ; მათ სურდათ საქართველოს სახელმწიფოს ამ ნაწილზე შეექმნათ მუსლიმანური რესპუბლიკა სახელწოდებით: “სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის ისლამურ-დემოკრატიული რესპუბლიკა”; შესაბამისად, მათ ბრძოლა წამოიწყეს საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს წინააღმდეგ; ბრძოლის საწყის ეტაპად კი დასახეს რეგიონში მცხოვრები ქრისტიანი მოსახლეობის გენოციდი. კერძოდ, 1918-1919 წლებში მათ მიერ მოხდა ქრისტიან მესხთა დარბევა. დარბევაში აქტიურები იყვნენ სერვერ-ბეგის “ჩათნიკები” (პარტიზანები).

სწორედ ამ ავანტიურის შემდეგ შეიქმნა “მითი”, რომ სამცხე-ჯავახეთში მიმდინარეობდა ხანგრძლივი რელიგიური ომი; სინამდვილეში კი, მანამდე და მის მერეც სხვადასხვა აღმსარებლობის ძმებს ნორმალური ურთიერთობა ჰქონდათ. ამ კონტექსტში, 1919 წელს მომხდარ ერთ მძიმე ამბავს დავიმოწმებ:

ახალციხის რაიონის სოფელ ჭვინთის მცხოვრები, მუსლიმანი ქართველი, ვინმე შავჯათ შაქრიძე სერვერ-ბეგის „ჩათნიკებმა“ აწამეს – ძელზე გასვეს – იმის გამო, რომ იგი საკუთარ ოჯახში ქრისტიან მეზობლებს იფარავდა (მასალა ჩაწერილია სოფელ ჭვინთაში 2005 წლის ივნისში; რესპონდენტი – ჭვინთის მცხოვრები

ნაილა ბერიძე; მასალის ჩამწერი – დოქტორანტი მიხეილ ლაბაძე).

1919 წელს დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებამ მოიგერია “ჩეთნიკების” ავანტიურა. ცოტა ხნის შემდეგ ამ ავანტიურის ხელმძღვანელი – სერვერ-ბეგ ქვაბლიანსკი – ქემალისტი გახდა; 1923 წელს იგი თურქეთის პარლამენტის წევრად აირჩიეს არტაანის მხრიდან.

ვინ არის პასუხისმგებელი 1944 წელს მესხეთიდან მოსახლეობის დეპორტაციის გამო?

საარქივო მონაცემების მიხედვით, 1944 წელს საბჭოთა მუშაკებმა მესხეთის მუსლიმანური სოფლები ჩამოიარეს და ხალხს ეროვნებას ეკითხებოდნენ; უმრავლესობა პასუხობდა, რომ “ქართველი” არ იყო!...

ადამიანების ეროვნული თუ ეთნიკური იდენტობა განათლების დონეზეა დამოკიდებული; არაიშვიათად, გაუნათლებელი ინდივიდები რელიგიასა და ეთნიკურობას ერთმანეთთან ათანაბრებდნენ. აკადემიური სამეცნიერო ინფორმაციის უქონლობის გამო არაიშვიათია შემთხვევები, როცა პიროვნებას დაკარგული აქვს იდენტობა ან, ამ თვალსაზრისით, დეზორიენტირებულია; ჩვენს შემთხვევაშიც, დეპორტირებულთაგან უმრავლესობას არ ჰქონდა ინფორმაცია საკუთარი ეთნიკური ისტორიის შესახებ (დღესაც, ასევე, ცალმხრივი ინფორმაცია აქვს მათ შთამომავალთა უმრავლესობას). მე-20 საუკუნის 30-იან წლებში სიტუაცია დაამძიმა იმანაც, რომ საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ კათოლიკე ქართველებს ქართული სკოლები გაუხსნეს, მუსლიმან ქართველებს კი – აზერბაიჯანული¹. სწორედ სკოლები აღმოჩნდა საბოლოო გზაგამყარი, კერძოდ:

¹ ყოფილი სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს საარქივო მასალები შეისწავლა და დოკუმენტური მასალის საფუძველზე დაფუძნებული ეს ინფორმაცია მოგვანოდა პროფესორმა ვახტანგ გურულმა.

² სხვათა შორის, ამავე პერიოდში აჭარაში მხოლოდ ქართულენოვანი სკოლები გაიხსნა; აქ, ილია ჭავჭავაძის დროიდან მოყოლებული, ქართულ სკოლებზე იყო ორიენტირება; ბუნებრივია, ამას ადგილობრივმა მოღვაწეებმაც შეუწყვეს ხელი, მაგ., ჰაიდარ, ზია და მემედ აბაშიძეებმა, ხასან თხილაიშვილმა, ბეჟანიძეებმა, ხიმშიაშვილებმა.. პირადად, ჩემთვის საამაყოა, რომ ზემო აჭარაში ერთ-ერთი პირველი ქართული სკოლა გაიხსნა ბაბუაჩემის ძამის ოჯახში.

საბჭოთა პროპაგანდის მიუხედავად, ქართულენოვანმა სკოლებმა ქართული ეროვნული მეობა გააძლიერა, ხოლო აზერბაიჯანულენოვანმა სკოლებმა უფრო დათრგუნა მუსლიმანი ქართველების ეთნიკური არსი.

საქართველოს მოქალაქე მუსლიმანი მესხებისათვის აზერბაიჯანულენოვანი სკოლების გახსნაში “ჩადებული” პოლიტიკა, რა თქმა უნდა, იყო საბჭოთა იმპერიის შორს მიმავალი დივერსია ქართველი ერისა და საქართველოს წინააღმდეგ.

თანამედროვე კონტექსტში არსებითია სხვა გარემოება:

1944 წელს მესხეთიდან გასახლებული ეთნიკური ქართველების ცნობიერებისა და კულტურისგან მკვეთრად განსხვავდება მათი მემკვიდრეების ცნობიერება და კულტურა, რამდენადაც ისინი დაიბადნენ და აღიზარდნენ სხვაენოვან და სხვა ეთნოსების მიერ დაფუძნებულ სახელმწიფოებში: რუსეთში, აზერბაიჯანში, ყაზახეთში... კერძოდ, სამი ჯგუფი შეიძლება გამოვყოთ:

1. გადასახლებულთა შთამომავლობის ძალიან მცირე ნაწილს ახსოვს ქართველობა; მათმა ერთმა ჯგუფმა დაიბრუნა ქართული გვარებიც და დედაენაც ისწავლა; ამ თვალსაზრისით, საინტერესოა სამტრედიის რაიონში ჩასახლებულ მესხთა უახლესი ისტორია, რომელიც გამოწვლილვით შევისწავლეთ; კერძოდ, 2002-2003 წლებში ჩემი და ჩემი კოლეგების (ფილოლოგი ხ. ჯავახაძე, თურქოლოგი გ. ქამუშაძე, ეთნოგრაფი დ. შავიანიძე, ენათმეცნიერი ე. დადიანი...) მიერ დაარსებულმა ორგანიზაციამ: «ქართველური ენა და კულტურა საზღვრებს გარეშე», ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელშეწყობით, განახორციელა პირველი პროექტი სამტრედიის რაიონის სოფ. იანეთის მეცხრე უბანში მცხოვრები მესხი რეპატრიანტებისთვის; პროექტი მიზნად ისახავდა რეპატრირებული მესხების ისტორიის შესწავლას, მათთვის ბიბლიოთეკის შექმნასა და ქართული ენის სწავლებას. მეორე პროექტი განვახორციელეთ 2004 წელს არასამთავრობო ორგანიზაცია «საქართველოს სამეურვეო საბჭოების ასოციაციის» გეგმის შესაბამისად (პროექტის ხელმძღვანელი ხ. ჯავახაძე, კონსულტანტი მერი ელენ ჩათვინი, სამეცნიერო

კონსულტანტი ტ. ფუტკარაძე), რომელიც დაარსდა «დასავლეთ საქართველოს თემის მობილიზაციის ინიციატივის» პროგრამის დასრულების შემდეგ. პროექტის მიზანი იყო იანეთის სკოლის დახმარება. იანეთში მომდევნო პროექტები გახორციელდა სამცხე-ჯავახეთის რეგიონალურ ასოციაცია «ტოლერანტანა» ერთად (ხელმძღვანელი გ. მესხიშვილი). განხორციელებული პროექტების ფარგლებში მომზადდა რამდენიმე სამეცნიერო გამოკვლევა¹. ისტორიულ, ლინგვისტურ, ეთნოგრაფიულ და სოციოლოგიურ მასალაზე დაფუძნებული კვლევა ცხადყოფს, რომ სამტრედიამი დასახლებული მესხების უმრავლესობის ისტორიული თუ ამჟამინდელი ეთნიკური თვითაღქმა (იდენტობა) ქართულია.

2. სამტრედიამი (იანეთში) დაბრუნებული მესხებისგან განსხვავებით, დეპორტირებულთა შთამომავლების უდიდესი ნაწილი თავს ქართველად არ მიიჩნევს, არ იცის არც ქართული ენა და არ სურს საქართველოს მოსახლეობაში ინტეგრაცია (მაგ., ისინი უკვე ინტეგრირდნენ შეერთებული შტატებისა თუ თურქეთის მოქალაქეებში).

3. გადასახლებულთა შთამომავლების არც თუ მცირე ნაწილი თვლის, რომ თურქია და სურს დაბრუნდეს მესხეთში, რომელიც, მათივე აზრით, არ უნდა დარჩეს საქართველოს ორგანულ ნაწილად...².

¹ კერძოდ, იანეთში ჩასახლებულ მესხთა შესახებ გამოსაქვეყნებლად მომზადებულია ვრცელი მონოგრაფია: "იანეთელი მესხები: რეპატრიაცია და ლინგვოკულტუროლოგიური პრობლემები" (ავტორები: ტარიელ ფუტკარაძე, დავით შავიანიძე, გიგა ქამუშაძე, რამაზ ხაჭაპურიძე).

უკვე გამოქვეყნდა მცირე მოცულობის წიგნი: ტ. ფუტკარაძე, მესხეთიდან დეპორტირებულთა თვითაღქმა. გამოცემლობა "არტანუჯი", 2005; *the Identity of Repatriates of Meskheti*, 2005; "Artanuji" press <http://www.scribd.com/doc/2158698/The-Identity-of-Repatriates-of-Meskheti> და რამდენიმე სტატია: ტ. ფუტკარაძე, იანეთელი მესხები (ლინგვო-კულტურული ასპექტები), აკად. სურგი ჯიქიას დაბადების 110 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, ახალციხე, 2009 წლის 26-27 ივნისი; გ. ქამუშაძე, ქართული ენის გავლენისათვის თურქულ დიალექტურ მეტყველებაზე (იანეთში რეპატრირებულთა მონაცემების მიხედვით) და სხვ.

² მაგ., ითხოვენ ავტონომიას და სხვ. მასალა იხ. მათი ვებგვერდებიდან:

<http://www.ahiska.moy.su/>; <http://www.facebook.com/group.php?gid=343649978506>;

<http://blog.ahiskaturkleri.com/>; http://tr.wikipedia.org/wiki/Ah%C4%B1ska_T%C3%BCrkl.

<http://www.ahiskalilar.org/portal/index.php>;

<http://www.politikars.com/haberdetay/13740/Ahiska-Turkleri-Topraklarini-istiyor...!>;

<http://www.ahiska.net>

საერთაშორისო კანონმდებლობის გათვალისწინებით, საქართველოში დაბრუნების უფლება მხოლოდ იმ პირთ შეიძლება მიეცეთ, რომლებიც აღიარებენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და ეუფლებიან საქართველოს სახელმწიფო ენას. შესაბამისად, უნდა დაიგეგმოს მათთვის სახელმწიფო ენის სწავლება; ასევე, აუცილებელია, პირველ წლებში მაინც, რეპატრირებულთა ყოფითი ცხოვრების უზრუნველყოფა.

ვინ უნდა გაიღოს საამისო სახსრები?

1944 წელს დეპორტირებული მოსახლეობის შთამომავალთა მიერ შექმნილი თანამედროვე ვებგვერდები თუ დეპორტირებულთა გამოკითხვების მიხედვით მომზადებული გამოკვლევები ცხადყოფს, რომ დეპორტირებულთა შთამომავლებს არასწორი წარმოდგენა აქვთ დეპორტაციის პროცესზე; კერძოდ, მათი დასკვნით დეპორტაცია განახორციელეს ქართველებმა, რამდენადაც სტალინი და ბერია ქართველები იყვნენ...

1944 წელს განხორციელებული მასობრივი ძალადობის – დეპორტაციის – დაბრალება ქართველი ერისადმი უსაფუძვლოა; ამ პერიოდში ქართველი ერის ინტერესების გამომხატველი პოლიტიკოსები არ იყვნენ ხელისუფლებაში, რამდენადაც საქართველო დაპყრობილი იყო საბჭოთა იმპერიის მიერ¹; კერძოდ, ფაქტია, რომ 1944 წელს თურქეთის საზღვრიდან მუსლიმანი მოსახლეობის დეპორტაცია განახორციელა გერმანია-თურქეთის ალიანსთან დაპირისპირებულმა რუსეთის იმპერიამ; შესაბამისად, საქართველოდან მუსლიმანი მოსახლეობის დეპორტაციაზე მთავარი პასუხისმგებლობა უნდა აიღოს კომუნისტური რუსეთის იმპერიის სამართალმემკვიდრემ – რუსეთის ფედერაციამ.

¹ რუსეთის იმპერიის მთავრობაში მყოფი ეთნიკური ქართველები რენეგატები იყვნენ; ისინი გამოხატავდნენ რუსეთის კომუნისტური იმპერიის ინტერესებს და სერვერბეჭვაბლიანსკის მსგავსად, ებრძოდნენ ქართველი ერს.

საერთაშორისო სამართალი და ვალდებულება მესხეთიდან დეპორტირებულთა რეპატრიაციისა თუ კომპენსაციის შესახებ

სხვადასხვა ცნობით, დეპორტირებული მოსახლეობის შთამომავლები დღეს ნახევარ მილიონს შეადგენენ. მათგან, ძალიან ბევრი რუსეთსა და აშშ-ში ცხოვრობს, ასევე, – თურქეთსა და აზერბაიჯანშიც, საქართველში დაბრუნების სურვილი კი, როგორც ვიცით, 5 800 ოჯახმა, ანუ, მაქსიმუმ, ათი ათასმა ადამიანმა გამოთქვა. მოკლედ, ნახევარმილიონიანი მასის შემოდინების საფრთხე არ არსებობს, მაგრამ ვიდრე თუნდაც ათი ათასი ადამიანი დაბრუნდება, ბევრი რამ უნდა დაზუსტდეს; კერძოდ, ის, რომ ადამიანმა, რომელიც საქართველოში ბრუნდება, სულ ცოტა, საქართველოს სახელმწიფო ენა უნდა იცოდეს, ანუ მოქალაქეობის მინიჭება სახელმწიფო ენის ცოდნასა და კიდევ სხვა კონსტიტუციური მოთხოვნების შესრულების შემდეგ უნდა მოხდეს. საგულისხმოა, რომ მსოფლიოში არავის აქვს აღებული ვალდებულება, რომ ნახევარ მილიონ დევნილს აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეში დააბრუნებს და, საერთოდ, თუ დაბრუნებაზეა ლაპარაკი, რომელ დეპორტირებულთა დაბრუნებით უნდა დავიწყოთ? პირველ რიგში, შაჰ-აბასის მიერ გადასახლებულ ქართველთა შთამომავლების დაბრუნების დაფინანსებით ხომ არა?

პირადად, მე მიმაჩნია, რომ როგორც საქართველოსთვის, ასევე, სახელმწიფოთა ევროპული ოჯახისთვის პირველი რიგის ამოცანაა აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან რუსეთის იმპერიის მიერ გამოდევნილი ქართველებისა და საქართველოს ერთიანობის მომხრე აფხაზთა და ოსთა დაბრუნება. ევროსაბჭო და, საერთოდ, მსოფლიო საქართველოს უნდა დაეხმაროს, რომ ჯერ ეს უსახლკაროდ დარჩენილი, შიმშილით სიკვდილის საფრთხის ქვეშ მყოფი ახალდეპორტირებული მოსახლეობა დაბრუნდეს საქართველოს ამ კუთხეებში.

სამწუხაროა, რომ 1944 წელს დეპორტირებულთა პრობლემაც მსოფლიოს დიდი გეოპოლიტიკური მოთამაშეების

დაპირისპირების კონტექსტის ნაწილად იქცა; კერძოდ, კავკასიაში გასაბატონებლად ამ თემით სპეკულირებენ როგორც რუსეთის, ასევე, თურქეთის პოლიტიკური სპექტრის სერიოზული სეგმენტები. შედეგად, იზრდება საქართველოს სახელმწიფოს შემდგომი დეზინტეგრაციის საფრთხე.

გადამწყვეტი სიტყვა საქართველოს ხელისუფლებამ უნდა თქვას, რომელმაც უნდა გაითვალისწინოს ზემოთ წარმოდგენილი ყველა რისკ-ფაქტორი თუ პრობლემა. საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლებისა თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ აღარ უნდა განმეორდეს წინამორბედთა უმძიმესი შეცდომები¹ და არსებული სერიოზული პრობლემა ისე უნდა მოგვარდეს, რომ დაცულ იქნეს დეპორტირებულთა უფლებებიც და საქართველოს სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესებიც /არ უნდა მიეცეთ თავისუფალი ქმედების საშუალება იმ გჯუფებს, რომლებსაც სურთ, სამხრეთ საქართველო ახალ “ცხელ კერად” აქციონ/.

რეპატრიაციის ფართომასშტაბიანი ახალი გეგმა უნდა შეიქმნას საერთაშორისო სამართლის ბაზაზე და, ეკონომიკურ თუ სამართლებრივ წახნაგებთან ერთად, გათვალისწინებულ უნდა იქნას «საინფორმაციო ომის» პროცესში დეზორიენტირებული საზოგადოებისთვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდების აუცილებლობა; კერძოდ, ამ კუთხით არსებითია:

1. რეპატრიაციის მსურველთა ინფორმირება წინაპრების ისტორიის შესახებ:

¹ მაგ., საქართველოს ხელისუფლების მიერ 1999 წელს აღებული ვალდებულება იყო ნაჩქარევი და, განხორციელების თვალსაზრისით, სრულიად არარეალური. იხ.: საქართველოს განაცხადი ევროპის საბჭოში განწვერიანების შესახებ; /დასკვნა 209 (1999)/: “განწვერიანებიდან ორი წლის განმავლობაში მიღებულ იქნას სამართლებრივი ბაზა, რომელიც დაუშვებს საბჭოთა რეჟიმის მიერ დეპორტირებული მესხი მოსახლეობის რეპატრიაციას და ინტეგრაციას ქართველ ეროვნებაზე უფლების ჩათვლით; ამ სამართლებრივი საფუძვლის მიღებამდე, მის შესახებ გაწეულ იქნას კონსულტაციები ევროპის საბჭოსთან; განწვერიანებიდან სამი წლის განმავლობაში დაწყებულ იქნას რეპატრიაციის და ინტეგრაციის პროცესი, ბოლო განწვერიანებიდან თორმეტი წლის განმავლობაში დასრულდეს მესხი მოსახლეობის რეპატრიაციის პროცესი.

http://www.coe.int/t/dgap/tbilisi/index4736_ge.asp. იხ., აგრეთვე, საქართველოს კანონი: ყოფილი სსრკ-ს მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-დან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ; 2007 წლის 11 ივლისი; N 5261 - რს. http://www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=69&kan_det=det&kan_id=2700.

თანამედროვე ჰუმანიტარული მეცნიერებები ყალიბდება ბოლო ორ საუკუნეში; ამ პერიოდში საქართველო ანექსირებული იყო რუსეთის იმპერიის მიერ; შესაბამისად, მეცნიერული ქართველოლოგიის განვითარებას დიდი დადი დაასვა რუსეთის იმპერიის ინტერესებმა. ამის გამოა, რომ საქართველოს ისტორიული მიწა-წყლის მფლობელობის კონტექსტში საქართველო აგებს საინფორმაციო ომს; კერძოდ, თანამედროვე ცნობილ ენციკლოპედიებსა თუ საინფორმაციო პორტალებში ქართველად არ მიიჩნევა ქართველთა ნახევარზე მეტი და საქართველოს ისტორიულ მოსახლეობად მიიჩნევიან სხვები – შესაბამისია (ნაკლებადეკვატურია) საერთაშორისო ექსპერტების რეკომენდაციებიც; ამ ყოველივეს ერთ-ერთი წახნაგია საქართველოში თურქების ავტოქთონობის თემა; კერძოდ, ე.წ. თურქი მესხების წარმომადგენელთა დიდი ნაწილი თვლის, რომ საქართველოს ავტოქთონი, ანუ ძირძველი მოსახლეობაა თურქები და ამის დასამტკიცებლად ტერმინ „ბუნ-თურქს“ იშველიებს, რომელიც „ქართლის ცხოვრებაში“ ნახსენები. სინამდვილეში, „ქართლის ცხოვრებაში“ შესიტყვება: „ბუნ-თურქი“ არაქრისტიანი მოსახლეობის ეპითეტადაა გამოყენებული და არა – ავტოქთონი თურქების აღსანიშნავად; ეს ვრცელი თემაა; ამაზე სხვაგან გვაქვს მსჯელობა¹; აქ მოკლედ აღვნიშნავთ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე თურქული ტომების შემოსვლა იწყება ბოლო საუკუნეებში, კერძოდ, 1555 წლის ამასიის ზავის შემდეგ; საქართველოს ავტოქთონი მოსახლეობა მხოლოდ ქართველები არიან. შესაბამისად, ყველაფერი უნდა გაკეთდეს საქართველოში მცხოვრები თუ დეპორტირებული მოსახლეობის სწორი ინფორმირებისათვის, რამდენადაც, დეპორტირებულთა შთამომავლობის უმრავლესობაში ქართული ცნობიერება, ენა, ეროვნული მეხსიერება სრულიად წაშლილია... არადა, ფაქტია, რომ 1944 წელს, გადასახლების მომენტში, ქართული ენა ყველა

¹ ტ. ფუტყარაძე, ბუნ-თურქნი: პალეოგრაფიული შეცდომა, თურქულენოვანი ხალხის აღმნიშვნელი ერთ-ერთი უძველესი ეთნონიმი, კომპაქტურად დასახლებული ლტოლვილი "თურქები" თუ "სასტიკ წარმართთა" აღმნიშვნელი მეტაფორა? | საერთაშორისო სიმპოზიუმი "ქართული ხელნაწერი", თბ., 2009 წლის 19-25 ოქტომბერი. <http://www.scribd.com/doc/21513441/Tariel-Purkaradze-turkebi-Turks-bun-turkebi-bunturks>.

გადასახლებულმა ოჯახმა იცოდა; განათლების დეფიციტის გამო მათი დიდი ნაწილი რელიგიას აიგივებდა ეროვნებასთან და თავს ქართველად (/ მმართველად) არ თვლიდა, რამდენადაც ამ რეგიონის მოსახლეობისთვის მართლმადიდებელი ასოცირდებოდა ქართველთან, კათოლიკე – ფრანგთან, მუსლიმანი – თურქთან. შესაბამისად, დეპორტირებულთა შთამომავლების დაბრუნებამდე აუცილებელია მათი სწორი ინფორმირება თავიანთი წინაპრების ისტორიის შესახებ, რომ მათ გაუჩნდეთ ინტერესი, დაიბრუნონ წინაპრების დედაენა; ეს კი ხელს შეუწყობს მათ ინტეგრაციას საქართველოს სახელმწიფოში.

2. რეპატრიაციის მსურველთა ინფორმირება დეპორტაციის პროცესის შესახებ:

დეპორტაცია დაგეგმა და განახორციელა რუსეთის საბჭოთა იმპერიამ; ამ დანაშაულში არავითარი წილი არ უდევს ქართველ ერს, ზოგადად, საქართველოს სახელმწიფოს. შესაბამისად, რეპატრიაციის პროცესის მატერიალური უზრუნველყოფა და საქართველოში დაბრუნების მსურველთათვის საქართველოს სახელმწიფო ენის სწავლების დაფინანსება უნდა მოხდეს საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე ქვეყნის (ქვეყნების) მიერ.

შენიშვნა: 1999 წელს, საქართველოს არალეგიტიმურმა ხელისუფლებამ – რუსეთისადმი ლოიალურად განწყობილმა შვეარდნაძის რეჟიმმა¹ – ნაჩქარევად აიღო პასუხისმგებლობა “Meskhetian population“-ის დაბრუნების შესახებ (და არა – თურქი მესხების დაბრუნების შესახებ). ევროსაბჭოს ექსპერტებს “გამორჩათ” ის ფაქტიც, რომ საქართველოს არ გაუსახლებია ეს მოსახლეობა. წესით, ევროსაბჭოს საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე რუსეთისთვის უნდა მოეთხოვა გადასახლებულთა შთამომავლებისთვის ფულადი კომპენსაციის გაცემა და ამ ტანჯული მოსახლეობის უზრუნველყოფა სათანადო საარსებო პირობებით.

¹ შვეარდნაძის რეჟიმი საქართველოს ხელისუფლებაში არაკანონიერი გზით მოვიდა; კერძოდ, 1992 წელს რუსეთის მიერ ორგანიზებული სახელმწიფო გადატრიალებით დამხობილ იქნა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლება, რომელმაც 1991 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა და საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ სამხედრო ბაზებზე მყოფ რუსეთის საბჭოთა იმპერიის ჯარს ოკუპანტის სტატუსი მიანიჭა (მას შემდეგ, რაც ოფიციალური მოთხოვნის მიუხედავად, მათ არ დატოვეს საქართველოს ტერიტორია).

დღეს, როდესაც 1944 წელს გასახლებულთა საქართველოში ჩამოსახლების საკითხი დგას, ყველასთვის გასაგებია, რომ მათი დიდი ნაწილი უკვე ცოცხალი აღარ არის და საბჭოთა რუსეთის იმპერიის მიერ განწირულთ უკან ვედარ დავაბრუნებთ; შესაბამისად, ცოცხლად დარჩენილთა თუ გარდაცვლილთა პირდაპირი მემკვიდრეების ნების გათვალისწინებით, საქართველოში დაბრუნების მოსურნეთათვის უნდა შემუშავდეს მრავალწახნაგოვანი და ნაკლები რისკების შემცველი პოლიტიკა საქართველოს საზოგადოებაში მათი უმტკივნეულო ინტეგრაციისათვის, მაგრამ 1944 წელს დეპორტირებულთა რეპატრაციის საკითხის გადაწყვეტამდე მოსაგვარებელია საქართველოსთვის არსებითი სამი უმთავრესი საკითხი:

I. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა;

II. პოსტსაბჭოთა რუსეთის მიერ აფხაზეთიდან და ცხინვალის მხარიდან ბოლო წლებში გამოდევნილი 500 000 ქართველის (თუ საქართველოს ერთიანობის მომხრე აფხაზის, ოსის, რუსის, ბერძენის...) დაბრუნება თავიანთ სახლებში;

III. საქართველოს სახელმწიფოს ისტორიულ ტერიტორიაზე – აფხაზეთში, ცხინვალის მხარესა და სამხრეთ საქართველოში /სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ ბოლო საუკუნეებში ჩამოსახლებული სომხები და აზერბაიჯანლები) – სახელმწიფო ენის ფუნქციონირების აღდგენა.

აქვე აღვნიშნავ:

თავიანთი გადაუდებელი პრობლემები აქვთ 1944 წელს დეპორტირებულთა შთამომავლებსაც; კერძოდ, ყველა ადამიანის უპირველესი ინტერესია სასიცოცხლო პირობების შექმნა; შესაბამისად, აუცილებელია, მესხეთიდან დეპორტირებულ პირთა მემკვიდრეებისთვის შეიქმნას ნორმალური ყოფითი ცხოვრების პირობები. დეპორტირებულთა 100 000 მემკვიდრე საქართველოში რომ ჩამოსახლდეს, ბევრი სხვა გადაუჭრელი პრობლემის გარდა, შეუძლებელი იქნება მათი დასაქმება, შესაბამისად, ფიზიკური არსებობა. არსებითია ისიც, რომ მათი წინაპრების სოფლების დიდ ნაწილში ათეულობით წლებია სხვები ცხოვრობენ, რომელთაც წასასვლელი არსად აქვთ.

რეპატრიაციის მსურველთა დიდი ნაწილი საარსებო მინიმუმის ზღვარზე ცხოვრობს; შესაბამისად, პირველ რიგში, აუცილებელია, დეპორტაციის პროცესზე პასუხისმგებელმა ქვეყანამ მათ მისცეს შესაბამისი ფულადი კომპენსაცია, რის შემდეგაც დეპორტირებულთა შთამომავლები თავად აირჩევენ საცხოვრებელ ადგილსა თუ საქმიანობის სფეროს. კერძოდ, რამდენადაც ჩემთვისაა ცნობილი, უმეტესობას არ სურს ეკონომიკურად მძიმე დღეში მყოფ საქართველოში დაბრუნება, ვინაიდან მათ არ იციან საქართველოს სახელმწიფო ენა და გაუჭირდებათ აქ ადაპტაცია. ვისაც სურს საქართველოში დაბრუნება და საქართველოს სახელმწიფოში ინტეგრირება, მას ხელი უნდა შევეწყოთ, ოღონდ საქართველოს პირველი რიგის ამოცანების მოგვარების შემდეგ (საქართველოს დეოკუპაცია; აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეში დევნილთა დაბრუნება; საქართველოში სახელმწიფო ენის ფუნქციონირების სრულად აღდგენა).

დასკვნის ნაცვლად:

1. 1944 წელს სამხრეთ საქართველოდან მუსლიმანი მოსახლეობა გაასახლა საბჭოთა იმპერიის ხელისუფლებამ. ვფიქრობ, ლოგიკურია, საბჭოთა კავშირის ატომური ენერჯის, ინფრასტრუქტურისა და რესურსების სამართალმემკვიდრე ქვეყანამ (ქვეყნებმა) იზრუნოს (იზრუნონ) დეპორტირებული მოსახლეობის ბედზე და გამოყოს (გამოყონ) შესაბამისი ფულადი კომპენსაცია, რომელსაც მიიღებენ დეპორტირებულთა შთამომავლები.

2. საქართველო მუდამ იყო ორიენტირებული კავკასიაში მშვიდობიან თანაცხოვრებასა და აქ დასახლებული თავისი მოსახლეობის უფლებების დაცვაზე; ასეა დღესაც, თუმცა, საქართველოში დაბრუნების მსურველ დეპორტირებულ პირთათვის (თუ მათ მემკვიდრეთათვის) ყველა შესაბამისი პირობის შექმნა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს დეოკუპაციისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ.

3. რეპატრიაციის პრობლემა მეტად რთულია და მრავალწახნაგოვან რისკებს შეიცავს. ცივილიზებული მსოფლიოსათვის ნათელია, რომ დეპორტირებულთა

შთამომავლების დაბრუნების საკითხი განხილულ უნდა იქნას საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კონტექსტში; საქართველოს მხრიდანაც არის მცდელობა, საერთაშორისო სტრუქტურებთან სრული კოორდინაციით შემუშავდეს რეალური გეგმა 1944 წელს დეპორტირებული მოსახლეობის შთამომავალთა განსახლებისა თუ მათი ნაწილის საქართველოს სახელმწიფოში უმტკივნეულო ინტეგრაციისათვის.

მიმდინარე ეტაპზე ევროსაბჭოს ექსპერტებმა, ზოგადად, საერთაშორისო საზოგადოებამ, მესხეთიდან დეპორტირებულთა რეპატრიაციის პროცესში სრულად და ადეკვატურად უნდა გაითვალისწინოს, ერთი მხრივ, საქართველოს სახელმწიფოს ამჟამინდელი მძიმე ვითარება (1992-2008 წლებში აფხაზეთისა და ცხინვალის მხარიდან გამოდევნილი მოსახლეობის დროულად დაბრუნების აუცილებლობა, საქართველოს ნახევარ ტერიტორიაზე სახელმწიფო ენის ფუნქციონირების აღდგენის რთული პერსპექტივა; მესხეთის მკვიდრი მოსახლეობის განწყობა და რისკ-ფაქტორები რეპატრიაციის პროცესში...), მეორე მხრივ კი, რეპატრიაციის მსურველთა ყოფასა თუ იდენტობასთან დაკავშირებული მრავალწახნაგოვანი პრობლემები... ამ თვალსაზრისით, კიდევ ბევრი რამეა შესასწავლი და გასაანალიზებელი¹.

Summary

Different names are used to refer to the descendents of the deported population in 1944: "Meskhetian", "Muslim Georgian", "Turkish", "Turkish-Meskhetian"... . The terminology used in the Council of Europe's documents is also contradictory: some documents refer to them as "Meskhetian population", and some as – "Meskhetian Turks".

¹ სამწუხაროდ, მოუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დიდძალი თანხა გამოყოფილი და უკვე დახარჯული, აკადემიური ინფორმაციის საფუძველზე მაინც ძალიან ცოტა დასკვნაა გაკეთებული; მეტწილ შემთხვევაში, არსებული კვლევების შედეგები მეტად სუბიექტურია და ცალმხრივ ინფორმაციებს ეყრდნობა.

The diversity of terminology indicates that neither international community, nor the big part of Georgian political élite have developed correct vision on this issue.

Even the descendents of the deported population in 1944 follow different approaches in defining their own historical identity.

In some cases, despite the contradictory contents, the existing scientific researches show that the big part of the deported population was ethnic Georgians (or Georgian-speaking), and a part was really ethnic Turkish or Tarakama; respectively, I personally choose a phrase: "deported population from southern Georgia in 1944" to refer to the deported collectively.

Perceptions and culture of the descendents of the deported ethnic Georgians from Meskheta in 1944 is dramatically different from that of their ancestors, as they were born and grown in different language environment and in countries founded by other ethnic groups: Russia, Azerbaijan, Kazakhstan, etc.. In particular, three groups can be singled out:

1. Very small part of descendents of the deported remember about their Georgian identity; one group has already recovered their Georgian surnames and learned their national language; in this view, the newest history of the Meskhetians, who settled in the Samtredia district, is a matter of interest, which we have analysed thoroughly; namely, in 2002-2003 organization "Georgian Language and Culture Without Borders", which was founded by myself and my colleagues (philologist Kh. Javakhadze, Turkologist G. Kamushadze, ethnographer D. Shavianidze, linguist E. Dadiani, etc.), with the support of the Kutaisi Akaki Tsereteli State University, implemented the first project for Meskhetian repatriates living in the 9th Quarter of the village Ianeti, Samtredia District. The project aimed to study the history of repatriate Meskhetians, to create a library for them and to teach them the Georgian language. We implemented the second project in 2004 according to the plan of the NGO "Georgian Association of Councils of Trustees" (Kh. Javakhadze, Project Director; Mary Ellen Chatwin, consultant; T. Putkaradze, scientist-consultant), which was created after the end of the programme

“Initiative for Mobilisation of Western Georgian Community”. The goal of the project was to provide assistance to the Ianeti school. The subsequent projects were implemented in Ianeti together with the Samtskhe-Javakheti Regional Association “Toleranti” (Director Ts. Meskhishvili). Several scientific researches were done within the projects. Research done based on the historical, linguistic, ethnographical and sociological materials clearly shows that historical or modern ethnic identity of the majority of Meskhetians living in Samtredia is Georgian.

2. As opposed to the returned Meskhetians in Samtredia (Ianeti), the big part of the descendents of the deported does not consider themselves as Georgians, does not speak Georgian and does not want to integrate into the Georgian society (e.g. they have already integrated into the population of the USA and Turkey).

3. Considerable part of the descendents of the deported consider themselves as Turkish and wants to return to Meskheti, which, as they believe, should not remain an integral part of Georgia...

The following aspects must be taken into account in the repatriation process:

a) In 1944 the Soviet regime exiled the Muslim population from southern Georgia. I believe it is logical, that the country (countries), a legal heir to the Soviet Union’s nuclear energy, infrastructure and resource, should take care of the future of the deported population and allocate respective financial compensation, which will be distributed to the descendents of the deported.

b) Georgia has been always trying to ensure peaceful coexistence in the Caucasus and protection of rights of its population living in this territory; the situation is the same today, though all the necessary conditions for the deported population willing to return to Georgia can be only ensured after the de-occupation and restoration of territorial integrity of Georgia.

c) The issue of repatriation is rather complex and involves multifaceted risks. It is clear for the civilise world that the return of the descendents of the deported has to be considered in the context of the restoration of territorial integrity of Georgia; there are also attempts on the part of Georgia, to elaborate, in full coordination with the international structures,

a realistic plan of settlements of the descendents of the deported or smooth integration of their part into the Georgian state.

d) At this stage, during the repatriation of the deported population from Meskheta, the CoE experts, and international society, in general, must fully and adequately take into account the present complex situation of Georgia (need to return the internally displaced persons from Abkhazia and Tskhinvali regions in 1992-2008, intricate perspective of restoration of functioning of the state language in the half of Georgia's territory; attitudes of the local population in Meskheta and risk factors in the repatriation process...), on the one hand, and multifaceted problems linked with the life and identity of those willing to repatriate, on the other hand. In this view, there is still much to be studied and analysed.

**«მესხური საკითხი» საქართველოში: გამოწვევა
ქართველი მკვლევარებისთვის.
წარსულის, საკუთარი ფობიებისა და
პასუხისმგებლობის პირისპირ.**

შესავალი:

მესხეთოლოგია, ჩემი აზრით, მეცნიერებათა ერთობლიობაა, რომელთა შესწავლის საგანსაც მესხები, ანუ სამხრეთ საქართველოს მაჰმადიანი მოსახლეობა წარმოადგენს. ეს ხალხი მეორე მსოფლიო ომის დროს, სტალინის მმართველობის ეპოქაში, მშობლიური ადგილებიდან აყარეს და, იმ დროიდან მოყოლებულნი, გაფანტულნი არიან მთელ მსოფლიოში. წინამდებარე სტატიაში შევეცადეთ აღვვჩქერა მესხეთოლოგიაში არსებული მდგომარეობა, შევხებით, მის მიზნებსა და ამოცანებს, მოვხაზავთ მის ზოგად საზღვრებსაც. სტატიაში ვაჩვენებთ მესხეთოლოგიის ტრადიციული ქართული გაგების კონფრონტაციულ დამოკიდებულებას ახალ თვალთახედვასთან, ჩვენი მიზანია, აგრეთვე, აღნიშნული მეცნიერების ჩაკეტილი სივრციდან გამოყვანა.

ჩვენს მიზანს არ შეადგენს ოპოზიციურად განწყობილი სპეციალისტების დამშვიდება. ვეცდებით ვაჩვენოთ მათი ოპოზიციური განწყობის ქვემარტი მიზეზები და მივუთითოთ იმ კონცეპტუალურ ჩიხზე, რომელსაც საკითხისადმი ამგვარი დამოკიდებულება ქმნის. საქმე ის არის, რომ ეს მეტად თუნაკლებად თეორიული, მაგრამ ყოველთვის პოლიტიკურად მიკერძოებული დებატები მესხეთოლოგების ვნებათაღელვას იწვევენ, თუმცა, სწორედ ისინი აფერხებენ ყოველგვარ ინოვაციურ განსჯასა და მეცნიერებისთვის, უპირველესად კი თვით მესხებისთვის, ეფექტური გადაწყვეტილების მიღებას. ბოლოს, ამ ამკარად პოლემიკური სტატიით გვსურს მესხეთოლოგებს მათი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა შევახსენოთ.

1. მესხეთოლოგია, რთული სფერო და თემა

იმ ხალხის ისტორიით, რომელსაც ხშირად მესხებად მოიხსენიებენ (სხვა ეთნონიმებთან ერთად) დაინტერესებული არიან სხვადასხვა სამეცნიერო, გეოგრაფიული და იდეოლოგიური ჰორიზონტის მკვლევარები. ეს დიდი დაინტერესება, ერთი მხრივ, გამოწვეულია ამ მოსახლეობის ისტორიით და, აგრეთვე, მათი დღევანდელი მდგომარეობით. მესხთა შესახებ დაწერილი სტატიები უხვადაა, მათი ნაწილი ამ კრებულშიც მოხვდება. ამიტომ გადავწყვიტე, არ გადავტვირთო ჩემი სტატია, ჩვენ ვიღებთ ამ მოსახლეობის მოცემულ დეფინიციას. ეს არ გახლავთ ახირება, არამედ მესხეთოლოგიისთვის დამახასიათებელი აუცილებლობაა: ამ სფეროს და ამ მოსახლეობის განსაზღვრაც კი დღემდე ინტენსიური დებატების საგანია. ამგვარად კონსესუსის პოვნის შეუძლებლობა აფერხებს ყოველგვარი ჰუმანიტარული პრობლემის გადაწყვეტას, რომლებიც მესხთა უმრავლესობას ეხება.

დეფინიციის შემოთავაზება: მესხები არიან ადამიანები, რომელთაც სსრკ-ში ჯერ საბჭოთა თურქების, შემდეგ კი თურქი მესხების იარლიყი მიაკერეს, მათი მაჰმადიანური რელიგიისადმი მიდრეკილების, თურქოფილური ლინგვისტური პრაქტიკისა და გეოგრაფიული მდებარეობის, სამცხე-ჯავახეთში (საქართველოს სსრ), თურქეთის საზღვართან განსახლების გამო, რომელთაც ალყა შემოარტყეს საბჭოთა ჯარებმა და სტალინური ხელისუფლების ბრძანებით მასობრივად გადაასახლეს ცენტრალურ აზიაში. აქ არ შევუდგებით ამ ეთნიკური წმენდის ოფიციალური, ნაგულისხმევი თუ ჰიპოთეტური მიზეზების განხილვას. გააზრებული გვაქვს, რომ ეს არასრული დეფინიცია ბევრ სადისკუსიო პრობლემას შექმნის როგორც ამ ნაშრომში, ისე მის გარეთაც, ეს ნებაყოფლობითი ხარვეზი სცილდება ამ სტატიის ფარგლებს. მაგრამ მაინც ამ გაუბრალოებას აქვს პრაქტიკული უპირატესობა: ამგვარად შემოკლებული დეფინიცია ნათელი და ადვილად გამოსაყენებელი იარაღია.

მესხეთოლოგია, როგორც უკვე მოგახსენეთ, ბევრ სფეროს მოიცავს და ეს ტენდენცია ნიშანდობლივად მოსჩანს. ის წარმოადგენს დემოგრაფების, ისტორიკოსების, ეთნოლოგების

ინტერესთა სფეროს; ახლახანს ლინგვისტებმა, პოლიტოლოგებმა, ახალი ისტორიის სპეციალისტებმა და ფსიქოლოგებმა გზა გაუხსნეს სოციოლოგებს, იურისტებს, გეოპოლიტოლოგებს, სავარაუდოდ, მათ ხვალ კრეოლიზაციისა და იდენტობის აღრევის, მოქალაქეობის არმქონე ან ბუნებრივ გარემოს მოწყვეტილ ბავშვთა, ღია თუ ჩაკეტილი კულტურების თაობიდან თაობაზე გადაცემის, სამოქალაქო განათლების პედაგოგიკის და ა. შ. სპეციალისტებიც შეუერთდებიან.

ამ პროფესიულ მრავალფეროვნებას ემატება თვით ამ მკვლევართა სხვადასხვა ეროვნული წარმომავლობა. მესხეთოლოგიური ლიტერატურა მოიცავს ინგლისელების, გერმანელების, ამერიკელების, რუსების, თურქების, ქართველების, აზერბაიჯანელების და, რაღა თქმა უნდა, თვით მესხების ნაშრომებს... ეს მეცნიერება აინტერესებს დიასპორების, ეროვნული იდენტობის გამოღვიძების, ეროვნული მესხიერების შენარჩუნების, რეპატრიაციის, განსხვავებულ კულტურულ გარემოში ინტეგრირებისა და სხვა დარგების სპეციალისტებს.

თვით საქართველოში მესხეთოლოგიისადმი მრავალგვარი მიდგომა არსებობს, ეროვნული სამეცნიერო ტრადიციებიდან მოყოლებული, პოლიტიკური დასკვნებით დამთავრებული. ერთი სიტყვით, ქართული მესხეთოლოგია ტელეოლოგიური და პოლიტიკურად ორიენტირებულია.

მეტიც, თვით მესხების განთესვაც მათი დეპორტაციის შემდეგ მრავალ პრაქტიკულ პრობლემას უქმნის მესხეთოლოგებს. ერთი მხრივ, მრავალი ტერიტორიის მონახულება, რომელიც არა მარტო ხელმისაწვდომობას (დროის პრობლემა) და მოქნილობას (გადაადგილების პრობლემა) მოითხოვს, არამედ, აგრეთვე, მისამართების კარგ ბლოკნოტს (ქსელის პრობლემა), ლინგვისტურ კომპეტენციას (მთარგმნელებისთვის ბიუჯეტის პრობლემა, ამ უკანასკნელთა მოცალეობა და მოქნილობა).

ბოლოს, არ უნდა დავივიწყოთ ყველაზე ელემენტარული, მაგრამ ნაკლებ თვალშისაცემი: ამ განსხვავებულ მოსახლეობასთან, მესხებთან თუ ადგილობრივებთან, მიახლოების, ურთიერთობისა და ფსიქოლოგიის ცოდნა. ამავე დროს, საჭირო საბაზისო

იურიდიული ცოდნა, რადგან ზოგიერთ სახელმწიფოს თუ ზოგიერთ მასპინძელ საზოგადოებრივ სექტორს (მოსახლეობას, ასოციაციებს, ადმინისტრაციებს, უბრალოდ მეზობლებსა თუ პოლიტიკურ კლასს. . .) შეუძლიათ ხელი შეუშალონ ან დაბლოკონ კვლევა-ძიება.

მესხთა ეს გეოგრაფიული მიმოფანტვა კარგად ხსნის ამ საკითხით დაინტერესებულ მკვლევართა დიდ რაოდენობასა და ნაციონალურ სხვადასხვაობას, მაგრამ ამავე დროს კარგად გვაჩვენებს, უმრავლეს შემთხვევაში, ამ კვლევათა ნაშრომების არასრულფასოვნებას, რაც გამოწვეულია ლიმიტირებული ბიუჯეტის, შეზღუდული დროის ან გადაადგილების სირთულეების მიზეზით. მე პირადად გადაეწყდომივარ ამ პრობლემებს ჩემი კვლევა-ძიების დროს, რამაც მაიძულა მხოლოდ ერთი ტერიტორიითა და ერთი პერიოდით დაკმაყოფილებულიყავი: თანამედროვე საქართველოთი.

მაშ ასე, ამ «სამიზნედან», რომელიც აშკარად ვიწროა (და თავსაც შევიწროებულად ვგრძნობ) ამ ფართო თემის ღრმად შესწავლისთვის, მე მომიხდა მეცნიერთა და მკვლევართა მიკროსამყაროსთან დაპირისპირება, რომელიც ჩემდა გასაოცრად, უკვე ათწლეულებია ერთი და იგივე გაქვავებულ აზრს ავითარებდა, არ სცნობდა ან უკუაგდებდა დასავლეთში მოდურ თანამედროვე კონცეპციებს და პრეტენზიას აცხადებდა მესხეთოლოგიის ბატონ-პატრონად ყოფნაზე. მესხეთოლოგია პუბლიკაციების კუთხით ძალიან აქტიური, მებრძოლი და პროდუქტიული ქართველი სპეციალისტების მიერ მონოპოლიზირებული ჩანდა. თუმცა ეს მეცნიერები ხშირად მხოლოდ საქართველოთი შემოიფარგლებოდნენ, საუკეთესო შემთხვევაში კი – პოსტსაბჭოთა სივრცით.

2. კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური ჩიხი: ეროვნული იდენტობა, ეთნოცენტრიზმი და შიშები

საქართველო, მესხების წარმოშობის მიწა, არის ერთერთი ყველაზე პროდუქტიული ადგილი მესხეთოლოგიისთვის. დეპორტირებულ, ფესვებსმოგლეჯილ, დაფანტულ, დიასპორებში მცხოვრებ მესხებს ყველას ერთი და იგივე აზრი აქვთ, და სულერთია ვინ არიან, ისინი დეპორტაციას გადარჩენილები თუ

გადასახლებულთა შთამომავლები, ყველანი ერთსა და იმავეს ამბობენ, რომ საქართველო (ან მესხეთი, ან კიდევე, უფრო ზუსტად და ექსკლუზიურად, ესა თუ ის ტოპონიმი წარმოთქმული ქართულად ან თურქულად) მათი წართმეული ისტორიის ალფააა. ამ მესხთა მხოლოდ მცირე ნაწილს (ზუსტი ციფრი არაა ცნობილი ზემოთ ჩამოთვლილ პრობლემატურ მიზეზთა გამო: ბიუჯეტი, ადგილობრივი მიზეზები და ა.შ.) სწამს, რომ ეს საოცნებო მიწა ერთ დღეს მათი ომეგაც გახდება. მხოლოდ ეს უკანასკნელნი არიან ქართველ მესხეთოლოგთა ზრუნვის საგანი.

დეპორტაციაში ცხოვრება მუსლიმ მესხებს 1944 წლიდან 1980-იან წლებამდე მოუწიათ ზოგიერთი დღესაც ცხოვრობს სხვა ქვეყანაში, რადგან სამშობლოში დაბრუნება ბევრ პრობლემასთან არის დაკავშირებული, შესაბამისად მათთვის თურქული იქცა მშობლიურად და როცა აბობენ, რომ მათი სამშობლო საქრთველოა, უმრავლესობა თვლის, რომ მშობლიური ენაც არის თურქული.

მუსლიმი მესხების მიერ ოჯახის შექმნა მშობლების გარეშე არ წყდება, დედამთილი არის მთავარი ფიგურა შვილების მეორე ნახევრის შერჩევისას. დამოკიდებულება შვილების ამ მოვლენისადმი არის აბსოლუტურად შემწყნარებლური, ამ საზოგადოებაში ითვლება, რომ ეს უნდა იყოს ასე, ტრადიციების შესაბამისად. ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი ოჯახის შექმნისას მუსლიმი მესხისთვის არის ის, რომ ოჯახი მან მხოლოდ მუსლიმ მესხთან უნდა შექმნას.

¹ Trier, T. & Khanzhin, A. (2007). *The Meskhethian Turks at Crossroads – Integration, Repatriation or Resettlement – ICMI Caucasus.*

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საინტერესო იყო შესწავლა რა გავლენა იქონია ახლმა სრულიად განსხვავებულმა გარემომ იმ ადამიანების ცხოვრებაზე, რომლებიც დეპორტაციის მერე, ნაწილი გასახლებულები იყვნენ ფერგანიდან რუსეთში, სამშობლოში დაბრუნების შანსს და ყოველგვარ ადამიანურ უფლებებებს მოკლებულები, ახლა არიან ამერიკაში, სადაც ისინი 2006 წელს გადავიდნენ კრანსოდარის მხარიდან საცხოვრებლად როგორც ლტოლვილები და ასევე საქართველოში, („ვატანში“ როგორც ისინი მოიხენიებენ სამშობლოს თურქულად) სადაც დაბრუნება მოახერხეს საუთრი ხარჯებით, რადგან ამ წლებში, როცა ისინი ჩამოსახლდნენ საქართველოში, ჯერ კიდევ არ არსებობდა კანონი რეპატრიაციის შესახებ, რომელიც 2007 წელს შევიდა ძალაში.

საკითხები

✓ იღებენ თუ არა იმ წესებს, რასაც კარნახობს მათ საცხოვრებელი გარემო. და რამდენად განსხვავებდა ეს ცვალებადობა ორ ქვეყანაში

✓ არსებულმა ტექნოლოგიურმა მიღწევებმა და ახალმა სოციალურმა გარემომ რა გავლენა იქონიეს ამ ადამიანების ცხოვრებაზე.

✓ რა არის მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელიც მსგავსია და განსხვავებული ამ ორ ქვეყანაში მცხოვრები ადამიანებისთვის. გამოვყავი რამდენიმე საკითხი, რომელიც მნიშვნელოვანია და შევეცადე სიღრმისეული ინტერვიუების ანალიზით მენახა მსგავსება და განსხვავება შემდეგ საკითხებში: ოჯახების შემადგენლობა და ფუნქციები, ეკონომიკური მხარდაჭერა, განათლება, ენა, ქორწინება და დაკრძალვა.

2. კვლევის დიზაინი

კვლევაში განხილულია ამერიკაში პენსილვანიის შტატში (ლანკასტერსა და ფილადელფიაში) 2006 წლიდან მცხოვრები მუსლიმი მესხებისა და საქართველოში (აბასთუმანში) 2006 წელს თვითდინებით ჩამოსული მესხების ინტერვიუების საფუძველზე მოცემული ანალიზი.

3. კვლევის მონაწილეები:

კვლევაში მონაწილეობა მიიღო ამერიკაში პენსილვანიის

შტატის ლანკასტერსა და ფილადელფიაში მცოვრებმა 30 მუსლიმმა მესხმა (18 ქალი და 12 მამაკაცი) ასევე საქართველოში ახლაციხის რაიონში, აბაასთუმანში მცხოვერბმა 19 რეპონდენტმა (14 ქალი და 5 მამაკაცი). ასაკის მიხედვით რესპონდენტები პროპორციულად განაწილებული იყო ამ 15-25, 26-25 და 46-< ასაკობრივ ჯგუფში, რადგან შესაძლებელია განსხვავებული ასაკობრივი ჯგუფი გასნხვავეულად იღებს ზეგავლენას.

4. მეთოდები

- სამაგიდო კვლევა – კვლევის პროცესში გაცეცანი და გავანალიზე მუსლიმი მესხების მიგრაციის საკითთან დაკავშირებულ დოკუმენტებს.

- საველე კვლევა – ჩატარდა საქართველოსა და ამერიკაში სიდრმისრული ინტერვიუს და ფსიქოლოგიური ტესტების გამოყენებით

5.ინტერვიუების ანალიზი

5.1ოჯახის ფინანსები:

აშშ – ყველა ოჯახისთვის ფინანსები და მისი საჭიროების მიხედვით განაწილება ძალიან მნიშნველოვანია განსაკუთრებით ამ უცხო ქვეყანაში. ამერიკაში მცხოვრები მუსულმანი მესხების შემოსავალი ყოველთვის კონტროლის ქვეშაა და ზუსტად არის განაწილებული სად როდის და როგორ უნდა დაიხარჯოს.

გამოკითხული მუსულმანი მესხების ოჯახების უმრავლესობაში ფინანსები ერთად იკრიბება," ერთ ყულაბაში ინახება" უფროს თაობასთან. ფულს ძირითადად დედა „განაგებს“ მამასთან ერთად. ერთად იღებენ გადაწყვეტილებას რაში უნდა დაიხარჯოს ეს ფული, რემონტია გასაკეთებელი, მანქანაა საყიდელი, თუ გადასახდელია რომელიმე შვილის სწავლის ფული. ოჯახში ჩვეულებრივად არის მიღებული, რომ კვირს ბოლოს, როცა ხელფასის დღეა, აღებული ფული ან გადაეცეს „ ფულის ყულაბას“ ან ბანკში გახსნილ საერთო ანგარიშზე შეიტანონ.

საქართველო – საქართველოში ძირითადი „ შემომტანი“ მამაკაცია, რომლიც გასულია ოჯახიდან და მუშაობს. ფინანსები ძირითადად ქალის ხელშია, მამაკაცია გარეთ გასული და მოაქვს სახლში ფული, ქალი ანაწილებს სად და როგორ უნდა დაიხარჯოს.

5.2 სამუშაოს განაწილება ოჯახში:

აშშ- მუსულმანი მესხების ოჯახში ყველა მუშაობს, ვისაც მუშობა შეუძლია. ოჯახის დიასახლისებიც კი, რომლებიც სახლში არიან იღებენ ფულს „მოხუცის მოვლაში“. ეს მოხუცები, მათი მშობლებია: დედა, მამა, დედამთლი ან მამამთილია. ოჯახის სხვა წევრები შეძლებისდაგვარად, მუშაობენ რამდენიმე საათით მაინც.

მუსულმანი მესხი ქალები დასქმებულები არიან, თავიანთი შემოსავალი აქვთ და წვლილი შეაქვთ ოჯახის ბიუჯეტში. უმრავლესობა მუსულმანი მესხი ქალი მანქანას ატარებს. ისინი სამსახურებში მანქანით დადიან, შვილები სკოლიდან მოყავთ და შემდეგ თუ წასაყვანია სადმე- სპორტზე ან სხვა. მანქანით მათი მეუღლეები ცდილობენ, რომ ქალებმა მანქანის ტარება ისწავლონ და მართვის მოწმობა აიღონ. ახალგაზრდა გოგონების მშობლებიც ძალიან დაინტერესებულები და მონდომებულნი არიან, რომ ყველა გოგომ მანქანის ტარება იცოდეს.

საქართველო – საქართველოში მცხოვრები მუსლიმი მესხების ოჯახებიდან მოლოდ მამკაცები მუშაობენ, ქართული ენის არ ცონის გამო ისინი დაკავებულნი არიან თურქულ კომპანიაში და სხვა ქალაქებში არიან სადაც თურქულ კომპანიებს სამუშაოები აქვთ: ან ბათუმში ან გორში ან ქუთაისში. შემოსავალი მხოლოდ მამკაცებს შემოაქვთ. ოჯახის ქალები სახლში არიან, უვლიან ყანას როგორც ეძახიან პატარა ნაკვეთებს, ბოსტანს, მოყავთ სახლისთვის სამყოფი და ასვე ცოტა გასაყიდადაც.

5.3 განთლება და ადგილობრივი ენა

აშშ- მუსულმან მესხებს ჩამოსვლისას სხვადასხვა ორგანიზაციები მასპინძლობდნენ, თავიდანვე შესთავაზეს 8-ნ თვიანი ენის სასწავლო კურსები, მაგრამ ყველამ ვერ იარა, რადგან ისინი ჩამოსვლისთანავე სამსახურს ეძებდნენ, რომ დროზე გადასულიყვნენ საცხოვრებლად თავიანთების თავინთ ოჯახთან.

აღსანიშნავია, რომ ქალები ბევრად უფრო კარგად მეტყველებენ ინგლისურად ვიდრე მამკაცები. ქალები კურსებზე ბეჯითად მეცადინეობდნენ და სამსახურებიც ისეთი ქონდათ, სადაც საჭირო იყო ურთიერთობა და კომუნიკაცია, ამიტომ მათ პრაქტიკაში მეტად ადვილად აითვისეს შვილებს დახმარება სჭირდებათ

სწავლაში და ამამიგ ქალები აქტიურად არიან ჩართულები, დოკუმენტაცია, რომელიც თვის ან წლის ბოლოს მოდის, ანუ გადასახადები და ასე შემდეგ, „ქალების კისერზეა“, ისინი ავსებენ და ამ ყველაფრით ისინი არიან დაკავებულები

ასევე ძალიან საინტერესოა ის ფაქტი, რომ მუსულმანი მესხები ცდილობენ ქალებს განათლება მიაღებინონ, მამებიც და ქმრებიც მონდომებულები არიან გოგოები დააფინანსონ კოლეჯში სასწავლებელში'

ენას რაც შეეხება, ცდილობენ სახლში თურქულად ილაპარაკონ, რომ ბავშვებს არ დაავიწყდეთ თურქული და იცოდნენ ეს ენა. მთელი დღე ტელევიზორში თურქეთის ტელევიზია აჩვენებს ინფორმაციას უსმენენ უფროსები. ასევე თურქულ სერიალებს უყურებენ, თუმცა ბავშვები ამერიკულ მულტფილმების და სათავგადასავლო ფილმების ყურებას არჩევენ, შესაბამისად ისინი ინგლისურ-თურქულად იწყებენ.

უფროსი თაობა ცდილობს, რომ სკოლის მოსწავლეებსაც სახლში თურქულად ელაპარაკოს, და ითხოვს ერთმანეთში თურქულად ილაპარაკონ, მაგრამ თუ სახლში უფროს თაობა არ არის, ან არის მაგრამ მხოლოდ დედა, მაშინ ისინიც ძირითადად ინგლისურად ურთიერთობენ, როგორც შვილებისთვის, ასევე თავიანთი ენის გასავარჯიშებლად.

საქართველო – რაც შეეხება ენის კურსებს საქართველოში დიდი დახმარება გაუწია მუსლიმ მოსალხეობას ა/ო „ტოლერანტმა“ რომელიც დღემდე სთავაზობს ახალჩამოსულ მესხებს ენის შემსწავლელ კურსებს. პრობლემა საქართველოშიც დგას, იმ განსხვავებით, რომ აქ ქალები საერთოდ ვერ ლაპარაკობენ ადგილობრივ, ქართულ ენაზე. გამონაკლისი ის ოჯახებია ვისაც სამტრედიელი ან ოზურგეთელი ცოლები ყავთ ანუ ის ქალები რომელთა მშობლები რეპატრიაციის პირველი ტალღის დროს დაბრუნდნენ საქართველოში) მათ სკოლაში 6 კლასი ქართულად აქვთ ნასწავლი და ეს ხელს უწყობს იმას რომ არ უჭირთ გარემოსთან ურთიერთობა ქართულად და შვილებსაც ეხმარებიან სწავლაში, სხვები ძირითადად თურქულად ან საუკეთესო შემთხვევაში რუსულად ურთიერთობენ გარემოსთან, საქართველოში ყველა მუსლიმან მესხს სახლში აქვს სატელიტური ანტენა რომლითაც

ისინი თურქულ არხებს უყრებენ.

5.4 ოჯახის შექმნა

ამშ – მუსულმანი მესხები ოჯახის შექმნის თავისებური წესები აქვთ, რომლებმაც ცვლილებები განიცადა როგორც ამერიკაში ასევე საქართველოში:

ამერიკაში ეს წესები განსაკუთრებულად არის მოდიფიცირებული. შეიგვალა ის, როცა მშობლები ფაქტის წინაშე აყენებდნენ და ქორწინების დღეს აცნობდნენ ერთმანეთს ნეფე დედოფალს. „ნიშანი“- ანუ დანიშვნა ზუსტად ისევეა, როგორც სხვა დროს, მაგრამ ამჯერად მხოლოდ გოგოს თანხმობის შემდეგ შეიძლება ეს პროცესი გაგრძელდეს.

ინტერნეტმა და უახლოესმა ტექნოლოგიებმა ეს ყველაფერი შეცვალა. შესაძლებელია დედამთილმა მომავალი სარძლო შეათვალიეროს მაგრამ შემდეგ პროცესში ერთვება ინტერნეტი: „სკაიპი“, ან „ოდნოკლასნიკები“ და ახალგაზრდები ერთმანეთს ეცნობიან ელაპარაკებიან, ვირტუალურად და დისტანციურად. გარკვეული დროის შემდეგ უთანხმებენ მშობლებს ამას და იმართება „ნიშანი“ – ნინშობა.

არის სხვა შემთხვევებიც, როცა ასეთი სოციალური ქსელებით თვითონ ეძებენ ერთმანეთს, თუ მოეწონებათ, საუბრობენ, ხანდახან ხვდებიან კიდევაც ჩუმად და შემდეგ ფაქტის წინაშე აყენებენ მშობლებს. მაგრამ ოჯახის როლი დღემდე ძალიან დიდია. მაგალითად, თუ აღმოჩნდა, რომ ოჯახს არ მოსწონს მეორე ოჯახი(ქალის, ან ვაჟის) შესაძლებელია ეს ამბავი ჩაიშალოს.

საქართველო – საქართველოში ჩამოსული მუსლიმი მესხები ძირითად აზერბაიჯანიდან არიან სადაც დღემდე მუშაობს დაოჯახების ძველი წესები, თანაც როგორც ჩემი ინფრომანტი ამბობს, „აქაც შეიგვალა და დიდი მნიშვნელობა აქვს აქაც ინტერნეტს“. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თუ ისინი ქმნიან ოჯახს მხოლოდ მუსლიმ მესხებთან, იშვიათი გამონაკლისია, როცა სხვა ეროვნების მოქალაქეებთან.

შეიძლება ითქვას, რომ გარემო გავლენას ახდენს მუსლიმი მესხების ცხოვრებაზე, თუმცა არც თუ ისე ძლიერად, როგორც ამერიკაში.

ეს ეწინააღმდეგება ასიმილაციის პროცესის გორდონის კონცეფციას და უფრო სეპარაცია ვიდრე ასიმილაცია.

5.5 დასაფლავება

ამერიკა – ეს ტრადიციაც შეიცვალა ამერიკაში, რადგან იქ ადამიანის გარდაცვალებასთან ერთად მოდის დამკრძალავი ბიურო და მიცვალებული სხვა შენობაში გადაყავთ, როგორც ჩემი რესპონდენტები ყვებიან , მაჰმადიანური წესით ლოცვა სწორედ ამ შენობაში ხდება.

საქართველოში – ყველაფერი ძველებურად ხორციელდება, აქ ახალციხის რაბათში გამოყოფილია მიწა ქრისტიანული სასაფლაოების გვერდზე სადაც „ ვასაფლავებთ ხოლმე ჩვენებს – ამბობენ აბასთუმნელი მუსლმი მესხები.

6. დასკვნები

კვლევის მიზანი იყო დაედგინა რამდენად არიან მუსლიმი მესხები ადაპტირებული იმ გარემოში, სადაც ისინი ცხოვრობენ. რა გზებით ახერხებენ ამას და არის თუა რა ეს ასიმილაცია თუ ეს არის დახურულ ჯგუფად დარჩენა-გამოყოფა, სეპარაცია.

უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიული წასრული ამ ადამინებისა მეტყველებს ამ ჯგუფის დახურულობასა და ტრადიციების შენარჩუნებაზე. მაგარმ ასევე უნდა ითქვას, რომ მათი თანაცხოვრება სხვადასხვა ეროვნების ადამინებთან აისახება მათ ცხოვრებაზე

6 წელი არ არის დიდი დრო ასიმილაციის პროცესისთვის, თუმცა განსხვავებული გარემო რომელშიც მათ უწევთ ცხოვრება, განსხვავებულად ახდენს გავლენას. ყველაზე დიდ გავლენას ახდენს დასაქმებული გარემო და ადამიანები, რომლებთანაც ისინი მუშაობენ.

ახალი გარემოს გავლენა განსაკუთრებით იგრძნობა ჩრდილოეთ ამერიკაში მცხოვრები მაჰმადიანი მესხების ცხოვრებაზე:

შეცვლილია ურთიერთობები მეუღლეებს შორის, გენდერული როლების ტრანსფორმაციაც შეიძლება დავარქვათ, ქალებს თავისი წვლილი შეაქვთ ოჯახის ბიუჯეტში და გადაწყვეტილების მიღების პროცესშიც მონაწილეობენ. ძველი სტერეოტიპების ნგრევა შეინიშნება გარემოს გავლენით.

მეტი ყურადღება ეთმობა ქალების განათლებას.

მშობლები შედარებით ნაკლებად არიან ჩართულები ოჯახის შექმნის პროცესში.

შეცვლილია დასაფლავების რიტუალი.

მაგრამ არის გარკვეული წესები, რომლებიც შენარჩუნებულია ყველგან საქართველოშიც და ამერიკაშიც:

პატივისცემა მშობლებისა და ოჯახში უფროსების მიმართ

ოჯახში ფულის ერთ ყულაბაში შეგროვება და გადაწყვეტილების მიღების პროცესში უფროსების უპირატესობა.

ცხოვრება გაფართოებულ ოჯახებად.

გორდონის – ასმილაციის 7-ივე საფეხურის მიხედვით მუსლიმი მესხები არ არიან ასიმილირებული, (არსად არც ერთ ქვეყანაში სადაც მათ უცხოვრიათ გადასახლების შემდეგ, როგორც კვლევები ადასტურებენ, არ ყოფილან იმ საზოგადოების ნაწილი, სადაც ცხოვრობდნენ. ახლა არც ამერიკაში და არც საქართველოში არ არიან) რადგანაც მათ ქვეყაში შეძალებელია მხოლოდ ნაწილი იმ ჩამონათვალისა შეინიშნოს, რასაც გორდონი გთავაზობს როგორც ასიმილაციის საზომს.

მიუხედავად ყველაფერისა გარემოს ცვლილება აისახა მუსლიმი მესხების ცხოვრებაზეც და მათ წეს ჩვეულებებზე, ამერიკაში მცხოვრები მუსლიმი მესხების ნაწილი უკვე მოქალაქეა, ნაწილი ელოდება მოქალაქეობას და მათ არ აქვთ გეგმაში ადგილმდებარეობის შეცვლა, ამიტომაც გარემოს მიერ ნაკარნახევი წესები ნელ-ნელა ინტერნიზირდება, რადგან ახალი გარემო ახალ წესებს გთავაზობს და იმისთვის, რომ საზოგადოება მოერგოს და იცხოვროს ახალ გარემოში, უნდა მიიღოს კიდევაც.

Summary

The Muslim Meskhetians (or Meskhetian Turks) refer to a local population historically having been living in Samtskhe-Javakheti region of Georgia. In the 40's of 20th century, as a result of Stalin's social policy they were deported from the South Caucasus to the Central Asia (Kyrgyzstan, Kazakhstan and Uzbekistan).

This paper attempts to give an overview of some aspects of the Muslim Meskhetians new life in new environments. How different social environments can influence their lives. A society changes in time according to the social environment in which these people live. How this issues impacted on integration process.

The interest of this research was to study an impact of two different and new environments on the lives of the people, (1) who after the deportation to the Fergana Valley were afterwards forcefully relocated to Russia, were still deprived of the possibility to return back to their homes and as a consequence, now reside in the USA as refugees (Muslim Meskhetians move to USA in 2006) and (2) who have returned to Georgia on their own expenses, when Georgia still did not have a law on repatriation (the law on repatriation was adopted last year).

The resettlement of the Muslim Meskhetians in the new environment influenced their socio-economic conditions and their life styles. The influence was reflected in the interviews and tests about their daily lives.

Differences in the economic and political situation in Georgia make the social environment in Georgia less favorable for the adaptation of the Muslim Meskhetians.

This is reflected in the following areas: dynamics of a change in the relations between the spouses. Stereotypes about gender roles are undergoing modification. Compared with the old times attitudes towards education have changed. The active role played by the parents in wedding their children have changed. The rituals related to the funeral have also changed.

This difference is more observed in the United States than in Georgia. In Georgia women stay more at home, they don't speak Georgian well and men are predominantly establishing communication with the external world.

The changes and rules of behavior are stipulated and determined by the social environment where the Muslim Meskhetians live. Economic situation in the USA is different from the one in Georgia and therefore, behaviors also differ.

მეც ხანგომილი

უსამშობლობის დაუსრულებელი გზა და მესხების თავშესაფრად ქცეული ჩრდილო კავკასია

ადამიანი შეიძლება გაანადგურო, მაგრამ ვერ დაამონო
ერნესტ ჰემინგუეი

არა არს ტანჯვა იმაზე უფრო დიდი,
ვიდრე სამშობლოს დაკარგვა
ჯერიჰიდე, მედეა.

შესავალი

ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე ვიყავი, როდესაც ჩრდილო კავკასიელების მასობრივი გასახლებებისა და მათი თანმდევი არაადამიანური სისასტიკისა და ბარბაროსობის შესახებ ინფორმაციები ჩემს ყურამდეც სწვდებოდა. ისეთ საზოგადოებაში ვიზრდებოდი, სადაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და დამოუკიდებლობის იდეა მუდამ ცოცხლობდა, თან მამა მეცნიერ-ისტორიკოსი მყავს და ერთიანი კავკასიის იდეითა და წინაპართა სამშობლოს უდიდესი სიყვარულით ვიზრდებოდი ოჯახში. მაშინ გავიგე, რომ კავკასიის მასობრივი გასახლებების დროს ყველაზე დიდი უსამართლობა და ვანდალიზმი ვაინახებისა (ჩეჩნები და ინგუშები) და ქართველი მუსლიმი მესხების მიმართ განხორციელდა. ერთადერთი ერი ვინც მთლიანად აყარეს საკუთარი მიწა-წყლიდან და ერთი დღე-ღამის განმავლობაში უსასტიკესი მეთოდებით გაასახლეს სწორედ ვაინახები იყვნენ, ხოლო მესხები, არამხოლოდ ბარბაროსულად გადაასახლეს მშობლიური ადგილებიდან, არამედ ბრძანებაში ჩაუწერეს, რომ მათ უფლება არ ჰქონდათ ოდესმე დაბრუნებოდნენ საკუთარ კერიას, წინაპართა სამშობლოს, არც პირველდასახლებული საცხოვრებლის შეცვლის

ნება მისცეს და ამავე დროს უარი უნდა ეთქვას იმ კუთვნილ კომპენსაციაზე, რომლის შესაბამისი ქონებაც საქართველოში რჩებოდათ.

მესხები... ვიხსენებ, პირველად როდის მქონდა შეხვედრა ქართველ მესხებთან... ეს იყო 20 წლის წინათ, 1993 წელს, ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიაში, ქ. გროზნოში. მაშინ გროზნოს სახელმწიფო უნივერსიტეტში, ბიოფიზიკის კათედრაზე ასისტენტად ვმუშაობდი. ერთხელაც სტუდენტთა ერთ ჯგუფს, რომელთაც ლაბორატორიულ სემინარს ვუტარებდი ეუცნაურათ ჩემი ჩეჩნური დიალექტი და მორიდებით ვინაობა მკითხეს, როდესაც სტუდენტებს ავუხსენი, რომ საქართველოდან ვიყავი, ერთ-ერთ ჩემს სტუდენტს სიხარულისგან თვალები გაუბრწყინდა და წამოხტა: „მეც საქართველოდან ვარ... მუსლიმი მესხი, ჩემი ფესვებიც გურჯისტანიდან მოდისო“- დაამთავრა ნაღვლიანი ხმით და ის ნაპერწკალი, რომელიც წამიერად მის თვალებში აინთო, ნელ-ნელა ჩაქრა.

ჩვენს შორის უხილავი ძაფებით უდიდესი გრძნობა ჩამოყალიბდა, რომლის სათავე გზაც ჩვენი საერთო სამშობლო – საქართველოსკენ მიდიოდა, ერთნაირად გვენატრებოდა და გვესიზმრებოდა საქართველო და ამ შემთხვევაში უპირატესობა მე მქონდა: მე ნებისმიერ დროს შემეძლო დვბრუნებულვიყავი საქართველოში, ჩემს თბილ კერიაზე, ჩემი შეძენილი ძმა, მესხი ახმედი კი ამ ბედნიერებას მოკლებული იყო, მიუხედავად იმისა, რომ მას უფრო მეტად ეკუთვნოდა საქართველო, ვიდრე მე და მაინც მას გურჯისტანში დასაბრუნებელი არ ჰქონდა, მას იქ არავინ ელოდებოდა... იმ დღიდან შემეყარა მუსლიმ მესხთა ტკივილიანი სენი და დღემდე ვატარებ გულით.

დაიწყო რუსეთ-ჩეჩნეთის ომი და ჩვენი გზებიც გაიყარა, ისევ უკუღმა დატრილდა ბედის ბორბალი და უკვე მერამდენედ აიყარნენ მესხები ძლივს დაფუძნებული კერიიდან, ვინ მოსთვლის...

მე საქართველოს დავუბრუნდი. და ერთხელაც დედას მოვუყევი მესხი ახმედის ტრაგიკული ბედის შესახებ. დედამ მითხრა, რომ ჩემს ჩამოსვლამდე სულ ცოტა ხნის წინ ერთ მესხურ ოჯახს მასპინძლობდა, რომელიც უზბეკეთიდან მესხეთში დაბრუნდა, იქ

კი საკუთარ სახლში არ შეუშვებს და პანკისში ჩამოვიდნენ შემწეობის სათხოვნელად, რათა უკან დასაბრუნებელი თანხა შეეგროვებინათ. როგორც დედა მიყვებოდა უალრესად წესიერი და მორიდებული ოჯახი იყო. ოჯახის დიასახლისი ხშირად ტირილით ყვებოდა, თუ როგორ უღმობლად მოექცნენ საკუთარ სამშობლოში...

მუსლიმ მესხებთან შემდგომი შეხვედრა უკვე საქართველოს კულტურულ ურთიერთობთა ცენტრ „კავკასიურ სახლში“ მელოდა, რომლის დირექტორი ქალბატონი ნაირა გელაშვილი გააფრთხილებით იბრძოდა და დღემდე იბრძვის მუსლიმი მესხების უფლებების დასაცავად.

ქალბატონმა ნაირამ ასე გამაცნო მესხი ნაზირა: „მექა გაიცანი, ეს მესხი ნაზირაა, ჩემი დედობილი, თან შენსავით მორწმუნე მუსლიმანია“. ჩემს წინ ხანშიშესული და დარბაისელი მანდილოსანი იდგა მაღალი, ხმელი, უძირო, ნაღვლითა და მუდარით სავსე თაფლისფერი თვალებითა და ტკბილ-მწარე ღიმილით, რომელმაც უდიდესი სითბოთი და მშობლიური სიყვარულით ჩამიკრა გულში და მაშინვე მივხვდი, თუ რატომ უყვარდა ქ-ნ ნაირას მესხი ქალი ნაზირა...

2007 წლის მარტის ცივ მზიან დილას თამარ უჯუხუმ დამირეკა და ტირილით მამცნო ნაზირა დეიდა საიქიოს გადავიდაო, თან ანდერძად დაუბარებია ისლამური წესით მიმბარეთო მიწას...

ვაკე-საბურთალოს გადასხვევთან, კერძო ეზოში რამდენიმე ადამიანი ირეოდა, ჩემს დანახვაზე, ჭირისუფალს, ქ-ნ ნაირას სახე გაუნათდა, – „მექა, თამრიკო, რა კარგია, რომ მოხვედით, შენ არ იცი როგორ უხარია მის სულს თქვენი აქ ყოფნა“, – მითხრა ნამტირალევი ხმით... ოთახიდან მოლას მიერ „იასინის“ კითხვის ნელი გალობის ხმა გამოდიოდა, მთელს ტანში ჟრუანტელი მივლიდა და გული მიქვითინებდა... ბედკრული, უსამშობლობის დაუსრულებელი გზით დაღლილი მუდმივი ლტოლვილი ბედნიერი ბარდებოდა წინაპართა სამკალეს...

გონებას მიმღრევედა აკვიატებული ფიქრები, ნუთუ მათ (მუსლიმ მესხებს) არასოდეს ექნებთ უფლება საკუთარ სამშობლოში ჰქონდეთ საფლავი?, ნუთუ მუდმივად იქნებიან იგნორირებულნი საკუთარი თანამემამულეებისაგან?, ნუთუ მუდმივად დარჩებიან

უცხოებად და „თურქ მესხებად“, ნუთუ არასოდეს დასრულდება უსამშობლოობით გატანჯული უსასრულო გზა?...

რატომღაც არ მგონია ადამიანურ სამართალზე და ზნეობაზე დიდი არსებობდეს ამ ქვეყნად რამე, რატომ უნდა გვჭირდებოდეს პასუხისმგებლობის აღება ვიღაცის წინაშე იმ საქმეში, რაშიც პირდაპირ ვართ ვალდებულნი, მათ ისევე ვკუთვნით ეს მიწა და ეს ცა, როგორც ჩვენ, რადგანაც უფლისგან ებოძათ... ნუ ვეცდებით წავართვათ მათ გურჯისტანის თბილი სიოთი ტკბობის უფლება, ნუ!, თორემ ეს უფრო დიდი ცოდვაა მათ მიმართ ჩადენილ ცოდვათა შორის, რადგანც ის ჩვენი სისხლი და ხორცია, და ჩვენგან მათი გამეტება უდიდესი დანაშაულია კაცობრიობის წინაშე.

ჩემდაუნებურდ მახსენდება ნაზარბაევის სიტყვები, როცა მან განაცხადა, რომ ის ყველა ღონეს იხმარს, რათა არ დაკარგოს თუნდაც ერთი მოქალაქე მესხი, რადგანაც ასეთი წესიერი, შრომისმოყვარე და კანონმორჩილი ხალხი მსოფლიოში არ არსებობს (მსოფლიოს მასშტაბით კრიმინალის ყველაზე დაბალი დონე სწორედ მესხებშია). ძალიან, ძალიან მწყდება გული, რომ ჩვენგან უარყოფილი და განდევნილი ჩვენი სისხლი და ხორცი უცხო მთიანეთში, დააპურა, თვალზე ცრემლი შეახოცა და ის სითბო და სიყვარული აგრძნობინა, რომელიც საკუთარმა სისხლმა და ხორცმა მათთვის ვერ გაიმეტა.

უსამშობლოობის დაუსრულებელი გზა
კანონი არ მომკვდარა, უბრალოდ მას ბინავს.
უილიამ შექსპირი

ქართველი მუსლიმი მესხების სამშობლო მესხეთი ისტორიულად მდებარეობდა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით, მდინარეების მტკვრისა და ჭოროხის აუზებში და აერთიანებდა პროვინციებს: სამცხეს, ჯავახეთს, კოლა-არტანანს, შავშვეთს, ტაოსა და სპერს.

ერთ დროს დაუმორჩილებელი, აყვავებული და ძლიერი მხარე გარეშე მტრებმა არაერთხელ დაარბიეს, ააწიოკეს, გაანადგურეს, დაანაწევრეს, ნაფლეთ-ნაგლეჯებად აქციეს და მიიტაცეს. მესხების ტრაგედია მეოცე საუკუნეში არ დაწყებულა, ისინი ჯერ ოსმალეთის

იმპერიამ ჯიჯგნა, მერე ცარიზმმა აწამა და არც საბჭოთა კავშირმა დაინდო ეს ალალ-მართალი ხალხი და მასობრივი გენოციდი მოუწყო მხოლოდ იმისათვის, რომ მტერს უშიშრად და მედგრად ხვდებოდნენ, თავდაუზოგავად იცავდნენ მამულს და ჰიტლერის არმიას თვალდაუხამხამებლად აკვდებოდნენ.

1944 წლის 31 ივლისს სსრკ-ის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა "საქართველოში სახელმწიფო საზღვრის დაცვის პირობების გაუმჯობესების მიზნით" მიიღო №6279 დადგენილება სამხრეთ საქართველოდან "არასაიმედო" ხალხის, მუსლიმი მესხების ყაზახეთში, უზბეკეთსა და ყირგიზეთში გასახლების შესახებ. ბრძანების სისრულეში მოყვანა კი 1944 წლის 15 ნოემბერს დაიწყო.

ბერიას ბრძანებით 1944 წლის მთელი ზაფხულის განმავლობაში მესხეთის მუსლიმ მოსახლეებს იმ რკინიგზის გაყვანა დააჩქარებინეს, რომლითაც შემდეგ ისინი გეტოებისკენ მიმავალ გზას გაუყენეს.

საბჭოთა იმპერიის მაშინდელ მესვეურთა ბრძანებით საცხოვრებელი ადგილებიდან (დაახლოებით 220 სოფელი) ძალით აყრილ და გადასახლებულ მუსლიმ მესხთა რაოდენობამ 100 000 გადააჭარბა, 17 000 კი გზაში დაიღუპა. შუა აზიაში გადასახლეს ისტორიულ მესხეთში მცხოვრები მთელი მაჰმადიანი მოსახლეობა, მათ შორის ყარაფაფახები, ქურთები, ჰემშინები, ბოშები და თურქები. ეს იყო არნახული სისასტიკითა და არაადამიანური მეთოდებით დალდასმული გენოციდი შვიდობის მოყვარე მესხი ხალხისა. მოგვიანებით ამას დაემატა 10 ათასი ჯარისკაცი, გადასახლებულთა ოჯახის წევრები, რომლებიც სამამულო ფრონტიდან დაბრუნდნენ საქართველოში. მათგან, დღევანდელი მონაცემებით, მხოლოდ რამდენიმე ასეულმა ადამიანმა მოახერხა სამშობლოში დაბრუნება.

1956 წლის აპრილის თვეში შუა აზიაში დეპორტირებულებს მოეხსნათ სპეცგადასახლებულის სტატუსი წინაპართა სამშობლოში, საქართველოში დაბრუნების უფლების გარეშე.

1989 წლის ივნისში, ფერდანის მოვლენების (მესხებსა და უზბეკებს შორის ჩხუბის დროს დაიღუპა უზბეკი ახალგაზრდა, უზბეკებმა შურისძიების მიზნით არაადამიანური და სასტიკი

მეთოდებით მესხების მასობრივი ხოცვა-ჟლეტა მოაწყეს) შემდეგ, საბჭოთა კავშირის მთავრობის მიერ ცენტრალურ რუსეთში დაახლოებით 17 ათასამდე მესხის ევაკუაცია განხორციელდა.

“საბჭოთა კავშირის საინფორმაციო საშუალებები 70-იანი წლებიდან ამკვიდრებდნენ ტერმინებს: “კავკასიელი თურქები”, “საბჭოთა თურქები”, “მესხეთელი თურქები”, “თურქი მესხები”. უკანასკნელმა ორმა ტერმინმა განსაკუთრებით ფართო გავრცელება ჰპოვა... მას შემდეგ, რაც ეს ტერმინი საქართველოში დამკვიდრდა, ამან თურქული ორიენტაცია გააძლიერა, რადგანაც თუკი საქართველოც ამბობს, რომ ისინი არიან თურქები, ამ ადამიანებს, რომელთაც ორი იმპერია ეუბნებოდა, ხართ თურქები და არა ქართველებიო, უკანასკნელი ძაფი გაუწყდათ საკუთარი იდენტურობის შეგრძნებისა”, –ამბობს მწერალი ნაირა გელაშვილი.

„ქართველთაგან უარყოფილმა მესხებმა, რომლებსაც შიშის განცდა ჰქონდათ შუა აზიის მკვიდრთა მიმართ, თანდათან იწყეს ანატოლიელ თურქებთან თავის გაიგივება“–წერს თავის ერთ-ერთ სტატიაში ცნობილი პოლონელი ისტორიკოსი და ეთნოგრაფი პეტრე ბორავსკი.

დღეს მუსლიმი მესხები მთელი მსოფლიოს მასშტაბით არიან მიმოვანტულები. წლების მანძილზე გადასახლებების შედეგად მათ მრავალჯერ მოუწიათ საცხოვრებელი ადგილების და პირობების შეცვლა. ამჟამად მესხები კომპაქტურად არიან ჩასახლებულნი ყოფილი საბჭოთა კავშირის შვიდ რესპუბლიკაში: უზბეკეთში, ყაზახეთში, ყირგიზეთში, აზერბაიჯანში, რუსეთში, უკრაინაში, ჩრდილოეთ კავკასიაში და მცირე რაოდენობით – საქართველოში. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების გარდა მესხები ცხოვრობენ თურქეთში, სადაც ძირითადი ნაწილი 1990-იანი წლების დამდეგს გადავიდა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომლებიც ფერდანის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ შეიფარა ამერიკამ.

მაჰმადიანი მესხების ზუსტი რაოდენობის დადგენა ამჟამად ძალიან ძნელია, თუკი ეს საერთოდ შესაძლებელია. საბჭოთა კავშირის, ხოლო შემდეგ პოსტსაბჭოთა ქვეყნების პოლიტიკის ხშირი ცვალეზადობის გამო მესხი მოსახლეობის უზრავლესობა რეგისტრირდებოდა როგორც თურქები, აზერბაიჯანელები ან

უზბეკები (მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი, როგორც ქართველები). გარდა ამისა, არ არსებობდა მათი აღწერისა და სტატისტიკური მონაცემების შეჯამების პრაქტიკა. 2004 წლის მონაცემებით, მკვლევარების უმეტესობას მიაჩნდა, რომ მესხების საერთო რაოდენობა ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე დაახლოებით 270-345 ათასს შეადგენდა. მათ შორის 90-110 ათასი აზერბაიჯანში ცხოვრობს, 90-100 ათასი – ყაზახეთში, 50-70 ათასი – რუსეთში, 25-30 ათასი – ყირგიზეთში, 10-15 ათასი – უზბეკეთში და 5-10 ათასი კი – უკრაინაში. რუსეთსა და უკრაინაში მცხოვრები მესხები ძირითადად ფერღანას ველიდან (უზბეკეთი) არიან ევაკუირებულნი. გარდა ამისა, 2004 წლის მონაცემებით, თურქეთში 25 000 მესხი ცხოვრობდა მათი ჩათვლით, ვინც ქვეყანაში ლეგალურად თუ არალეგალურად საბჭოთა კავშირის დაშლამდე თუ დაშლის შემდეგ გადასახლდა. 2006 წლის სექტემბრის მონაცემებით დაახლოებით 10 000 მესხი კრასნოდარიდან აშშ-ში გადასახლდა.

დეპორტირებული მესხი მოსახლეობის ამჟამინდელი ცხოვრების პირობები მათი დასახლების ადგილთა მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან. განსაკუთრებით უჭირთ მათ რუსეთში, კრასნოდარის მხარეში, სადაც ისინი დისკრიმინაციის მსხვერპლნი არიან. კრასნოდარში მცხოვრებ მესხთა უმრავლესობა ოფიციალური სტატუსის გარეშეა დარჩენილი, რის გამოც ვერ ახერხებს საკუთარი უფლებების დაცვას.

არადა სტავროპოლის მხარეში თურქი მესხების ჩასახლება, ამ მხარის ხელმძღვანელობის ინიციატივით მოხდა, როცა მათ მესხები მიიწვიეს, როგორც საუკეთესო მეურნეები და მეზოსტნეები. 1989 წლის აღწერით სტავროპოლში 1629 მესხი ცხოვრობდა ფერღანის ტრაგედიის შემდეგ მათმა რიცხვმა საგრძნობლად მოიმატა, ამას დაემატა 1994 წლის რუსეთ-ჩეჩნეთის ომის შედეგად ჩეჩნეთიდან გადმოსული მესხები და მათმა საერთო რიცხვმა 4000 –ს მიაღწია.

1991 წელს რუსეთში მიღებულ იქნა კანონი, რომლის თანახმადაც ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქე, რომელიც კანონის მიღების დროს მუდმივად ცხოვრობდა რუსეთის ტერიტორიაზე და 12 თვის განმავლობაში საკუთარი სურვილით არ იტყოდა

უარს, ავტომატურად ხდებოდა რუსეთის მოქალაქე. მიუხედავად ამისა, კრასნოდარის მხარის ხელმძღვანელობამ იქ მცხოვრებ მესხებს არ მისცა რეგისტრაციის მოწმობები, რაც მოქალაქეობის მიღების საფუძველი უნდა გამხდარიყო. ამის შედეგად მათ ძირითადი სამოქალაქო, პოლიტიკური და სოციალური უფლებები მნიშვნელოვნად შეეზღუდათ: არ შეუძლიათ სამსახურში მოწყობა, მათი ქორწინება ოფიციალურად არ რეგისტრირდება; სრულიად მოკლებულნი არიან სოციალურ დაცვას (არ ეძლევათ პენსია და დახმარება), არ შეუძლიათ ისარგებლონ სამედიცინო დაზღვევით, არა აქვთ საშუალოზე მაღალი დონის განათლების მიღების უფლება.

მიუხედავად მესხთა უფლებების უხეში დარღვევისა, რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე დღემდე ვერც ერთმა საერთაშორისო თუ ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციამ ვერ შეძლო მესხებთან მიმართებაში ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება, და რაც მთავარია იმის გამო, რომ მათ არ აქვთ სათანადო განათლება, ვერც თავად ახერხებენ საკუთარი უფლებების დაცვას, არ იციან ის უფლება-მოვალეობანი, რაც მათ კანონით აქვთ მინიჭებული.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ზოგჯერ ადამიანის უფლებების მასობრივი შელახვა ხორციელდება რუსეთის რომელიმე მხარის ადმინისტრაციის მიერ თვითნებურად მიღებული ნორმატიული აქტების საფუძველზე. კრასნოდარის მხარეში 1992-1996 წლებში მიიღეს რამდენიმე ნორმატიული აქტი, რომლებიც ფაქტობრივად ამ მხარეში მესხებისთვის განსაკუთრებულ სასტიკ რეჟიმს აწესებს. სამხარეო და ადგილობრივი ხელისუფლება არ აძლევდა მესხებს რეგისტრაციის უფლებას საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, თუნდაც დროებით. მათი ოფიციალური პოზიცია კი ასეთია, სანამ რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის არ დარეგულირდება თურქი-მესხების ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებისა და რეპატრაციის საკითხი, მანამ არ მოგვარდება მათი რეგისტრაციის პრობლემა.

შედეგად, კრასნოდარის მხარე, რომელიც რუსეთის ხელისუფლებისათვის ყველაზე მშვიდ და არაკონფლიქტურ რეგიონად ითვლებოდა, ბოლო დროს არასტაბილურ ადგილად

გადაიქცა, გახშირდა კონფლიქტები ეთნიკურ ნიადაგზე. განსაკუთრებით დაიძაბა ვითარება ყუბანის ნეოყაზახურ მოძრაობასა და ადგილობრივ თურქ-მესხებს შორის. სოციოლოგ სერგეი რიაზანცევის გამოთვლით 1989–2003 წლებში ყუბანში დაფიქსირდა 50–ზე მეტი კონფლიქტი, თურქ-მესხების მონაწილეობით. ნეოყაზახური მოძრაობის ლიდერებმა არაერთხელ გააჟღერეს თეზისი, რომ შეუძლებელია მესხებისა და ყაზახების მშვიდობიანი თანაცხოვრება. 1990–იანი წლების მესხურ-ყაზახური კონფლიქტი ხასიათდებოდა შემდეგი მოდელებით: ეწყობოდა რეიდი დოკუმენტების შემოწმების საფუძველზე და შემდეგ „უპასპორტოების“ (ასეთი კი მესხების უმრავლესობა იყო) ყველას თვალწინ სამაგალითო დასჯა. ამ მხარის ხელისუფლებამ ეთნონაციონალიზმი თავიანთ ოფიციალურ იდეოლოგიად აქცია. იმის მაგივრად, რომ მოეძებნათ ეთნიკური უმცირესობების ყუბანის სოციუმში ჩქარი ტემპებით სოციალური ინტეგრაციის გზები, მათ პირიქით მესხების სახით შექმნეს მტრის ხატი. გარდა ამისა, მოხდა პრობლემის ხელოვნური ჰიპერბოლიზაცია. ადგილობრივი მოსახლეობა გამოთქვამს თავის უკმაყოფილებას მუსლიმი მოსახლეობის ზრდის გამო, რაშიც პოტენციურ საშიშროებას და საფრთხეს ხედავენ. 2004 წლის თებერვლიდან რუსეთისა და შეერთებული შტატების მთავრობებისა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ხელშეწყობით კრასნოდარის მხარიდან მესხების გადასახლების პროცესი დაიწყო. 2005 წლის სექტემბრისთვის 21 ათასმა პირმა შეიტანა განცხადება და სპეციალური პროგრამის მეშვეობით 5000 მუსლიმი მესხი გადასახლდა ფილადელფიაში, ატლანტაში, კენტში და ამერიკის 60-ზე მეტ ქალაქში.

ამერიკაში მცხოვრები მესხებისთვის საქართველო მათ წინაპართა ხსოვნასთან არის დაკავშირებული. სხვადასხვა თაობებისთვის საქართველოს რადიკალურად განსხვავებული მნიშვნელობა აქვს, თუმცა არსებობს კონსენსუსი იმის თაობაზე, რომ უნდა მოხდეს მათი დაბრუნების უფლების სიმბოლური აღიარება.

მსოფლიო მესხთა საზოგადოების ძალიან მცირე ნაწილს დაახლოებით 5% (ძირითადად უფროს თაობას) აქვს სურვილი

ისტორიულ სამშობლოში, საქართველოში დაბრუნების, თუმცა საქართველოში მათი დაბრუნების საკითხს უმეტესწილად განიხილავენ როგორც ვალდებულებას, უსხვების მიერ თავსმოხვეულ პროცესად და არა როგორც მორალურ იმპერატივს.

თურქი-მესხების ეთნოგენეზისი მესხეთიდან შუა აზიაში მათი დეპორტირების შემდგომ (1944 წ.) მეცნიერულიდან პოლიტიკურ პრობლემად გარდაიქმნა.

დღეის მონაცემებით საქართველოში დაახლოებით ცხრაასი მესხი ცხოვრობს, რომლებიც განსახლებულნი არიან 24 დასახლებულ პუნქტში, ძირითადად დასავლეთ საქართველოში (გურია, იმერეთი – ნასაკირალი, იანეთი), ისტორიულ მესხეთში (სამცხე-ჯავახეთის რეგიონი-ახალციხე, აბასთუმანი), აჭარაში (ბათუმი, ნარუჯა) და თბილისში.

საქართველოში რეპატრირებული მესხების 50% აზერბაიჯანიდან ჩამოვიდა, 26% – უზბეკეთიდან, 10% – რუსეთიდან, 7% – ყირგიზეთიდან, 6% – ყაზახეთიდან და 1% – სხვა ქვეყნებიდან.

პირველი რეპატრიანტები საქართველოში 1960-იან წლებში გამოჩნდნენ. მასობრივი რეპატრიაციის პირველ ეტაპად შეიძლება ჩაითვალოს 1969 წელი, როდესაც აზერბაიჯანიდან დაახლოებით 250 ოჯახი აზიგვარაში (გალის რაიონი) გადმოსახლდა. მეორე ეტაპად მოიაზრებენ 1982-1990 წლებს, როდესაც დაახლოებით 1270 მესხი გადმოსახლდა საქართველოში, ხოლო მესამე ეტაპად ითვლება 1992-2005 წწ., როცა მხოლოდ 113 მესხი ჩამოვიდა საქართველოში. საწუხაროდ, ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებულ მუსლიმ მესხებს არ დახვდათ ის სითბო და მშობლიური კერა, რომელსაც ამდენი ხნის განმავლობაში გულით ატარებდნენ. აქ უკვე მათ არამხოლოდ როგორც უცხოებს შეხვდნენ, არამედ ამ საზოგადოებისათვის საშიშებადაც კი უმეტესობა მიიჩნევდა. ასეთმა ნეგატიურმა დამოკიდებულებამ მათ მიმართ და ქვეყანაში არსებულმა სირთულეებმა ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ სფეროში მესხების უმრავლესობას უკან დაბრუნების გადაწყვეტილება მიაღებინა.

1989 წელს ხალილ გოზალიშვილისა და ზურაბ მამალაძის (ასევე

ამ საკითხზე აქტიურად მუშაობდნენ მერაბ კოსტავა და ვიქტორ რეხილაძე, რის გამოც ისინი გაასამართლეს და გადასახლება კი მიუსაჯეს) ძალისხმევით მესხების 200 ოჯახი დაბრუნდა საქართველოში, მაგრამ ადგილზე არსებული დამოკიდებულების გამო მათგან 170 ოჯახი იძულებული გახდა უკვე მეორედ დაეტოვებინა ისტორიული სამშობლო.

1999 წელს საქართველომ მესხების საკითხებზე მომუშავე სხვადასხვა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების დაუნიებული მოთხოვნით ევროსაბჭოს წინაშე აიღო ვალდებულება მოეხდინა ქართველი მუსლიმი მესხების საქმის კანონიერ ფარგლებში განხილვა, დაეწყო მათი რეპატრაციისა და შემდგომ ინტეგრაციის პროცესი. თუმცა მუდმივად ხდებოდა ამ საქმის სხვადასხვა გზებით (მათ შორის ხელოვნურად შექმნილითაც) შეფერხება, საქმის არსებითი განხილვის მუდმივად გადადება, და ზოგჯერ პრობლემის იგნორირებაც.

და რაც ყველაზე მთავარია, ხელისუფლება (საბჭოთა კავშირის დაშლიდან მოყოლებული დღემდე) არაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ მესხები ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ, არ ხდებოდა საზოგადოებრივი აზრის მომზადება, ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება და რაც მთავარია, არავინ აკეთებდა აქცენტს, იმაზე რომ ეს ქვეყანა მესხებსაც ისევე ეკუთვნოდათ, როგორც დანარჩენ ქართველებს და რომ მათ სრული უფლება ჰქონდათ წინაპართა მიწაზე დაბრუნებისა. ბევრ შემთხვევაში ხდებოდა პირიქითაც, მესხები ლამის თურქებად და ოსმალებად მონათლეს, საზოგადოებაში მიდიოდა მასობრივი მუშაობა, რათა მესხების სახელიც კი თურქ-ოსმალებთან და შაჰ-აბასის სახელთან გაიგივებულიყო. უფრო მეტიც მესხების კრიტიკით ბევრმა ე. წ. პოლიტიკოსმა „სამშობლოს პატრიოტის“ მანტია მოისხა და პოლიტიკური კარიერაც გაიკეთა. ვისაც არ დაეზარა ყველამ მესხებს შეახოცა ხელები. დღემდე ქართულ პოლიტიკაში, ძალიან ბევრი მაღალჩინოსნის ჩათვლით ვერ ნახავთ ადამიანს თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა, რომ მესხები მოიხსენიოს, როგორც ქართველი მუსლიმი მესხები და არა „თურქი მესხები“, ზოგიერთების ფანტაზია იქამდეც კი მივიდა, რომ მათ „მესხეთელი

თურქებიც“ კი უწოდეს. სწორედ ამიტომაც ვდგევართ იმ მწარე და სასირცხვილო რეალობის წინაშე, რომ მსოფლიოს მასშტაბით მომობნიეული ამდენი მესხიდან საქართველოში დაბრუნების სურვილი თითქმის არავის აქვს, თქვენ წარმოიდგინეთ და რუსეთის ფედერაციაში, ასეთი სასტიკი რეჟიმის პირობებში მცხოვრებ მესხებსაც კი. არაფერს ვამბობ იმ მწვავე კრიტიკაზე და სავალალო ანგარიშებზე, რაც მესხთა საკითხთან მიმართებაში საქართველომ დაიმსახურა საერთაშორისო და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან, რომლებიც ადამინთა უფლებების დაცვის კუთხით მუშაობენ.

მიუხედავად იმ მძიმე ცხოვრებისეული რეალობისა, რის წინაშეც მესხები (რა თქმა უნდა ამ შემთხვევაში საუბარია მესხთა იმ კატეგორიაზე, ვისთვისაც ისტორიული სამშობლო საქართველოსთან ასოცირდება) მათდაუნებურად აღმოჩნდნენ, მათთვის ყველაზე მეტად მტკივნეული და ამაზრზენი მაინც მათი თანამომემებისა და თანამემამულეების, მათი მშობელი ხალხის უსამართლო და უღმობელი დამოკიდებულებაა, რომელიც სასტიკად შერაცხყოფს მათ.

ვფიქრობ, ყურადსაღებია დიდი ქართველის ომაზ ჩხეიძის სიტყვები: „რაც ჩვენ დავმართეთ მესხებს, იგივე გადაგვხვდა აფხაზეთსა და ცხინვალში. ღმერთი უნდა გწამდეს არა ფორმალურად, მოსაჩვენებლად, არამედ შინაგანად, სიღრმისეულად. აქედან გამომდინარე, დარწმუნებული ვარ იმაში, რომ აფხაზეთში ჩვენი დაბრუნება „ზემოთ“ მაშინ გადაწყდება, როდესაც ჩვენ „ქვემოთ“ მესხების საკითხს მოვაგვარებთ.

ღრმად მწამს, უდიდესი სირთულეების მიუხედავად, მესხების ჩამოსახლება დიდი სიკეთის მომტანი იქნება ჩვენი ქვეყნისათვის“.

2005 წლის მონაცემებით საქართველოში მხოლოდ 755 რეპატრიანტი იყო დარეგისტრირებული, რომელთაგან 163 დროებით საქართველოს ფარგლებს გარეთ ცხოვრობდა.

2007 წლის 11 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ“ კანონი, რომელიც საქართველოში მუსლიმ მესხთა მიმართ

არსებული სერიოზული პრობლემების კომპლექსური გადაწყვეტის საშუალებას იძლევა, თუმცა გარდა იმისა, რომ კანონის სისრულეში მოყვანას გარე ფაქტორები სერიოზულად უშლიან ხელს, აღსანიშნავია თავად კანონის ნაკლულოვანებაც, რაც როგორც საერთაშორისო ექსპერტების, ასევე მესხთა წარმომადგენლების, კრიტიკის საგანია.

კანონი შეიცავს მუხლს, რომლის თანახმადაც რეპატრიანტის სტატუსის მაძიებელ პირს მისი ქართული გვარის აღდგენა და იმის დამტკიცება მოეთხოვება, რომ ეთნიკურად ქართველია. ეს კი გარკვეულ პრობლემებთან არის დაკავშირებული, რადგან რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს მესხების ნაწილს, საუკუნეების განმავლობაში მათ მიმართ არსებული პოლიტიკიდან გამომდინარე, არ ახსოვთ თავიანთ წინაპართა ქართული გვარები.

2008 წელს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში ვარაუდობდნენ, რომ დაბრუნების სურვილი 90 ათას ადამიანს ექნებოდა. თუმცა დღემდე შემოსული განაცხადებების რაოდენობა გაცილებით ნაკლებია, ის 8 000 არ აღემატება და ჯერჯერობით არცერთი მათგანი საქართველოში არ ჩამოსულა.

მთავარ წინააღმდეგობად მაჰმადიან მესხთა საქართველოში რეპატრიაციის არაწარმატებული პროცესისა მაინც რჩება ისტორიული მესხეთის (ნინოწმინდა, ახალციხე, ასპინძა, ადიგენი, აბასთუმანი) ადგილობრივი მოსახლეობისა (მათ შორის დღევანდელი სამცხე-ჯავახეთის ტერიატორიაზე მცხოვრები სომხებისაც) და ქართველ პოლიტიკოსთა დიდი უმრავლესობის უარყოფითი დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ. რეპატრიაციის კანონთან და პროცესთან მიმართებაში პოლიტიკოსებსა და ექსპერტებს შორის სხვადასხვა მოსაზრებები არსებობს, ორივე შემთხვევაში მესხთათვის ნეგატიური. ბევრს ეს მოვლენა რეგიონში პოლიტიკური დესტაბილიზაციისა და ეთნიკური კონფლიქტების წყაროდ მიაჩნია.

მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ არსებული სოციალური დისტანცია მესხების მიმართ, ზოგიერთ შემთხვევაში ანტაგონიზმიც, ასევე რეპატრიაციის მიუღებლობა, წარსული წყენების ისტორიულ ხსოვნას უკავშირდება, რომელიც მაჰმადიან

მესხებთან და თურქებთან 1944 წლის დეპორტაციამდე მომხდარ მოვლენებთან არის დაკავშირებული. ეს ხსოვნა ხშირად გადაჯაჭვულია მითებთან და ლეგენდებთან, და ცრუ პროპანგადით არის დაღდასმული ან მოვლენების არასწორ ინტერპრეტაციას ეფუძნება.

“საქართველოს მიერ მსოფლიო თანამეგობრობის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების გათვალისწინებით დეპორტირებული მოსახლეობის საქართველოში რეპატრიაციის პრობლემა შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამის საფუძველზე. პროგრამა აუცილებელია ეფუძნებოდეს როგორც მატერიალური რესურსების, ისე სულიერ ფასეულობათა ანალიზის შედეგებს“. ფაქტია ისიც, რომ ქართველი მუსლიმი მესხების პრობლემების სათანადოდ შესწავლა და გადაწყვეტა, მათი ისტორიულ სამშობლოში დაბრუნება ეს არის კომპლექსური საკითხი, რომელიც პირველ რიგში საჭიროებს სახელმწიფოს პოლიტიკურ ნებას, რათა რეპატრიაციის პროცესი ექსცესებისა და ზედმეტი გართულებების გარეშე ჩატარდეს. თუნდაც იმიტომ, რომ კიდევ ბევრჯერ არ გაუჩნდეთ ექვები საერთაშორისო დონის უფლებადამცველებსა და ექსპერტებს, რომელთა უმრავლესობა ისედაც ფიქრობს, რომ: „ხელისუფლების კეთილი ნება მესხების რეპატრიაციასთან დაკავშირებით უფრო ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულების შესრულების აუცილებლობით არის განპირობებული და არა მესხთა პრობლემებზე ზრუნვით“. და რაც მთავარია, მესხების რეპატრიაციის წარმატებით განხორციელება არის წინადადებული ნაბიჯი ადამიანთა უფლებების დაცვის კუთხით, რაც თავის მხრივ არის გარანტი ქართული დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისა.

ეს ნაწილი მინდა სამართლიანობის აღდგენისათვის თავდაუზოგავი მებრძოლის, წინაპართა მამულიდან გამევეულ მესხთა სამშობლოში დაბრუნებისა და ისტორიული მესხიერების შენარჩუნებისათვის მსხერპლად შეწირულის, ჭეშმარიტი მამულიშვილისა და გმირი წინაპრების ღირსეული მემკვიდრის ბატონ ხალილ უმაროვ-გოზალიშვილის სიტყვებით დავამთავრო, სიტყვებით, რომლებიც გულგრილს ვერ დატოვებს ვერც ერთ

მოყვას, უბრალოდ ადამიანს:

„ჩვენ ხომ ქართველები ვართ, ჩვენს ძარღვებში ქართული სისხლი ჩქეფს და ისევე მზად ვართ საქართველოს ძლიერების სადარაჯოზე, როგორც ჩვენი დიდი წინაპრები.

ჩვენო ძვირფასო, საყვარელო სამშობლოვ! შეისმინე ჩვენი ძახილი, ყურს ნუ უგდებ უგუნურებს. მოგვაპყარი თვალი და ნურც ის შეგაშინებს, რომ ასობით ათასნი ვართ.

ვიცით დღეს საქართველოს მრავალი პრობლემა აქვს, საქართველოს ძალიან უჭირს, მაგრამ ვის აქვს უფლება ერთმანეთს დაუპირისპიროს და გათიშოს ქართველი მაჰმადიანები და ქართველი ქრისტიანები? ჩვენ ხომ მიწის პირიდან სრულიად აღვიგვებით, თუ კი დროულად არ დაგვეხმარნენ, ხოლო ჩვენი შეერთებით, გვჯერა, საქართველოს ძლიერება კიდევ უფრო მეტად განმტკიცდება.

უარს ნუ იტყვი ჩვენზე, დედასამშობლოვ! ნუ გაიხარებს მტერი ჩვენი გათიშულობით.

შეიფარე, საქართველოვ, შენი გაწამებული შვილი, შენი ტანჯული თანამოძმე, ქართველი მუსლიმანი!“

მესხები და ჩრდილო კავკასია

*რა უნდა მისცეს ერთმა ადამიანმა მეორეს
ერთი წვეთი სითბოს გარდა
და რა უნდა იყოს ამაზე დიდი?*

ერიხ მარია რემარკი

ქართველი მუსლიმი მესხები ცენტრალურ რუსეთში (კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეები) 1960 წლიდან ცხოვრობენ, ჩრდილოეთ კავკასიაში კი ძირითადად 1990-იანი წლებიდან, ფერღანის ტრაგედიის შემდეგ დასახლდნენ, თუმცა მცირე რაოდენობით მანამდეც იყვნენ აქა-იქ მიმობნეულები.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩრდილო კავკასიელებმა „თურქი-მესხები“ (როგორც სამწუხაროდ, მათ ჩრდილო კავკასიაში უწოდებენ), თბილად მიიღეს და მაქსიმალურად ეცადნენ მათი ტკივილი საკუთრად მიეღოთ და მათთვის დარდი და ვარამი შეემსუბუქებინათ. კავკასიელები, ვისაც სამშობლოდან დეპორტაციის მწარე გამოცდილება ახსოვდათ, მესხების ტრაგიკულ ბედს მძიმედ განიცდიდნენ, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც მათ ფერდანის ტრაგედია უცაბედად დაატყდათ თავს და მრავალტანჯული მესხები კიდევ ერთხელ აიყარნენ საცხოვრებელი ადგილებიდან. მას შემდეგ დღემდე ჩრდილო კავკასია მესხებისათვის თბილი და მშობლიური კერა გახდა.

ვეცდებით მოგაწოდოთ ჩვენს ხელთ არსებული მონაცემები და ინფორმაცია, ჩრდილო კავკასიის სხვადასხვა რესპუბლიკებში მცხოვრები ქართველი მუსლიმი მესხების (ე. წ. თურქი მესხები) შესახებ.

ჩეჩნეთის რესპუბლიკა

მუსლიმი მესხები ჩეჩნეთში პირველად 1990-იან წლებში, ფერდანის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ გამოჩნდნენ. ქვეყნის პირველმა პრეზიდენტმა, ჯოხარ დუდაევიმ მათი საცხოვრებლით მაქსიმალური უზრუნველყოფის ბრძანება გასცა, დაიწყო რესპუბლიკის მასშტაბით მათი რეგისტრაცია, ბავშვების სკოლებში უპრობლემოდ მიღება, ახალგაზრდების უმაღლეს სასწავლებლებში გარკვეული შეღავათებით ჩარიცხვა, შესაძლებლობის ფარგლებში მათი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა და ა.შ. მესხებს ადგილობრივი მოსახლეობაც საოცრი სითბოთი და პატივისცემით შეხვდა (ჩეჩნები მუდმივად აიგივებდნენ მესხებს საკუთარ თავთან და გასაოცარ კეთილგანწყობას და სითბოს ავლენდნენ მათ მიმართ). მუსლიმი მესხები ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის სრულუფლებიანი მოქალაქეები გახდნენ, იმ პერიოდში მათმა რიცხვმა 40 000 (ორმოცი ათასს) გადააჭარბა და ძალიან მოკლე ხანში თავიანთი კეთილსინდისიერი და ბეჯითი შრომით დაამტკიცეს, რომ ისინი ასეთ დახვედრას ნამდვილად იმსახურებდნენ. სხვათაშორის, კავკასიაში თავისი ხანგრძლივი ცხოვრების

პერიოდში დიდმა რუსმა მწერალმა ლევ ტოლსტოიმ შენიშნა, რომ „ჩეჩნებს შორის ცხოვრების დროს კაზაკებიც კი დაუახლოდნენ მათ (ჩეჩნებს)“ და რა თქმა უნდა მესხებს არ გაუჭირდებოდათ ჩეჩნურ საზოგადოებაში ადაპტაცია, მით უმეტეს მათი ადათ-წესები და ტრადიციები მეტნაკლებად ერთმანეთს ჰგავს და ამ შემთხვევაში რწმენის ერთობაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

სამწუხაროდ, მესხების ჩეჩნეთში ცხოვრების იდილია დიდხანს არ გაგრძელებულა, დაიწყო რუსეთის ფედერაციის საომარი კამპანია ჩეჩნეთის წინააღმდეგ და მესხები იბულებული გახდნენ ჩეჩნეთი დაეტოვებინათ და მეზობელი რესპუბლიკებისათვის შეეფარებინათ თავი. შედარებით მშვიდობიან პერიოდში (1997-1999წწ.) ნაწილი მესხებისა მაინც დაუბრუნდა ჩეჩნეთს, თუმცა ძალიან მალე (1999 წლის შემოდგომას) კრემლმა ისევ დაიწყო მორიგი აგრესია და ვანდალიზმი თავისუფლების მოყვარე ჩეჩნების წინააღმდეგ და ვინ მოსთვლის უკვე მერამდენედ მოუწიათ ბედკრულ მესხებს ტანჯვით დამკვიდრებული საცხოვრებლის შეცვლა.

2004 წლიდან მესხებმა მასობრივად დაიწყეს ჩეჩნეთში დაბრუნება, რაოდენ გასაკვირაც არ უნდა იყოს, დღეს მათი რიცხვი ჩეჩნეთის ტერიტორიაზე შეადგენს 53 459 ადამიანს. ისინი კომპაქტურად სახლობენ იშჩერის, ალფათოვის, ნაურისა და ახალი სოლკუშენის რაიონებში. მნიშვნელოვანია, ისიც, რომ ჩეჩნეთის გარდა რუსეთის ფედერაციის მასშტაბით მესხური თემი ოფიციალურად არსად არ არის რეგისტრირებული.

ჩეჩნეთში მესხები ძირითადად მისდევენ მეცხოველეობასა და მიწათმოქმედებას, თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ისინი როგორც ამ ქვეყნის სრულუფლებიანი წევრები ყველა სფეროში არიან ჩართულები. მათ შექმნილი აქვთ თავიანთი კულტურული ავტონომია (ეროვნულ-კულტურული ავტონომიური ცენტრები) და აქტურად მონაწილეობენ ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში.

როგორც ჩეჩნეთის მკვიდრი და საჯარო მოხელე ლარისა მამაევა ადასტურებს, მართალია მცირე რაოდენობით, მაგრამ ჩეჩნეთის სხვადასხვა საჯარო უწყებებში „თურქი მესხები“ მაინც არიან დასაქმებულები, მათ გახსნილი აქვთ ეროვნულ-კულტურული ცენტრი, სადაც ხდება მათი თვითმყოფადობისა და კულტურის

შენარჩუნებისა და განვითარების ხელშეწყობა, შექმნილი აქვთ სხვადასხვა შემოქმედებითი, მუსიკალური და საცეკვაო ანსამბლები, ისე რომ „ თურქი მესხები ჩვენი ქვეყნის საამაყო შვილები არიან“- აღნიშნავს ქალბატონი ლარისა.

ჩეჩნეთში მესხურ დიასპორას ხელმძღვანელობს ისაბეკ ბენალიევი, რომელიც დიდ კმაყოფილებას გამოხატავს მათ მიმართ გამოჩენილი ყურადღებით და ძალიან მადლიერია ჩეჩენი ხალხისა.

ინგუშეთის რესპუბლიკა

ინგუშეთშიც ასევე თბილად შეხვდნენ მაჰმადიან მესხებს. აქაც 90-იან წლებში დასახლდნენ, ძირითადად ფერღანიდან და ოშადან გამოქცეული მესხები. ადგილობრივ მოსახლეობასთან შეგუება არ გასჭირვებიათ, რადგანაც მათი ტრადიციები მეტ-ნაკლებად ჰგვანან ერთმანეთს და ამავე დროს რელიგიური აღმსარებლობაც ერთი აქვთ – მესხებიც და ინგუშებიც სუნიტი მუსლიმები არიან.

ინგუშეთის ტერიტორიაზე მესხები ძირითადად დასახლებულნი არიან მალგობეკის და სუნჯის რაიონებში, მათი რიცხვი 1000-ს არ აღემატება.

ინგუშეთის ხელისუფლებამ 2001 წელს მთავრობის სხდომაზე დააყენა საკითხი მეწყერსაშიშ ზონაში მცხოვრები მესხებისათვის სასწრაფო დახმარების აღმოჩენასთან დაკავშირებით. ასევე დაიგეგმა აგრარულ სექტორში მათთვის ხელშემწყობი პირობების შექმნა.

მესხების დიასპორას ინგუშეთში ხელმძღვანელობს ბინალი ხალილოვი, რომელიც წლების განმავლობაში აქტიურად არის ჩართული ინგუშეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში და მესხების უფლებების დაცვის სფეროში, ასევე ის ხელმძღვანელობს „თურქი მესხების ეროვნულ-კულტურულ ავტონომიას „ახსხას“ (რაც ნიშნავს ახალ ციხეს) და ამავე დროს არის ქ. მალგობეკის საქალაქო საბჭოს დეპუტატი.

2011 წლის 7 დეკემბრს ინგუშეთის საგარეო ურთიერთობების, ეროვნული პოლიტიკის, ბეჭდვისა და ინფორმაციის სამინისტროში შედგა შეხვედრა ინგუშეთში მცხოვრებ მესხებსა და მთავრობის წევრებს შორის. ამ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს მესხური

დიასპორის წარმომადგენლებმა, რომლებიც ცხოვრობენ რუსეთის სხვადასხვა რეგიონში, ასევე უზბეკეთში, ყაზახეთსა და ყირგიზეთში. როგორც თავის გამოსვლაში ინგუშეთის საგარეო ურთიერთობების, ეროვნული პოლიტიკის, ბეჭდვისა და ინფორმაციის მინისტრმა იაყუბ პატიევემ აღნიშნა, ინგუშებმა და „თურქმა მესხებმა“ ერთნაირად იწვნიეს სტალინური რეჟიმის სისასტიკე, ერთნაირი ტრაგიკული ბედი ხვდათ წილად და ინგუშეთის მთავრობა არასოდეს დაუშვებს მესხების უფლებების რაიმე ფორმით შეზღუდვას ან დარღვევას მათს ტერიტორიაზე. გარდა ამისა: «Турко-месхетинская диаспора – одна из самых заметных из числа проживающих на территории Ингушетии, так как она является показательным примером трудолюбия для граждан республики», - აღნიშნა მინისტრმა.

ინგუშეთის მესხური დიასპორა განსაკუთრებულ როლს თამაშობს ქვეყნის აგრარული სექტორის განვითარების საქმეში და ბევრი წარმატებაც აქვთ ამ სფეროში.

2012 წლის 6 აგვისტოს, რამადანის წმინდა თვეში, ინგუშეთში მცხოვრებმა მესხებმა ჩაატარეს საქველმოქმედო აქცია, და მალგობეკის რაიონის მაცხოვრებლებს უსასყიდლოდ დაურიგეს ორი ტონა ბოსტნეული, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მათ შრომისმოყვარეობას, დიდსულოვნებას და კეთილსინდისიერებას. ამ აქციას ხელმძღვანელობდა ბინალი ხალილოვი.

როგორც ქ. მალგობეკის მერმა იარალი განტემიროვმა აღნიშნა თურქი მესხები ამ საქველმოქმედო აქციას ზედიზედ უკვე მესამედ ატარებენ, რაც რა თქმა უნდა ქებასა და მადლიერებას იმსახურებს, როგორც რესპუბლიკის ხელმძღვანელობის, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან: „турки-месхетинцы принимают активное участие в экономической и общественно-политической жизни города Малгобека. И участие это имеет исключительно положительные результаты».

როგორც ჩვენთან საუბარში ინგუშეთის მკვიდრმა, ცნობილმა ჟურნალისტმა და პოეტმა, „კავკასიის ცივილიზაციის, დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოებრივი ინსტიტუტის „კავკასიონის“ თავჯდომარემ, ბატონმა ასლან კამოევმა აღნიშნა:

„მესხები არიან ერთ-ერთი სამაგალითო ხალხი მთელს ინგუშეთში და არა მხოლოდ აქ. ისინი გამოირჩევიან თავისი შრომისმოყვარეობით, კეთილსინდისიერებით, გამრჯეობით, კანონმორჩილებითა და წესიერებით. ადგილობრივი მოსახლეობა დიდ პატივს სცემს მაჰმადიან მესხებს და მშვიდობიანად თანაცხოვრობენ მათთან. მესხები ინგუშეთში ძირითადად მისდევენ სოფლის მეურნეობას, შექმნილი აქვთ თავიანთი ეროვნულ-კულტურული ავტონომია, ყოველთვის იღებენ მონაწილეობას რესპუბლიკის მასშტაბით ჩატარებულ ნებისმიერი სახის კულტურულ ღონისძიებებში. ერთი სიტყვით მესხური დიასპორა ინგუშეთის სიმდიდრეა“—ასკენის კამოევი.

2012 წლის თებერვლის შუა რიცხვებში, ინგუშეთის დედაქალაქ ნაზრანში ჩატარდა საზოგადოებრივი არასამთავრობო ორგანიზაციების კავკასიური ფორუმი. ამ ფორუმზე სიტყვით გამოსვლისას ბინალი ხალილოვმა თხოვნით მიმართა საერთაშორისო საზოგადოებას, რათა მათ აღმოუჩინონ დახმარება ისტორიულ სამშობლოში-საქართველოში დასაბრუნებლად, თუმცა მან აქვე ისიც აღნიშნა, რომ ისინი ინგუშეთში მუდმივად გრძნობენ თანადგომას და მხარდაჭერას ადგილობრივი მოსახლეობისა და ხელისუფლების მხრიდან და მაინც არასოდეს კარგავენ წინაპართა მიწაზე დაბრუნების სურვილსა და იმედს.

ბინალი ხალილოვმა გულდაწყვეტით ისაუბრა, რომ საერთაშორისო საზოგადოების ზეწოლის შედეგად საქართველომ მიიღო კანონო მესხების რეპატრიაციის შესახებ, მაგრამ მისი რეალიზება რეალურად არ ხდება და ამ ეტაპზე, მიუხედავად დიდი სურვილისა, მიზანშეწონილად არ მიაჩნიათ საქართველოში დაბრუნება.

თავის მხრივ ინგუშები დადებითად აფასებენ „თურქ-მესხებთან“ თანაცხოვრებას:

„Турки-месхетинцы с большим вниманием изучают вайнахский менталитет, интересуются нашим фольклором, литературой, культурой. Их восхищает природа нашего края. Есть многое, что мы можем позаимствовать у братского народа. Это доброе отношение к земле, сдержанность при общении с людьми, стремление познать

ყაზარდო-ბალყარეთის რესპუბლიკა

ყაზარდო-ბალყარეთის რესპუბლიკაში მესხები პირველად 1960 წელს გამოჩნდნენ, 1944 წელს რეპრესირებული ხალხების რეაბილიტაციის დაწყების შემდეგ. მოგვიანებით 1969 წელს, რესპუბლიკის ხელმძღვანელმა თიმბორა მალბახოვმა შეიფარა ის თურქი-მესხებიც, ვინც საქართველომ არ მიიღო და იძულებულნი გახდნენ ხელმეორედ დაეტოვებინათ წინაპართა სამშობლო. თავდაპირველად მათი რიცხვი 350 ადამიანს შეადგენდა, ბოლო 30 წლის განმავლობაში 11 053 ადამიანამდე გაიზარდა, რეალურად კი, თუ იმ კატეგორიასაც გავითვალისწინებთ, ვისაც ეთნიკური წარმომავლობის გრაფაში აზერბაიჯანელი უწერიათ, თუმცა საკუთარ თავს მესხებს მიაკუთვნებენ, მაშინ მათი რიცხვი შეიძლება 13 334 –მდე გაიზარდოს.

„თურქი მესხები“, რომლებიც ყაზარდო-ბალყარეთის ტერიტორიაზე ცხოვრობენ, ითვლებიან ამ რესპუბლიკის თანაბარულელებიან მოქალაქეებად და აქტიურ მონაწილეობას იღებენ მათ ცხოვრებაში – აღნიშნა ყაზარდო-ბალყარეთში მესხების ეროვნულ-კულტურული ცენტრის – „ვათანის“ ხელმძღვანელმა ბექთაშ ამპაშულინმა. „ყაზარდო-ბალყარეთის ბუნება, მთები და სამკურნალო წყლები მუდმივად გვახსენებს ჩვენს მშობლიურ მესხეთს“, – აღნიშნავს ის. მესხურ თემს ყაზარდო ბალყარეთში შექმნილი აქვს რამოდენიმე ეროვნული მუსიკალური კოლექტივი, ასევე ფორმირების პროცესშია ცეკვის ანსამბლებიც.

ყაზარდო-ბალყარეთში მუსლიმი მესხები ძირითადად შუა აზიიდან ჩამოსახლდნენ, აქ მათი დასახლების ძირითადი მიზეზი იყო წინაპართა სამშობლოსთან ახლოს ყოფნის სურვილი და ამავდროს ახლობელთა საფლავის მონახულების ხელმისაწვდომობა. მესხები, ძირითადად, დასახლდნენ დასამუშავებლად ვარგის მიწიან რაიონებში, როგორცაა: მაისკი, ურვანსკი, თერქი და პროხლადნენო და ძალიან მალევე მოიპოვეს ადგილობრივი მოსახლეობის პატივისცემა, რომლებიც აღფრთოვანებულნი იყვნენ მესხების ვირტუოზული ნიჭით მებოსტნეობასა და მარცვლეულის

კულტურის მოყვანის სფეროში. ადგილობრივმა მოსახლეობამ მაშინვე შეიყვარა შრომისმოყვარე და კეთილსინდისიერი მესხები.

ყაბარდო-ბალყარეთში მესხებს ყველაზე რთული ურთიერთობა მაისკისა და პროხლადნენოს რაიონებში მცხოვრებ სლავიანურ მოსახლეობასთან ჩამოუყალიბდათ, ხშირია კონფლიქტები სლავ და მესხ ახალგაზრდებს შორის.

მუდმივად გასახლებების რეჟიმში მყოფმა მესხებმა ვერ შეძლეს შესაბამისი უმაღლესი განათლების მიღება, თუმცა ამის მიუხედავად ყაბარდო-ბალყარეთში მაინც არის რამოდენიმე ცნობილი ექიმი, აგრონომი და სხვა საჯარო სტრუქტურებში მომუშავე მუსლიმი მესხი..

როგორც ყაბარდო-ბალყარეთში მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ადიგე ხასე“-ს ხელმძღვანელი, რესპუბლიკური კონკურსის „ენა ჩემი – ჩემი სული, ჩემი სამყარო“-ს («Язык мой – моя душа, мой мир»), კომისიის ხელმძღვანელი, ყაბარდო-ბალყარეთის, ყარაჩაი-ჩერქეზეთისა და ადიღეს რესპუბლიკების დამსახურებული ჟურნალისტი მუხამედ ხაფიგე აღნიშნავს, საქართველოს ხელისუფლებას არ ძალუძს და არ სურს თავისი მოქალაქეების დაბრუნება, მათი რეპატრიაციისა და ინტეგრაციის სრულყოფილი პროცესის დაწყება, მით უმეტეს მათ არ სურთ მათი დასახლება ისტორიულ მესხეთში თურქეთის მოსაზღვრედ. „მესხების ისტორიულ სამშობლოში ღირსეულად დაბრუნების საკითხი ვერ მოაგვარა ვერც გამსახურდიაშ, ვერც შევარდნაძემ და ვერც სააკაშვილმა“ – დასძენს ხაფიგე.

ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკა

ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკაში მუსლიმი მესხები დასახლდნენ 1980-იან წლებში, რომლებმაც შუა აზია ეროვნული შუღლის ნიადაგზე დატრიალებული ტრაგიკული მოვლენების შემდეგ დატოვეს. ყარაჩაი-ჩერქეზეთში მესხები კომპაქტურად ცხოვრობენ სოფელ სადოვოში, ადიგე-ხაბლსკოს რაიონში. მათი რიცხვი დაახლოებით 200 კაცს შეადგენს.

სოფელ სადოვოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ინდიანა კარაკეტოვას თქმით, გასხვავებით კრანსოღარის მხრისგან ყარაჩაი-

ჩერქეზეთში მესხები თბილად მიიღეს, მისცეს მოქალაქეობა და მათი უფლებების დაცვაც აღუთქვეს.

ყარაჩაი-ჩერქეზეთიდან აშშ საცხოვრებლად მხოლოდ 4 ოჯახი - 12 მესხი გადავიდა, ესენიც მხოლოდ იმიტომ, რომ არ ჩამოშორებოდნენ საკუთარ ნათესაებს, რომლებიც კრასნოდარის მხარეში, გამორჩეულად თურქი-მესხებისათვის დაწესებულ სასტიკი რეჟიმის პირობებში ცხოვრობდნენ და იბულებული გახდნენ დაეტოვებინათ ეს მხარე და გადასახლებულიყვნენ აშშ-ში.

აშშ-ში ემიგრაციის სასტიკი წინააღმდეგი იყო უფროსი თაობა, რომლებიც ახალგაზრდებს ურჩევდნენ არ გაეცვალათ კავკასია გაღმა ოკეანეზე. გამომდინარე მათში არსებული უფროს-უმცროსობის ტრადიციებიდან ახალგაზრდებმა უხუცესების რჩევას ყური უგდეს და კავკასიაში, ისტორიულ სამშობლოსთან ახლოს ცხოვრება გადაწყვიტეს. გარდა იმისა, რომ ყარაჩაი-ჩერქეზეთი განსხვავდება თავისი საუკეთესო ბუნებრივ-კლიმატური პირობებით, ასევე ადგილობრივი მოსახლეობა მესხების მიმართ განწყობილია გამორჩეული სითბოთი და პატივისცემით, რაც მესხებს კავკასიაში ცხოვრების სურვილს უმძაფრებს.

ყარაჩაი - ჩერქეზეთში მესხი ახალგაზრდები უფასო უმაღლეს განათლებას იღებენ, ასევე სარგებლობენ მათ მიმართ დაწესებული სხვადასხვა სოციალური შეღავათებით, ისინი ამ ქვეყნის სრულუფლებიანი მოქალაქეები არიან.

როგორც მესხებს ჩვევიათ, ისინი გამორჩეული მებაღ-მებოსტნეები არიან და ამდენად სოფ, სადოვოში მათი სათეს-სავარგულები და კარ-მიდამოები მუდამ ყვავის: „მარჯვე ხალხია, სხვისი ბოსტნეული რომ ყვავის ეგენი უკვე მოსავალს იმკიან“, - ხშირად ამბობენ მათზე ადგილობრივები.

ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა

ჩრდილოეთ ოსეთში „თურქი-მესხები“ ცხოვრობენ მოზდოკისა და ირაფსკის რაიონებში. ძირითადად მისდევენ მიწათმოქმედებას, ოჯახებით ამუშავენ მიწებს, მოჰყავთ ბოსტნეული და მარცვლეულის კულტურა და ამდენად რესპუბლიკის ბაზრის ბოსტნეულის ყველანაირი კულტურის მთავარი მიმწოდებლები

სწორედ მესხები არიან.

ჩრდილოეთ ოსეთში 200-ზე მეტმა ოჯახმა გამოხატა სურვილი რეპატრიანტის სტატუსის მიღებისა და შესაბამისი ანკეტებიც შეავსეს. ეს ღონისძიება ჩატარდა საერთაშორისო პროგრამის ფარგლებში, რომელიც მომზადდა „ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ“ კანონის საფუძველზე. ქალაქ მოზდოკში მცხოვრები 140 თურქი-მესხის ოჯახიდან, მხოლოდ 20 ოჯახმა გამოხატა საშობლოში დაბრუნების სურვილი: «В Северной Осетии мы нашли приют и покой. Живем в многонациональной республике в мире и согласии с другими народами. На исторической родине нас никто не ждет, в Грузии сегодня хаос и безработица. В Моздоке имеем дом, работаем на земле. Наша семья намерена жить здесь», — განუცხადა „ИА REG-NUM“-ის კორესპონდენტს მოზდოკის მცხოვრებელმა იბრაგიმ ხამიდოვმა.

როგორც ჩვენთან საუბარში ჩრდილოეთ ოსეთის დედაქალაქის მაცხოვრებელმა ჟორა (გიორგი) შავლობოვმა (რომელიც 2000 წელს საქართველოდან, პანკისის ხეობის, სოფ. დუმასტურიდან ჩრდილოეთ ოსეთში ოჯახთან ერთად გადავიდა საცხოვრებლად) აღნიშნა, — ჩრდილოეთ ოსეთში ადგილობრივი მოსახლეობა უადრესად დადებითად არის განწყობილი „თურქი-მესხების“ მიმართ, აღფრთოვანებულები არიან მათი შრომისმოყვარეობითა და კეთილსინდისიერებით, მათგან ბევრ რამეს სწავლობენ, განსაკუთრებით მიწათმოქმედების სფეროში და მაღლიერებასაც გამოხატავენ მათ მიმართ.

დაღესტნისა და ადიღეს რესპუბლიკებში მესხების კომპაქტური დასახლებები არ არსებობს, ამდენად ამ რესპუბლიკებში მესხების შესახებ ინფორმაციები თითქმის არ ასებობს.

და ბოლოს მთავარი არის ის, რომ ამდენი გასახლებებისა და ტანჯვა-წამებით განვლილი ცხოვრების გზებისა და ენით აუწერელი სირთულეების მიუხედავად, ქართველმა მუსლიმმა მესხებმა შეინარჩუნეს თავიანთი თვითმყოფადობა, კულტურა, მენტალიტეტი, ენის თავისებური დიალექტი და ადათ-წესები.

ისინი ძალიან ბევრს შრომობენ და ცხოვრობენ ამ შრომის საფასურად. მიუხედავად მათ მიმართ განხორციელებული უამრავი გენოციდებისა, ისინი მაინც აძლიერებენ ინტერნაციონალურ კავშირებს სხვადასხვა ხალხებთან, საკუთარი ხელებით აშენებენ ხელოვნებისა და ხუროთმოძღვრების ძეგლებს, ძალ-ღონეს არ იშურებენ სიკეთის დასათესად, ცდილობენ მიიღონ მონაწილეობა სამართლიანი და მკაცრი წესრიგის დამყარებაში. საბოლოოდ კი სწორედ ეს არის ცხოვრების სიბრძნე.

ამიტომაც მიმაჩნია, რომ თითოეული ამ ქვეყნის მოქალაქე, იქნება ეს ხელისუფალი თუ ჩვეულებრივი მიწის მუშა, მუდმივად უნდა ზრუნავდეს იმისათვის, რომ საქართველომ დაიბრუნოს ერთდროს ძალად წართმეული და დაკარგული შვილები, თუნდაც იმიტომ, რომ მათთვის, მესხებისთვის ცხოვრება იქ გაჩერდა, როდესაც ისინი სამშობლოს მოწყვეტეს და მხოლოდ მაშინ გაგრძელდება, როდესაც მას საკუთარ კერიაზე დააბრუნებენ.

გამოყენებული ლიტერატურა

1.Триер Том и Ханжын Андрей, „Турки-Месхетинцы: Интеграция. Репатриация. Эмиграция“, Алетейя, Санкт-Петербург, 2007.

2.Международный Молодежный Союз Депортированных Месхетинцев "МЕСХЕТИ"; Сборник Исторических Документов для Депортированных из Южной Грузии Месхетинцев; Тбилиси 2006 г

3. Центр Культурных Взаимосвязей "Кавказский Дом", Месхетинцы – Люди, лишённые Родины; Тбилиси 2008 г;

4. შოთა ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, თბილისი, 1975

5. ტომ ტრიერი, გიორგი თარხან-მოურავი, ფორესტ კლიმნიკი, "მესხები: გზა შინისაკენ"..., თბილისი, 2011;

6. დეპორტირებული მესხი ქალის – ნაზირას წიგნი, „კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი –კავკასიური სახლი“, თბილისი, 2005;

7. ხალილ უმაროვ-გოზალიშვილი, „მესხთა ტრაგედია“, თბილისი, 2005;

8. ომაზ ჩხეიძე, „ჩვენი მესხები“, თბილისი, 2007;

9. პეტრე ზორავსკი, „მაჰმადიანი მესხები – კავკასიის ეთნიკური პრობლემა“, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 21-28 მარტი,

თბილისი, 1997 წ.

10. საქართველოს კანონი „ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ“.

11. გიორგი თარხან-მოურავი, ქეთევან ხუციშვილი, საზოგადოების დამოკიდებულება და მესხების ინტეგრაცია საქართველოში, უმცირესობის საკითხთა ევროპული ცენტრი – კავკასია, თბილისი, 2012

12. ქ. სალუქვაძე. „მესხების რეპატრიაცია – ევროპის საბჭოს წინაშე აღებული ვალდებულება და საქართველოს უსაფრთხოების პრობლემები“, სამაგისტრო ნაშრომი, საქართველოს უნივერსიტეტი, 2010.

13. დ. ჩხარტიშვილი. „თურქი-მესხების რეპატრიაცია და საქართველოს უსაფრთხოების პრობლემები“, სამაგისტრო ნაშრომი, GIPA – 200

14. ს. უგულავა, ლ. სუთიძე, „დეპორტირებული მესხები: ფერგანამდე და უკან“, ჟურნალი ტაბულა, თბილისი, 2011.

15. კლარა ბარათაშვილი, „მამადიან მესხთა დეპორტაციის შესახებ“, კავკასიური სახლი, თბილისი, 2004

16. სალომე აჩბა, „მე. დეპორტირებული მესხები და BRAVE KIDS“, თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი, თბილისი, 2012

17. <http://www.kazan-center.ru/osnovnye-razdely/11/236/>

18. <http://kaisynoff.livejournal.com/1844.html>

19. <http://forum.vardanank.org/index.php?showtopic=142991&st=20&st art=20>

20. <http://www.kavkaz-uzel.ru/articles/176268/>

21. <http://www.ahiska-gazeta.com/ru/histories/50/>

22. <http://www.kazan-center.ru/osnovnye-razdely/15/264/>

23. <http://www.magastimes.com/news/turki-mesketintsy-prosyat-pomoch-vernutsya-v-gruziyu>

24. <http://russiaforall.net/newsitem.jsp?newsid=1994>

25. <http://kavkaz-forum.ru/politic/12986.html>

26. <http://m.fstanitsa.ru/publitsistika/turki-mesketintsy-vytesnyayut-russkikh-iz-kbr>

27. <http://news.mail.ru/inregions/caucasus/15/politics/2210661/>

28. <http://www.pravitelstvori.ru/news/detail.php?ID=7071>
29. <http://kaisynoff.livejournal.com/1844.html>
30. <http://www.vestikavkaza.ru/articles/18259.html>
31. http://ru.wikipedia.org/wiki/Национальный_состав_населения_России_в_2010_году

России в 2010 году

32. <http://okbr.narod.ru/histkbr.htm>
33. <http://zaslany-kazak.livejournal.com/205811.html?thread=766707>
34. <http://www.kavkaz-uzel.ru/articles/108526/>
35. <http://www.islamnews.ru/news-101601.html>
36. www.grozny-inform.ru
37. <http://wap.karachays.borda.ru/71-7-0-00000042-000-30-0>
39. <http://rooinka.willbenice.ru/news/teplo-kavkazskogo-ochaga>
40. ka.wikipedia.org/wiki
41. <http://guramsharadze.wordpress.com/devnili/turqi-mesxebi/>
42. <http://www.ambioni.ge/turqi-mesxebi>
43. <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=>
44. http://www.for.ge/view.php?for_id=22572&cat=9

ასპინძის რაიონის ეკონომიკური და დემოგრაფიული მდგომარეობა XX საუკუნის 30–40-იან წლებში

XXI საუკუნის დასაწყისისათვის საკმაოდ აქტუალური თემაა ასპინძის რაიონის ეკონომიკურ-დემოგრაფიული სურათის წარმოჩენა განსაკუთრებით კი ე.წ. „თურქი მესხების“, ანუ სამცხე – ჯავახეთიდან გადასახლებული გამაჰმადიანებული მოსახლეობის საკითხებზე საუბრისას. ჩვენ გვსურს ქვემოთ მოყვანილი საარქივო მასალები ს მიხედვით წარმოვაჩინოთ ასპინძის რაიონის იმდროინდელი მდგომარეობა, ამას კი მოკლე ექსკურსის გარეშე ვერ შევძლებთ.

დღევანდელი ასპინძის რაიონის ტერიტორია 822,4 კვ.კმ-ია. იგი ისტორიული სამცხისა და ჯავახეთის ტერიტორიების ნაწილს მოიცავს. მე-19 საუკუნეში იგი ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების შემადგენლობაში იყო. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების და საქართველოს ტერიტორიების რაიონებად დაყოფის შემდეგ, 1930 წლისათვის, შეიქმნა ჯერ ტოლოშის, 1933 წლის 27 ოქტომბრიდან კი ასპინძის რაიონი, რომელშიც 14 სასოფლო საბჭო და 64 სოფელი შედიოდა. იმ პერიოდისათვის რაიონში ცხოვრობდნენ ქართველები, სომხები, ქურთები, „თარაქამები“ (ყარაფაფხელები) და ე.წ. „თათრები“ ანუ გამაჰმადიანებული მესხები, რომელნიც აზერბაიჯანელებად იყვნენ ჩაწერილი. ისინი კი თავიანთ თავს „იერლის“ (ადგილობრივს) ეძახდნენ¹. რაიონის სოფლები შემდეგ სასოფლო საბჭოებში შედიოდნენ:

ასპინძის საბჭო – ასპინძა – ოთა, მლაშიხევი, იდუმალა, ახაშენი
ტამალის საბჭო – ტამალა – ტამალა
ქვემო ოშორის საბჭო – ქვემო ოშორა – ზემო ოშორა, ყაშბა
რუსთავის საბჭო – რუსთავი – წყალთბილა, ფერიციხე, ინდუსა
ხიზაბავრის საბჭო – ხიზაბავრა – სარო, თოკი, ვარგავი

¹ გ. ზოკორიძე მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში თბ. 1992 წ

ხერთვისის საბჭო – ხერთვისი–ალჯვა, შოდირვანი, კვარმა
ნაქალაქევის საბჭო – ნაქალაქევი–მარგასტანი, ზედა ვარძია,
ბერთა ყანა, ჯოლდა, თმოგვი, ანაკეთი

ზველის საბჭო – ზველი, ჭობარეთი, ონღორა, სახუდაბელი
ერკოტის საბჭო – ერკოტა–ზემო ვარნეთი, დადემი

ტოლოშის საბჭო – ტოლოში–ნარიმანი, ალანძია, მგელსუნდა,
როკეთი, აზგვიტა, ქუნცა, ბნალა, ოსკერია

შალოშეთის საბჭო – შალოშეთი, თოლერთა, ზედა თმოგვი,
დანიეთი

ვანის საბჭო – ვანი–ბარიხანა, ბუზმარეთი, თაზარქვევი, კო-
ინდარა, ტაშლი–ყიშლა

აგარის საბჭო – აგარა–ლებისი, ფანაქეთი, ახჩია

ნიალის საბჭო – ნიალა–ქარზამეთი, არდახი, ზემო ვარნეთი,
გავეთი

სოფელ ხიზაბავრაში, საროში, ვარგავში, ბნელაში, დადემსა
და ზედა თმოგვი ცხოვრობდა ქართული მოსახლეობა მართ-
ლმადიდებელი და კათოლიკე, მუსულმანებთან შეურევლად.

შერეული ქართული სოფლები იყო ტოლოში, თოკი, როკეთი,
ქუნცა, ერკოტა, ძველი, ჭობარეთი, ხოლო ახაშენში და აგარაში
ქართველები და ქურთები ცხოვრობდნენ ერთად.

თარაქამები–ქარზამეთში, არდახში, ზემო ვარნეთში, ფანაქეთში,
ლებისში, გავეთში, ვანში, ბაზირხანაში, ბუზმარეთში, ყოინდარში,
თაზაქვევში, ტაშლი–ყიშლაში, ოსკერიაში, ალანძიასა და ოთაში.

ქურთები–ჯოლდაში, ზედა ვარძიაში, ბერთა ყანაში, ნაქა-
ლაქევიში, მარგასტანში, დნიეთში, რუსთავში, ფერიციხეში, წყალ-
თბილაში, თმოგვი, ანაკეთსა და ახჩიაში.

ხოლო დანარჩენ 22 სოფელში მუსულმანი ქართველობა ანუ
„იერლი ცხოვრობდა ქურთებისა და თარაქამების გარეშე. ესენია
ალჯვა, კვარმა, ხერთვისი, მარგასტანი, ნიალა, შალოშეთი, აზგვიტა,
ასპინძა, იდუმალა, მლაშიხევი, ზედა ოშორა, ქვედა ოშორა,
ყაშხა ინდუსა, ორგორა, სახუდაბელი, ზემო ვარნეთი, ნარიმანი,
გელსუნდა, შოდირვენი, ღობიეთი და თოლერთა.

ჩვენს მიერ წარმოდგენილი მასალები ახალციხის არქივიდან
არის ამოღებული. მართალია, გამაჰმადიანებული მოსახლეობის

გასახლების შემდეგ გატანილ იქნა არქივის დიდი ნაწილი, განსაკუთრებით დემოგრაფიული აღწერის მასალები, მაგრამ აქ დარჩა სტატისტიკური ცნობები, რომლებიც საინტერესო და უზუ მასალას გვაწვდიან 1931 წლიდან 1945 წლამდე აქაურ მაცხოვრებელთა შესახებ. ბევრი მკვლევარი მიიჩნევდა, რომ ამ საკითხებზე მასალები არ იყო და ვერ ამუშავდნენ. ეს მასალები ასპინძის რაიონის შესახებ 215-ე ფონდშია დაცული. საინტერესოა ამ ფონდის საქმე №1, გვ. 63–68, რომელშიც 1933 წელს რაიონის აგროეკონომიკური პასპორტია წარმოჩენილი. ამ დოკუმენტის მიხედვით განვითარებული ყოფილა მემინდვრეობა, მესაქონლეობა და მებაღეობა–მებოსტნეობა. რაიონში იყო 2 ყველ–კარაქის დამამზადებელი საწარმო ნიალასა და ზველში. 1932 წ. ნიალაში 11 ცენტნერი კარაქი და 68 ცენტნერი ყველი, ხოლო ზველში 12 ცენტნერი კარაქი და 69 ცენტნერი ყველი იქნა დამზადებული. ორივე საწარმოში 5–5 კაცი იყო დასაქმებული

1933 წლის 1 ივნისის მონაცემებით რაიონში ცხოვრობდა 31413 კაცი, აქედან–15690 კაცი და 15715 ქალი. რაიონის ცენტრში(ე.ი. ტოლოში-ზ.ქ.)–1116 სული–672 კაცი და 445 ქალი ყოფილა. ეთნიკური შემადგენლობა: თურქები(აზერბაიჯანელები) 21124, ქართველები –6913, ქურთები–1996 და სხვა ეროვნებანი 1380 სული

1932 წლისათვის უკვე შექმნილი იყო 18 არტელი, რომელშიც გაერთიანებული ყოფილა 739 მეურნეობა 4043 კაცით. აქედან 2001 მუშახელით. კოლექტივიზაციის პროცენტი 1932 წლის დასაწყისში 15 პროცენტია.

1933 წლის 1 იანვრისათვის იყო 20 არტელი, 780 მეურნეობით, 4293 კაცით. აქედან, 2118 მუშახელით. კოლექტივიზაციის პროცენტი 1933 წლის იანვრისათვის 16 პროცენტია.

1931 წლისათვის 5183 ერთპიროვნული მეურნეობა 30190 კაცით.

კოლმეურნეობებში 7 მუშა ცხენი, 1287 ხარი იყო, ხოლო კოლწევრებს ჰყავდათ 1218 მუშა ცხენი და 6649 ხარი, 128 ხარ–ემეჩი(მუშა კამეჩი).

1932 წლის 1 თებერვლიდან 820 მუშა ცხენი, 8038 ხარი. 1933 წლისათვის 1 ავტომანქანა, 100 ცხენის გუთანი კოლმეურნეობაში, ერთპიროვნულ მეურნეობაში კი 400 გუთანი. 1932 წ. 1 იანვრისათვის

კოლმეურნეობებში ჰქონდათ 1639,2 ჰექტარი მიწა, აქედან 1568,2 ჰა სათესი, 687 ჰა სარწყავი და 70,57 ჰა. სათიბი.

ერთპიროვნულ მეურნეობებს ჰქონდათ 33539,04 ჰა—საკარმიდამო 306,71 ჰა. სათესი —16417,33 ჰა. სარწყავი—805,1 ჰა, სათიბი 2239 ჰა, საძოვრები 14576 ჰა და 11986,68 ჰა სატყეო ფონდი. მთელს რაიონში გამოყენებული მიწის ფონდი შეადგენდა 47115,24 ჰექტარს.

1932 წ. მოთიბული იყო კოლმეურნეთა მიერ 539,30 ტ. თივა, ერთპიროვნულ მეურნეობათა მიერ 1852,8 ტ.თივა. კოლმეურნეობებმა გაწმინდეს და გაასუფთავეს 1274 ცენტნერი ხორბალი, ერთპიროვნულებმა 3239,41 ცენტნერი ხორბალი.

რაიონში იყო 2 აგრონომი, 2 ვეტერინარი.

1932 წლის მონაცემებით რაიონის მიერ შესრულდა გეგმა:

საქონლის ჩაბარება 135630კგ.(352 %), კარტოფილის 24146 ფუთი(151%), თამბაქოსი 7875,4 კგ(63%), ტყავეულის 3250 ცალი(122,8%), რძის პროდუქტების 160 ც.(108,7%).

ამავე პერიოდისათვის ასპინძის რაიონში იყო 11 ქართული 4 წლიანი სკოლა, 6 ქურთული 4 წლიანი სკოლა და 34 თურქული 4 წლიანი. ქართულ სკოლაში სწავლობდა 792 ბავშვი, ქურთულში 199, თურქულში 1733 ბავშვი.

მაღალი საფეხურის 5 ახალგაზრდული სკოლა იყო, ხიზაბავრაში 236 ბავშვს ქართულ ენაზე 11 პედაგოგი ასწავლიდა. ტამალაში 244 მოსწავლეს 6 პედაგოგი ასწავლიდა. სწავლება ქართულ, რუსულ, სომხურ ენებზე მიმდინარეობდა. ნიალაში, ქვემო ოშორასა და რუსთავში კი თურქულ ენაზე სწავლობდა 583 ბავშვი, 13 პედაგოგით.

სტატისტიკური მონაცემები გვაძლევს საშუალებას აღვადგინოთ ასპინძის რაიონის 30—იანი წლების აგროეკონომიური და დემოგრაფიული მონაცემები. შედგომი პერიოდისათვის ყველა სოფელში კოლმეურნეობებია შექმნილი და ჩვენც შესაბამისად ხელთა გვაქვს მონაცემები, თუ რამდენი დაითესა, რამდენი მოიკრიფა, თუ ჩაბარდა სახელმწიფოს. რამდენი სული პირუტყვი ჰყავდათ. საინტერესოა სტატისტიკა, რამდენი ძირი თუთის ხე, ვაშლი თუ სხვა ნარგავი იყო რაიონში. მნიშვნელოვანია ის, რომ მარტო 1935 წ. მონაცემებით ასპინძის რაიონს უნდა დაეთესა

11534 ჰა.(თუ ამ ციფრს შევადარებთ XX ს-ის 80-იანი წლების მონაცემებს, დიდი სხვაობაა, რადგან კომუნიზმის მშენებლობის პერიოდისათვის რაიონში 5000 ჰა-ზე მეტი აღარ მუშავდებოდა კოლმეურნეობების მიერ-ზ.ქ.).

საინტერესოა ასევე საარქივო მასალა(ფონდი № 215 საქმე 78-82),რომელშიც საკომლო სააღრიცხვო სიებია სასოფლო საბჭოების მიხედვით. აქ წარმოდგენილია 1943 წლის 1 ივნის- 1 ივლისის მონაცემები.

ამ დროისათვის რაიონში ცხოვრობდა 29437 კაცი, აქედან ქართველები-5582, რუსები-68, აზერბაიჯანელები-19033, სომხები-1325, ქურთები-3306, 1 ოსი, 11-ბერძენი, 5 ებრაელი და 6 ჩერქეზი. ასე, რომ ასპინძის რაიონიდან ჩვენს მიერ მოტანილი მონაცემებით გაასახლეს 22345 სული და არა როგორც წერენ 23000 სული(გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“, 2005 წ. №2) (მ.ნათმელიძე-დემოგრაფიული პროცესები საქართველოში მე-20 ს-ის 40-იან წლებში). გასახლებულთა ნაცვლად საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან ასპინძის რაიონში ჩამოასახლეს 2500 კომლი. აღნიშნული საარქივო დოკუმენტაციის შესწავლა გვაძლევს საშუალებას ვთქვათ, რომ ჯერ კიდევ მეფის მთავრობის რუსიფიკატორულმა პოლიტიკამ აქცია ეს გამაჰმადიანებული ქართველობა „თურქებად“, რომელნიც მე-19 საუკუნის ბოლოსათვის ბრწყინვალედ ლაპარაკობდნენ ქართულად და აზროვნებდნენ ქართულად, მაგრამ მათზე შეტევამ იდეოლოგიური თვალსაზრისით ქართველებისათვის საზიანო შედეგი გამოიღო. ეს ხალხი; რომელთაც შემობრუნება ქართულ გარემოში მოქცევა სჭირდებოდა, გარიყულ იქნა. არც იმდროინდელ საზოგადოებაში აღმოჩნდა ამ საქმის ჭირისუფალი. ამის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებამ ეს ხალხი ჯერ თურქებად, შემდეგ აზერბაიჯანელებად ჩაწერა. იმის მაგივრად, რომ აქ ქართული სკოლები გაეხსნათ და ქართული აზროვნება გაეღვიძებინათ, აზერბაიჯანიდან მოლები ჩამოიყვანეს და ახალგაზრდობის აღზრდა მიანდეს, რაც ძალზედ დიდი შეცდომა იყო. საბოლოოდ კი, ეს ხალხი, 1944 წელს გასახლებულები შუა აზიაში უკვე „თურქ-მესხებად“ იქნენ სუკ-ის წყალობით, ბუნებაში არ არსებობს

ასეთი ეთნოსი. ასე რომ, მათი დაბრუნების პრობლემა მძიმე მოსაგვარებელი იქნება, მანამ, სანამ სწორად არ იქნება გააზრებული და შესწავლილი ის ისტორიული სინამდვილე, რომელშიც მათ და მათ წინაპრებს უხდებოდათ ცხოვრება. ჩვენს მიერ მოწოდებული და გაანალიზებული საარქივო მასალაც ამ რეალობის წარმოჩენას ემსახურება.

- 1 ახალციხის რაიონული არქივი ფონდი N 215
- 2 მ ნათმელიძე დემოგრაფიული პროცესები საქართველოშიმე-20 ს-ის 40-იან წლებში თბ 2002 წ
- 3 ლიტერატურული მესხეთი N 2 , 2005 წ
გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა
- 1 ახალციხის რაიონული არქივი ფონდი N 215 საქმე 1 – 80
- 2 გ. ბოჭორიძე მოგზაურობა ცამცხე -ჯავახეთში თბ. 1992 წ
- 3 მ . ნათმელიძე დემოგრაფიული პროცესები საქართველოშიმე-20 ს-ის 40-იან წლებში თბ 2002 წ
- 4 ლიტერატურული მესხეთი N 2 , 2005 წ

Summary

XX Century 30-40s is special in the History of the Soviet Georgia from the point of its industrial development, collective thrifths and with the fights against "Kulakebi". There occurred basic changes that changed Georgian country life. Life and population joined the renaissance of "the Great Soviet Country". Aspindza Region was not exception: firstly they created agricultural artels, and then collective farms. By 1927 there were 15 collective farms and 9 agricultural artels, where there were 1372 farmsteads and by 1939 64 collective farms , which consisted of nearly the whole population, 75 of them are registered as individual farmers. Quite abundant agricultural products (wheat, rye, barley, oats, potatoes, corn)were produced in these farms as well as fruit, vegetables and other garden products. The interesting fact is that in 1933 there were

12 Georgian Schools in Aspindza Region. 11 elementary schools, and one secondary school. 6 Georgian elementary schools and 37 Turkish schools. One 7 years long and one a secondary school.

According to the data presented in 1943, 1 January there were 6256 farmsteads, 29437 persons, among them 5582 were Georgians, 68 Russians, 19033 Azuri, 3306 Gypsies, 1325 Armenians, 1 Ossetian, 11 Greeks, 5 Jews and 6 Cherkezians. 22349 were exiled From Aspindza Region

ციური ლაფაჩი

1944 წელს სამხრეთ საქართველოდან მესხების დეპორტაციის ქრონიკები

საქართველოს ისტორია ოდიდგანვე სისხლითა და ცრემლით იწერებოდა... ჩვენი წინაპრები თავს სწირავდნენ მამულისათვის, ენისა და სარწმუნოებისათვის...

განსაკუთრებით მძიმე იყო მესხთა ყოფა... XVI ს. იგი დაშლილი ფეოდალური საქართველოს „სამცხე საათაბაგოს“ სამთავროდ მოგვევლინა. XVI საუკუნის ბოლოს თურქებმა დაიპყრეს და „გურჯისტანის ვილაიეთი“ უწოდეს, დამპყრობლებმა აქ ქურთთა მცირე ჯგუფები შემოასახლა, ხოლო X VII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში, ქვემო ქართლიდან მოხდა თურქმანული მოდგმის „თარაქამათა“ მცირე ჯგუფის შემოქრა, სხვა მხრივ რაიმე დემოგრაფიული ცვლილებები აქ არ მომხდარა. სამწუხაროდ, ძალდატანებით გამაჰმადიანების გამო სათუო გახადეს მათი ქართველობა, ხოლო ფერგანის ოლქში ინიცირებული ტრაგიკული მოვლენების შემდეგ ტერმინებმა: „თურქი მესხი“ და „ახალციხელი თურქი“ მტკიცედ და „ურყევად“ მოიკიდა ფეხი ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებშიც კი, როგორცაა გაერო, ეუთო, ევროკავშირი, ევროსაბჭო, მიგრაციის საერთაშორისო ცენტრი და ა.შ.

ისტორიული სინამდვილე კი იმაზე მეტყველებს, რომ მესხეთი ყოველთვის იყო და ბოლო დრომდე დარჩა მხოლოდ ქართულ მხარედ.

დამეთანხმებით თუ ვიტყვოდი, რომ სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით ათწლეულებია განსჯის საგნად იქცა 1944 წელს საქართველოდან დეპორტირებულ გამაჰმადიანებულ

მესხთა პრობლემა, რომელთა მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა და მრავალ კითხვის ნიშანსაც ტოვებს...

ისიც, ფაქტია, რომ ამ პერიოდში მაჰმადიანთა დეპორტაცია არამარტო საქართველოდან, კერძოდ მესხეთიდან, არამედ საბჭოთა კავშირ-თურქეთის საზღვრის მთელ მონაკვეთზე განხორციელდა, ამდენად, დეპორტირებულნი იყვნენ არა მარტო გამაჰმადიანებული მესხები, არამედ ოსმალთა თურქები, თათრები, თარაქმები (აზერბაიჯანელი თურქმენები), ქურთები, ხემშილები (მუსლიმანი სომხები), ყარაფაფახები და თურქული ტომების სხვა წარმომადგენლები, მაგრამ, რატომღაც, პასუხისმგებლობის მთლიანი ეპიცენტრი მხოლოდ სამცხის რეგიონზე იქნა გადატანილი.

აქედან გამომდინარე, ყოველგვარი პათეტიკის გარეშე, შემიძლია აღვნიშნო, რომ ისე, როგორც ბევრი ჩვენი თანამემამულე, მეც დაინტერესებული ვარ მათი მდგომარეობით და ვცდილობ, რაც შეიძლება ჩავწვდე ყველა იმ დოკუმენტსა და გამოკვლევას, რომელიც ამ თემას ეხება და ჩემთვის ხელმისაწვდომია.

ჩემი ინტერესის სფერო ამ კონკრეტულ სიტუაციაში გახლავთ ერთხელ კიდევ დავანახოთ ჩვენს თანამემამულე გამაჰმადიანებულ მესხებს, თუ როგორ ფიქრობდა და ზრუნავდა მათ მიმართ ქართველი ინტელიგენცია და მეცნიერთა გარკვეული ნაწილი, მხარის რაიონების ხელმძღვანელი პირები, რომლებისთვისაც სულ ერთი არ იყო თუ რა ბედი ეწეოდა საკუთარ მამულში რჯულ შეცვლილ მესხებს, რომელთა უმრავლესობას გასახლების დროს ჯერ კიდევ შერჩენილი ჰქონდა ძირძველი გვარები: აბაშიძე, ბარათაშვილი, ბაქრაძე, ლორთქიფანიძე, მესხიძე, ჩხეიძე, მაჩაბელი, სარაჯიშვილი, ჯავახიშვილი, ჯაყელი, ჯიბლაძე, სარალიძე, ფუტურძე, გოძიაშვილი, ვარსკნელიძე, ვაჩნაძე, წულუკიძე, ხუროძე, ხიმანიშვილი, ხერხეულიძე და ა.შ.

ამდენად, „ქართული საისტორიო საბუთები და ეთნოგრაფიული მონაცემები (გადმოცემები) დღეს იმის საშუალებას იძლევა, რომ გაირკვეს ქართველ მაჰმადიანთა ნამდვილი გვარები და დაუბრუნონ ისინი წინაპართა ეროვნებას, დააკმაყოფილონ მათი სამართლიანი მოთხოვნა, ეკუთვნოდნენ მამა-პაპათა ეროვნებას“

- წერდა გაზეთი „კომუნისტი“ 1989 წლის 7 ივლისის ნომერში. ამ და სხვა კონკრეტული პრობლემების ერთხელ და საბოლოოდ გადასაჭრელად საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიამ შექმნა სპეციალური კომისია, რომელიც მთელი ძალისხმევით შეუდგა ამ საშვილიშვილო საქმეს. ამ მხრივ ბევრმა ქართველმა მაჰმადიანმა აიხდინა საუკუნო ოცნება, მაგრამ უფრო მეტი ჯერ კიდევ მოსაწესრიგებელია...

სწორედ ამ მიზნით, კიდევ ერთხელ გადავხედე ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ 1989 წლის მე-7 ნომერში გამოქვეყნებულ სტატიას- „დოკუმენტები მეტყველებენ“, სადაც წარმოდგენილია ახალციხის მამინდელი რაიონალური კომიტეტის პირველი მდივნის-სამაგალითო, განათლებული, ქვეყნისა და რაიონის მოსახლეობის ბედზე მაფიქრალი, განათლებისა და კულტურის დარგების მოამაგე პიროვნების ბატონი გიორგი კირვალიძის მოხსენებითი ბარათი, რომელიც ჯერ კიდევ გამაჰმადიანებული მესხების დეპორტაციამდე, რამდენიმე თვის წინ, 1944 წლის ივნისში გაუგზავნა საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. კ. ჩარკვიანს და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავჯდომარეს ამხ. ვ. მ. ბაქრაძეს. მოხსენებით ბარათს წინ უძღვის ახალციხის რაიონის გამაჰმადიანებულ ქართველთა გვარების სია. სასოფლო საბჭოების მიხედვით, რითაც მას სურს ნათელი გახადოს გამაჰმადიანებული მოსახლეობის გვარ-ტომობის საკითხი...

გ. კირვალიძე თავის მოხსენებით ბარათში აღნიშნავს: „ამ ბარათით მსურს შევაჩერო თქვენი ყურადღება ზოგიერთ საკითხზე, რომლებიც შეეხება სამცხე-ჯავახეთის რაიონში, კერძოდ, ახალციხის რაიონში საჭირო ღონისძიებების ჩატარებას, რამაც უნდა უზრუნველყოს მშობლიური ქართული ენის აღდგენა გამაჰმადიანებულ ქართველთათვის და შეწყვიტოს შემდგომი მათი გადაგვარება, რომელიც, მოგეხსენებათ დაიწყო XVII ს-დან და არ შეჩერებულა საქართველოს გასაბჭოების შემდეგაც, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჯერ ამ უკანასკნელ წლებს, როდესაც გატარებული იქნა ზოგიერთი ღონისძიება საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს მითითებით, ასე მაგალითად: 1939 წ. რაიონის 12 სოფელში, იქსადაც

ქართული ენა შერჩათ გამაჰმადიანებულ ქართველ მოსახლეობას, მოხდა თათრული სკოლების რეორგანიზაცია ქართულ ენაზე.

პარტიაში მიღებულ გამაჰმადიანებულ ქართველებისა, რომლებიც ქართულ გვარებს ატარებდნენ ცვლილებების შეტანა მათი ეროვნების მდგომარეობაში.

რაიონის აზერბაიჯანელი გაზეთის რეორგანიზაცია ქართულ და აზერბაიჯანულ ენაზე.

სამხარეო მცოდნეობის მუზეუმის დაარსება.

საუბრების ჩატარება გამაჰმადიანებულ მოსახლეობასთან, მათი წარსულის შესახებ და ახსნა-განმარტება მათ ნამდვილ ქართველობაზე.

მევენახეობის აღდგენისათვის ზოგიერთი სამუშაოების ჩატარება და სხვ.

ზემოთაღნიშნული ღონისძიებების ჩატარებამ, გამაჰმადიანებულ ქართველებში, მეტწილად კი მოხუცებულთა შორის, დიდი კმაყოფილება გამოიწვია.

ახალციხის რაიონში 83 სოფელია, განაგრძობს გ. კირვალიძე, 1938 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით, სოფლად მოსახლეობა შეადგენდა 43,310 სულს, ქალაქად 12,180 სულს, მთლიანად რაიონში 55, 490 სულს ეროვნების მიხედვით ამავე აღრიცხვით: ქართველები არიან – 5836 სული; 2. აზერბაიჯანელები – 28428 სული; 3. სომხები – 16454 სული; 4. ქურთები – 1423 სული.

გარდა დასახელებული ეროვნებისა აგრეთვე არიან – რუსები, უკრაინელები, ბერძნები და სხვანი, უმთავრესად ქალაქად მცხოვრებნი. თუ ავიღებთ მხედველობაში, რომ თითქმის მთელი რიცხვი ეგრედწოდებული აზერბაიჯანელებისა არიან სინამდვილეში გამაჰმადიანებული ქართველები, უკანასკნელი ვარაუდით ისინი შეადგენენ მარტო ჩვენს რაიონში 28,000-მდე სულს.

ამდენად, რაიონში სოფლები ეროვნების და მიხედვით განიყოფება: ქართული სოფელი 7, მათ რიცხვში 3 შერეული სოფელია, სადაც ცხოვრობენ მცირე ნაწილი გამაჰმადიანებული ქართველებისა (ვალე, ტატანისი, ტობა). გამაჰმადიანებული ქართველებით დასახლებულია 47 სოფელი, სომხები 14 სოფელი, ქურთებით 24 და ბერძნებით 1.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ისტორიულად ცნობილია, რომ გამაჰმადიანებულ ქართველებს, უმეტესად გლეხობას, მესხეთ-ჯავახეთში ჯერ კიდევ ოსმალთა ბატონობის დროსაც ქართული ენა დავიწყებული არ ჰქონდათ, სახლში და ურთიერთშორის ლაპარაკობდნენ ქართულად, თათრულ ენას კი ხმარობა თავადაზნაურობა (ბეგები) და ის პირნი ვინც სახლელმწიფო სამსახურში იმყოფებოდნენ. სამწუხაროდ და საუბედუროდ ქართული ენის დავიწყება ინტენსიურად გრძელდებოდა მე-19 საუკუნეში, მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ საქართველო ამ დროს განთავისუფლებული იყო ოსმალური უღლისაგან, ეს მდგომარეობა აიხსნება რუსეთის მთავრობის კოლონიური პოლიტიკით. საქმე იმაში იყო, რომ 80 000 მალოროსიელი კაზაკის დასასახლებლად თავისუფალ მიწას ეძებდა. ასეთ ვითარებაში მათ ქართველ მაჰმადიანთა თურქეთში გასახლება და აქ თავისუფალი სახაზინო მიწების მომრავლება ამჯობინა, მაგრამ ამასობაში მოვლენები ისე განვითარდა, რომ მაჰმადიან მესხთა გამოთავისუფლებულ ადგილებში (უმთავრესად ჯავახეთში) მალოროსიელი კაზაკების ნაცვლად არზრუმელი სომხები შემოასახლეს. რის საფუძველზეც ქართველი მაჰმადიანები თათრებად იქნენ გამოცხადებულნი.

დამინებული ამგვარი პოლიტიკით, მრავალი გამაჰმადიანებული ქართული ოჯახი იძულებული იქნა გადასახლებულიყო შორეულ ოსმალეთში და ნაწილი შუა აზიაში. ამდენად, ავად აგვიხდა შეგონება - „ვინც მფარველს ეძებს ხშირად ბატონს პოულობს ხოლმეო“. სრული ჭეშმარიტებაა...

ყოველივე ამის გამო ძალზე შეწუხებული წერდა რაიონის თავკაცი - ხშირია შემთხვევა, როცა მამა ატარებს ქართულ გვარს, შვილი კი არა. სამოსახლო სამეურნეო წიგნში, სამხედრო საბუთებში ასევე მოსამსახურეები პასპორტებში ჩაწერილი არიან თათრული გვარით ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, თავისი და მამის სახელით, ასე მაგალითად: სოფ. აწყურის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე და მისი ძმა კოლმეურნეობის თავმჯდომარე სოფელ წოხტევში იწერებიან ალიევად, მამა კი ჩხეიძეთ. სოფელ აწყურის საშუალო სკოლის დირექტორი იწერება თაიროვად, მამა კი მესხიძედ და სხვ.

სხვათა შორის, ზემოთ დასახელებულ პიროვნებებს აღნიშნავდა

ბატონი გიორგი კირვალიძე-სურვილი აქვთ შეიტანონ ცვლილებები პირად საქმეებში და ჩაიწერონ კუთვნილი გვარები, ამასთანავე დაიბრუნონ ეროვნება ქართველი, მაგრამ ამ საკითხის მოგვარება შეუძლებელი ხდება ზემდგომ ორგანოების მითითების გარეშე... და აი სწორედ ეს საკითხი უნდა მოწესრიგდეს არა მხოლოდ ახალციხეში არამედ სამცხე-ჯავახეთის ყველა რაიონში... აქვე ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქართველთა მოძულენი წინათ ხელს უწყობდნენ გამაჰმადიანებული ქართველების მთლიანად და სამუდამოდ გადაგვარებას. სამაგალითოდ მოვიყვანთ ზოგიერთ მნიშვნელოვან ფაქტებს:

რაიონულ მმართველ სოფლად 1921-26 წლებში საქმეთა წარმოება მიმდინარეობდა ქართულ ენაზე. 1926-1929 წლებში თათრულად სპარსული ალფავიტით, ხოლო 1935 წლიდან დღემდე რუსულად. შესაბამისად, 1929 წლამდე მშობლები შვილის გვარს მმართველისტრაციის დროს წერდნენ ქართული გვარ-სახელით, შემდეგ წლებში შენარჩუნებულია მხოლოდ ქართული სახელები: ციალა, ნინა, ელენე, თედო, რეზო და ა.შ. სამაგალითოდ გთავაზობთ ერთ-ერთ შემთხვევას, როცა ჯერჯერობით 1931 წელს პარტიის წევრობის კანდიტატად მიიღეს, ჯერჯერობით ჩახალ ოღლად „მონათლეს“, ეროვნება კი „თურქი“ ჩაუწერეს. ეს მავნებლური სიმახინჯე შესწორებული იქნა 1938 წელს, როცა თავისი თხოვნით გვარი და ეროვნება დაიბრუნა, შესაბამისად დოკუმენტებში ჩაიწერა – გვარამაძე ჯერჯერობით ჩახალას ძე, ეროვნება ქართველი. „ასეული წლობით შენარჩუნებული გვარი კინაღამ არ დამიკარგეს... ეხლა კი გვარიც დავიბრუნე და ჩემი ნამდვილი ქართული ეროვნებაცო“, – განუცხადა მან განათლების სახალხო კომისარიატის წარმომადგენლებს.

რაც შეეხება ქართული ენის სწავლებას სოფლად სრულიად შეგნებულად არ ექცეოდა ყურადღება... ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ახალგაზრდების ნაწილმა ქართული ენა არ იცის, მშობლები კი ქართულად ლაპარაკობენ. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ბატონი გიორგი აკეთებს ჩამონათვალთა სიას თუ როგორ შეიძლება ჩვენი მაჰმადიანი ძმები ადგილზევე დააბრუნოს მამა-პაპათა წიაღში...

ამ მიზნით მას მიაჩნია, რომ ხელისუფლების დახმარებით ქართველმა მეცნიერ-მუშაკებმა შეადგინონ და გამოსცენ მოკლე შინაარსიანი და ილუსტრირებული ისტორია მესხეთ-ჯავახეთისა, მისი წარსული, ოსმალთა ბატონობის პერიოდი და მისი დღევანდელი ცხოვრება. თუ ამგვარ საგანს შევიტანთ ქართულ რეორგანიზებულ სკოლებში დიდ ნაყოფს მივიღებთ ქართული ენის აღდგენის საქმეში. აქვე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ამ საქმეში საჭირო მასალები საკმაოდ მოიძებნება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. ამ თვალსაზრისით ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი შეგნებულად იყო მივიწყებული... ამდენად, იღებდა რა მხედველობაში ახალციხის მუზეუმის მნიშვნელობას გამაჰმადიანებელი ქართველების გადმოგვარების საქმეში, მიზანშეწონილად მიაჩნდა მისი გარდაქმნა მესხეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმად და მოითხოვდა მეცნიერ მუშაკებით მუზეუმის უზრუნველყოფას.

რაც შეეხება ქართველ მწერლებსა და პოეტებს, მიმართავდა თხოვნით, რომ დროა მისცენ სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობას მხატვრული ლიტერატურა, პროზითა და პოეზიით გამოთქმული მესხეთ-ჯავახეთის წარსული და აწმყო ცხოვრება, ამასთანავე გააშუქონ სამშობლოსათვის თავდადებული მათი წინაპრები. მოითხოვდა აღდგენილი იქნეს ომის დაწყებამდე არსებული თეატრის დასი, რათა გამაჰმადიანებულ ქართველთა მოქცევისათვის მეტად საჭიროდ თვლიდა შექმნილიყო ქართული თეატრი და ქართული სიმღერებისა და ცეკვის ანსამბლი, რომელიც მოემსახურებოდა მთლიანად მხარის მოსახლეობას. აქვე ხაზგასმით აღნიშნავდა თუ რა უდიდესი მნიშვნელობა ექნებოდა სამცხე-ჯავახეთის ეთნოგრაფიული ანსამბლის შექმნას ქართული ენისა და ზნე ჩვეულებების აღდგენის საქმეში... ამ მხრივ სამაგალითოდ მოჰყავს ამხანაგ ვ. მ. ბაქრაძის დავალებით რაიონში ჩამოსული მიხეილ თარხნიშვილის მომღერალთა გუნდი, რომელმაც წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა გამაჰმადიანებელი სოფლის მოსახლეობაში განსაკუთრებით მოხუცებში... ბევრი მათგანი ააგრემლა კიდევ ქართულმა ცეკვამ და სიმღერამ...

ერთ-ერთ მთავარ ღონისძიებად რაიონის ხელმძღვანელი მიიჩნევს ადერბაიჯანული სკოლების შეცვლას ქართული სკოლებით. აქვე

დანანებით აღნიშნავს, რომ მთავარი ნაკლი ამ საქმისა კადრებისა და სახელმძღვანელოების ნაკლებობაა. ამიტომ, მიზანშეწონილად მიაჩნდა ახალციხეში პედაგოგიური სასწავლებლის ბაზაზე გახსნილიყო პედაგოგიური ინსტიტუტი, ამისათვის საჭიროა, რომ განათლების კომისარიატმა ეს საკითხი დაამუშაოს და შეიტანოს სახკომ საბჭოში ასევე ცენტრალურ კომიტეტში განსახილველად. აქვე აღნიშნავს: ისტორიულად ცნობილია, რომ მესხეთი განუყოფელი ნაწილია საქართველოსი, მისი ზემო ნაწილი ან როგორც იწოდებოდა ისტორიულად ზემო ქართლი, ხოლო რაც შეეხება ვახუშტის გეოგრაფიული აღწერილობით-სამხრეთ საქართველო, ჩვენში ხომ მიღებულია ცალკეული კუთხეების თავის სახელებით წოდება: ქართლი კახეთი, გურია, სამეგრელო, იმერეთი, რაჭა, აჭარა, აფხაზეთი, სამაჩაბლო, ამის მიხედვით მიზანშეწონილად მიმაჩნია სამხრეთ საქართველოს ნაწილს ვუწოდებდეთ მესხეთს ანუ მესხეთ-ჯავახეთის რაიონებს, ამით უფრო დაბეჯითებით მოაგონებს გამაჰმადიანებულ მესხებს და ჯავახელებს მათ წარსულ ქართველობას და მათ განუყოფლობას საქართველოსთან.

ბოლოს კვლავ თხოვნით მიმართავს რესპუბლიკის ხელმძღვანელებს, რომ იქონიონ სათანადო მსჯელობა ზემოთხსენებულ საკითხებზე და დასახონ მიზანშეწონილი და მისაღები ღონისძიებანი.

ამ დოკუმენტიდან ირკვევა, რომ იმ დროს გამაჰმადიანებული მესხების ქართულ ეროვნულ წიაღში დაბრუნების თაობაზე სათანადო პროგრამა ქართველი მეცნიერების მიერაც მზადდებოდა, როგორც დასტურდება იგი ჯერ კიდევ XX საუკუნის 30-იანი წლების მიწურულს აკადემიკოსების – სიმონ ჯანაშიას და პავლე ინგოროყვას ინიციატივით შემუშავდა. მათი პროგრამის საფუძველზე 1950 წლისათვის სამცხე-ჯავახეთის ქართველი მაჰმადიანებით დასახლებულ ყველა სოფელში, ბავშვები აზერბაიჯანული სკოლების ნაცვლად ქართულ სკოლებში ისწავლიდნენ.

...იმ დღეებში, როცა დეპორტირებულები ჯერ კიდევ გზაში იყვნენ, პ. ინგოროყვამ და ს. ჯანაშიამ მიმართეს ი. სტალინს და ლ. ბერიას გასახლებულთა უკან დაბრუნების თხოვნით. 1946 წელს ი. სტალინთან პირადი შეხვედრის დროს ს. ჯანაშიამ და ნ. ბერძენიშვილმა იგივე თხოვნა გაუმეორეს მას, მაგრამ მათ თხოვნას შედეგი არ მოჰყოლია, რადგან ზედა ემელონებში პრობლემა უკვე

გადაწყვეტილი იყო...

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, გასულ წლებში ბევრი შეცდომა იქნა დაშვებული ამ საკითხებთან დაკავშირებით. დღეს, ამის უფლება აღარ გვაქვს... ვფიქრობ, ფრთხილი და გონივრული პოლიტიკის გატარება გემართებს, რაც გარკვეულ წილად დაამშვიდებს და სტაბილურს გახდის საქართველოში მცხოვრებ ერთა ურთიერთდამოკიდებულებას და მათში ერთიანი მრწამსის ჩამოყალიბებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, გ. კირვალიძე-„ფაქტები მეტყველებენ“. თბ., 1989 წ. №7.
2. გ. კირვალიძე -ახალციხის რაიონის გამაჰმადიანებულ ქართველთა გვარების სია, ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, თბ., 1989 წელი.
3. ალექსი მიქელაძე - დეპორტირებული მაჰმადიანები და საქართველო. თბ., 2005 წ.
4. შ. ლომსაძე - მოვლენები და პოზიცია. თბ., 1991 წელი.
5. შ. ლომსაძე - „სამცხე-ჯავახეთი“, თბ., 1975 წელი.
6. გ. ქიმერიძე - „თურქი მესხების“ პრობლემების შესახებ. კრებული - მოსაზრებები პოლიეთნიკური საზოგადოების პრობლემებზე სამცხე-ჯავახეთში. თბ., 2005 წელი.

Summary

Since old times the history of Georgia has been written with tears and blood. Our ancestors sacrificed themselves for their religion, i.e. homeland, for Georgian cause...

The life of Meskhetians was particularly hard. Because of forceful expansion of Islam, their Georgian identity was questioned.

Hence, the issue of the deported Muslim Meskhetians from Georgia in 1944 has been a topic of debate for the decades. There are different attitudes voiced on this issue, which leaves many questions unanswered...

It is a fact that the Muslim population was deported not only from Georgia, namely from Meskheti, but also from the entire border zone of the USSR with Turkey, though the core responsibility is laid upon the districts of Samtskhe.

Article "Documents Speak" by Giorgi Kirvalidze, Secretary of Regional Council, related to this issue, was published in 1989 in the #7 edition of the journal "Soviet Law". The article lists the old Georgian surnames of Georgians living in Akhaltsikhe district, who were forcefully turned into Muslim, and includes a meaningful letter of Giorgi Kirvalidze sent in July 1944 to K. Charkviani, Secretary of the Central Committee of the Communist Party of Georgia and V. Bakradze, Chairman of the State Committee Council, which outlines a programme of the return of Muslim-turned Meskhetians to Georgian, their national land.

To find an ultimate solution to this issue, along with the authorities, G. Kirvalidze calls scientist-historians, writers, poets, creative workers to get involved in the implementation of the programme and establish close contacts with Muslim-turned population... .

He thereby notes that along with the mentioned measures, it is necessary to train the relevant personnel and therefore, raises issue of opening a pedagogical institute on the premises of the Akhaltsikhe Pedagogical School...

At the same time, he deliberates that if the districts in southern Georgia are referred to as Meskheti, i.e. Meskhet-Javakheti, this will continuously and persistently recall to Muslim-turned Meskhetians and population of Javakheti their Georgia origins and their inalienability from Georgia.... .

We believe that after familiarising with this document – Christian and Muslim-turned Meskhetians will analyse well the existing situation and understand that many persons and officials were thinking about their fate and future, who cared about the future of the Muslim-turned Georgians.

In the end, we would like to note that despite such patriotic disposition (sensible intelligentsia or big part of the society) in those times, (June 1944), in fact the issue was already decided in the Kremlin.

პოლიტიკური მდგომარეობა სამცხე-ჯავახეთში 1917-21 წწ.

უკვე რამდენიმე ათეული წელია საქართველოს პრობლემად იქცა ე. წ. „თურქი მესხების“ ანუ მაჰმადიანი მესხების საკითხი, რომლის შესახებაც აზრი შუაზე იყოფა და არ ცხრება დავა იმის შესახებ, უნდა დაბრუნდნენ ისინი ისტორიულ სამშობლოში თუ არა. ერთი ნაწილი მხარს უჭერს მათ დაბრუნებას, ხოლო მეორე ნაწილი წინააღმდეგია. ორივე მხარეს თავისი არგუმენტები გააჩნია საკუთარი აზრის გასამართლებლად. ცალ-ცალკე ორივე მხარე ცდილობს თავისი სიმართლის დამტკიცებას. სიმართლე კი მხოლოდ ერთია და საჭიროა მას მივაგნოთ ისე, რომ პროცესებმა უმტკივნეულო ფორმა მიიღოს.

დასაწყისშივე მინდა დავაფიქსირო ჩემი განწყობა ამ საკითხთან დაკავშირებით: – შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ ისინი არ უნდა დაბრუნდნენ. ნებისმიერ შემთხვევაში, ნებისმიერ ქართველს – როგორც ქრისტიან მართლმადიდებელსა თუ კათოლიკეს, ისე მაჰმადიანს, უფლება აქვს იცხოვროს თავის სამშობლოში, ჰქონდეს ქართული გვარი, სათანადო განათლება და განათლების პარალელურად, ცნობიერება. მაგრამ ამავე დროს არ შეიძლება არ აღვნიშნო იმის თაობაზეც, რომ საკითხი რთულია და ძალიან დიდი სიფრთხილე გვმართებს. დემოგრაფიული თვალსაზრისით მძიმე მდგომარეობაში იმყოფება საქართველო. ბოლო წლების განმავლობაში კიდევ უფრო გაუარესდა მდგომარეობა იმით, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ლუკმა-პურის საშოვნელად სხვა ქვეყნებში გადაიხვეწა, ხოლო მიწას თანდათანობით სხვა ტომის ხალხი ეპატრონება. ეს ყველაფერი არასწორი სახელმწიფო პოლიტიკის შედეგი გახლავთ ჩემი აზრით და მის გამოსწორებას ძალიან დიდი ძალისხმევა სჭირდება. რაც შეეხება გამაჰმადიანებული ქართველების დაბრუნებას – მაჰმადიანი

ქართველები ჩვენ არ გვიკვირს, არც გვეუცხოვება და არც მათთან ურთიერთობა გვიკვირს ჩვენი ძმების აკარლების სახით. მაგრამ ისიც კარგად ვიცით, რომ საქართველოში დაბრუნების მსურველთა შორის ისინიც არიან, რომელთაც საქართველოში კი არა თურქეთის სახელმწიფოში ცხოვრება სურთ და ამისათვის ჩვენი რეგიონის ავტონომიის მოთხოვნას აყენებენ. რა დამცავი მექანიზმი არსებობს იმისათვის, რომ დაბრუნების მსურველთა შორის გაირჩეს ვინ არის საქართველოს მოსურნე და ვინ თურქეთისა? შეიძლება თუ არა ყველას უპირობოდ მიღება და დასახლება საქართველოში? მინდა ამ საკითხებზეც გაიცეს პასუხი.

ახლა კი იმის შესახებ თუ რა მდგომარეობა იყო ამ მხრივ სამცხე-ჯავახეთში 1917-21 წწ-ში. თუმცა რადგან თემა ითხოვს, იძულებული ვიქნები წინა პერიოდსაც გადავავლოთ თვალი და მცირე ექსკურსი გავაკეთოთ საუკუნეების წიაღში.

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში მძიმე სიტუაცია იყო მთელს ქვეყანაში, მაგრამ ყველაზე რთული ვითარება მაინც საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე ძველ რეგიონში – სამცხე-ჯავახეთში შეიქმნა. რთული ვითარება გამოწვეული იყო სხვადასხვა მიზეზებით – მოგვხსენებათ მეთექვსმეტე საუკუნიდან მოყოლებული სამცხე-საათაბაგოში თურქეთის გავლენა ვრცელდება. თურქეთი დაპყრობილ ტერიტორიაზე ებრძოდა ყოველივე ქართულს: აღმსარებლობას, ენას, ქართულ წეს-ჩვეულებებს, მიწათსარგებლობისა თუ მიწათმფლობელობის წესებს და ა. შ. განსაკუთრებული აგრესიულობით ქრისტიანობის დევნა-შევიწროება მიმდინარეობდა, რომლის შედეგადაც ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილი იძულებული გახდა მუსულმანური სარწმუნოება მიეღო და ამით თავი გადაერჩინა. მხოლოდ მოსახლეობის მცირე ნაწილმა შეძლო შეენარჩუნებინა ქრისტიანული სარწმუნოება და ეს გმირობა მას სიცოცხლის ფასად უჯდებოდა.

ადგილობრივი მოსახლეობა ჩამომორებული იყო ხელისუფლებისაგან მთელი XIX-XX სს-ის განმავლობაში და აქ ძალაუფლება სომეხი ბურჟუაზიისა და არამკვიდრი მაჰმადიანების (ინგუშების, ლეკების, აზერბაიჯანელების) ხელში იყო თავმოყრილი. სამწუ-

ხარო რეალობაა ის ფაქტიც, რომ არც 1828 წლის, ანუ სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიის თურქეთაგან გათავისუფლების შემდეგ გაუმჯობესებულა ადგილობრივი მოსახლეობის მდგომარეობა. რუსეთის ხელისუფლებამ აქ თითქმის ხელუხლებლად დატოვა თურქული მმართველობის სისტემა. რუსული დამპყრობლურ-შოვინისტური მმართველობა, რომელიც 1828 წლიდან 1917 წლამდე გაგრძელდა, ყველაფერს აკეთებდა, რომ აქ ადგილობრივ მცხოვრებს, ქართველ მოსახლეობას, რომელთაც ბედის უკუღმართობის გამო, 250 წლიანი თურქული ბატონობის შედეგად დაკარგული ჰქონდათ ეროვნულობის განცდა, არ შემობრუნებოდა ცნობიერება და ის გაუცხოების განცდა არ განელებოდა, რომელიც მშობლიურ წიაღში დააბრუნებდა. ამის თაობაზე ცნობილი ქართველი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი წერდა: „...მთელ ამ კუთხეში ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობდნენ. რუსეთის აქ შესვლას 1828 წელს ამ მკვიდრ ქართველ მცხოვრებთა აყრა მოჰყვა შედეგად, მეტადრე ჯავახეთითგან და უფრო ნაკლებ სამცხითგანაც. რუსებმა რომ ახალციხე აიღეს, კავკასიის მაშინდელს მთავარმართველს ქართველი თავადაზნაურები წარუდგნენ და საქართველოს მეფეთა წყალობის წიგნები მიუტანეს, რომლებითაც სამცხე-ჯავახეთში მათი მფლობელობითი უფლება მტკიცდებოდა და იმ საბუთების ძალით თავიანთ უფლების აღდგენას თხოულობდნენ. მაგრამ პასკევიჩს არამც თუ ეს თხოვნა არ შეუწყნარებია, პირიქით, განრისხდა კიდევ. ამავე დროს ოსმალეთითგან, ყარსისა და არზრუმის საფაშოებითგან, იქაური სომხობა გამოვლიდა და საქართველოში თავშესაფარს ეძებდა. რუსეთის მთავრობამ კი მათ მფარველობა გაუწია...“¹

ადგილობრივი მოსახლეობა იძულებული იყო ისევ თურქულ ენაზე მიეღო განათლება და ამ მიზნით თავიანთ შვილებს თურქეთის ქალაქებში (სტამბოლსა და ანკარაში) აგზავნიდნენ. იქ კი მათ ძირითად განათლებასთან ერთად ჯაშუშებადაც წვრთნიდნენ. ამის გამო იყო, რომ ქართველი მაჰმადიანების ახალი თაობა პანისლამიზმისა და პანთურქიზმის რწმენით მოიწამლა და მთლიანად დაივიწყეს მშობლიური ქართული ენა და ქართველობა. აქ ადგილზე არსებობდა ადგილობრივ ფეოდალთა ზედა ფენა,

რომლებმაც სამაჰმადიანო საქართველოს მომავლისადმი ბრძოლა დაუკავშირეს რელიგიურ პანისლამისტურსა და პანთურქისტულ პრინციპს, არ ცნეს ახლად შექმნილი მთავრობა ამიერკავკასიის (შემდეგ უკვე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის) სახით და განუდგნენ მას. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ ამ მხრივ ყველაზე მეტად გამორჩეული სოფ. აწყურის მკვიდრი ომარ ეფენდი ყიფიანი, რომელიც სტამბოლში გამომავალ ჟურნალ „მოლა ნასრედინის“ რედაქტორი იყო. იგი ჯერ კიდევ 1905 წლიდან, მესხ ქართველ მაჰმადიანურ მოსახლეობაში ეწეოდა პროთურქულ პროპაგანდას და ცდილობდა ყველა ოჯახს იარაღი ჰქონოდა. მისი მიმდევარი და მარჯვენა ხელი იყო მისივე დისშვილი ფეფინოვი (ფეფინაშვილი), სერვერ-ბეგ ათაბაგოვი, ვინმე სულთანოვი, რომელსაც ჯერ კიდევ ომამდე ჰქონდა შექმნილი თურქოფილური ჯგუფი, რომლის მიზანს მესხეთში თურქთა ჯარის შემოსაჭრელად ნიადაგის მომზადება წარმოადგენდა. მათი პირველი რიგის ამოგანას წარმოადგენდა იარაღის შეძენა მხარის ძირითადი პუნქტების – ბორჯომის ხეობისა და ზეკარზე მიმავალი გზების ჩაკეტვა, ახალციხის დაკავება.

1917 წლის ნოემბერში პროთურქული ორიენტაციის ბეგებმა და თურქმა ემისრებმა ახალციხეში შექმნილი თურქული ნაწილები დაძრეს და ქალაქი ალყაში მოაქციეს. მთელ ამ მოძრაობას ხელმძღვანელობდა ომარ ფაიკ ნემან ზადუ (ყიფიანი). იგი იყო იდეოლოგიც და ხელმძღვანელიც. აჯანყებულებმა დელეგატები გაუგზავნეს გენერალ-გუბერნატორს. სხვადასხვა მოთხოვნებთან ერთად ისინი ქალაქში შესვლას და სომეხი მოსახლეობის ამოწყვეტასაც გეგმავდნენ: „ახალქალაქისა და ფოცხოვის კუთხეები ჩვენი წინაპრებისა იყო, დღეს კი თვით ცენტრი, არზრუმელი სომეხების ხელშია. ვერ შევეგუებით აწი ამ მდგომარეობას სისხლის დაუღვრელად“.

1917 წლის დეკემბერშივე მაჰმადიანმა ბეგებმა სამხრეთ საქართველოს მომავლის საკითხის განსახილველად აბასთუმანში ყრილობა გამართეს, რომელზეც მიიღეს შემდეგი შინაარსის დადგენილება: ახალციხე-ახალქალაქის მაზრები, ფოცხოვი, აჭარა, შავშეთი, არტაანი მთელი თავისი ტერიტორიითა და ხალხით,

როგორც სუნას მიმდევარი ერთმორწმუნე, უნდა გამოყოფოდა ამიერკავკასიის კომისარიატს და გასულიყო თბილისის გუბერნიიდან.

ყრილობის დადგენილებაში არსად არ იყო ნახსენები და გათვალისწინებული მესხეთში მცხოვრები ქრისტიანი მოსახლეობა და მათი ინტერესები. ამ დროისათვის თურქეთის ხელისუფლება, მიუხედავად იმისა, რომ ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელისუფლებასთან საზავო მოლაპარაკებას აწარმოებდა, სხვადასხვა მიზეზებით არ წყვეტდა საომარ მოქმედებებს და ცდილობდა ზავის დადების მომენტში მისთვის ხელსაყრელი მდგომარეობა შეექმნა. მესხეთში კი მას აქტიურად ეხმარებოდნენ სწორედ პროთურქული ორიენტაციის ზედა ფენების წარმომადგენლები, რომელსაც ისლამისტური აგიტაციით მოტყუებული გამაჰმადიანებული მოსახლეობაც უჭერდა მხარს. გაზ. „სახალხო საქმეში“ გამოქვეყნებულია წერილი, რომელშიც ვკითხულობთ შემდეგს: „28 და 29 დეკემბერს, ალყა შემოარტყა რამდენიმე შეიარაღებულმა მაჰმადიანმა და სროლა აუტეხა ახალციხის ციხე-ქალაქს დასაპყრობად. მათ სროლას პასუხი გასცეს მეციხოვნეთა ტყვიისმტყორცნელებმა და შეიარაღებულმა მოქალაქეებმა. შემდეგ საქმე იქნობამდე გამწვავდა, რომ ქალაქს გარედ, მაზრაში ყველა გზატკეცილები შეკრულ იქნა დახეულ მაჰმადიანებისაგან და ყველა მგზავრთ სძარცვავდნენ...“²

მაჰმადიანები აქტიურად იარაღდებოდნენ და გარე სოფლებში ვარჯიშობდნენ. ემზადებოდნენ ომისათვის. აშკარა საბრძოლო მოქმედებებთან ერთად აქტიურად მუშაობდნენ პროვოკატორები. ვრცელდებოდა ხმები იმის შესახებ, რომ მაჰმადიანები სხვადასხვა სოფლებსაც ესხმოდნენ თავს და იტაცებდნენ ქალებს, ბავშვებს, საქონელს და სხვა სიმდიდრეს. ეს ხმები ქრისტიან მოსახლეობას განაწყობდა მუსულმანების წინააღმდეგ. ასეთი ხმების გამავრცელებლები ისინი იყვნენ, ვისაც ძალიან უნდოდა ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველობა ერთმანეთს წაკიდებოდა და რაც შეიძლება უნდობლად განწყობილიყვნენ ერთმანეთის მიმართ.

თურქეთის სახელმწიფო ახალციხე-ახალქალაქის დაკავებას ცდილობდა. 1918 წლის გაზაფხულზეც თავდაცვითი ბრძოლები

მიმდინარეობდა. თურქებმა საბაზად გამოიყენეს ის, რომ ამიერკავკასიის მთავრობამ არ სცნო ბრესტის ზავი და ახალი შეტევა წამოიწყო. 1918 წლის მარტის დასაწყისში აიღო არტანი, ყარსი, ბათუმი. გააქტიურდნენ ადგილობრივი მუსულმანური ბანდებიც და დანარჩენ საქართველოს მოწყვიტეს ახალციხე-ახალქალაქი. რეგიონი მთლიანად მოწყდა გარე სამყაროს. შეწყდა ფოსტა-ტელეგრაფის მუშაობა, ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე მოსახლეობას აღარავითარი ინფორმაცია აღარ გააჩნდა. ადგილობრივი ღარიბი მოსახლეობა აბსოლუტურად დაუცველი აღმოჩნდა. ზ. დიდიმამიშვილი დღიურში წერდა: „ქ. ახალციხის მოსახლეობა თავს ტყვეებად გრძნობენ. ...შველა არსაიდან არის, ვიმყოფებით უმწერო მდგომარეობაში, ყველასაგან დავიწყებული, ისე, ვითომც ახალციხისა და ჩვენი არსებობა ქვეყანაზე არავინ იცოდეს. ოსმალეთი ახალციხის მაზრის მაჰმადიანებს უგზავნის ზარბაზან-ყუმბარებს ახალციხისა და მისი მაზრის დასაპყრობად... ჩვენ კი დაგვივიწყა მთელმა კაცობრიობამ და არ ვიცით როდის დავაღწევთ თავს ამ აუტანელ მდგომარეობას.“³ მდგომარეობა გაართულა ბათუმის ზავმაც, რომელიც 1918 წლის 4 ივნისს დაიდო და რომლის ძალითაც სამცხე-ჯავახეთის დიდი ნაწილი თურქეთს გადაეცა.

მხოლოდ 1918 წლის 3 ნოემბერს, მუდროსის ზავის დადების შემდეგ დატოვეს ოსმალეთის ხელისუფლების ნარჩენებმა ახალციხე. 4 დეკემბერს კი ქართული ჯარი შემოვიდა. მოსახლეობა ქართულ ჯარს სიხარულით შეეგება. ზ. დიდიმამიშვილი თავის დღიურში ამ ამბებთან დაკავშირებით წერდა: „რამდენად სატირელი და სავალალო იყო ჩვენთვის 4 ივნისი, იმდენად საზეიმო, სასიხარულო და ისტორიულია ჩვენთვის დღევანდელი 4 დეკემბერი“.⁴

იმავ დღეს ქართულ, სომხურ და რუსულ ენებზე გამოქვეყნდა ბრძანება ახალციხეში სამხედრო წესების შემოღების შესახებ. ღამის პირველი საათის შემდეგ მოქალაქეებს ეკრძალებოდათ ქუჩებში მოძრაობა, იარაღის ტარება-შენახვა. ჯარისკაცებს ეკრძალებოდათ ქუჩაში სასროლი იარაღით გამოსვლა. დაწესდა მკაცრი მეთვალყურეობა ქურდობის, დებოშის ამტებების და საერთოდ

ყოველგვარი ძალმომრეობის წინააღმდეგ.

ამ ბრძანებაში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე ის, რომ ყველა პიროვნებას, რომელიც შეეცდება პროვოკატორობას, შეეცდება საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ აგიტაციას, ვინც შეეცდება ჩამოაგდოს, ან ჩამოაგდებს უთანხმოებას და მტრობას ეროვნებათა შორის – ჩაითვლება სახელმწიფოს მოღალატეებად და დაისჯებიან უმკაცრესად, სამხედრო კანონებით, თვით სიკვდილით დასჯითაც კი.

ახალციხის მხარის შემოერთება დიდი ისტორიული მნიშვნელობის ფაქტი იყო. ამას ყველა კარგად გრძნობდა და სათანადოდაც აფასებდა: „...ძველი საქართველოს ცენტრიდან თქვენ და მთელ საქართველოს მოგილოცავთ მესხეთის და ჯავახეთის სისხლის დაუღვრელად შემოერთებას...“⁵ ეს გახლავთ დეკემბის ტექსტიდან ნაწყვეტი, რომელიც გენერალ-გუბერნატორმა ბ. მაყაშვილმა გაუგზავნა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს 1918 წელს, ახალციხის ხელახლა დაკავების შემდეგ. მაგრამ შეუძლებელია იმის დავიწყება, რომ იმ ექვსი თვის განმავლობაში, რაც ოსმალებმა ახალციხეში გაატარეს, უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირეს.

გაზ. „სახალხო საქმის“ 1918 წლის N405-ში მოთავსებულია კიდევ ერთი ცნობა იმის შესახებ, თუ როგორი განწყობა სუფევდა ადგილობრივ მოსახლეობაში, კერძოდ მუსულმან ქართველთა შორის: „ქართველ მუსულმანების სულიერი განწყობილება ძლიერ კარგია. დადებითად იხსენიებენ საქართველოს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ ხალხში ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ ყველაფრის გაკეთება შეიძლება, თუ ეშმაკები არ შეუჩნდნენ კიდევ.“⁶ – ინფორმაციის უტყუარობას ავტორის ვინაობა განამტკიცებს. ეს გახლავთ ცნობილი საზოგადო მოღვაწე, სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველოს ერთიანობის იდეის აქტიური მომხრე – ჰაიდარ აბაშიძე, რომელიც იქვე თავის შიშსაც არ მალავს იმის თაობაზე, რომ შეიძლება ეს განწყობილება ვიღაცების ზემოქმედების შედეგად შეიცვალოს. სჩანს, რომ ჰაიდარ აბაშიძე კარგად ერკვეოდა იმ სიტუაციებში, რომელიც აქ არსებობდა და ამიტომ მისი შიში უსაფუძვლო სრულებითაც არ ყოფილა, თუ გავითვალისწინებთ

იმას, რომ მართალია ოსმალური ჯარი გავიდა აქედან, მაგრამ უხვად დარჩნენ აგენტები, რომლებიც ხელსაყრელი მომენტის დადგომამდე იყვნენ გაყურებულნი. აქვე მინდა აღვნიშნო იმის თაობაზეც, რომ პროთურქული ორიენტაციის მუსულმან ქართველთა გარდა სამცხე-ჯავახეთში მოღვაწეობდნენ ქართული ორიენტაციის მუსულმანი ქართველები, რომლებსაც კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული თავიანთი ისტორიული ფესვების რაობა და იმასაც კარგად ხვდებოდნენ, რომ მათ მხოლოდ აქ საქართველოში, თავიანთ ისტორიულ სამშობლოში და ქართველ ხალხთან მჭიდრო ურთიერთობით შეიძლებოდა ჰქონოდათ მომავალი. წინააღმდეგ შემთხვევაში გაქრობისათვის იყვნენ განწირულნი. ამიტომ ისინი ქმნიდნენ ორგანიზაციებს, რომელთა დახმარებითაც აწარმოებდნენ ფართო აგიტაციას მუსულმან ქართველთა შორის და მოუწოდებდნენ არ აჰყოლოდნენ პროვოკატორებსა და მედროვეებს, რომლებსაც მხოლოდ პირადი ინტერესები ამოძრავებდათ. ერთ-ერთმა ასეთმა ორგანიზაციამ 1918 წლის დეკემბერში სპეციალური მიმართვის ტექსტი გამოაქვეყნა გაზეთ „ერთობაში“. მიმართვაში ნათქვამი იყო შემდეგი: „ძმებო მუსლიმანო ქართველებო! თურქების უღელი ექვსი თვის მონობაში ყოფნის შემდეგ, მოგხსნათ კისრიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარებმა. ოსმალთაგან დატანჯულმა ხალხმა ძლივს ამოისუნთქა თავისუფლათ. ხალხის მტრები, ოსმალეთის მოყიდული აგენტები, თქვენ გაქეზებდნენ ქართველების წინააღმდეგ. ისინი გაგონებდნენ თითქოს საქართველოს ჯარები მოდიოდნენ თქვენს გასანადგურებლად და ასაოხრებლად. მაგრამ დღეს თქვენ თითონ დაინახეთ, რომ მთელი საქრისტიანო საქართველო ჩვენ გვეპყრობა, როგორც თანასწორუფლებიან ძმებს, ამყარებს წესრიგს და მომავალში ჩვენზეა დამოკიდებული თუ როგორ მოვაწყობთ ჩვენ ცხოვრებას. ექვსი თვის ბატონობის დროს თურქებმა ნათლად დაგვანახეს, თუ რა სურდათ მათ ჩვენგან...“⁷

ამ მიმართვას ხელს აწერდა სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის რწმუნებული ახალციხეში ყადირ შერვაშიძე.

სახელმწიფო მნიშვნელობის ღონისძიებად იყო გამოცხადებული

ახალციხეში მშვიდობიანობის დამყარება საერთოდ და განსაკუთრებით სხვადასხვა აღმსარებლობის და ეროვნების ადამიანთა შორის. გონიერი ადამიანები აცხადებდნენ, რომ ის უთანხმოება, რომელიც იყო და არის აქ მუსულმანებსა და ქრისტიან ქართველებს შორის არ უნდა გაღრმავდესო.

მაგრამ, მიუხედავად მკაცრი ადმინისტრაციული ღონისძიებებისა კვლავ გრძელდებოდა ურთიერთთავდასხები და მტრობა. თურქული ორიენტაციის წარმომადგენლები აგრძელებდნენ მაჰმადიან გლეხებში საქართველოს რესპუბლიკის საწინააღმდეგო აგიტაციას: თითქოს ქართველებს სურდათ მათი გაქრისტიანება, ქრისტიანების ჩასახლება, ახალგაზრდების ქართულ ჯარში გაწვევა, მიწების ჩამორთმევა და სხვა. აქეზებდნენ გლეხობას ახალგაზრდა ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ. მოახერხეს, რომ 1919 წლის 18-19 იანვარს ხელახლა აეჯანყებინათ მაჰმადიანებით დასახლებული სოფლები და ქართული ჯარის გასვლა მოეთხოვათ მაზრიდან.

ამ აჯანყების მთავარ მიზეზად დამფუძნებელი კრების საგანგებო კომისიის თავმჯდომარე გ. ანჯაფარიძე სახელმწიფო ადმინისტრაციის სისუსტესა და ძლიერი ჯარის არარსებობას მიიჩნევდა: „ჩვენმა მთავრობამ ფაქტიურად მოღალატეთა და დამნაშავეთა ამნისტია გამოაცხადა ამ მხარეში. მან დაამშვიდა დამფრთხალი მცხოვრებლები და აღუთქვა მათ, ძველი ცოდვები დავიწყებას მიეცემაო...

...რაკი სახელმწიფო აპარატი ხალხმა ვერ დაინახა, რაკი ჩვენი ჯარის სისუსტეშიც დარწმუნდნენ მოღალატეები – ახალციხე-ახალქალაქის მხარე უპატრონო ქვეყნად მიიჩნიეს და ადგილმამულის დაკარგვის შიშით აღძრულნი ბეგების წაქეზებით ფოცხოვიდან დაიძრა ის ტალღა, რომელმაც წალეკა ეს მხარე.“⁸

ქართული გვარდიული არმიის ნაწილები, რომლებიც მაზრაში იმყოფებოდნენ ცდილობდნენ ჩაეხშოთ მაჰმადიანური სოფლების მოსახლეობის აჯანყებები. მაგრამ ბოლოს მაინც იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ, დაეტოვებინათ ტერიტორიები ახალციხის ჩათვლით და ბორჯომისაკენ წავიდნენ. ამ ფაქტმა ადგილობრივ მოსახლეობაში პანიკა გამოიწვია. აი, რას ვკითხულობთ ამის შესახებ

გ. ანჯაფარიძის მოხსენებაში: „საუბედუროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ჯარის დახვევა მოხდა მეტად აჩქარებულად და უწყესოდ. ჩვენი ჯარის წამოსვლის შემდეგ ერთი დღის განმავლობაში ახალციხე უპატრონოდ დარჩა და საშინელი რბევა და ცარცვა-გლეჯა მოხდა. მთელი სომხობა შეიარაღდა და არ დარჩა არცერთი ქართველი ქრისტიანის ოჯახი გაუცარცავი. მეორე დღეს შემოვიდა სერვერ-ბეგი თავის ჯარით და შეადგინა დროებითი კომისარიატი, ახალციხის და ახალქალაქის მაზრებისათვის, რომლებიც შედიოდნენ ე. წ. „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის ტერიტორიის“ ფარგლებში.“⁹

სერვერ-ბეგმა ახალციხეში დაბრუნების გამო აღლუმი გამართა. შემდეგ კი დაიწყეს ადგილობრივი მოხელეების, მილიციის თანამშრომლების და პროქართული ორიენტაციის მოქალაქეების დაპატიმრება. სასტიკად უსწორდებოდნენ ქრისტიან მოსახლეობას. სერვერ-ბეგ ათაბეგოვმა 1919 წლის 12 თებერვალს ადგილობრივი დროებითი მთავრობა – „ახალციხე-ახალქალაქის მაზრების კომისარიატი“ შეადგინა. განზრახული ჰქონდათ შემდეგში ამავე კომისარიატთან შეეერთებინათ ყარსი, არტაანი, ბათუმის ოლქი და შეექმნათ „კავკასიის სამხრეთ-დასავლეთი ტერიტორიების რესპუბლიკა“, რომელიც ავტონომიის უფლებით ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდოდა.

„ახალციხე-ახალქალაქის მაზრების კომისარიატი“ თურქეთისა და ზოგიერთი სხვა სახელმწიფოების ინიციატივით და წინასწარ შედგენილი გეგმით იქნა მოწყობილი. მისი მთავარი მიზანი საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლა იყო. და მათ ამისი გაკეთება ისევ ადგილობრივი მაკმადიანური სარწმუნოების მქონე ქართველი გლეხებისა და ალა-ბეგების საშუალებით სურდათ განეხორციელებინათ. ამისთვის აწარმოებდნენ აქტიურ ანტიქართულ პროპაგანდას და მიმართავდნენ დაშინებასაც. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ფრიად შეაშფოთა იმ ვითარებამ, რომელიც ახალციხე-ახალქალაქის გარშემო შეიქმნა. გაზეთი „ახალი საქართველო“ წერდა: „დამადონებელი და შემაშფოთებელი ცნობები მოდის სამაკმადიანო საქართველოდან. ავანტიურისტ ბეგების მეთაურობით შემდგარა ეგრეთწოდებული

„სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის მთავრობა“, რომელსაც მიზნათ დაუსახავს ახალი სახელმწიფოს შექმნა ყარსისა და ბათუმის ოლქების და ახალციხის მაზრიდან. ამ მთავრობის პირველი ნაბიჯები იმაში გამოიხატა, რომ აჯანყება მოაწყო ფოცხოვსა და ახალციხის მაზრაში, რასაც ქართველი სადარაჯო რაზმების გაჟლეტა მოჰყვა და შემდეგ ჩვენი რესპუბლიკის თავმჯდომარეს კადნიერი დეპემა გამოუგზავნა – ინციდენტის გამოსარკვევად შერეული კომისია უნდა შეიქმნას ინგლისელების მონაწილეობით... მაგრამ ყოველგვარი პოლიტიკური კომბინაციების დამოუკიდებლად, დღესდღეობით ჩვენს მთავრობას ახალციხის აჯანყების ჩასაქრობად ენერგიული ზომების მიღება მართებს. მილიტარულ კომბინაციებთან ერთად კულტურული შემოქმედება უნდა სწარმოებდეს...“¹⁰

„ახალციხე-ახალქალაქის მაზრების კომისარიატმა“ ძალიან მალე დაკარგა ავტორიტეტი ადგილობრივ მოსახლეობაში. ხალხი მალე მიხვდა, რომ მოატყუეს და მოითხოვდნენ ბეგებისათვის სამაგიერო მიუზღოთ. სულ რაღაც 26 დღის არსებობის შემდეგ 1919 წლის 6 მარტს „დროებითა მთავრობამ“ არსებობა შეწყვიტა.

მეორე დღესვე ქართული ჯარები კვლავ დაბრუნდნენ ახალციხეში და მოსახლეობას სიმშვიდისა და მშვიდობისაკენ მოუწოდეს: „...ჩვენ მოვდივართ მხოლოდ სიმშვიდისა და წესრიგის აღსადგენათ და შევებრძოლებით მხოლოდ მათ, ვინც იარაღით ხელში შეეცდება საქართველოს ჯარების წინააღმდეგ მოქმედებას...“

მუსლიმანო მცხოვრებნო! ვისაც გიყვართ თქვენი ოჯახი, ვისაც გიყვართ თქვენი შვილები, ვისაც გინდათ ძმური, მშვიდობიანი ცხოვრება – ნუ აიღებთ იარაღს და ნუ დაღვრით სისხლს. ნუ დავემდურებით ერთმანეთს ძმებო – ერთი დედის შვილები, ერთ ბუბუზე აღზრდილები – ქართველი მუსლიმანები და ქრისტიანები...“¹¹

მაგრამ მშვიდობის დამყარება არც ისე იოლი აღმოჩნდა. იმავე წლის ივნისში ახალციხე-ახალქალაქის ტერიტორია და აქაური მოსახლეობა უკვე მეოთხედ აღმოჩნდა თურქული ბანდების ხელში. სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობამ, განსაკუთრებით ქრისტიანულმა ნაწილმა ენით აუწერელი ტანჯვა გადაიტანა. ხალხურ გადმოცემა-

თქმულებებში, სხვადასხვა ოფიციალურ დოკუმენტებში და აგრეთვე ამ ამბების თვითმხილველთა მონათხრობებში ასახულია ყველა უბედურებანი, რომლებიც ამ რეგიონის მცხოვრებლებმა გადაიტანეს. თურქთა მიერ ხალხის ხოცვა-ჟლეტის უამრავ ფაქტს ჰქონდა ადგილი. ქალაქებსა და სოფლებში მრავლად იყო გადამწვარი, განადგურებული და დარბეულ-გამარცვული სახლ-კარი. დიდი იყო ადამიანების მსხვერპლი (ათეულ ათასობით). ზოგიერთი ოჯახი მთლიანად ამოწყდა. არ იყო დარჩენილი ოჯახი, რომელსაც ახლობელი არ დაეკარგა. გამარცვული იყო ვკლესიამონასტრები. მაჰმადიანებმა გაიტაცეს მსხვილფეხა საქონელი და სურსათი. „...თურქების ჯარების შემოსევით გამხნევდნენ ადგილობრივი თათრები და დაიწყეს ქართველების ცარცვა, აწიოკება და ხოცვა. სოფ. ღრელში მოკლეს სოფლის თავკაცი მოსე ეფრემის ძე სუდაძე, ბეჭებში ხიშტი ჩასცეს. ხოლო სოფ. ზველში ქალსა და კაცს ფერხული დააბმევინეს და ისე დახოცეს. მთელი იმ წლის მოსავალი აიღეს, გალენეს და თურქეთში წაიღეს.

თურქული ბანდების მიერ აქგაჩაღებული ხოცვა-ჟლეტის შესახებ მაჰმადიანი მოსახლეობის ადგილობრივი წარმომადგენლებიც ვერ მალავდნენ. ურავლის საზოგადოების კომისარს დ. ჯინჭველაძეს 1920 წლის 23 მარტს დაუკითხავთ სოფ. ერკოტაში მცხოვრები მაჰმადიანი გლეხები, რომლებიც აღნიშნავენ, რომ ...1918 წელს, როდესაც ჩვენი სოფლის ქართველები გაიქცნენ ბაკურიანისაკენ სოფელი გამარცვეს ადგილობრივმა თათრებმა ურავლისა და იდუმალის საზოგადოებამ და რამდენიმე სოფელმა ლებისის საზოგადოებამ... 1919 წლის თებერვალში, როდესაც მეორე აჯანყება მოხდა და სერვერ-ბეგ ათაბაგოვი გაბატონდა ახალციხეში კიდევ ადგილობრივმა თათრებმა გაცარცვეს და დაარბიეს სოფელი და დახოცეს ქართველები. წინამძღოლნი ბანდისა იყვნენ სოფ. ოშორის მცხოვრები მოლა მურთაზ მუსტაფა ოღლი და სოფ ყაშხის მცხოვრები რემიტაი. ..“¹²

ნიშანდობლივია, რომ თვითმხილველთა ყველა მოგონებებში ხაზგასმულია არა იმდენად ტომით თურქი, არამედ ადგილობრივი გამაჰმადიანებული ქართველების, ძირითადად ბეგების, განსაკუთრებული აგრესიულობა თავიანთი მართ-

ლმადიდებელი თანამომხმეებისადმი. ეს არც იყო გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ, რომ მთელი XIX ს-ის მანძილზე, სამცხე-ჯავახეთის თურქთაგან გათავისუფლების შემდეგ აქ არაფერი გაკეთებულა იმისათვის, რომ ქართული სახელმწიფოებრივი მმართველობა და მიწათმფლობელობის წესები აღმდგარიყო. არ ექცეოდა ყურადღება საგანმანათლებლო და კულტურულ საქმიანობას, რომელიც 250 წლის განმავლობაში თურქული მძიმე ბატონობის ქვეშ მყოფ ადგილობრივ მოსახლეობას ისევ ქართულ ცნობიერებას დაუბრუნებდა. ეს არც შედიოდა რუსეთის პოლიტიკურ გეგმებში. ამ ფაქტის თაობაზე ყველა მკვლევარი აღიარებდა, ვისაც მეტ-ნაკლებად ჰქონდა შეხება სამცხე-ჯავახეთის ისტორიის ამ მონაკვეთთან. ყველა ერთხმად აღნიშნავდა, რომ ახალმა დამპყრობელმა – რუსეთმა, არა თუ არ შეიწყინარა მათი (ადგილობრივი გამაჰმადიანებული ქართველების) ქართული ენა, არამედ გამაჰმადიანებული ქართველები აღრიცხა თურქებად. ამაზე მეტყველებს სტატისტიკური მონაცემები 1832 წლის მოსახლეობის აღწერისა, რომელიც პროფესორ შოთა ლომსაძეს „მესხებში“ აქვს გამოქვეყნებული: „...ახალციხელი თურქების დიდი ნაწილი, რომელთაც მიიღეს ომარის სექტის მაჰმადიანობა, წარმოშობით მთლიანად ქართველებია. ისინი ყველანი კარგად ლაპარაკობენ ქართულს. ბევრმა მათგანმა კარგად შეინახა კიდევ ქართული გვარი, ზოგი მათგანი ისევ ქრისტიანობას დაუბრუნდა“.¹³

რუსეთის ასეთმა პოლიტიკამ მძიმე შედეგები სწორედ საქართველოს პირველი დამოუკიდებლობის დროს გამოიღო. ახალგაზრდა ქართული სახელმწიფოს ეროვნული პოლიტიკა უკვე სავსებით მიუღებელი იყო აქაური მაჰმადიანებისათვის, თანაც აქ გამუდმებით მუშაობდნენ თურქი აგენტები, რომლებიც წამქეზებლობასაც არ ერიდებოდნენ და გაუნათლებელ, რელიგიური ფანატიზმით დაბრმავებულ ღარიბ მოსახლეობასაც ადვილად ამხედრებდნენ ეროვნული მთავრობის წინააღმდეგ და ისინიც ზოგჯერ შიშის გამო, ზოგჯერ არ ცოდნის გამოც იბულებულნი იყვნენ მხარი ბეგებისთვის დაეჭირათ და იარაღით გამოსულიყვნენ ადგილობრივი ხელისუფლების წინააღმდეგ. ხოლო ოსმალური მთავრობის მიმართ შემწყნარებლობას იჩენდნენ

და ამბობდნენ: რაც უნდა იყოს ეს მთავრობა ჩვენი მთავრობაა და უნდა მოვითმინოთო.

მაგრამ ასეთი განწყობა ღარიბ მოსახლეობაში დიდხანს არ გაგრძელებულა. ისინი ჩქარა მიხედნენ და გაარკვიეს მტერ-მოყვარე და ჩამოშორდნენ ავანტიურისტებს. ამიტომ იყო, რომ ოსმალებმა სამცხე-ჯავახეთში 1917-19 წწ შემოსევების დროს მყარად ვერ მოიკიდეს ფეხი და იძულებულნი გახდნენ სწრაფად გასცლოდნენ აქაურობას.

საქართველოს ისტორიის ამ მონაკვეთში მიმდინარე პროცესების მოკლე მიმოხილვიდანაც ჩანს, რა მიზეზებმა განაპირობა ქართველი კაცის ცნობიერების გადაგვარება, როგორ ცდილობდა მის დაბრუნებას მშობლიურ წიაღში ახალგაზრდა ქართული სახელმწიფო თავისი არსებობის მოკლე პერიოდში და რამ განაპირობა ის, რომ ამდენი წინააღმდეგობა ხვდებოდა მას ამ გზაზე.

და ბოლოს, მინდა გაგიზიაროთ ჩემი შთაბეჭდილება ერთი ამბის შესახებ, რომელიც სოფელ ჭობარეთის მცხოვრების, თვითმხილველის, კონსტანტინე ჯვარიძის მიერ არის მოთხრობილი და კარგად აჩვენებს განსხვავებას საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის და საბჭოთა ხელისუფლების სახელმწიფო მიდგომებს შორის ამ პრობლემისადმი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ადგილობრივი მოსახლეობა ითხოვდა ქართული სკოლების გახსნას, მაგრამ ხელისუფლება მათ პასუხობდა – ქართული სკოლები არ გეკუთვნითო და აზერბაიჯანულ სკოლებს უხსნიდა, სადაც ასევე აზერბაიჯანიდან ჩამოყვანილი პედაგოგები ასწავლიდნენ. ყველაზე უარესი შედეგები სწორედ საბჭოთა ხელისუფლების ამ პოლიტიკამ გამოიღო. 20-30-იან წლებში სამცხე-ჯავახეთში ძირითადად არაქართველი ხელმძღვანელი კადრები ინიშნებოდა. არაქართული გაზეთი გამოდიოდა (ან ძალიან მცირე ადგილი ჰქონდა დათმობილი ქართულ გვერდს) და ა. შ. და მოგეხსენებათ ანდაზა – „შეძახილმა ხე გაახმო“.

მაგრამ, კიდევ ერთხელ მაგრამ, იმედის სხივად რჩება ის მოგონებები, რომლებიც ძველებისგან გვესმის იმის თაობაზე,

რომ მიუხედავად სახელმწიფო პოლიტიკისა, ადგილობრივებს, ქრისტიან და მაჰმადიან მეზობლებს ერთმანეთთან ძალზე ჩვეულებრივი, ადამიანური ურთიერთობები ჰქონდათ. კ. ჯვარიძე იგონებს: ხელისუფლებამ წინასწარ დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები რეგიონიდან მუსულმანთა გასახლებისათვის. სოფ. ჭობარეთს ერთი ოფიცერი მიამაგრეს. იგი კ. ჯვარიძის სახლში, ერთ ოთახში დააბინავეს. ემსახურებოდა თვით კ. ჯვარიძე. ოთახის გასაღები ჰქონდა და მხოლოდ მას შეეძლო ოთახში შესვლა, საჭმელის შეტანა და ა. შ. ოფიცრის მოსვლა-წასვლას ვერც ვგებულობდით ხოლმეო. ყველაფერი ძალზე საიდუმლოდ კეთდებოდა. სოფელში ხმა გაავრცელეს – ხელისუფლებას ქართველების გასახლება აქვს გადაწყვეტილიო. ახლობლების დახმარებით დავიწყეთ მომზადება – დავკალით საქონელი, დავაყურმეთ და ჯვაროებში ჩავაწყეთ. დავსვით ოჯახის ყველა ქალი და ორი დღე-ღამის განმავლობაში ვაქსოვინეთ წინდები, რომ მარაგი გვქონოდა მგზავრობისათვის.

ერთ დღეს ერთ-ერთმა მაჰმადიანმა მეზობელმა გვერდზე გამიხმო და მითხრა, რომ ქართველების (ქრისტიანების) გასახლების შემთხვევაში, ჩემი ცოლ-შვილი და ქონება მისთვის დამეტოვებინა და ყველაფერს და ყველას უვნებლად და ხელუხლებლად შემინახავდა. მაგრამ ერთ დღეს ოფიცერმა საიდუმლოდ მითხრა – აქედან ქართველებს კი არა თათრებს ვასახლებთო, მაგრამ ამის შესახებ თუ ვინმემ გაიგო, სიკვდილი არ აგცდებო.

იმ ღამეს ყოველი მაჰმადიანის ოჯახი გლოვის ზარმა მოიცვა. ყველანი გამორეკეს სახლებიდან ისევე, როგორც იყვნენ – დიდნი-პატრიანად. ვერაფრის აღება ვერ მოასწრეს და სოფლის სკოლის ეზოში შერეკეს. ირგვლივ კი ავტომატიანი ჯარისკაცები დაუყენეს მცველებად. სოფლის დანარჩენ მოსახლეობას მიახლოება აუკრძალეს. მხოლოდ შორიდან თუ გადავმახებდით ერთმანეთს ორიოდ სიტყვას. მერე ამასაც გვიკრძალავდნენ. მძიმე სანახაობა იყო. ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ მივედი ოფიცერთან და გულწრფელად ვუთხარი, რომ გამგზავრების თადარიგი დაჭერილი მქონდა და ვთხოვე ნება მოეცა ის მარაგი ამათთვის გადამეცა. ოფიცერმა ნება დამართო.

როგორც რამდენიმე წლის შემდეგ გახდა ცნობილი ამ კეთილშობილურ ექსტს რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე გადაურჩენია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ივანე ჯავახიშვილი – „ისტორიული რარიტეტები“. გვ. 48-49. 1989 წ.
2. გაზ. „სახალხო საქმე“. 1918 წ. 26 იანვარი. #155
3. შოთა ლომსაძე – „მესხები“ – ზ. დიდიმამიშვილი – „ახალციხის დღეები“.
4. შოთა ლომსაძე – „მესხები“ – ზ. დიდიმამიშვილი – „ახალციხის დღეები“.
5. გაზ. „სახალხო საქმე“. 1918 წ. #405
6. გაზ. „სახალხო საქმე“. 1918 წ. #405
7. გაზ. „ერთობა“ 1918 წ. 28 დეკემბერი #282
8. სჯიმ ხელნაწერთა ფონდი #3428 გვ. 8-9-10
9. სჯიმ ხელნაწერთა ფონდი #3428 გვ.13
10. გაზ. „ახალი საქართველო“ 1919 წ. #26
11. სჯიმ ხელნაწერთა ფონდი #3428
12. ს. ხოსიტაშვილი პ/ა #544
13. შ. ლომსაძე – „მესხები“.

Summary

During the short life of first democratic republic of Georgia, there was a complex social, economic and political situation. But, it was Samtskhe-Javakheti which was damaged most.

After 250 years of Turkish rule, this ancient part of Georgia suddenly came under the heavy Russian regime.

Turkish rule in Meskheta was founded on particular severity for many years. Immediately after establishing control, they changed the land usage and landownership rules, started to eradicate Georgian language and customs, everything Georgian. They persecuted Christianity

with particular aggression. In the beginning, noblemen accepted Islam and thus they maintained their rights over the land. Afterwards, the peasants fell under the influence of Islam. Only a small part retained their old religion and this heroism often cost them life.

However, the sad reality was that the situation did not change after 1828. The Russian regime left the Turkish government system in this territory unchanged; nothing to say about development of culture and education.

The local population was forced to receive education in Turkish and for that reason they used to send their children to Turkey, where, apart from acquiring basic education, they were trained as spies. Due to this fact, the new generation of Muslim Georgians were poisoned with pan-Islamic and Pan-Turkish belief and they entirely forgot their native language and Georgian identity.

The Russian expansionist-chauvinist government, which lasted from 1828 till 1917, was doing everything to prevent the aboriginal population, being on the brink of transformation due to ill-fate, which had weakened sense of nationalism due to the previous Turkish rule, from gaining consciousness and from weakening isolation, that would bring them back to their homeland.

There was a upper-layer of noblemen, who linked the fight for the future of Muslim Georgia with the pan-Islamic and pan-Turkish principles, did not recognise the new Government of the country and abandoned it.

From 1917 to 1919 the Turkish bands invaded Samtskhe-Javakheti four times. During these invasions they managed to separate the region from the central government and restore the Turkish rule. Firstly, in November 1917, Beys of pro-Turkish orientation and Turkish emissaries besieged the city of Akhaltsikhe and demanded the military units located there to surrender.

From spring 1918, the battle in Samtskhe-Javakheti territory restarted; while, in the first case the hostilities were directed allegedly only against Armenians, this time fighting was spread all over the Samtskhe-Javakheti territory, including against Christian Meskhetians. From April

26 the city of Akhaltsikhe was entirely isolated from outer world. This time the Turkish remained in Samtskhe-Javakheti until November 3, 1918.

On January 18-19, 1919 pro-Turkish representatives again managed to stage rebellion in Muslim populated villages. They aimed to create "Republic of South-western Territories of Caucasus", which would become an autonomous part of Ottoman Empire.

On June 23, 1919 Georgian military forces left territories of Akhaltsikhe-Akhalkalaki and for the fourth time the local population found itself in the hands of Turkish bands.

But, most regretfully, these bands were headed by Muslim-turned Agha-Beys with Georgian origins, who were supported in the beginning by the local population obsessed by religious fanaticism and intoxicated with Turkish propaganda; they soon became aware and could differentiate between enemy and friend and abandoned the adventurers.

1918 –1919 წლების ეთნიკური კონფლიქტები სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის მოგონებებში

ისტორიულად განვითარებულმა მოვლენებმა საქართველოს მოსახლეობის სარწმუნეობრივი დაყოფა განაპირობა. მოსახლეობის ნაწილმა იბულებით მაჰმადიანობა მიიღო, ნაწილმა კი კათოლიკობა. ეს მდგომარეობა კარგად სჩანს სამცხე-ჯავახეთის მაგალითზე. მას შამდეგ, რაც ადრიანოპოლის ზავით (1829წ.), სამცხე-ჯავახეთი კვლავ საქართველოს დაუბრუნდა, მეფის ხელისუფლებამ ე.წ. „გათიშე და იბატონეს“ პოლიტიკით ხელი შეუწყო მოსახლეობის ეროვნულ-რელიგიურ გათიშვა-დაქსაქსულობას. „აქაურ მკვიდრს (გამაჰმადიანებულ ქართველს) მესხის მაგიერ თათარი დაარქვა მთავრობამ“, მის მშობლიურ ენად თურქული აღიარა. ხოლო ქართველი კათოლიკე სომეხად გამოაცხადა.¹

ეს ნათლად სჩანს მეფის ხელისუფლების მიერ XIX საუკუნეში განხორციელებულ აღწერებშიც. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს 1886 და 1897 წლების აღწერები. 1897 წელს რუსეთის იმპერიაში და მამსადაძმე საქართველოშიც ჩატარადა მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერა. ამ აღწერით მნიშვნელოვნად შეიცვალა სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა. 1886 წელთან შედარებით საგრძნობლად შემცირდა ქართველი მოსახლეობა. ამ აღწერით პროგრამაში არ იყო შეტანილი კითხვა ეროვნების შესახებ და ეროვნება მშობლიური ენის საფუძველზე განისაზღვრებოდა. ამიტომ, ქართველები, რომელთა მშობლიური ენა თურქეთის 250 წლიანი ბატონობის შედეგად თურქული გახდა, თურქებად აღრიცხეს. მათი ეროვნების განსაზღვრას საფუძვლად დაედო მშობლიური ენა. ამრიგად, გამაჰმადიანებული ქართველები, სარწმუნეობის მიხედვით,

თურქებად ჩაწერეს. ცნობილია, რომ მაჰმადიანურ რელიგიაში ეროვნება გაიგივებულია სარწმუნეობრივ აღმსარებლობასთან. ამიტომ, წარმომოხებით ბევრ ქართველს, ვინც ბედუკულმართობის გამო მაჰმადიანურ რელიგიას აღიარებდა და შესაბამისად თურქულადაც ლაპარაკობდა, თათრებად აღრიცხავდნენ².

მეფის ხელისუფლება ყველა ღონით ცდილობდა, რომ გამაჰმადიანებული ქართველების ეროვნული გადაგვარებისათვის შეეწყო ხელი. მათში ამოეშალა ეროვნული ცნობიერება. მოძიებული მასალებიდან ჩანს, რომ XIX საუკუნეში სამცხე-ჯავახეთის გამაჰმადიანებული ქართველები ითხოვდნენ ქართულენოვანი სკოლების გახსნას, მაგრამ ხელისუფლებამ მათი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. იგივე გაიმეორა საბჭოთა მთავრობამც. „მესხების კოლექტიურ განცხადებას, რომელიც შევიდა საქართველოს სახალხო განათლების კომისარიატში და მოითხოვდნენ ქართული სკოლების გახსნას, ადევს მარიამ ორახელაშვილის ასეთი რეზოლუცია: „თქვენ თათრები ხართ და აზერბაიჯანულად უნდა ისწავლოთ“. საბჭოთა ხელისუფლება სამცხე-ჯავახეთში აგზავნიდა აზერბაიჯანულ პარტიულ მუშაკებსა და მასწავლებლებს“³. ეროვნულობის დაკარგვამ თავისებური ზეგავლენა მოახდინა მათ ცნობიერებაზე, ეს აისახა ადგილობრივ ქართველ ქრისტიანებთან დამოკიდებულებაზეც.

სამცხე-ჯავახეთიდან გადასახლებული მაჰმადიანი მოსახლეობის უკან დაბრუნების საკითხზე მსჯელობა აქტიურად ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანი წლების დასწყისში დაიწყო. ამ ფაქტმა დააფიქრა ადგილობრივი მოსახლეობა, გაახსენა წარსული. ქართველი საზოგადოება დაინტერესდა აღნიშნული საკითხით. შესაბამისად მრავალი საგაზეთო სტატიაც დაიბეჭდა. დღის წესრიგში დადგა საზოგადოებრივი აზრის შესწავლა-გამორკვევის საკითხიც. ამ საკითხმა განსაკუთრებული დაინტერესება სამცხე-ჯავახეთში გამოიწვია, რაც სრულიად ბუნებრივი იყო. სწორედ იმ პერიოდში მომიხდა აღნიშნულ საკითხზე მუშაობა, მასალების მოძიება. საჭირო გახდა გარკვევა იმისა თუ ხელისუფლებისაგან განსხვავებით რას ფიქრობდა ხალხი. ის ხალხი, ვისაც წლების მანძილზე უბედობდა მათ გვერდით

ცხოვრება. როგორი ურთიერთდამოკიდებულაბა არსებობდა გასახლებამდე ქრისტიან და მაჰმადიან მოსახლეობას შორის, და რამდენად იყო მზაობა გადასახლებულთა დასაბრუნებლად. აღნიშნული საკითხისადმი დაინტერესება გამოწვეული იყო ჩემი პროფესიიდან გამომდინარე. მსურდა ამ პრობლემის შესახებ რეალური წარმოდგენა მქონოდა. ამასთანავე, ჩემი მხრიდან იყო სუბიექტური დამოკიდებულებაც. ჩვენ ის თაობა ვართ, რომელიც ჩვენი წინაპრების მოგონებებით გავიზარდეთ. საკითხის გარკვევას შევეცადე, როგორც არსებული ლიტერატურის, ასევე სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობიდან მასალების მოძიებით. ველზე მუშაობის პროცესში მასალის მოძიება ხდებოდა უფროსი ასაკის ადმიანებისაგან. ძირითადად მათგან, ვისაც უშუალოდ მოუწია მათთან ცხოვრება. როგორც მოძიებული მასალებიდან აღმოჩნდა ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერებაში განსაკუთრებული ადგილი ჰქონდა დაკავებული 1918-1919 წლების ამბებს. მთხრობელები გამიჯნავდნენ ერთმანეთისაგან აღნიშნულ პერიოდამდე დამოკიდებულებასა და იმ წლების დამოკიდებულებას. შესაბამისად მათი დამოკიდებულება და შეფასება არ იყო ერთგვაროვანი.

მოსახლეობის ჩანაწერებიდან ნათლად ჩანს, რომ ადგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობა, 1918-1919 წლებში სამცხე-ჯავახეთში შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე მოქმედებდა. კერძოდ, ისინი აქტიურად ჩაებნენ თურქეთიდან შემოსული ბანდების საბრძოლო საქმიანობაში. ამასთანავე, ხშირად მათი გზის მაჩვენებლებიც იყვნენ. თურქი აგენტების წაქეზებით მესხეთის ტერიტორიაზე მცხოვრებმა მაჰმადიანებმა წამოიწყეს მოძრაობა თურქეთთან შესაერთებლად. ამ მოძრაობას სათავეში ედგა ჯერ ომარ ფაიკი (ყიფიანი), შემდეგ სერვერ ბეგი (ჯაყელი). მათ, სამწუხაროდ, აჰყვნენ, ახალციხისა და ახალქალაქის გამაჰმადიანებული ქართველები. აღსანიშნავია, რომ 40 კაცისაგან შემდგარმა დეპუტაციამ, რომელიც არავის აურჩევია, მოითხოვა ავტონომიის უფლებით შესულიყო თურქეთის შემადგენლობაში. სერვერ ბეგის რაზმები აწიოკებდნენ მესხეთის ქრისტიანულ მოსახლეობას. მათი

რისხვა განსაკუთრებით თავს დაატყდა წმინდა ქართულ სოფლებს.⁴ სერვერ-ბეგ ჯაყელის მიერ მოწყობილი აჯანყება იყო მაჰმადიანთა მიერ მოწყობილი მეორე აჯანყება. ჯავახეთის ქართველი ქრისტიანი მოსახლეობა განსაკუთრებით გამოყოფს მათ მიერ განხორციელებულ რამდენიმე თავდასხმას, რომელსაც თან ერთვოდა ძარცვა, აწიოკება, მკვლელობა. ამ პროცესს ადგილობრივები ე.წ. „თალანს“ უწოდებენ. მოძიებული მასალებით ჩანს, რომ პირველი თალანი იყო 1918 წლის მაისში.

ე.ი. ბათუმის ზავის დადებამდე (ბათუმის ზავი დაიდო 4 ივნისს, რომლის ძალითაც ახალციხის და ახალქალაქის მაზრები და აჭარა თურქეთის ხელში გადადიოდა). ამ დროს ჯავახეთის ქრისტიანი მოსახლეობა ცხრაწყაროს გზით გადავიდა ბაკურიანში. ნაწილმა კი იქიდან საქართველოს სხვა კუთხეებს მიაშურა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ იძულებით წასვლას ისინი გაქცევის სახელით მოიხსენიებენ. გაქცეულთა დიდი ნაწილი ეპიდემიამ იმსხვერპლა, ნაწილმა კი უკან აღარ მოისურვა დაბრუნება, ნაწილიც დაუბრუნდა მშობლიურ კერას იმავე წლის დეკემბერში. ე.ი. მას შემდეგ, რაც 30 ოქტომბრის მუდროსის ზავით თურქულმა მხარემ დატოვა ეს კუთხე და 4 დეკემბერს ქართულმა ჯარმა დაიკავა ეს ტერიტორია. შესაბამისად გაქცეულ მოსახლეობას მიეცა უკან დაბრუნების საშუალება. უნდა ითქვას ისიც, რომ 1918 წლის ამბებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სამცხე-ჯავახეთიდან მოსახლეობის მიგრაციას. მაგალითისათვის დავასახელებთ, რომ მარტო სოფელ ხიზაბავრიდან 100 კომლი კახეთში დარჩა და დაარსა სოფელი ხიზაბავრა (გურგენია), ხოლო 50 ოჯახმა კი გორის მაზრის სოფელ ახალხიზას მიაშურა და ადრინდელ ჩასახლებულ თანასოფლელებს შეუერთდა. ასეთი პროცესები, მეტნაკლებად, ყველა ქართული სოფლის მოსახლეობას შეეხო.

ე.წ. მეორე თალანი იყო 1919 წლის თებერვალში, როცა ერთხელ კიდევ დაარბიეს სოფელი ადგილობრივმა თათრებმა. ამ დროს მოსახლეობამ ვერ მოასწრო გაქცევა და მსხვერპლიც და ზარალიც დიდი იყო. ჯავახეთის თათრებს ქალებიც კი წაუყვანიათ ხიზაბავრიდან. მამაკაცები კი ბაკურიანის გზით

გადავიდნენ, რომ ხელისუფლებისათვის დახმარება ეთხოვათ. იმავე წლის ივნისში მესამედ შემოიჭრნენ ადგილობრივი თათრები, რის შედეგადაც ამ კუთხის მოსახლეობას კვლავ მოუხდა სახლ-კარის დატოვება და გაქცევა. მათი მობრუნება შესაძლებელი გახდა მხოლოდ ხუთი თვის შემდეგ.

ამრიგად, აღნიშნულ წლებში გართულებული პოლიტიკური მდგომარეობა მწვავედ აისახა ცხოვრების ყველა სფეროზე და მათ ურთიერთდამოკიდებულებაზეც. ეს წლები სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის მეხსიერებაში სისხლიან და ტკივილიან წლებად დარჩა. ამაზე მეტყველებს სამცხე-ჯავახეთის სოფლებში: ხიზაბავრა, გოკიო, პრტენა, ვარევანი, ძველი, ჭობარეთი, ახალქალაქი – ჩაწერილი მასალები. ნიმუშად მოვიყვანთ რამდენიმე მთხრობელის ნაამბობს.⁵

შუმანა ზურაბაშვილი (სოფელი ხიზაბავრა, ასპინძის რაიონი, 84 წლის): „ბავშვი ვიყავი, მაგრამ კარგად მახსოვს წყაროზე გამაგზავნეს და საკუთარი თვალებით ვნახე სერო ბალიაშვილი თავმოჭრილი და დედიშობილა იყო სამჭედლოს წინ. ბასილა მურადაშვილი კი ტყვიით მოკლეს, მისი მეუღლე სოფიო ჯერ ცემეს, აწამეს, მკერდი მოკვეთეს, მერე ქმარს ზედ დააკლეს. ხნამია და კოტა ადეიშვილებს, პეტრე მაზმიშვილს კი ხმლებით გამოჭრეს ყელი. ჩვენ თავს გვესხმოდნენ ხერთვისელი, ასპინძელი, იდუმლელი, ლაშიხეველი, ოთელი და ოშორელი თათრები“.

საბე იოსების ასული შემაზაშვილი (სოფელი ხიზაბავრა, 85 წლის): „1918 წელს თათრები რომ შემოვიდნენ 13-14 წლის ვიყავი. საკუთარი თვალით ვნახე ყველა ის უბედურება, რაც იმ ურჯულოებმა დაატრიალეს ჩვენს სოფელში. „თალანზე“ ერთი თათარი შემოიჭრა ჩვენთან სახლში, დედაჩემი და ჩემი დები ერთ კუთხეში ვისხედით. თათარი დედაჩემს მივარდა, პირზე თოფის ლულა მიადო და უთხრა: ბავშვები დატოვე და გარეთ გამოყევით. მის დანახვაზე ჩვენ ტირილი დავიწყეთ, თათარმა შეგვაგინა და გავიდა.

„თალანზე“ ოშორელმა თათრებმა საყდარში მყოფ ღვთისმშობლის ძეგლს ცხვირი და ხელები მოამტკრიეს,

იმახდნენ – რა უნდა გვიყოს თქვენმა ღმერთმაო. მღვდელს ტერ-კოსტანს წვერი მოკნაჭეს, პირს აღებინებდნენ და აფურთხებდნენ. კარების ზღურბლზე თავი დაადებინეს და თავი უნდოდათ მოეჭრათ, მაგრამ მოლამ გადაარჩინა. თათრებმა მამაჩემი – იოსებ ბალიაშვილი წაიყვანეს, სცემეს, შემდეგ ხელ-ფეხი გაუკრეს და მინდორში დააგდეს გაიყინებო. მე მათ ნაფეხურებს მივდიე და ვნახე მამაჩემი. გადავარჩინე, მაგრამ ფეხები მოეყინა. მეორე „თალანის“ დროს (1919 წლის თებერვალი) გოგობმა პოსოთ (ანთაძეები) სახლში შევაფარეთ თავი. თათრები იქაც შემოიჭრნენ, ხელი მომკიდეს და ამითრიეს, კარს ჩავეჭიდე, თმებით მათრიეს, ფეხებით მცემდნენ. მოტყუებით გამაშვებინეს ხელი დედაშენთან მიდიო, დრო იხელთეს და კალოზე გამათრიეს ცემით. ჩემმა მეზობელმა მიხსნა მათგან. თათრებისაგან ტანჯვის მეტი რა გვახსოვს. იმ დღეს გაუვლია და ნულა გამოივლის.

„თალანზე“ ჩვენი ხალხი სცნობდა თათრებს, რომელი სოფლის თათრებს მიჰქონდათ მათი საქონელი. როცა თალანი მორჩა, ქართველი შემოვიდა. ჩვენი კაცები მიდიოდნენ და თავიანთ საქონელს ართმევდნენ“.

მაგდანა კელოშვილი (სოფელი ხიზაბავრა, 86 წლის): „1918 წლის მაისში თათრებმა თალანი მოგვიწყეს. სოფელი ხელუხლებლად დავტოვეთ, ვერაფრის წაღება ვერ მოვასწარით. საქონელი, სურსათი თათრებს დარჩათ. ნადავლით ნასიამოვნები თათრები თურმე ასე მღეროდნენ: „გეჯა გვინის ყაურმასი, გვილის თასპა ჩაურმასი“ – „დღე და ღამე ყაურმას ვჭამთ და ლამაზ თასმას ვატრიალებთ“. როცა შემოდიოდნენ ქართველი მაჰმადიანები სულ რჯულს გვაგინებდნენ და არ ახსენებდნენ რომ ოდესღაც თვითონაც ქართველები იყვნენ“.

ზაქრო მელქონაშვილი (სოფელი ხიზაბავრა, 76 წლის): „როცა თურქის ჯარები შემოდიოდნენ, მათზე მეტად ადგილობრივი თათრები უფრო ხოცავდნენ ქართველებს. როცა გავიქცეოდით ადგილობრივი თათრები ძარცვავდნენ ჩვენს სახლებს, თალანზე დადიოდნენ ჯგუფ-ჯგუფად. ქალებს აუპატიურებდნენ, მამაკაცებს ხოცავდნენ. შემდეგ მაჰმადიანები ვეღარ ბედავდნენ

ქართულ სოფლებზე თავდასხმას. მიუხედავად ამისა ქალი სოფელს ვერ გასცდებოდა იმათი შიშით. ამიტომ, ადგილობრივი მოსახლეობა დიდი სიხარულით შეხვდა მათ გასახლებას. ომის დამთავრება ისე არ გაგვხარებია, როგორც იმათი გასახლება. ისინი მაშინ რომ არ გაესახლებინათ იგივე მდგომარეობა იქნებოდა, რაც დღეს აფხაზეთსა და ოსეთშია. ჩემი აზრით, თვით იმათ ჩამოსახლებაც კი არ შეიძლებოდა ვინც ქართველი იყო და თათრის რჯული ჰქონდა.

გარანა გოგოლაძე (სოფელი ხიზაბავრა, 83 წლის): „თალანის“ დროს შვიდი თათარი შემოვიდა ჩვენთან, დედას ჩემი და ეჭირა ხელში, ბავშვი გამოსტაცეს და „ტოგუმზე“ მიაგდეს, ის კი კარებში გაათრიეს და მათრახით ცემეს. ერთმა მათგანმა თავში დაარტყა. დედაჩემმა გონება დაკარგა და დაეცა. მე ტირილი დავიწყე, მეგონა დედა მომიკლეს. თუმცა იმ დღეს გადარჩა დედაჩემი, მაგრამ მათი „წყალობით,, ერთ თვალზე მხედველობა დაუქვეითდა... ადგილობრივ ხალხს ძალიან გაგვიხარდა იმათი გასახლება. გავიძახოდით: „გადაშენდით და ღმერთმა აღარ მოგაბრუნოთ უკანო“.

ეკატერინე ხუციშვილი (სოფელი ხიზაბავრა, 64 წლის) იგონებს მამიდის ანა ხუციშვილის მონათხრობს: „თათრები რომ შემოვიდნენ 17 წლისა ვიყავი. მამაჩემმა დასამალად სოფელ გელსუნდაში წამიყვანა მოყვარესთან (ე.ი. ნაცნობ თათართან) ჩვენ ხუთი ხერთვისელი თათარი შეგვხვდა გზაზე. ერთმა მე ჩამჭიდა ხელი, დანარჩენებმა კი მამაჩემს დაუწყეს ცემა. ჩემს თვალწინ თოფის კონდახით მომიკლეს მამა. მე ვტიროდი და ვვხვეწებოდი მამაჩემი დამარხეთ, ნადირის საჯიჯგნი მაინც არ გახდესო. მე სახლში წამიყვანეს. ჩემი ტანსაცმელი გამხადეს და თათრული სამოსი ჩამაცვეს. სახელი შემიცვალეს – მარალას მეძახდნენ. მათთან 7-8 თვე დავრჩი. იმ ხნის განმავლობაში ძმები და ბიძაშვილები დადიოდნენ სოფელ-სოფელ ვითომდა ცხენის საყიდლად. სინამდვილეში მე მეძებდნენ. ერთ დღეს სარკმლიდან შევნიშნე ისინი, დღე დავუთქვი, როცა უნდა მოსულიყვნენ. დათქმულ დღეს მოვიდნენ, გამოგლიჯეს კარები და გამომაპარეს“. ეკატერინე ხუციშვილი ამასთანავე იგონებს

1944 წლის ნოემბერს – მაკმადიანების გასახლების დღეს. მის გონებაში ეს იყო ერთ-ერთი შემზარავი ფაქტი, რაც მას განუცდია.

სტეფანე გოგოლაძე (სოფელი ხიზაბავრა) „1918 წლის ქრისტეშობის თვეში უკან მოვბრუნდით. აქ რომ მოვედით ჩვენს ბინებში თათრები ჩასახლებულიყვნენ. ჩვენი მოსავალი აეღოთ, დარჩენილ ქონებას დაპატრონებოდნენ, საქონელიც მოერეკათ გამოსაზამთრებლად. იარაღი მენშევიკურმა მთვრობამ ჩამოგვართვა ბაკურიანსა და კახეთში. „მასპინძლები“ კი კბილებამდე შეიარაღებულები დაგვხვდნენ.

რამდენიმე კვირას „უვნებლად“ ვცხოვრობდით. მაშინ კი, როცა დიდი თოვლ-ბუქის გამო გზები შეიკრა, მახეში მომწყვდეული აღმოვჩნდით. დაგვიწყეს ძარცვა-განადგურება. იმდენი ხეტიალის შემდეგ თუ რაიმე დაგვრჩა, ახლა წაგვართვეს. ამას როგორმე ავიტანდით, რომ ადამიანთა ხოცვა-ჟლეტვა არ დაეწყოთ. ირჩევდნენ ახალგაზრდებს, ვაჟკაცებს და შარაგზებზე ხოცავდნენ. მიწის მიბარების საშუალებაც არ გვქონდა, ხალხს სასო წარეკვეთა, რა გვეღონა? 35 ვაჟკაცმა ბაკურიანში წასვლა განიზრახა, რომ მთავრობისათვის ემგნობებინა შექმნილი მდგომარეობა. „ჯავახეთის ზეგანზე, ცხრაწყაროს უღელტეხილზე გავლით ბაკურიანში ჩასვლა ზაფხულში რა არის რომ ზამთარში რა იყოს, – ამბობს მოხუცი ვასილ კელოშვილი, რომელიც რჩეულთა შორის იყო. თოვლის სისქე 60 სანტიმეტრზე მეტი იყო. მეწინავენი რიგრიგობით ვიცვლებოდით სანისლაოს მთაზე. მოყინვითა და გულის ხუთვით მოგვიკვდა გ. ბალიაშვილი, რომელსაც მიწაც ვერ ვაღირსეთ. დანარჩენებმა ძლივს ჩავაღწიეთ ბაკურიანში. მაგრამ, ვაი იმ ჩასვლას. ყველანი, მატნაკლებად, მუხლებქვემოთ მოვიყინეთ. თითქმის ყველას ფეხის ტერფები მოგვკვეთეს, ხოლო ხუთ ვაჟკაცს, რომლებიც ხშირად წინ მოგვიძლოდნენ, მუხლებს ქვემოთ ორივე ფეხი მოკვეთეს. ჩვენმა გაპარვამ თათრებზე იმოქმედა. ადამიანთა ხოცვა შეერყებინათ და ქონების გადაზიდვა დაეწყოთ ასპინძაში, ადიგენსა და ახალციხეში.“

რუსუდან ტაბატაძე (სოფელი გოკიო, დედის ტასო

დავლამერიძის, 86 წლის მოგონება): „1918 წლის მაისის თვეში თურქეთიდან შემოჭრილი თათრების წაქეზებით ადგილობრივმა მაჰმადიანებმა თალანი დაგვარტყეს. ძველიდან და ჭობარეთიდან ვეღარ მოასწრო გაქცევა მოსახლეობამ. მათ ხალხი, როგორც საქონელი ისე შერევეს ბოსლებში. ქალები ცალკე და მამაკაცები ცალკე. რომელი ქალიც მოეწონებოდათ იმათი იყო. ერთმა ქალმა დანარჩენებს უთხრა: ხმამალა ვიყვიროთ, რომ ჭერი ჩამოინგრეს და ყველა უბედურებას გადავრჩეთო. თათრებმა ეს რომ გაიგეს მოინდომეს მისი გარეთ გაყვანა, მაგრამ ქალი ბოძს ჩაეჭიდა. ის მაგრად სცემეს და მაინც ვერ მოაშორეს ბოძს. ამ დროს ვიღაცამ დაიძახა: ქართველი მოვიდაო და თათრებიც უკანმოუხედავად გაიქნენ.

იმ თალანის დროს სოფელ ძველში თათრებმა 12-13 კაცი დააყენეს რიგში, უნდოდათ გაეგოთ ერთი ტყვიით რამდენ კაცს მოკლავდნენ... ისინი არც რევოლუციის შემდეგ ისვენებდნენ, თავის ბუნებას არ სთმობდნენ“.

არტემა ბერიძე (სოფელი პრტენა, 82 წლის): „ნიკოლოზი, რომ გადააგდეს და საქართველო რომ გამოეყო რუსეთს, ჩვენთან ჟორდანიას მთავრობა იყო. იმ დროს ჩვენს მიწაზე მოსახლე თათრები არ ისვენებდნენ, მათ მოიწვიეს თურქები. 1918 წლის მაისის 23-ში დაგვარტყეს თალანი. ჩვენი ხალხი ცხრა წყაროს გზით გადავიდა ბაკურიანში, იქ ოთხ თვეს დარჩნენ. ქრისტეშობის თვეს მოვბრუნდით უკან, სოფელი ცარიელი და გაძარცვული დაგვხვდა... ისინი იმიტომ გაასახლეს, რომ თურქეთთან კავშირი ჰქონდათ, იარაღიც ბევრი ჰქონდათ. ხერთვისში ოჯახი არ იყო ტყვიამფრქვევი რომ არ ჰქონოდა.“

ელიზბარ ქართველიშვილი (ახალქალაქი, 70 წლის): „მათი გავლენა დიდი იყო ადგილობრივ მოსახლეობაზე. საურთიერთობო ენა თათრული იყო, სომეხიც და ქართველიც მათ ენაზე ლაპარაკობდა. ქართულ ქორწილში თათრულ სიმღერებს მღეროდნენ. მათი გასახლება სწორი იყო. ჩვენი ტერიტორია მცირეა, ისინი ძალიან სწრაფად მრავლდებიან. მათი გასახლებით ქართველებს თავისუფლება მიეცათ. ისინი ქართველები არ არიან და არც შეიძლება მათი ჩამოსახლება“.

მარია პორფილეს ასული მელიქიძე (სოფელი ვარევანი, 80 წლის): „1918 წლის მაისში სოფლიდან ხალხი გაიხიზნა რეზაში. უკან ქრისტეშობის თვეს მოვბრუნდით. სოფელში დაგვხვდნენ თათრები ოჯახებით. ჩვენი მობრუნების შემდეგ სოფელში მოვიდნენ გოკიელი თათრები. ბიძები და მამაჩემი ბოსელში იყვნენ დამალულები, ჩვენ ყველა სახლში ვიყავით და კარები ჩაკეტილი გვქონდა. თათრებმა კარები შემოამტკრიეს. მათ მამაჩემს ახალუხი გახადეს, ბებიაჩემს თოფის კონდახით სცემეს კარებს რად კეტავო. ლოგინის პირები, ჭურჭელი წაიღეს, ცხენი წაიყვანეს. სოფელში ხალხი დახოცეს. ვინც წინააღმდეგობას გაუწევდა ყველას ხოცავდნენ. 1918 წლის ივნისში სანდრო მელიქიძე, რომელიც თბილისის სემინარიაში სწავლობდა და იმდროისათვის სოფელში ბრუნდებოდა, იგი ზედა ტბასთან მოკლეს თათრებმა თავისი ქართველობის გამო. ამ თალანის დროს თათრებმა ეკლესიას თოფი ესროლეს და კედლებს დღესაც ამჩნევია ნატყვიარი“.

არსენ კარაპეტიანი (ქხალქალაქი, 75 წლის): „მაჰმადიანების გადასახლებამდე ქრისტიანული მოსახლეობა მორიდებული იყო მათთან. არც დიდი მეგობრობა ჰქონიათ. გადასახლება მართებული იყო. ისინი განაწყენებულნი და გაბოროტებულნი არიან და მათი მობრუნება აღარ შეიძლება, რომ მოვიდნენ კიდევ შურს იძიებენ, მათი ხელიდან კარგი არაფერი გამოვა“

ყველა მათგანი ამ საკითხზე თვალცრემლიანი და გულისტკივილით ლაპარაკობდა. ეს პერიოდი მოუშუმებელ ტკივილად დარჩა მათ მეხსიერებაში. რამდენადაც გარდა აწიოკება-გაქცევისა, ადამიანთა მკვლელობითაც ჩაიწერა 1918-1919 წლები ამ სოფლების ისტორიაში.

როგორც მთხრობელთა გადმოცემიდან ჩანს ამ წლების სიმძიმე განსაკუთრებით დააწვავთ წმინდა ქართულ სოფლებს. სხვა მდგომარეობა იყო შერეულ სოფლებში. მათივე გადმოცემით, შერეულ სოფლებში: თოკში, ტოლოშში, როკეთში, ზველში, ნაქალაქევში, ქუნცაში, აწყვიტაში, ოშორაში, ინდუსაში და ა.შ. კარგი მეზობლობა ჰქონდათ. შემოსევების დროს ასეთი სოფლების მცხოვრები ქრისტიანი ქართველები არ გარბოდნენ.

მათ იფარავდნენ მეზობელი მაჰმადიანი ქართველები. გარბოდა წმინდა ქართული სოფლების მოსახლეობა და თუ რაიმე ნაწყენობა ჰქონდათ, იმ დროს უხდიდნენ მათ სამაგიეროს. ე.ი. 1918-1919 წლების პოლიტიკური ვითარება მათ თავიანთი პირადი ზრახვებისა და ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გამოიყენეს.

უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივ მოსახლეობას მაჰმადიანი მოსახლეობის შესახებ გარდა ცუდისა ბევრიც კარგი მოგონება შემორჩა: „თათარი თუ ძმობას შემოგფიცავდა არ გიღალატებდა, ბოლომდე გაგიტანდა. ამ შემთხვევაში ღალატი მათთვის დიდი სირცხვილი იყო. და თუ შენ უღალატებდი მაშინ მოგკლავდა. ოშორის, ნიალის, ასპინძის ხალხი კარგი იყო“, – ამბობდა ზაქრო მელქონაშვილი. სოფელ ხიზაბავრაში ასეთი ანდაზაც ჩავიწერე: „თათარს სიტყვა მართალი აქვს და რჯული ბრუდეთ“.

ველზე მუშაობის დროს დაფიქსირდა ქრისტიანი ქართველი და გამაჰმადიანებული ქართველების ურთიერთდამოკიდებულების საინტერესო ფორმა ე.წ. „მოყვრობა“. ქართველი ქრისტიანი „მოყვარეს“ უწოდებდა ნაცნობ მაჰმადიან ქართველს, რომელთანაც მხოლოდ ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა და მათ ოჯახებს შორის იყო მიმოსვლა ჭირსა და ლხინში. როგორც ჩანს, სწორედ ე.წ. მოყვრებმა ბევრი ქართული ოჯახი დაიფარეს იმ წლებში. მაგალითისათვის მოვიყვან სოფელ ხიზაბავრაში ჩაწერილ მასალას. გარანა გოგოლაძე (სოფელი ხიზაბავრა, 83 წლის): „ქვაბისხევში გვყავდა მოყვარე – მეველუდა. ის ჩამოვიდა და თათრებისგან რამდენჯერმე დაგვიფარა. ცემა თავისი ძმა, რომელიც მის მოსვლამდე იყო სოფელში და არ დაგვიფარა“. თუ მოყვარე თათრებს მიანიშნებდა რომელიმე ოჯახზე, რომ მისი ნაცნობი იყო, მას ანგარიშს უწევდნენ და ასეთ ოჯახს ხელს არ ახლებდნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ სამცხე-ჯავახეთში 1918-1919 წლების მოვლენების, მათ შორის ეთნოკონფლიქტების შესახებ საინტერესო და უტყუარი ინფორმაციაა დაცული შალვა მაღლაკელიძის მოგონებებში. (შალვა მაღლაკელიძის მოგონებები გამოიცა 2012

წელს ვიქტორ რცხილადის რედაქტორობით). შ. მალაქელიძე გადმოგვცემს ქართველ მაჰმადიანთა დამოკიდებულებას საქართველოს მომავლის საკითხისადმი. ეს კარგად სჩანს, როდესაც იგი საუბრობს ალი-ეფენდი ეფენდიევზე, სამცხე-ჯავახეთის და ფოცხოვის უმაღლეს სასულიერო პირზე: „წარმოსადეგი გარეგნობის ქართველი მაჰმადიანი ჭკვიანი და თავაზიანი, დიდ გავლენას ახდენდა ჩემზე. და ერთ დროს, იქამდეც მივიდა, რომ მაჰმადის რჯულის მიღება მირჩია: რაც მეტი მაჰმადიანი ქართველი გვეყოლება, მით საქართველოს საქმე უფრო საიმედო იქნებაო, ცდილობდა ჩემთვის დაემტკიცებინა, რომ ქართველ მაჰმადიანთა ოსმალეთის საზღვრებში ცხოვრება მაშინ უფრო გაადვილდება, თუ ქრისტიანი საქართველო ხონთქარის მფარველობაში იქნება“.⁷

როგორც შალვა მალაქელიძის, იმ პროცესების უშუალო მონაწილის, გადმოცემებიდან ჩანს, იმ პერიოდში ქართველი მაჰმადიანები განსაკუთრებული პოლიტიკური აქტივობითა და აგრესიულობით გამოირჩეოდნენ. რაც იმაშიც გამოიხატა, რომ 1917 წლის ნოემბერში აბასთუმანში ჩაატარეს ყრილობა, ყრილობამ მიიღო დადგენილება, რომ აჭარა, არტაანის ოლქი და სამცხე-ჯავახეთი უნდა გაერთიანებულიყო ყარსის მხარეში. ე.ი. ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები თბილისის გუბერნიას უნდა ჩამოშორებოდა. ამასთანავე, ქართველ მაჰმადიანთა დელეგაციამ ზია-ბეგ აბაშიძის მეთაურობით მაჰმადიანთა სახელით წარუდგინა მოთხოვნები ახალციხის გარნიზონს. მათ შორის: ახალციხე უნდა გამოეცხადებინა სამცხე-ჯავახეთისა და არტაანის ოლქის მთავარ ქალაქად, ახალციხეს უნდა დარქმეოდა „ახისხა“, დაეთმო ოფიცერთა შენობა მაჰმადიანთა პოლკის შტაბისათვის და ა.შ. თუ ამ მოთხოვნებს არ მიიღებდა, მაჰმადიანთა შეიარაღებული ძალები დაუყოვნებლივ შეიჭრებოდნენ ქალაქში და სომხებთან ერთად ქართველ ქრისტიანებსაც ამოხოცავდნენ“. მოახსენეს და ასეც იყო, რომ ახალციხე ალყაში ყავდათ მოწყვდიული მაჰმადიანებს. ორკვირიანი ბრძოლის შემდეგ, როცა ვერ შეძლეს ქალაქის აღება, ომარ ფაიკის (ყიფიანის) ბრბოებმა

თვით მაზრაში დაიწყეს მოქმედება და ქრისტიანული სოფლები დაარბიეს. საჭირო შეიქმნა ქრისტიანულ სოფლებს თავდაცვის საქმე თვითვე მოეგვარებინათ. მაგალითისთვის: სოფელი უდე ჩინებულად ახერხებდა თავდაცვას. აწყური და აბასთუმანი ხელიდან ხელში გადადიოდა ოთხი თვის განმავლობაში. თბილისში არ ესმოდათ, თუ რა ხდებოდა სამცხე-ჯავახეთში. საქმე ეხებოდა მთელ მესხეთს, დარჩებოდა იგი ჩვენს ხელში თუ შემოვიდოდა იქ ოსმალეთი. ვინაიდან აჯანყება მოწყობილი იყო ოსმალეთის აგენტების მიერ და მიზნად ჰქონდათ ოსმალეთთან ამ მხარის შეერთება.⁸

შალვა მალაკელიძე გაზგასმით მიუთითებს, რომ „საქართველოს დამოუღიდებლობის გამოცხადებამ და საკუთარი სახელმწიფოს შექმნამ ქართველ მაჰმადიანთა გული თბილისისაკენ მოაბრუნა და საქართველოს მთავრობას რომ სათანადო და წესიერი პოლიტიკა ეწარმოებინა ამ მხარეში, ჩვენ ავცდებოდით მეორე დიდ აჯანყებას, რომელიც სერვერბეგ ათაბაგის ხელმძღვანელობით მოხდა. იგი ოსმალეთის აგენტების მუშაობას არ თანაუგრძნობდა. და თუ საქართველოს დამოუკიდებლობის დროს მას გადაუდგა, აჯანყებაც მოაწყო, ეს იყო გამოწვეული არა ოსმალეთისადმი სიყვარულით ან ოსმალური ორიენტაციით, არამედ, იმ ყოვლად მიუღებელი აგრარული რეფორმის მიზეზი, რომლის ძალით, სერვერ ათაბაგი, დიდი მიწათმფლობელი, უნდა გალატაკებულიყო. მართალია, ეს მეორე აჯანყებაც (1919 წლის თებერვალი) დამარცხდა, მაგრამ საქართველოს შეეძლო ამ ჭკვიანი, განათლებული და მარჯვე კაცის შემწეობით დანარჩენი გავლენიანი ქართველი მაჰმადიანები თავის მხარეზე გადმოეყვანა, საქართველოსთვის შემოემტკიცებინა და თავიდან აეცილებინა ის დიდი გართულებაც, რომელიც სამწუხაროდ სერვერ ათაბაგის ავანტიურას მოჰყვა.“⁹

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 1918-1919 წლების მოვლენებმა მნიშვნელოვნად განაპირობა ქრისტიანი ქართველების დამოკიდებულების ჩამოყალიბება მაჰმადიანი მოსახლეობის გასახლებისა და უკან დაბრუნების საკითხებისადმი. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლების დროს მშვიდობიანი

პერიოდი დადგა და მათ შორისაც ისევ მეზობლური ურთიერთობები დამყარდა: ვაჭრობდნენ ერთმანეთს და მიმოსვლა ჰქონდათ, მათ შორის დაიკარგა ნდობა. ქართული ქრისტიანული სოფლების მოსახლეობა, განსხვავებით შერეული სოფლის მოსახლეობისაგან, მოწონებით შეხვდა სახელმწიფოს გადაწყვეტილებას სამცხე-ჯავახეთიდან მაჰმადიანი მოსახლეობის გასახლების შესახებ. ამ პერიოდის ამბები თაობიდან თაობას გადაეცემა და სიცოცხლეს განაგრძობს. ეს ამბები თავისებურ ზეგავლენას ახდენს ადგილობრივ მოსახლეობაზე. ისე, როგორც გადასახლებულთა შთამომავლობაზე, რომელთაც მიაჩნიათ, რომ მათი წინაპრების გადასახლება უსამართლო იყო ხელისუფალთა მიერ. ამიტომ, ამ ორივე მხარის დამოკიდებულება გასათვალისწინებელია. ხელისუფლებამ კარგად უნდა გაანალიზოს წარსულის შეცდომები (მეფის ხელისუფლების, მენშევიკური მთავრობის, საბჭოთა მთავრობის მიერ დაშვებული შეგნებულად თუ შეუგნებლად), მოუსმინოს მოსახლეობას, შესწავლილ იქნეს საზოგადოებრივი აზრი, რომელიც ერთგვაროვანი არ არის. და ყოველივე ამის საფუძველზე შეიმუშაოს სწორი სახელმწიფო პოლიტიკა. საჭიროა დიალოგი ორივე მხარეს შორის და მათი ერთგვარი ფსიქოლოგიური შემზადება სამომავლოდ ნორმალური თანაცხოვრებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ალ.ფრონელი (ყიფშიძე), დიდებული მესხეთი, გამომცემლობა „მარიხი“, თბილისი, 1991
2. ვ. ლორთქიფანიძე, სამცხე-ჯავახეთი XIX-XX სს. დემოგრაფიული განვითარების პრობლემები. გვ. 35, 1994
3. რ. მიმინოშვილი, რამდენი მტერი ჰყავს საქართველოს, თბ. 1990
4. სურგულაძე, სურგულაძე პ. საქართველოს ისტორია, გვ. 193-194, 1989
5. საველე დღიური, სამცხე-ჯავახეთის სოფლებში მოძიებული მასალები, 1989-1990წწ.

6. 3. პაპაშვილი, განწირული ათასეული, გაზეთი „ასპინძა“, №38, 1967
7. შ. მალაქელიძე, მოგონებები, გვ. 290, 2012
8. შ. მალაქელიძე, მოგონებები, გვ. 313, 2012
9. შ. მალაქელიძე, მოგონებები, გვ. 313, 201

Summary

Initially discussions on this issue started back in the beginning of 90s of the past century. This fact made the local population think, they remembered the past and respectively, many newspaper articles were published. Issue of conducting a public poll-survey appeared on the agenda. It was necessary to find out about the attitudes between Christian and Muslim population before the deportation, and about the readiness to return the deported. We tried to find out more about these issues by collecting material in the population of Samtskhe-Javakheti. During the field-work, the materials were collected from older generation, mainly from those who used to live side-by-side with them. According to the collected information, people especially remembered the events of 1918-1919. The interviewed people clearly differentiated between relationships they had before that period and during those years. Accordingly, the general attitudes and their assessment were not uniform. The complicated political situation in the mentioned years had its impact on every aspect of life and their relationships. These years remained in the minds of the Samtskhe-Javakheti population as full of pain and tragedy. This is reflected in the materials collected in the villages of Samtskhe-Javakheti.

Today, when the issue of the return of the deported Muslim population from Samtskhe-Javakheti in 1944 has become topical, when the state has developed a policy on this issue, it is necessary to analyse and take into consideration the opinion of the local population and at the same time, to prepare them for this process.

დეპორტირებული მესხების ეთნიკური იდენტობის პრობლემა

(დას. საქართველოს მაგალითზე)

წარმოდგენილი მოხსენება ეხება მეტად აქტუალურ და მწვავე თემას – დეპორტირებული მესხების ეთნიკური იდენტობის პრობლემას. თემის სიმწვავეს, ერთი მხრივ, განაპირობებს ევროპის საბჭოს წინაშე საქართველოს მიერ აღებული ვალდებულება, რომელიც გულისხმობს 1944 წელს სამხრეთ საქართველოდან დეპორტირებული მოსახლეობის რეპატრიაციის განხორციელებას და, მეორე მხრივ, საზოგადოების არაერთგვაროვანი და მეტიც, მისი ერთი ნაწილის მხრიდან კატეგორიულად უარყოფითი დამოკიდებულება რეპატრიაციის საკითხის მიმართ. შესაბამისად, საკითხი მწვავედ დგას სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე პრობლემის უმტკივნეულოთ მოგვარების საქმეში ქმედითი როლის შესრულება შეუძლია მის მრავალმხრივ მეცნიერულ შესწავლას. მოხსენებაში მსჯელობა ეფუძნება დასავლეთ საქართველოში მცხოვრებ დეპორტირებულ მესხებთან ჩატარებული კვლევის შედეგებს. კვლევა განხორციელდა უმცირესობათა კვლევის ევროპული ცენტრის ფარგლებში და მე საშუალება მქონდა მონაწილეობა მიმეღო გამოკვლევებში. კითხვა, რომელზე პასუხის გაცემას მოხსენებაში ვეცდები ასე უდერს: როგორ აღიქვამს დეპორტირებული მოსახლეობა საკუთარ თავს ეთნიკური იდენტობის თვალსაზრისით და როგორია ადგილობრივი (დამხვედური) მოსახლეობის მხრიდან მათი აღქმა.

დეპორტირებული მესხების ეთნიკურ იდენტობასთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებები არსებობს სამეცნიერო საზოგადოებაში, ქვეყნის მოსახლეობასა და თვით დეპორ-

ტირებულ მესხებშიც. აზრთა სხვადასხვაობას იწვევს მათი წარმომავლობაც. საზოგადოების ერთი ნაწილი თვლის, რომ ისინი ეთნიკური ქართველები არიან, რომლებმაც თურქების მხრიდან ხშირი დაწიოკების შედეგად სარწმუნოება შეიცვალეს და გამაჰმადიანდნენ, ხოლო მეორე ნაწილი მათ შემოსევების შედეგად სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე დასახლებულ ეთნიკურ თურქებად მიიჩნევს. თუმცა დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით, ვგულისხმობ საქართველოს ვალდებულებას ევროსაბჭოს წინაშე, მათი ეთნიკური წარმომავლობის კვლევა-ბიება მეცნიერულად საინტერესო და ღირებული, მაგრამ, ალბათ, აქტუალობას მოკლებულია, რამდენადაც ქვეყნის მიერ ნაკისრი ვალდებულება ითვალისწინებს ზოგადად რეპატრიაციის განხორციელებას და შესაბამისად, ადამიანებს, რომლებიც დეპორტირებულ მესხებად ითვლებიან, აძლევს ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების უფლებას. სწორედ ამ ფაქტიდან გამომდინარე, ჩემი კვლევის ობიექტი არის არა მათი ეთნიკური წარმომავლობის, არამედ ეთნიკური იდენტობის საკითხი. ცნობილია, რომ ეთნიკურობა დროში, სივრცესა და საზოგადოებაში კონსტრუირებადი ფენომენია, რომელზედაც გარკვეულწილად გავლენას ახდენენ პოლიტიკური ელიტები. ალბათ, ამანაც განაპირობა, რომ დასავლეთ საქართველოში მცხოვრები დეპორტირებული მესხები, რომლებიც რამდენიმე ათეული წელია ნასაკირალსა და იანეთში ცხოვრობენ, დღეს საკუთარ თავს ეთნიკურ ქართველებად მიიჩნევენ, მიუხედავად იმისა, რომ ჩამოსახლების დროს გარკვეული პერიოდის განმავლობაში, თვითგამორკვევის პროცესში იმყოფებოდნენ. ჩემი აზრით, ამ ეტაპზე უფრო მნიშვნელოვანი ისაა, თუ როგორ აღიქვამს დეპორტირებულ მესხებს საზოგადოება, რადგან საკუთარი თავის განსხვავებული ჯგუფის წევრად წარმოდგენის საფუძველს ზოგჯერ სწორედ ეს დამოკიდებულება ქმნის. (საკუთარ თავს თვლის ქართველად, მესხად, მაგრამ მაინც განასხვავებს თავს დანარჩენი/ქართველებისგან).

2011 წლის აგვისტოში ჩატარებული კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ იანეთსა და ნასაკირალში მცხოვრებ დეპორტირებულ

მესხებს თვითიდენტიფიკაციასთან დაკავშირებით მკაფიოდ ჩამოყალიბებული მოსაზრება აქვთ და ამ მიმართულებით პრაქტიკულად პრობლემა არ იკვეთება. ისინი საკუთარ თავს მესხებად და, შესაბამისად, ძირძველ ქართველებად თვლიან და ძალიან აღიზიანებთ, როდესაც ვინმე მათ თურქ მესხს ან თათარს უწოდებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იანეთში მცხოვრები დეპორტირებული მოსახლეობა მკვეთრად მიიჩნევს საკუთარ თავს სოფლის დანარჩენი მოსახლეობისგან. ამ შემთხვევაში იგულისხმება, რომ მათ გამიჯნული აქვთ „ჩვენ“ და „ისინი“ ჯგუფის წევრობა. ნასაკირალში მსგავსი დამოკიდებულება არ შეინიშნება. კვლევის პროცესში არც ერთ ინტერვიუერს საკუთარი თავი სოფლის დანარჩენი მაცხოვრებლისგან არ გაუმიჯნავს, რაც გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ ნასაკირალში მცხოვრები დეპორტირებული მესხები თავიანთ თავს იმ სოფლის ორგანულ ნაწილად თვლიან, სადაც ისინი წლების განმავლობაში ცხოვრობენ. რაც შეეხება იანეთს, იქ არსებული განსახევებული მდგომარეობა შეიძლება იმით აიხსნას, რომ დეპორტირებული მესხები ცხოვრობენ იანეთის მე-9 უბანში, რომელიც დანარჩენ 8 უბანს 9-10 კილომეტრით არის დაშორებული. შესაბამისად, ისინი არ არიან ჩართული სოფლის აქტიურ ცხოვრებაში, უნებურად უწევთ გამიჯნულად ყოფნა და შესაბამისად განასხვავებენ კიდევ საკუთარ თავს სოფლის დანარჩენი მოსახლეობისგან. (თავის მხრივ იანეთელებსაც საკმაოდ მძიმე დამოკიდებულება აქვთ მესხების მიმართ, რაზედაც ოდნავ მოგვიანებით ვისაუბრებ).

ეთნიკური კუთვნილების განსაზღვრისთვის მნიშვნელოვანია თვითიდენტიფიკაცია, თუმცა, გარდა თვითიდენტიფიკაციისა, არსებობს მარკერები, რასაც კონკრეტული ადამიანები, თუ ადამიანთა ჯგუფები უნდა აკმაყოფილებდნენ იმისათვის, რომ ჩაითვალოს ამა თუ იმ ჯგუფის წევრად. სამეცნიერო ლიტერატურაში ასეთ მარკერებად დასახელებულია ენა, ტერიტორია, რელიგია, გაზიარებული ფასეულობები, მითები, ტრადიციები და ა.შ. დასავლეთ საქართველოში მცხოვრებ მესხებს აერთიანებთ ისტორიული მესხიერება (1944 წლის დეპორტაცია, ფერდანის ტრაგედია, სამშობლოს მუდმივი ძიება), თვითიდენტიფიკაცია

(მე ვარ მესხი და შესაბამისად, ვარ ძირძველი ქართველი), რელიგია (მაჰმადიანი), ლინგვოვაქტორი (ე.წ. "მესხური" ენა), ლოკალური იდენტობა (სამშობლოდ აღიქვამენ იმ ადგილს, საიდანაც გადაასახლეს მისი წინაპრები), მაგრამ იმისათვის რომ ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფის წევრად ჩაითვალო ეს საკმარისი მაინც არაა და ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს იმ საზოგადოების პოზიციას, რომლის წევრადაც მიგაჩნია საკუთარი თავი. ჩვენი კვლევის ფარგლებში შესაძლებლობა გვქონდა გაგვერკვია სოფ. ნასაკირალისა და სოფ. იანეთის მოსახლეობის დამოკიდებულება დეპორტირებული მესხებისადმი.

სოფ. ნასაკირალი გურიაში მდებარეობს, თუმცა იქ მოსახლეობის უმრავლესობა აჭარიდან არის ჩასახლებული. ასევე ცხოვრობს, რამდენიმე გურული ოჯახი და დეპორტირებული მესხები. თავდაპირველად მინდა აღვნიშნო, რომ ამ სოფელში საკმაოდ კარგად იციან მესხების ისტორია და მათ „მესხებად“ მოიხსენიებენ. აღნიშნავენ, რომ განსხვავებული ადათ-წესები აქვთ, სხვა ენაზე საუბრობენ, თუმცა ქართული მეტ-ნაკლებად ყველამ იცის. ქართველს ქალს არავითარ შემთხვევაში არ გაატანენ და მიუხედავად იმისა, რომ თვითონაც მუსულმანები არიან, საკუთარ და მესხების რელიგიას შორის გარკვეულ განსხვავებებს ხედავენ. ნასაკირალში მესხებს ძალიან კარგად ახასიათებენ და ამბობენ, რომ მათგან ცუდი არავის არაფერი სმენია, ძალიან წყნარები, მშვიდები და შრომისმოყვარეები არიან, თუმცა თვლიან, რომ დეპორტირებული მესხები მათგან ცოტა, მაგრამ მაინც განსხვავდებიან. ამ თვალსაზრისით, ძირითადად, გამოიკვეთა სამი სახის დამოკიდებულება: 1. მოსახლეობის პირველი ნაწილი, რომელიც მიიჩნევს, რომ მესხები სხვა ერის წარმომადგენლები არიან; 2. მეორე ნაწილი თვლის, რომ ისინი ძირძველი ქართველები არიან და შესაბამისად მათი ადგილი საქართველოშია; 3. მესამე ნაწილმა იცის, რომ მესხები სამცხეში ცხოვრობდნენ, იქიდან გადაასახლეს, თუმცა მაინც უცხოებად/სხვებად აღიქვამენ.

ეს ნათლად ჩანს ინტერვიუებში, რომლის მოკლე ამონარიდებსაც აქვე გთავაზობთ.

რესპონდენტი # 1

„ძალიან კარგი ხალხი არიენ. არც მაგათი ცუდი გაგვიგონია, უზრდელი ხალხი არ არიენ, მესხები არიენ, მაგრამ მშვენიერი კარგი ხალხი არიენ. . . ტრადიციებსა და ადათ-წესებში სხვანაირები არიენ. მაგ. ჭამის დროს სხვანაირად იციან, ჩვენ მაგიდასთან ვჭამთ ისინი ხალიჩაზე ზიენ, იატაკზე ისე ჭამენ. ქორწილი სხვანაირი იციან. ცეკვავენ მარტო და ღვინოს არ სვამენ...“

თქვენ, თუ გააყოლებდით ცოლად თქვენ შვილს მესხს?

ახლა მე პირადად რომ მკითხოს არ გამიხარდება, რათ მინდა ახლა მე მესხი, ქართველს გაყვეს.

ქართველში, რას გულისხმობთ?

მესხი უფრო სხვა ეროვნებისაა, თურქეთიდანაა ჩამოსული. ჩვენ საქართველოში ვცხოვრობთ და ქართველები ვართ“.

ქალბატონი ნაზი გახლავთ ნასაკირალში მცხოვრები გურული. მას და კიდევ იმ გურულებს, ვისაც მე ვესაუბრე, თითქმის იდენტური დამოკიდებულება აქვთ ამ საკითხთან მიმართებაში. საფიქრებელია, რომ მათთვის ძალიან დიდ როლს ამ შემთხვევაში თამაშობს რელიგიის ფაქტორი, რადგან გურულების უმრავლესობას, არავითარი ურთიერთობა არ გააჩნიათ მესხებთან. მათთან არც სახლში არიან ნამყოფები და არც ქორწილსა, თუ დაბადების დღეზე. ამას ისიც ადასტურებს, რომ ისინი აჭარლებთანაც დისტანციურ ურთიერთობაში იმყოფებიან და ხშირად უსვამენ ხაზს მათ მაჰმადიანობას, თუმცა აჭარლებს ქართველებად აღიქვამენ და მესხებს არა. სავარაუდოდ, ეს განაპირობა იმან, რომ მესხები ნასაკირალის ტერიტორიაზე სხვა ქვეყნიდან მოვიდნენ.

მეორე ტიპის დამოკიდებულების მაგალითად შეიძლება გამოვძენ ნუგზარ ვაშაყმაძე (აჭარელი) და გიორგი ადაძე.

რესპონდენტი # 2

„ახლა რა ხდება იგი? მაგენი ძირძველი მესხები არიენ და სტალინის პერიოდში გადაასახლენ იქიდან, აი ახალციხე როა ე მა ტერიტორიებიდან. მაგენს ძალიან საცოდავი ისტორიები აქვენ და გამწარებული ხალხი არიენ და აქანე საქართველოში უნდათ ჩამოსვლა მამაპაპისეულ ადგილებზე. ქართველები არიენ ეგენი,

ძირბველი ქართველები. ახლა რა ხდება იგი? მაგენმა რაცხა ცოტა საუკუნეების განმავლობაში ნირი იცვალენ და მაგის ზრალია აქანე ზოგზოგიერთებს ქართველები რომ არ ჰგონიათ თუ არა

ნირის ცვლა რაში გამოიხატება?

რამი და თურქებმა დიდი გავლენა იქონიენ მაგათზე. ახლა ჩვენზეც კი იქონიენ, ჩვენმა წინაპრებმაც შეიცვალენ სარწმუნოება მარა ქართველობა არ დაგვიკარგავს.

და იმათ დაკარგული აქვთ?

არა, რას ლაპარაკობ, მაგენი, აი გეფიცები, იმსახურებენ ყველაფერს რა. ცოტა ენა უჭირთ და ტრადიციები მეიყოლიენ იქიდან თუ არა ისე კაი ხალხია და მართლა რო ქართველები არიენ რა. ახლა აბა წარმეიდგინე ამდენი ხანი დახეტილობდნენ აქეთ-იქით და აბა რა იქნებოდა. მაი ახლა აქანა რელიგიაზეცაა ლაპარაკი. მასას მაგენი თათრები ჰგონია არ იციენ მაგათი ისტორია და მაგიზა.

ამბობენ, რომ აჭარლების რწმენა და მათი რაღაცით განსხვავდება და ხომ ვერ მეტყვეით რით?

ა... ახლავე აგიხსნი. მაგენს როგორი წესი აქვენ იგი? ნათესავეებზეც ათხოვებენ ბაღანას და ჩვენ მოგვარესაც ვერიდებით. ა, ეს განსხვავებაა მეტი არაფერი. ხოო... ახლა რა არის იგი, ნელ-ნელა ყველაფერს სწავლობენ და ნელ-ნელა გადმოდინენ ჩვენ წესზე. ახლა სახლში ყველას აქვენ მაგენს მაგიდები და სკამები და ქორწილები და მასეთები თითქმის ჩვენებური აქვენ უკვე...”

ამ ინტერვიუდან ნათელია, რომ ბ-ნი გიორგისთვის მესხები ისეთივე ქართველები არიან, როგორც თვითონ. ასევე ჩანს, რომ დროთა განმავლობაში მესხებმა გარკვეულწილად შეითვისეს ის ადათ-წესები, რაც ნასაკირალში არსებობს. მისი ასეთი განწყობა შესაძლებელია ავხსნათ იმით, რომ მან ზედმიწევნით კარგად იცის მათი ისტორია და გაანალიზებულად აქვს, თუ რა სიმძიმის გადატანა მოუხდათ მესხებს მე-20 საუკუნის შუა ხანებიდან მოყოლებული.

ანალოგიური დამოკიდებულება აქვს მესამე რესპონდენტსაც. ის ამბობს, რომ მესხებს თითქმის აღარ აქვთ განსხვავებული ადათ-წესები. ჩაცმითაც ისე ავციათ, როგორც ნასაკირალელ ბავშვებს,

უმრავლად ვერ ხსნის იმ ფაქტს, თუ რატომ არ ხდება აჭარლებსა და მესხებს შორის შერეული ქორწინებები. ორივე მათგანს ხომ სარწმუნოება ერთი აქვთ. თვითონ მოხარული იქნება, თუ მისი გოგო მესხს გაყვება ცოლად ან ბიჭი ცოლად მოიყვანს მესხს.

ნასაკირალში გამოკითხულთა უმრავლესობა დეპორტირებული მესხებისადმი დამოკიდებულების კუთხით მესამე კატეგორიაში ერთიანდება. მათ მეტ-ნაკლებად იციან მესხების ისტორია, გაუგიათ, რომ დეპორტირებული მესხები ძირბველი ქართველები არიან, თუმცა ის ფაქტი, რომ ისინი სხვა ქვეყნიდან არიან ჩამოსულები დიდ გავლენას ახდენს და შესაძლოა მათთან ქორწინებითი ურთიერთობის ერთერთი დამბრკოლებელი იყოს. ამ კატეგორიის რესპოდენტები ამბობენ, რომ დეპორტირებულები მესხები არიან, ხოლო მესხები – ქართველები, მაგრამ მაინც ჩვენგან განსხვავებულები, მეტ-ნაკლებად განსხვავებული ტრადიციებისა და ადათ-წესების მქონენი. ასევე, საუბრისას თავდაპირველად ვფიქრობდი, რომ ასეთი მიუღებლობა ქორწინების თელასაზრისით მხოლოდ მესხებს ეხებოდა, მაგრამ სავლელე კვლევების შედეგად გამოიკვეთა ტენდენცია, რომ ზოგადად ნასაკირალში მცხოვრებ აჭარლებს სურთ მხოლოდ აჭარლებზე გათხოვება ან დაქორწინება და მათ საქართველოს არც ერთი კუთხის წარმომადგენელი არ სურთ რძლად/სიძედ გარდა აჭარელისა. იმ შემთხვევაში დათანხმდებიან სხვა კუთხის წარმომადგენელზე გათხოვებას, თუ გაგიჟებით შეუწყვარდებათ, თუმცა მსგავს შემთხვევას გამორიცხავენ და, რაც მთავარია, გამორიცხავენ არა მხოლოდ შშობლები, რომელთა სურვილები ხშირ შემთხვევაში შვილებისას არ ემთხვევა, არამედ თავად გასათხოვარი და დასაქორწინებელი ახალგაზრდებიც.

რაც შეეხება იანეთს, ამ შემთხვევაში რადიკალურად განსხვავებული სიტუაციაა. იანეთის მოსახლეობის უდიდეს ნაწილს წარმოდგენა არა აქვს დეპორტირებული მესხების ისტორიაზე. მოიხსენიებენ, როგორც „თათარს“, ამკობენ არასასიამოვნო ეპითეტებით (მიუხედავად იმისა, რომ უმეტესად თვალთ არ ჰყავთ ნანახი), თვლიან, რომ ისინი ქართველები არ არიან, რადგან დიდი ხანია აქ ცხოვრობენ და ქართულიც კი ვერ ისწავლეს. ასევე აღნიშნავენ იმას, რომ ჩამოსახლების შემდეგ მათ რჯული არ შეიცვალეს და ადათ-

წესები და ტრადიციები თურქული/ აზერბაიჯანული/ თათრული აქვთ. ასევე, მნიშვნელოვან ნაწილს ემინია, რომ მომავალში შესაძლოა მათ სეპარატისტული მისწრაფებები გაუჩნდეთ. ერთი ნაწილი თვლის, რომ მათი სოფლისგან მოწყვეტილად, ერთად ცხოვრება არ შეიძლება და უნდა გაიფანტონ, რადგან ერთად საშიშები არიან, ხოლო მეორე ნაწილს არანაირი სურვილი არ აქვს მეზობელი ჰყავდეს „თათარი“. შერეული ქორწინებების კატეგორიული წინააღმდეგები არიან. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ იანეთის მოსახლეობიდან მესხების მიმართ ტოლერანტულად განწყობილები არიან მხოლოდ ის მასწავლებლები, რომლებიც იანეთის #2 საჯარო სკოლაში (მესხების სკოლა, რომელიც მე-9 უბანში მდებარეობს. იქ, სადაც დეპორტირებული მესხები ცხოვრობენ) ასწავლიან. ასევე ამბობენ, რომ „თათრებს“ მიწის მიმართ უგულო დამოკიდებულება აქვთ, რადგან არ უყვართ ის ადგილი, სადაც ცხოვრობენ და ჩუმად დადიან ახალციხეში და იქ ეძებენ სახლებს შესაძენად, რომ გადავიდნენ იანეთიდან და ახალციხის რაიონში დაიწყონ ცხოვრება. ეს კი იმის მანიშნებელია, რომ ცოტა ხანში თურქეთთან შეერთებას მოითხოვენ. ამ შემთხვევაში ვფიქრობ, რომ ხალხის ასეთი განწყობა სწორედ იმით არის გამოწვეული, რომ მათ არ აქვთ დეპორტირებულ მესხებთან აქტიური ურთიერთობის შესაძლებლობა. ასევე არ იცნობენ მათ ისტორიას/ აღნიშნულ საკითხს და შესაბამისად, ინფორმაციის ნაკლებობა იწვევს ნეგატიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ დასავლეთ საქართველოში დეპორტირებული მოსახლეობა გარკვეული პერიოდის განმავლობაში თვითგამორკვევის პროცესში იმყოფებოდა, თუმცა ახლა ისინი თავიანთ თავს ქართველებად თვლიან. სოფ. ნასაკირალში მცხოვრები დეპორტირებული მესხები საკუთარ თავს არ განსახვავებენ სოფლის დანარჩენი მოსახლეობისგან, ხოლო იანეთში, გარკვეულწილად გამიჯნულია „ჩვენ“ და „ისინი“ ჯგუფის წევრობა, რაც იმით აიხსნება, რომ ნაკლებად აქვთ აქტიური ურთიერთობების შესაძლებლობა სოფლის დანარჩენ 8 უბანთან. რაც შეეხება ადგილობრივი (დამხვედური) მოსახლეობის აღქმას მათ მიმართ, ამ შემთხვევაში, სოფ. ნასაკირალში გამოიკვეთა რამდენადმე განსხვავებული

დამოკიდებულება: 1. ადამიანები, რომლებიც თვლიან, რომ დეპორტირებული მოსახლეობა სხვა ერის წარმომადგენლები არიან და მათ სხვა ეთნიკური ჯგუფის წევრებად აღიქვამენ; 2. მოსახლეები, რომლებიც თვლიან, რომ ისინი ძირძველი ქართველები არიან და შესაბამისად, მათი ადგილი საქართველოშია; 3. საზოგადოების წევრები, რომლებმაც იციან, რომ მესხები სამცხეში ცხოვრობდნენ, იქიდან გადასახლეს, თუმცა, მაინც „ისინი“ ჯგუფის წევრები არიან, ხოლო იანეთის მოსახლეობისთვის დეპორტირებული მესხები „თათრები“/თურქები არიან, რაც გამოწვეულია ინფორმაციისა და ურთიერთობების ნაკლებობით.

რეკომენდაციები:

იმისათვის, რომ დეპორტირებული მოსახლეობის რეპატრიაციის პროგრამა წარმატებით განხორციელდეს და ნაკლებად მტკივნეული/პრობლემური იყოს, აუცილებელია:

1. ამალდეს საზოგადოების ცნობიერება, როგორც დეპორტირებულ მესხებში, ასევე ადგილობრივ მოსახლეობაში.

2. წახალისდნენ ის დეპორტირებული მესხები, რომლებმაც იციან ქართული ენა (იგულისხმება სამსახურით უზრუნველყოფა), რადგან მათ არ აქვთ მოტივაცია ქართული ენის შესწავლის, თვლიან, რომ მაინც მიწაზე უწევთ მუშაობა და აზრი არ აქვს ქართულის სწავლას. მათი მხრიდან ქართული ენის კარგად შესწავლა ხელს შეუწყობს საზოგადოებაში ნდობის ხარისხის ამაღლებას.

3. სასურველია, რომ სოციალური დახმარება არ შეუწყდეთ იმ დეპორტირებული მესხების ოჯახებს, რომლებიც მეტ-ნაკლებად უკეთესად არიან ინტეგრირებულები საზოგადოებაში, რადგან მსგავსი დამოკიდებულება იწვევს ინტეგრაციის მოტივაციის შესუსტებას.

4. მნიშვნელოვანია ისიც, რომ სოციალური დახმარებები მიიღონ არა მხოლოდ დეპორტირებულმა მესხებმა, არამედ იმ ადგილობრივმა მოსახლეობამაც, სადაც დეპორტირებულები ცხოვრობენ, რადგან სოფლებში საკმაოდ მძიმე სოციალური ფონია და მესხებზე ნაჩუქარი, თუნდაც ერთი ფანქარი აგრესიას იწვევს ადგილობრივ მოსახლეობაში.

Summary

This article concerns the issue of the deported Meskhetians, which is timely due to the fact, that Georgia has undertaken the commitment towards the European Council. This commitment implies realizing repatriation of those people who were deported in 1944 from South Georgia. The issue is very urgent for the society and the state, as in Georgia there are diverse opinions regarding the matter. This is partially due to the fact, that this issue has not been researched in detail yet. This article is fully based on the material obtained during the field work which was conducted in August 2011 and in which the author of this paper participated. The article demonstrates the particularities of repatriated Meskhetians' ethnic identity on the example of Western Georgia. Moreover, on the one hand, it emphasizes the self-consciousness among the deported Meskhetians and on the other hand, how the local society perceives them.

After the field research the following were identified:

- The deported group living in western Georgia was in the crisis of national identity for some period. However, nowadays they identify themselves as Georgians, while still having the local identification towards Samtskhe-Javakheti.
- The perception of "local communities" towards deported Meskhetians can be divided into three categories, namely:
 - Part of the society thinks that they are the members of different ethnic group;
 - The others perceive them as aboriginal Georgians, hence, believe that they should stay in Georgia;
 - The third category knows that Meskhetians used to live in Georgia and they were deported from there; however, perceive them as the members of the "other" group.

ეთნიკური იდენტობის კრიზისი და მესხური იდენტობის ცვალებადი ხასიათი

მეცნიერები ვერ თანხმდებიან იმის შესახებ, ეთნიკური იდენტობა არის მუდმივი თუ ცვალებადი ფენომენი. ეთნიკურობის გაგების ორი ურთიერთსაპირისპირო თეორიული მიმდინარეობა შეიძლება გამოვყოთ: პრიმორდიალიზმი და კონსტრუქტივიზმი.

პრიმორდიალიზმი ამტკიცებს რომ ეთნიკურობა და ეთნიკური ჯგუფები წარმოადგენენ სტატიკურად არსებულ ერთეულებს, რომელთა შეცვლა შეუძლებელია. პრიმორდიალისტების აზრით ეთნიკურობა კაცობრიობის ისტორიაში ყოველთვის არსებობდა და თანამედროვე ეთნიკური ჯგუფები უხსოვარი დროიდან იღებენ დასაბამს. (დავითაშვილი, 2003)

პრიმორდიალიზმის საპირისპირო მიმართულებას წარმოადგენს კონსტრუქტივიზმი, რომელიც მიიჩნევს რომ ეთნიკური ჯგუფები არ არიან დასაბამიდან არსებული ერთეულები, არამედ სინამდვილეში სოციალურად და პოლიტიკურად არიან კონსტრუირებული. კონსტრუქტივისტები ამტკიცებენ რომ ეთნიკური იდენტობა არ არის მუდმივი და უცვლელი ფენომენი. სინამდვილეში ის არის ცვალებადი და სოციალურ-პოლიტიკურ ცვლილებებთან ადაპტირების უნარი გააჩნია. ეთნიკური იდენტობის ცვალებადი ხასიათი კარად არის აღწერილი ნიკო ბერძენიშვილის წიგნში: "საქართველოს ისტორიის საკითხები." მისი აზრით ეთნიკური განვითარება საზოგადოებრივი განვითარების შესაფერისი მოვლენაა. ის აღწერს ქართული ეთნიკური იდენტობის განვითარებას: თავდაპირველად ტერმინი "ქართველი" იყო "ქართლის რეგიონის მცხოვრების" აღმნიშვნელი სახელწოდება. მას შემდეგ რაც ქართლის სამეფოს საზღვრები გაფართოვდა და მან მოახერხა მეზობელი ქართველური და არაქართველური

მოდგმის ტომების დამორჩილება, ტერმინი "ქართველის" მნიშვნელობა შეიცვალა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქართლის სამეფოს ექსპანსიის შემდეგ, სიტყვა "ქართველი" გადაიქცა მთელი ქართველი ერის ეთნიკურ სახელწოდებად, რომელიც მოიცავდა როგორც ქართულ, ასევე არაქართული მოდგმის ტომებს. ქართლი განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე იდგა ვიდრე მისი მეზობელი ქვეყნები და ტომები და მან ითამაშა გადამწყვეტი როლი ახალი ეთნიკური იდენტობის ფორმირებაში. გაერთიანებულ ქართულ სახემწიფოში ქართველების გარდა შედიოდნენ ასევე არაქართული მოდგმის ტომები. ქართიზაციის პროცესის მეშვეობით არაქართული მოდგმის ტომები მალე ქართული ეთნოსის განუყოფელი ნაწილი გახდნენ. (ბერძენიშვილი, 1990; 357-391) ამრიგად, ეთნიკურ ჯგუფებს, ისევე როგორც საზოგადოებებს, ცვალებად სოციო-პოლიტიკურ გარემოსთან ადაპტირების უნარი აქვთ. გარდა ამისა კონსტრუქტივისტები თვლიან, რომ ეთნიკურობა და ეთნიკური იდენტობა არის ადვილად მართვადი და მანიპულირებადი პოლიტიკური ელიტის მიერ. ამდენად, კონსტრუქტივიზმი აღიქვამს ეთნიკურობას და ეთნიკურ იდენტობას, როგორც ადამიანის მიერ შექმნილ პროდუქტს, რომელიც განიცდის ცვლილებებს სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის ცვალებადობასთან ერთად. (ჯავახიშვილი, სარჯველაძე, 2007) ადამიანებმა შეიძლება შეიცვალონ იდენტობა, ერთი ეთნიკური ჯგუფის წევრობას ამჯობინონ სხვა ეთნიკური ჯგუფის წევრობა. ასეთი ფაქტები უფრო ხშირად ხდება სასაზღვრო რეგიონებში, სადაც ინდივიდებს უამრავი ეთნიკური არჩევანი გააჩნიათ და სადაც სავსებით შესაძლებელია რომ ინდივიდებმა ეთნიკურობა შეიცვალონ და სხვა ეთნიკური ჯგუფის წევრები გახდნენ. ეთნიკურობის კონსტრუქტივისტული ინტერპრეტაცია გვეხმარება უკეთესად გავიგოთ მესხური იდენტობის ცვალებადი ხასიათი. მესხეთი, როგორც სასაზღვრო ზონა, ხშირად ექცეოდა მეზობელი სახელმწიფოების გავლენის ქვეშ, რის გამოც მისი მოსახლეობის ეთნიკური იდენტობა ხშირად იცვლებოდა. სასაზღვრო რეგიონები და საზღვრები, როგორც ცნობილია, ეთნიკური ცვლილებების პოტენციური ზონებია.

ამიტომაც დეპორტირებული მოსახლეობის ეთნიკური წარმომავლობა სადავო საკითხია. მკვლევარები ვერ შეთანხმებულან – ეთნიკური თურქები არიან ისინი თუ ეთნიკური ქართველები. ამ ჯგუფის აღსანიშნავად სხვადასხვა ტერმინები გამოიყენება. მკვლევარების მიერ გამოყენებული ტერმინოლოგია, იმ ხალხის აღსანიშნავად, რომელიც საქართველოს ისტორიულ პროვინციაში, მესხეთში ცხოვრობდა შუა აზიაში დეპორტაციამდე, ძალზედ ცვალებადი და მერყევია. მათ ხშირად უწოდებენ “თურქ მესხებს”, “ახისკელ თურქებს”, “მაჰმადიან ქართველებს”, “მაჰმადიან მესხებს”, “კავკასიელ თურქებს” ან უბრალოდ “მესხებს”. ყველაზე უფრო ფართოდ გავრცელებული ტერმინია “თურქი მესხები”. ამ ტერმინის სისწორე საეჭვოა, რადგან ისტორიკოსებს შორის არსებობს უთანხმოება დეპორტირებული ხალხის ეთნიკური წარმომავლობის შესახებ და საკითხი მათი ზუსტი ეთნიკური იდენტობის შესახებ მწვავე დებატებს იწვევს. ერთის მხრივ, ქართული, რუსული და საბჭოთა ისტორიული წყაროები ამტკიცებენ, რომ დეპორტირებული მესხები ეთნიკური ქართველები არიან, რომლებიც გაამაჰმადიანეს და გაათურქეს მაშინ, როდესაც ოსმალეთის იმპერიამ დაიპყრო საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი, სამცხე-საათაბაგო. მეორეს მხრივ, თურქი და აზერბაიჯანელი მკვლევარები უარყოფენ გამაჰმადიანებული ქართველების ჰოპოთეზას და ამტკიცებენ რომ სამხრეთ საქართველოდან დეპორტირებული ხალხი ეთნიკური თურქები არიან. მათი აზრით ისინი არიან იმ თურქი ტომების შთამომავლები, რომლებიც ქართულ მიწებზე გადავიდნენ საცხოვრებლად და მესხეთში დასახლდნენ ოსმალეთის იმპერიის ექსპანსიის დროს. (Aydingün, Harding, Hoover, Kuznetsov & Swerdlow, 2006) მაგრამ სიმართლე დეპორტირებული ხალხის ეთნიკური წარმომავლობის შესახებ ამ ორი სხვადასხვა შეხედულების სადღაც შუაში მდებარეობს და უფრო სავარაუდოა, რომ ისინი იყვნენ ადგილობრივი ქართველი ხალხის – მესხებისა და თურქული ტომების ნარევი. სხვა ტომებმაც ითამაშეს მნიშვნელოვანი როლი დეპორტირებული ხალხის განსხვავებული იდენტობის ფორმირებაში, ესენია: ქურთების მომთაბარე ტომები, ჰემშინები

(თურქულად მოლაპარაკე გამაჰმადიანებული სომხები), ყარაფაფახები (ასევე ცნობილი, როგორც თარაქამები), ლეკები და ჩრდილოეთ კავკასიელი ტომები. სამი სხვადასხვა ენების ოჯახის წარმომადგენლებმა ჩამოაყალიბეს ამ ეთნიკური ჯგუფის ბირთვი: კავკასიელები – მესხები (ქართველები), ლეკები და ჩრდილოეთ კავკასიელი ტომები.

ალტაური – თურქული მომთაბარე ტომები, ყარაფაფახები (ასევე ცნობილი როგორც თარაქამები).

ინდო – ევროპული – სომხები, ჰემშინები (თურქულად მოლაპარაკე გამაჰმადიანებული სომხები). (Ghazinyan, 2008)

ამრიგად, დეპორტირებული მოსახლეობა არ არის ჰომოგენური ეთნიკური ჯგუფი და როგორც ზემოთ იყო ნახსენები, ის სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ხალხისაგან შედგება, მათი ნაწილი გამაჰმადიანებული ქართველებია, ნაწილი – თურქები, ქურთები, ჰემშინები, ლეკები, თარაქამები, და ა. შ. ამდენად, დეპორტირებული ხალხი სინამდვილეში არის ჰეტეროგენული ეთნიკური ჯგუფი, რომელიც წარმოადგენს სხვადასხვა ეროვნებებისა და ეთნიკური ჯგუფების კონგლომერატს.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც იწვევს უთანხმოებას ექსპერტებსა და მკვლევარებს შორის, არის ეთნიკური ქართველებისა და ეთნიკური თურქების რაოდენობა ამ ეთნიკურად შერეულ ჯგუფში. ზოგიერთი ექსპერტი თვლის, რომ დეპორტირებულ ხალხში ჭარბობენ ეთნიკური ქართველები, ხოლო ზოგი კი ამტკიცებს რომ ეთნიკური თურქები შეადგენენ დეპორტირებული ხალხის უმრავლესობას. ასევე არიან ექსპერტები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ეთნიკური თურქებისა და ქართველების შეფარდება თანაბარია. (ფონდი “ღია საზოგადოება – საქართველო” მოსახლეობის კვლევის ეროვნული ცენტრი, 2000) ყველაზე უფრო დამაჯერებლად ელერს არგუმენტი, რომ დეპორტირებული ხალხის უმრავლესობას ეთნიკური ქართველები შეადგენენ, თუ გავითვალისწინებთ ცარიისტული რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიის მიერ ჩატარებულ მოსახლეობის აღწერებს. ცარიისტული რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიის მიერ ჩატარებული მოსახლეობის აღწერები მთავარი მტკიცებულებაა მათი ქართული

წარმომავლობის შესახებ. უცხოელი მოგზაურები და მკვლევარები იოჰან ანტონ გიულდენშტედტი, დებუა დი მონპერე, ვეიდენბაუმი, ევლია ჩელები და სხვები ასევე ადასტურებენ, რომ ამ ხალხის უმრავლესობა ეთნიკური ქართველები იყვნენ.

დეპორტირებული ხალხის კულტურაში მრავლადაა თურქული ელემენტები, ასევე იგრძნობა მლიერი ქართული ლინგვისტური და კულტურული გავლენა. აჭარლებისაგან განსხვავებით, რომლებიც ასევე გამაჰმადიანდნენ, მაგრამ მოახერხეს მშობლიური ენის შენარჩუნება, მესხების უმრავლესობამ ვერ მოახერხა მშობლიური ენის შენარჩუნება. ამ ფაქტმა კიდევ უფრო გაართულა მათი გარჩევა "ნამდვილი თურქებისაგან." მიუხედავად ამისა, ეთნოგრაფები და ლინგვისტები ხშირად პოულობენ ქართული გავლენის უამრავ ნაკვალევს მათ ჩვევებში და ტრადიციულ სახალხო კულტურაში. დეპორტირებული მესხი მოსახლეობა საუბრის დროს იყენებს სიტყვებს და თანხმობენ, რომლებიც თურქულ ენაში არ არსებობს. (Бараташвили, Л. Бараташвили, К., 1988) დეპორტირებული მესხები მაჰმადიანი სუნიტები არიან, მაგრამ მათი უმრავლესობა ძალიან რელიგიური არ არის. ისინი ოღუზურ – თურქულად ლაპარაკობენ, მაგრამ მათი ენა შეიცავს ასევე ქართულ და ლაზურ სიტყვებს. აჭარლებისაგან განსხვავებით, მესხების უნარი, რომ გათურქების პროცესისთვის წინააღმდეგობა გაეწიათ უფრო შეზღუდული იყო, რადგან ქალაქ ახალციხეში, როგორც ახალციხის საფაშოს ადმინისტრაციულ ცენტრში, უფრო დიდი რაოდენობით იყო თურქული არმია, თურქული ადმინისტრაციული და რელიგიური ინსტიტუტები, ვიდრე მთიან აჭარაში. შესაბამისად გათურქების და გამაჰმადიანების პროცესი მესხეთში უფრო ინტენსიურად მიმდინარეობდა ვიდრე კონსერვატიულ და მთიან აჭარაში. (ჯანიაშვილი, 2006ა)

თუმცა ბევრმა მესხმა შეიცვალა ქართული გვარი, როცა მესხეთი შედიოდა ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში, მათმა მნიშვნელოვანმა ნაწილმა მაინც მოახერხა ქართული გვარების შენარჩუნება. მათ თავიანთ გვარებს დაამატეს თურქული დაბოლოება "ოღლი," როგორც ამას თურქული ადმინისტრაცია ითხოვდა. ამგვარად მათ მოახერხეს ქართული გვარების შენარჩუნება.

დაახლოებით მესხების 40% ჰქონდათ ქართული გვარები შუა აზიაში გადასახლებამდე. გადასახლებულთა ყველაზე დიდი ნაწილი ორენოვანი იყო (თურქულ-ქართული) და გათურქებული ქართველების შთამომავლები იყვნენ, ხოლო გადასახლებულთა უმცირესობას შეადგენდნენ თურქები, რომლებიც ქართულ მიწებზე დასახლდნენ მესხეთის ანექსიისა და ოსმალეთის იმპერიაში ინკორპორაციის შემდეგ. (Federal Union of European Nationalities – FUEN, 1999) დეპორტირებული მოსახლეობის უმრავლესობა (ორი-მესამედი) ქართულად ლაპარაკობდა და საკმაოდ კარგად იყო ინტეგრირებული ქართულ საზოგადოებაში. ისინი თავიანთ თავს „Gurca oglu“-ს, “ქართველების შვილებს” ეძახდნენ ან ‘Gურცუ დონმე’-ს რაც ქართულად გამაჰმადიანებულ ქართველს ნიშნავს ან “Yerly“-ს, “ადგილობრივს” რათა ხაზი გაესვათ იმ ფაქტისათვის, რომ აბორიგენ მოსახლეობას მიეკუთვნებოდნენ. სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა დეპორტაციის შემდეგ და დღეისათვის მხოლოდ მათი მცირე ნაწილი ლაპარაკობს ქართულად და მხოლოდ 5%-ს აქვს ქართული გვარები. ცენტრალურ აზიაში სამოცწლიანი ცხოვრების შემდეგ ქართული ენა დავიწყებას მიეცა და მისი ადგილი თურქულმა ენამ დაიკავა. დეპორტირებულთა შორის ბევრი იყვნენ ისეთები, რომელთაც თურქული ენა სრულყოფილად მხოლოდ გადასახლების შემდეგ ისწავლეს. მაჰმადიანი მესხების დასახლებების მნიშვნელოვანი ნაწილი გადასახლებამდე მხოლოდ ქართულ ენაზე ლაპარაკობდა. მაგალითად მაჰმადიანი მესხები შემდეგი სოფლებიდან: ტატანისი, სვირი, გურკელი, გიორგიწმინდა, მუგარეთი, საყუნეთი, შურდო, ზიკლია, წოთხევი, ჩოხთა, ვალე, ბოგა, უდე, ინდუსა, ტობა, ახაშენი, ჭობარეთი, თოკა, ქილდა და სხვა გადასახლებამდე მხოლოდ ქართულად ლაპარაკობდნენ. (უმაროვ – გოზალიშვილი, 2005) სიტუაცია შეიცვალა შუა აზიის თურქულენოვან გარემოში ხანგრძლივი ცხოვრების შემდეგ. (Trier & Khanzhin, 2007) დეპორტაციის შემდეგ ბევრი მათგანი აიძულეს ქართული გვარი რუსული მაჰმადიანური გვარებით შეეცვალათ, რომლებსაც “-ოვ” დაბოლოება ჰქონდათ. შუა აზიაში თურქულენოვან მოსახლეობასთან ხანგრძლივმა ურთიერთობამ, ასევე საქართველოსთან ურთიერთობის ნაკლებობამ,

მნიშვნელოვნად დააკნინა მათი ქართული იდენტობა და გაზარდა მათში პრო-თურქული ორიენტაცია. ბევრ მათგანს ჩამოუყალიბდა ძლიერი თურქული იდენტობა. დეპორტირებული მოსახლეობის დიდი ნაწილი საქართველოს თავის სამშობლოდ აღარ თვლის და ამტკიცებს, რომ მათი სამშობლო თურქეთია. (Meylaks, 2008) შუა აზიის პოლიტიკური, კულტურული, სოციალური და რელიგიური გარემო რადიკალურად განსხვავდება ქართული სოციალური და კულტურული გარემოსაგან და ამიტომაც შუა აზიაში მესხების დეპორტაციამ დააჩქარა დეპორტირებული ხალხის გათურქების პროცესი. ამრიგად, სოციალური და კულტურული გარემო მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეთნიკურობის და ეთნიკური იდენტობის ფორმირებაში. სოციალური და პოლიტიკური გარემოს ხშირმა შეცვლამ შეიძლება ეთნიკურობის დამახასიათებელი ყველა ნიშანი შეცვალოს.

ქართული იდენტობის დაკარგვა და მესხების გათურქება შეიძლება აიხსნას ეთნიკურობის კონსტრუქცივისტული ინტერ-პრეტაციის საფუძველზე: როგორც ზემოთ იყო ნახსენები, ეთნიკურობა და ეთიკური იდენტობა არ არის მუდმივი და სტატიკური ფენომენი, არამედ სოციალურად არის კონსტრუირებული, რომელიც სოციალურ-კულტურული გარემოს ცვალებადობასთან ერთად თვითონაც განიცდის ცვლილებებს. ბენედიქტ ანდერსონის აზრით, ერები არსებობენ, როგორც წარმოსახვითი საზოგადოებები, რომლებიც ჩვენთვის არის კონსტრუირებული განათლების, მასმედიის და პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესის საშუალებით. ის თვლის, რომ ერი არის სოციალურად კონსტრუირებული საზოგადოება და “წარმოსახვითი პოლიტიკური საზოგადოება.” ბენედიქტ ანდერსონი ამტკიცებს, რომ “ბეჭდვითმა კაპიტალიზმმა” შესაძლებელი გახადა ეროვნული ცნობიერების განვითარება და “წარმოსახვითი საზოგადოების” წარმოშობა. (დავითაშვილი, 2003) წიგნებმა, ჟურნალებმა, ეროვნულმა გაზეთებმა, რადიომ და სატელევიზიო არხებმა გაავრცელეს საერთო ეროვნული სიმბოლოები, ნორმები, ღირებულებები და ხელი შეუწყვეს ეროვნული ცნობიერების განვითარებას. “ბეჭდვითი კაპიტალიზმის” წარმოშობა ნიშნავდა

იმას, რომ ადამიანებს, რომლებიც ვერასოდეს ვერ შეხვდებოდნენ ერთმანეთს ცხოვრებაში, შეეძლოთ ჰქონოდათ საერთო ისტორია, ტრადიცია, კულტურა და შეეძლოთ თავიანთი თავი გაეგივებინათ საერთო “წარმოსახვითი საზოგადოების” წარმომადგენლებად. ბეჭვდითი კაპიტალიზმის განვითარების წყალობით “წარმოსახვითი საზოგადოების” წევრებს გააჩნიათ წარმოდგენა, “მენტალური იმიჯი” საერთო წარმომავლობის შესახებ. ერიკ ჰობსბაუმი ამტკიცებდა რომ ერი არის “გამოგონილი ტრადიცია.” მისი აზრით, ეროვნული ცნობიერება ახლად გამოგონილი ფენომენია. მეცხრამეტე საუკუნემდე ეთნიკური იდენტობის ცნება არ არსებობდა, ხალხის უმრავლესობა გაუნათლებელი და სრულიად უწიგნური იყო. მათ არ შეეძლოთ მშობლიურ ენაზე წერა, ლაპარაკობდნენ კუთხურ ენაზე, დიალექტზე, რომელსაც ძალიან ცოტა რამ ჰქონდა საერთო განათლებული ელიტის ენასთან. იერარქიული დაყოფა უფრო მნიშვნელოვანი იყო მათთვის ვიდრე ეთნიკური კუთვნილება და გლეხები თვლიდნენ, რომ არაფერი საერთო არ გააჩნდათ მემამულეებთან, მიწისმფლობელებთან. გარდა ამისა მათ გააჩნდათ რეგიონული იდენტიფიკაცია და არ ჰქონდათ საერთო ეთნიკური იდენტობის განცდა: უკრაინელი გლეხები თავს აღიქვამდნენ არა უკრაინელებად, არამედ გალიციელებად, ბუკოვინიელებად, ლემკოელებად, და ა.შ. (ლივჩარდ, 2001) ანალოგიურად ქართველებიც აიგივებდნენ თავს იმ პროვინციასთან, საიდანაც ისინი წარმოშობით იყვნენ. ხალხმა მას შემდეგ გაიგო საკუთარი ეთნიკური კუთვნილების შესახებ, რაც მათთვის ხელმისაწვდომი გახდა განათლება და მასმედია. ჰობსბაუმის აზრით ეთნიკური ცნობიერება განვითარებას იწყებს, “როდესაც პირველად სახელმძღვანელოები და გაზეთები გამოიცემა ეროვნულ ენაზე, ან, როდესაც ხდება ენის პირველად გამოყენება ოფიციალური მიზნებისათვის.” (O’neil & Rogorwski, 2004) ეთნიკური ცნობიერების განვითარება არ მომხდარა XIX საუკუნემდე, რომლის ფორმირებაც სავარაუდოდ მოხდა საერთო სიმბოლოების (ეროვნული დროშები, ეროვნული ჰიმნები, და ა.შ.), ნორმების ღირებულებების, ერთიანი საგანმანათლებლო სისტემისა და მასმედიის განვითარებით.

წარმოსახვითი საზოგადოების შექმნას შესაძლებელს ხდის ბეჭდვითი პრესის გამოგონება კაპიტალიზმის ეპოქაში და ერთიანი საგანმანათლებლო სისტემის განვითარება. ერთიანი საგანმანათლებლო სისტემის შექმნამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ერის კონსოლიდირებაში და ხალხის გაერთიანებაში, რომელიც სხვადასხვა ეთნიკური და სუბ-ეთნიკური ჯგუფებისაგან შედგებოდა. გარდა ამისა, ინდუსტრიალიზაციის პროცესმა ერთმანეთს დააკავშირა სხვადასხვა სუბ-ეთნიკური ჯგუფები და ხელი შეუწყო ეროვნული ცნობიერების წარმოშობას.

ზემოთ ნახსენები ავტორები ხაზს უსვამენ მას-მედიისა და საგანმანათლებლო ინსტიტუტების მნიშვნელობას საერთო პოლიტიკური საზოგადოებისა და ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბების პროცესში. საერთო საგანმანათლებლო სისტემისა და მასმედიის განვითარებამდე, ისეთი ლოკალური იდენტობები, როგორცაა ნათესაობა, სოფელი, კლასი და რელიგია, იყო იდენტობების ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმა. ეროვნულმა ცნობიერებამ მხოლოდ დაწყებითი განათლების გავრცელების შემდეგ დაიწყო ფორმირება. შუა აზიაში დეპორტაციამდე სამცხე-ჯავახეთის მაჰმადიანი მოსახლეობის უმრავლესობას ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა თავისი ეროვნული ცნობიერების შესახებ. თუმცა მათი დიდი უმრავლესობა, როგორც ზემოთ იყო ნახსენები "Gurcu oğlu"-ს ან "Gurcu donme"-ს უწოდებდა საკუთარ თავს და მათი ორი-მესამედი ქართულად ლაპარაკობდა, საბჭოთა ხელისუფლებისა და საბჭოთა საქართველოს მხრიდან არ ყოფილა მიზანმიმართული ძალისხმევა გაეძლიერებინათ მათი ეროვნული იდენტობა. პირიქით, საბჭოთა საგანმანათლებლო პოლიტიკამ (აზერბაიჯანული სკოლების დაარსებით) ეს ხალხი დენაციონალიზებულ მასად აქცია. გათურქების პროცესი დაჩქარდა გადასახლების და შუა აზიაში ცხოვრების პერიოდში. ამრიგად, შუა აზიაში გადასახლებამ და საბჭოთა საგანმანათლებლო პოლიტიკამ გამოიწვია განსხვავებული ეთნიკური იდენტობის (თურქული იდენტობის) წარმოშობა. რუსულმა და საბჭოთა საგანმანათლებლო პოლიტიკამ ხელი შეუწყო მუსლიმანური და თურქული იდენტობის გაძლიერებას და ხელი შეუშალა მაჰმადიანი მესხების

ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციას. ამრიგად, რუსული და საბჭოთა ოკუპაცია ქართული ეროვნული ცნობიერების განვითარების სერიოზული შემაფერხებელი ფაქტორი გამოდგა. ეს მაგალითი გვიჩვენებს, რომ ეთნიკურობა და ეთნიკური იდენტობა ადამიანის მიერ შექმნილი პროდუქტია. სინამდვილეში ის არის სოციალურად და პოლიტიკურად კონსტრუირებული ტერმინი და არ წარმოადგენს დასაბამიდან არსებულ და უცვლელ ფენომენს. ეროვნული საგანმანათლებლო სისტემის შექმნით, რომლის საშუალებითაც მოხდა საერთო ღირებულებების გავრცელება სახელმწიფოებმა ითამაშეს გადამწყვეტი როლი ეროვნული კულტურისა და ეროვნული ცნობიერების ფორმირებაში. როდესაც ლაპარაკია ეთნიკური იდენტობის ცნებაზე, მისი მუდმივად ცვალებადი მნიშვნელობა უნდა იქნას მხედველობაში მიღებული.

საერთო იდენტობის ცნების შენარჩუნებისათვის პირისპირ ურთიერთობები აუცილებელია. იდენტობის კონსტრუირება ხდება იმ ადამიანებთან ურთიერთობის პროცესში, რომელთაგან იზიარებენ საერთო კულტურას, ტრადიციებს და ადათ-წესებს. ასეთი ურთიერთქმედებების ნაკლებობამ და ისტორიულ სამშობლოსთან ურთიერთობის ნაკლებობამ შეიძლება ეროვნული იდენტობის სრული დაკარგვა გამოიწვიოს. ერი ყალიბდება ხანგრძლივი და სისტემატური ურთიერთობების საფუძველზე, ხალხის საუკუნეების განმავლობაში ერთად თანაცხოვრების შედეგად. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ დეპორტირებულ მესხი მოსახლეობა დიდი ხნის განმავლობაში განზრახ იყო იზოლაციაში მოქცეული და მოკლებული იყო ურთიერთობას ქართველ ერთან (ხშირი დეპორტაციები) და არც ქართულ საგანმანათლებლო სისტემასთან მიუწვდებოდა ხელი, ჩვენ შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, თუ როგორ მოხდა არ ხალხის დენაციონალიზაცია და რატომაც განიცდიან ისინი ეროვნული იდენტობის კრიზისს. ვინაიდან დეპორტირებულ ხალხს არ გააჩნდა კონტაქტები საქართველოსთან და ისინი ფართოდ იყვნენ გაფანტულები სხვადასხვა ქვეყნებში, ისინი თავიანთ თავს არ აღიქვამენ საერთო ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებად. არ არსებობს მათ შორის თანხმობა საერთო იდენტობის შესახებ.

დეპორტირებულთა ერთი ნაწილი თვლის, რომ ეთნიკური თურქია, მეორე ნაწილი მიიჩნევს რომ ეთნიკური ქართველია, დეპორტირებული მესხების მნიშვნელოვან რაოდენობას კი არ გააჩნია მკაფიოდ გამოხატული ეთნიკური იდენტობა და მათი ეთნიკური იდენტობა ხშირად იცვლება სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის ცვალებადობასთან ერთად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის ხალხი, რომელთა განზრახ დენაციონალიზაცია მოხდა და იდენტობის სერიოზულ კრიზისს განიცდის. საბჭოთა კავშირის დაშლამდე დეპორტირებული ხალხი თავიანთ თავს აიგივებდა საბჭოთა კავშირთან და თვლიდა, რომ ისინი "საბჭოთა მოქალაქეები" იყვნენ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ეროვნული იდენტობის კრიზისი კიდევ უფრო მკაფიო გახდა. ეროვნული იდენტობის კრიზისი არის ასევე ეთნიკური იდენტობის, რელიგიური და ლინგვისტური იდენტობისაგან განსხვავების უუნარობის შედეგი. დეპორტირებული მესხი მოსახლეობის დიდი უმრავლესობისათვის ეთნიკური იდენტობა მჭიდროდ იყო და კვლავ არის დაკავშირებული რელიგიურ და ლინგვისტურ იდენტობასთან. დეპორტირებულთა დიდი უმრავლესობა თავიანთ თავს ეთნიკურ თურქად აღიქვამს, რადგან ისინი მაჰმადიანები არიან. ისინი თავს ეთნიკურ ქართველებად არ აღიქვამენ, რადგან ქართველობა ხშირად არის დაკავშირებული ქრისტიანულ რელიგიასთან. ამ შემთხვევაში რელიგია არის ეთნიკური იდენტობის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი. ეთნიკური იდენტობის ასეთ აღქმას ისტორიული ფესვები გააჩნია და შუა საუკუნეებიდან იღებს დასაბამს. უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ შუა საუკუნეებში, როდესაც ისლამმა დაიწყო გავრცელება მესხეთში, რელიგიური კუთვნილების სოციალური მნიშვნელობა უფრო დიდი იყო ვიდრე ეთნიკური კუთვნილების მნიშვნელობა. საუკუნეების განმავლობაში მესხები თავიანთ თავს აღიქვამდნენ იმ რელიგიის მიხედვით, რომელთა მიმდევრებიც ისინი იყვნენ. ისლამის მიღება მესხებისათვის გათურქების ტოლფასი იყო. ადამიანი აღიქმებოდა ეთნიკურ ქართველად სანამ ის ინარჩუნებდა ქრისტიანულ სარწმუნოებას და მართლმადიდებელი ეკლესიის ერთგული რჩებოდა. მაგრამ თუ ის გამაჰმადიანდებოდა

და ისლამს მიიღებდა, მაშინ ის მოიხსენიებოდა, როგორც "თათარი" ან როგორც "თურქი." ბევრი ქართულად მოლაპარაკე მუსლიმი მოიხსენიებოდა "თურქად" მესხეთში მათი მაჰმადიანური იდენტობის გამო. (მაჰმადიანი=თურქი, ქრისტიანი = ქართველი). ამრიგად, ისლამის მიღება ეთნიკური იდენტობის ცვლილების ტოლფასი იყო. თვითიდენტიფიკაცია ისევ მჭიდროდ არის დაკავშირებული რელიგიასთან. ხშირად ვლინდება რომ ეთნიკური იდენტობა მჭიდრო კავშირშია ან ემთხვევა რელიგიურ იდენტობასთან ან ლინგვისტურ იდენტობასთან. ზოგიერთ დეპორტირებულ მესხს ლოკალური იდენტობა განუვითარდა: მათ ურჩევნიათ თვითიდენტიფიცირება მოახდინონ იმ სოფელთან ან დასახლებასთან, სადაც დეპორტაციამდე ცხოვრობდნენ. როდესაც ეკითხებიან მათი ეთნიკური იდენტობის შესახებ, ხალხი ასახელებს მათი სოფლის სახელს საქართველოში. (Trier & Khanzhia, 2007)

ეროვნული იდენტობის კრიზისი აისახება, ასევე, იმ მრავალრიცხოვან ტერმინებში, რომლებსაც იყენებენ მეცნიერები დეპორტირებული ხალხის აღსანიშნავად. ეროვნული იდენტობის კრიზისი აშკარა ხდება, როდესაც სახელმწიფო ჰკარგავს ეროვნული იდენტობის დეფინიციის მონოპოლიას და საზოგადოება ვერ თანხმდება ეროვნული იდენტობის სათანადო განსაზღვრების შესახებ, რის გამოც ხალხს სხვადასხვა ინტერპეტაცია და უამრავი დეფინიცია გააჩნია ეროვნული იდენტობის შესახებ. ეროვნული იდენტობა სახელმწიფოს მიერ არის თავსმოხვეული ხალხზე და როდესაც სახელმწიფო კარგავს ამ უნარს სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის ცვლილების გამო, ხდება იდენტობის კრიზისის წარმოშობა. რამოდენიმე ათწლეულის შემდეგ ეს კრიზისი შეიძლება კიდევ უფრო გაღრმავდეს. დეპორტირებულ მესხებს მათი იდენტობის სრული დაკარგვის სერიოზული საფრთხე ემუქრებათ, რაც გამოწვეულია სხვადასხვა ქვეყნებში გაფანტულობით და განსხვავებული სოციალურ-პოლიტიკური გარემოში ცხოვრებით. მათი ქართული იდენტობა კიდევ უფრო დაკნინდება, თურქულ იდენტობასაც გადაგვარება ემუქრება იმ, ქვეყნებში სადაც მესხები კომპაქტურად არ ცხოვრობენ და თურქულენოვანი მოსახლეობა არ არის. ეთნიკურ იდენტობაზე

დიდი გავლენა მოახდინა იმ სახელმწიფოების პოლიტიკამ, რომლებიც მესხებს მართავდნენ დიდი ხნის განმავლობაში. რუსული და თურქული იმპერიები ახორციელებდნენ მესხების გათურქების პოლიტიკას. ორივე იმპერიას ასეთი პოლიტიკის გატარების სხვადასხვა მიზეზები ჰქონდა. ამ პოლიტიკამ მესხებში თურქული იდენტობის გაძლიერებას შეუწყო ხელი. საბჭოთა ეროვნულმა პოლიტიკამაც დიდი გავლენა მოახდინა მაკმადიანი მესხების თვითაღქმაზე. საბჭოთა ეროვნულმა პოლიტიკამ ხელი შეუწყო მესხების დენაციონალიზაციას და ამ პოლიტიკის შედეგად არ არსებობს სახელმწიფო, რომელიც მესხებს თავისი ერის ნაწილად აღიქვამს. ხშირი გადასახლებები და დეპორტაციები სერიოზული დაბრკოლება იყო საერთო იდენტობის ფორმირებისათვის, რამაც ხელი შეუშალა ამ ხალხის ინტეგრაციას ქართულ საზოგადოებაში. ამ პოლიტიკის შედეგად დეპორტირებულ ხალხი თავიანთ თავს ერთიან ეთნიკურ ჯგუფად არ აღიქვამს და მათი თვითაღქმა ცვალებადი და მერყევია. დეპორტირებული ხალხი არ არის ჰომოგონური ეთნიკური ჯგუფი და ეს ფაქტორი არის სერიოზული დაბრკოლება საერთო იდენტობის ფორმირებისათვის.

ზემოთ დასახელებული დაბრკოლებების და საერთო ეთნიკური წარმომავლობის არარსებობის მიუხედავად, საერთო ისტორიული ბედი და დეპორტაციით გამოწვეული უბედურების განცდა აერთიანებს დეპორტირებულ ხალხს. ხშირი დეპორტაციები და დეპორტაციებით გამოწვეული უბედურების განცდა არის მნიშვნელოვანი გამაერთიანებელი ფაქტორი. ბევრი მკვლევარი ამტკიცებს, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა, რამაც დეპორტირებული ხალხის იდენტობის ფორმირებას შეუწყო ხელი, იყო თვით დეპორტაცია, რომელსაც ძლიერი ტრანსფორმაციული ეფექტი ჰქონდა დეპორტირებული ხალხის ეთნიკურობაზე. მრავალეთნიკური ხალხის კონსოლიდაციაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა და "დაზარალებული ხალხის" ცნების განვითარებას ხელი შეუწყო დისკრიმინაციის განცდამ და საერთო ნეგატიურმა მოგონებებმა როგორც არის მაგალითად საქართველოდან გადასახლება, ფერდანას ტრაგედია, მათი უფლებების ხშირი დარღვევები და კრასნოდარის მხარეში

განცდილი დამცირებები. (Trier & Khanzhin, 2007) საერთო რელიგიამ ასევე ითამაშა გამაერთიანებლის როლი და ის გახდა ბირითადი ფაქტორი კოლექტიური იდენტობის კონსტრუირების დროს. რელიგია არის სიმანდვილემში მთავარი შემაკავშირებელი ძალა, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ხალხს. ისლამის მიღებამ საფუძველი ჩაუყარა განსხვავებულ ისლამურ იდენტობას, რაც გახდა სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების გამაერთიანებელი ძალა. მან საფუძველი ჩაუყარა საერთო კულტურულ ნორმებსა და ღირებულებებს დეპორტირებული ხალხისათვის. ამრიგად რელიგიამ ითამაშა მნიშვნელოვანი როლი განსხვავებული იდენტობის ფორმირებაში. მიუხედავად საერთო ისლამური იდენტობის არსებობისა, წარსულში ბევრი მაჰმადიანი მესხი მოიხსენიებდა საკუთარ თავს როგორც "Garcu donme", ან როგორც "Yerly Musliman" (ქართულად ადგილობრივ მუსლიმს ნიშნავს), რათა ხაზი გაესვა მისი ადგილობრივი წარმომავლობისათვის და განსხვავებისათვის, რაც მათსა და დანარჩენ მაჰმადიანებს, ჩამოსახლებულ ეთნიკურ ჯგუფებს შორის არსებობდა.

მიუხედავად იმისა რომ თურქები პატივს სცემენ სამხრეთ საქართველოდან დეპორტირებულ ხალხს, ისინი მათ არ აღიქვამენ თანამედროვე თურქული ერის ნაწილად. დეპორტირებული ხალხიც გრძნობს, რომ მათი კულტურა შორსაა ოცდამეერთე საუკუნის თურქეთის კულტურისაგან. 1829 წლიდან მოყოლებული მათ თურქეთის საზღვრებს მიღმა მოუწიათ ცხოვრება. მათი კულტურა განსხვავებულია, რომელსაც ქართული კულტურის და ასევე იმ ქვეყნების ძლიერი გავლენა ეტყობა, სადაც მათ უწევთ ცხოვრება. თურქეთის მოქალაქეებისაგან განსხვავებით, დეპორტირებული მესხები აუთსაიდერები იყვნენ თურქული ერისახელმწიფოს ფორმირების დროს. ყველა გაათურქებული ეთნიკური ჯგუფი, რომელიც ადრე ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიებზე ცხოვრობდა, მაგრამ შემდეგ თურქეთის რესპუბლიკის საზღვრებს მიღმა აღმოჩნდა, შეიძლება თავს ეთნიკურ თურქად ასალებდეს, მაგრამ ისინი თურქების მიერ არ აღიქმებიან როგორც "ნამდვილი" თურქები და თურქი ერის წევრები. თურქები თვლიან, რომ

ისინი არიან თურქული სამყაროს ნაწილი და მონათესავე ერებს მიეკუთვნებიან, მაგრამ მათ არ აღიქვამენ როგორც “ნამდვილ” თურქებს. (Иконников, 2002)

დეპორტირებულ ხალხს არასოდეს არ უთქვამს უარი საქართველოში დაბრუნებაზე, მათ ყოველთვის საქარველოში დაბრუნების დიდ სურვილი ჰქონდათ. მაგრამ მესხებს შორის უთანხმოება და აზრთა სხვადასხვაობა, კონფლიქტები ეთნიკური წარმომავლობის შესახებ სერიოზულად აკნინებს მათ მოძრაობას და რეპატრიაციის შესაძლებლობას. მესხურ სოლიდარობას აკნინებს კონფლიქტები პროთურქული და პროქართული ორიენტაციის მესხებს შორის. მუდმივი კამათია იმასთან დაკავშირებით თუ რა სახელწოდებით უნდა მოიხსენიებოდეს დეპორტირებული ხალხი, გამაჰმადიანებულ ქართველებად თუ ეთნიკურ თურქებად. ეთნიკურობაზე კამათი და დეპორტირებული მოსახლეობის პროთურქულ და პროქართულ ძალებს შორის კონფლიქტი ხშირად იწვევს ისეთი ფუნდამენტალური საკითხების გადაფარვას და უკანა პლანზე დაყენებას, როგორცაა რეპატრიაცია და ადამიანის უფლებები.

რუსეთის მზაკვრულმა პოლიტიკამ გამოიწვია მაჰმადიანი მესხების სრული გაუცხოება ქართველი ერისაგან, რომელთანაც მათ საერთო ისტორიული მემკვიდრეობა აკავშირებდა. რუსეთის მიზანი ყოველთვის იყო ეთნიკური და რელიგიური განსხვავებულობის სტიმულირება საქართველოში. მაჰმადიანი მესხების თაობები ათწლეულების განმავლობაში აზერბაიჯანულ სკოლებში იზრდებოდნენ და მათ არ ჰქონდათ საშუალება მშობლიურ ენაზე მიეღოთ განათლება. რომ არა რუსეთის მიზანმიმართული ჩარევა საქართველოს შიდა საქმეებში სავსებით შესაძლებელი იქნებოდა საერთო იდენტობის კონსტრუირება და მაჰმადიანი მესხების ინტეგრაცია ქართულ საზოგადოებაში. მაგრამ ხშირი გადასახლებები და დეპორტაციები სერიოზული დაბრკოლება აღმოჩნდა საერთო იდენტობის ფორმირებისათვის. რუსეთი კავკასიაში ყოველთვის “დაყავი და იბატონეს” პოლიტიკას ატარებდა და მაჰმადიანი მესხების ინტეგრაცია ქართულ საზოგადოებაში მის ინტერესებში არასოდეს არ შედიოდა.

ბიბლიოგრაფია:

1. დავითაშვილი, ზ. (2003). ნაციონალიზმი და გლობალიზაცია, თბილისი: "მეცნიერება".

2. ბერძენიშვილი, (1990) საქართველოს ისტორიის საკითხები, თბილისი.

3. ჯავახიშვილი, ჯ. & სარჯველაძე, ნ. (2007). ეროვნებათაშორისი ურთიერთობების მართვა, თბილისი: გამომცემლობა "ნეკერი."

4. Aydingün, A. B., Harding Ç. B., Hoover M., Kuznetsov I. & Swerdlow S. (2006). Meskhetian Turks: An Introduction to their History, Culture and Resettlement Experiences, Center for Applied Linguistics, Washington, retrieved January 30, 2010, from the World Wide Web: <http://www.cal.org/CO/pdffiles/mturks.pdf>

5. Ghazinyan, A. (2008). Big Caucasus Turmoil": Pro-Turkic demographic change in Georgia may spell out Armenia's deeper isolation, ArmeniaNow , retrieved January 30, 2010, from the World Wide Web: <http://www.armenianow.com/?action=viewArticle&AID=3394&lng=eng&IID=1210&CID=3260>

6. ფონდი "ღია საზოგადოება- საქართველო" & მოსახლეობის კვლევის ეროვნული ცენტრი (2000). 1944 წელს სამხრეთ საქართველოდან დეპორტირებული მოსახლეობის პრობლემები: წარსული, თანამედროვეობა, პერსპექტივები, (კონფერენციის მასალები) თბილისი.

7. Бараташвили, Л. & Бараташвили, К. (1988) Мы, Месхи..., Литературная Грузия, Тбилиси: "Самшობლო."

8. ჯანიაშვილი, ლ. (2006a). 1944 წელს სამხრეთ საქართველოდან გასახლებულთა ეთნიკური ვინაობის საკითხისათვის, თბილისი: "ინტელექტი".

9. უმაროვ-გოზალიშვილი, ხ. (2005). მესხთა ტრაგედია, თბილისი: "კავკასიური სახლი".

10. Federal Union of European Nationalities (FUEN) (1999) Fact Finding Mission to Azerbaijan and Georgia, retrieved January 30, 2010, from the World Wide Web: http://www.fuen.org/pdfs/199910FFMGeorgia_Azerbaijan.pdf

11. Trier, T., & Khanzhin, A. (2007). *The Meskhetian Turks at the Crossroads: Integration, Repatriation or Resettlement?*, Berlin: Lit Verlag.
12. Meylakhs, P. (2008). "Ethnic Bridges and Multiple Homelands: The Case of the Meskhetian Turks", retrieved January 30, 2010, from the World Wide Web: http://www.allacademic.com/meta/p253240_index.html
13. O'Neil, P. H. & Rogowski, R. (2004). *Essential Readings in Comparative Politics*, New York: W. W. Norton & Company.
14. Иконников, А. (2002) К вопросу о наших турках, *Континент*, Алматы. Retrieved January 30, 2010, from the World Wide Web: <http://www.continent.kz/2002/23/13.html>

Summary

This article describes changing nature of Meskhetian identity which is a major sign of national identity crisis. Researchers and scientists, supporters of different theories of ethnicity disagree whether ethnicity is fixed or malleable. Primordialism views ethnicity and ethnic identity as permanent and static which is impossible to replace. On the other hand Constructivism holds that ethnic groups are not something primordial but in reality are socially and politically constructed entities. Constructivists argue that ethnic identity is not a fixed and static phenomenon. It is fluid and capable of adapting to changing socio-political circumstances. People may switch from identifying with one ethnic group to identifying with a different group. This phenomenon can be better observed in the borderlands, where people have multiple ethnic options and may switch from identifying with one ethnic group to identifying with a different group. The loss of Georgian identity and turkification of Meskhetians can be explained with the constructivist conception of ethnicity. Constructivist conception of ethnicity helps us to understand the changing nature of Meskhetian identity. Meskheta as a borderland fell prey to its more powerful neighbors and therefore, its population's ethnic identity often changed. Borderlands and frontiers as it is known are potential zones for ethnic change.

Multiple deportations and constant displacements were the serious obstacle to the creation of the common identity, which prevented the integration of this people into Georgian society. As a result deported people lack the conception of themselves as a unified people and their self-perception is inconstant and is subject to change.

О ВОСПОМИНАНИЯХ ДЕПОРТИРОВАННОГО НАСЕЛЕНИЯ ИЗ ЮЖНОЙ ГРУЗИИ

Депортация 15 ноября 1944 года мусульманской части грузинского народа из Самцхе-Джавахети – была окончательным итогом замысла о разделе и высылке грузинского народа. Это горе всего грузинского народа и особенно ее депортированной части. У этого депортированного народа отняли национальность, язык, фамилию, а в конце и Родину с гражданством. Этот народ тысячелетиями здесь жил, творил, созидал и, самое главное, ценой своей жизни защищал южные ворота Грузии. Месхетинцы себя считают коренным населением – «иерли», а в период высылки, для отличия от других народностей называли себя «свой народ» «свои» – «бизим щенник».

За что этот депортированный народ получил такое тяжелейшее наказание и вечную высылку?

С такой раной в сердце было очень трудно войти в контакт; Не каждый мог открыть наполненную горем душу. Люди потеряли доверие всему Советскому государству и правительству. За период высылки, почти 70 лет, им приходилось защищать себя и свой род; На чужих не женились и не выходили замуж. Они сохранили свой грузинский генотип. Они верили только единому богу и тому, что рано или поздно возвратятся на Родину в Грузию.

Депортированные Месхи всегда жили компактно и даже сейчас это видно и ощущается. Такое компактное проживание спасло их от смешивания и растворения среди «чужих».

Учитывая их прошлую, трудную жизнь, мне было трудно при опросах не поранить их душу, я постепенно входил в контакт с ними один на один потому, что при других они не говорили или молчали. Они боялись властей. Эти беседы проводились с 1980 г по настоящее

время. Говорить об и национальности было бессмысленно, так как государство их объявило вначале азербайджанцами, затем турками и выслало. Поневоле они оказались такими, какими они сейчас являются.

В основном, меня интересовало, что у них осталось в памяти после такой тяжелой жизни. Оказалось, чтоб они помнили очень многое, но молчали. Да и никто их нормально и по человечески не спрашивал. Всего я провел опрос жителей 56 сёл. Я установил следующее:

во многих сёлах, до и после высылки, люди разговаривали на грузинском языке. Среди них были чистые мусульманские сёла, которые разговаривали на одном грузинском языке, это Свири, Бога, Мугарети, Орпола и др. Были смешанные сёла, где проживали мусульмане и христиане, интересно то, что представители обеих религии знали грузинский и турецкие языки, это: Вале, Уде, Татаниси и др. А в остальных сёлах, особенно в Адигенском и Аспиндзском районах превалировал турецкий язык, но понимали и грузинский.

1. На вопрос, кто вы по национальности или кем вы себя считаете жители в сёлах Адигенского, Ахалцихского и части Аспиндзского районов 95% опрошенных отвечали, что они коренные, иерли, а их предки грузины. Были единичные случаи, когда утверждали, что они коренные, но турки, т.е. считали себя турками. Азербайджанцев, курдов, таракаман среди опрошенных не было.

3. Из опрошенных все были мусульманами.. До мусульманства они были христианами, что доказывают старые сохранившиеся церкви, монастыри, подземные тоннели, связывающие их с сёлами. Эти места знают коренные жители – Месхи.

Месхи -мусульмане считали святыней не только мечети, но и церкви, которые они охраняли до высылки.

У Месхов – мусульман имена до настоящего времени 90% арабские и 7-8% форские, 2-3% прочие (греческие, еврейские – имена пророков). После принятия мусульманства пророк Мухамед запретил кушать свинину, пить спиртное, делать вино. В настоящее время Месхи – мусульмане в основном употребляют спиртное, многие едят свинину, сами делают вино.

Месхи-мусульмане признают всех пророков от Адама до Мухамеда.

Они толерантны ко всем религиям и национальностям.

Среди них распространено единобрачие. Месхи преданы своим семьям и государству.

4. О фамилиях. До высылки почти во всех сёлах Адигенского, Ахалцихского, Аспиндзского и отчасти Ахалкалакского и Ниноцминдского районов люди знали свои грузинские фамилии. Дело в том, что в 1929-1944 гг, месхов насильно азербайджанизировали, государство меняло грузинские фамилии на азербайджанские.

Менялись не только фамилии, но и национальность. Их заставляли изучать азербайджанскую литературу и культуру. В требовании месхов об открытии грузинских школ, были отказы. В эти годы в Месхетии, особенно в Адигенском и немного в Ахалцихском районах, образовалась похожая на азербайджанскую автономию, культура. Из Азербайджана приглашались сюда учителя, артисты, ставили спектакли (в Адигенском районе) на азербайджанском языке, распространялись книги азербайджанских поэтов и писателей. Грузинский язык абсолютно не использовался. В такой обстановке месхетинцы теряли фамилии, культуру, язык, обычай. На Финскую и Вторую мировую войну 1939-1945 их забирали в Советскую армию как азербайджанцев. Герои того времени считались не грузинскими, а азербайджанскими.

У Месхов фамилия означало имя рода. Например, в селе Зарзма до высылки были следующие фамилии: Чиквандзе, Такидзе, Чичинадзе, Турманидзе. В Шави: Тамидзе, Туртагидзе. В Адигенском р-не: Бакрадзе, Шарашидзе, Окрунелидзе, Хозреванидзе, Хатгуридзе.

В Уткусубани: Шамшанидзе, Саникидзе, Демонидзе, Машоидзе.

По нашим опросам не было сёл без грузинских фамилий.

5. О топонимике сёл и местностей.

Было выявлено названия местностей на старогрузинском языке, что свидетельствует о том, что депортированное население – грузины, жители этого края.

В селе Намниаури выявлено следующие названия местностей:

Тиликана, Гогонала, Накирвала, Экалаури, Гучарети, Чермуги, Камиштури, Чакели, Серибикона, Каканети, Гогораули, Цицими, Лекнари, Аквана, Огробоя, Берикло;

В селе Зарзма – Никутни, Батончала, Садабавра, Мути, Чоло, Эчва, Курута, Накорда, Торохли, Тланва, Наузари, Нарояни, Хазыа, Улибачка, Ахалаури, Чуваркела, Дунеси, Бокела, Грмачала, Гадарбена, Тахуриболо, Тахур, Аварзнени, Гогобили, Таротана, Асаталла, Гахьян, Сатаре, Буки, Чахрахи.

В селе Уткисубани – Набослеви, Гагмакана, Бахцени, Чинчала, Тени, Наниети, Машаберети, Чоло, Наквери, Сацумпия, Садцбелия, Гелекана, Найлени, Гадагма, арка, Элкези;

Как видно из всех опрошенных 56 сёл сохранились выше перечисленные названия местностей, т.е. на старогрузинском языке.

6. Все опрошенные месхетинцы отметили что этот регион издавна назывался Месхетским, временами его называли Кваблиани или мусульманской Грузией, но какое бы название он не имел – это край, где могилы наших отцов и дедов.

Мы жили дружно со всеми: с грузинами, армянами, евреями... помогали друг-другу в трудные времена.

После депортации многие помнили свои грузинские фамилии, названия местностей, где родным языком был грузинский. Все говорили о том, что Месхи, коренные жители Самцхе-джавахети, а не пришельцы из Средней Азии. Решение вопроса Месхов мы считаем сугубо внутри грузинским вопросом. Парламент Грузии должен рассмотреть этот вопрос как неотложный и принять новый нормальный закон о репатриации с механизмом действия и обеспечить защиту прав Месхов.

რეპატრიანტთა სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოში

2007 წლის 11 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ყოფილი საბჭოთა კავშირის მიერ 20-ე საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-დან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ“.

ამ კანონის მიზანია ყოფილი სსრკ-ის მიერ 20-ე საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-დან იძულებით გადასახლებულ პირთა და მათ შთამომავალთა საქართველოში დაბრუნებისათვის სამართლებრივი მექანიზმის შექმნა. ამ კანონით დადგენილი რეპატრიაციის სისტემა ეფუძნება ისტორიული სამართლიანობის აღდგენას, ღირსეული და ნებაყოფლობითი დაბრუნების პრინციპებს და ეტაპობრივ რეპატრიაციას. კანონის ძალით სამშობლოში დაბრუნების მსურველ დეპორტირებულ პირებს და მათ შთამომავლობას საქართველოს იუსტიციის სამინისტროში სათანადო განაცხადის წარდგენა მართებდათ, რის შემდეგაც მათ რეპატრიანტის სტატუსის და საქართველოს მოქალაქეობის გამარტივებული გზით მიღება შეეძლოთ. სამწუხაროდ, სავალდებულო განაცხადი ყველა მსურველმა არ წარადგინა, ვადა კი 2010 წლის 1 იანვარს ამოიწურა და სამშობლოში დაბრუნების მსურველთა ერთი ნაწილი რეპატრიანტის სტატუსის მიღების გარეშე დარჩა.

მართალია, მოქალაქეობის მიღება მათ „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანული კანონის საფუძველზე მაინც შეუძლიათ, მაგრამ ეს გზა სოციალური, ჯანდაცვის, საგანმანათლებლო თუ ეკონომიკური ხასიათის დამატებით სირთულეებთან არის დაკავშირებული. 2007 წელს მიღებული კანონისა, „ყოფილი სსრკ-ის მიერ 20-ე საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრკ-დან იძულებით გადასახლებულ

პირთა რეპატრიაციის შესახებ“ პრობლემების კომპლექსური გადაწყვეტისაკენ ხელისშემშლელი ფაქტორები კვლავ არსებობს, რის გამოც ევროსაბჭომ ახალი რეზოლუცია მიიღო, რომლითაც რეპატრიაციის დასრულება 2013 წლამდე გადაიდო.

რეპატრიაციის პრობლემა დღესაც ერთ-ერთი აქტუალური, მნიშვნელოვანი და გადაუჭრელი პრობლემაა: საქართველოს კანონის „ყოფილი საბჭოთა კავშირის მიერ 20-ე საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-დან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ“ გამომდინარე დეპორტირებულმა მესხებმა შეიტანეს განცხადებები, როგორც თავიანთ ქვეყნებში, საქართველოს წარმომადგენლობაში, ასევე საქართველოს იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში.

ამ ეტაპზე იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში დასრულებულია განცხადებების მიღება, თუმცა კონკრეტულად არ არის დადგენილი ვადა, რომლის განმავლობაში განიხილება და გადაწყდება სტატუსის მინიჭების საკითხი, რის გამოც განუსაზღვრელი ვადით ჭიანჭურდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ იმ პირთა რეპატრიანტის სტატუსის მინიჭების საკითხი, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან რეპატრიანტის სტატუსის მქონე მამიებელ პირთა მონაცემთა ერთიან ბაზაში.

პრობლემატურია თვითრეპატრირებული მესხების მიერ ბინადრობის მოწმობების მიღების საკითხი. მმართველობას ორგანოების მიერ ექმნებათ ხელოვნური ბარიერები, არ ეძლევათ ბინადრობის მოწმობები დაუსაბუთებელი დასკვნების საფუძველზე, არადა სასამართლოში ვერ ახერხებენ სარჩელების შეტანას ეკონომიკური პირობების გამო.

რეპატრიანტის სტატუსის მქონე პირებს უფლება აქვთ მიიღონ საქართველოს მოქალაქეობა გამარტივებული წესით საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის #87 დადგენილების საფუძველზე. მისი ხელშემშლელი ერთ-ერთი ბარიერი ისიცაა, რომ ძირითადად სხვა რესპუბლიკებიდან, კერძოდ, აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან

არ ხდება დროულად იმ დოკუმენტაციის წარმოდგენა, რომელიც აუცილებელია მოქალაქეობის მიღებისათვის. რეპატრირებულ მესხებს საქართველოს მოქალაქეობისათვის სხვა ქვეყნების მოქალაქეობიდან გამოსვლისას დიდი სიძნელები ხვდებათ. ამ საკითხის გადაწყვეტისას არსებობს მოსაზრება, მიზანშეწონილია გამოყენებული იქნეს ის გამოცდილება, რომლებიც დაგროვდა ყირიმელი თათრების რეპატრიაციის შემთხვევაში. კერძოდ, უკრაინისა და უზბეკეთის მიერ ერთმანეთთან დადებული ხელშეკრულების მსგავსად, საქართველომ უნდა დადოს ხელშეკრულება აზერბაიჯანთან, უზბეკეთსა და სხვა სახელმწიფოებთან, საიდანაც მოსალოდნელია მესხთა რეპატრიაცია საქართველოში - ამ ხელშეკრულებებში გათვალისწინებული უნდა იქნას მოქალაქეობიდან გასვლისა და მოქალაქეობის მიღების შეთანხმებული პროცედურები.

საქართველოს სახელმწიფო ხელს უწყობს უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებს საქართველოსთან კავშირისა და ეროვნული იდენტობის შენარჩუნებასა და საქართველოში დაბრუნებაში, რის გამოც მიღებული იქნა კანონი „უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების შესახებ“, რისი სარგებლობის უფლება რეპატრირებულ მესხებმაც გამოიყენეს. მაგრამ დღემდე არც ერთ მათგანს, ვინც შეიტანა განცხადება თანამემამულის სტატუსის შესახებ, პასუხი არ მიუღია, ხოლო ვინც მიიღო, ისიც უარყოფითია.

თვითრეპატრირებულების მდგომარეობა უაღრესად არასახარბიელოა განათლების სისტემაშიც. საქართველოს კანონის „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების შესახებ“ განათლების მინისტრის 2012 წლის 6 იანვრის ბრძანების 4-ე მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად უჩერდებათ მოსწავლის სტატუსი, თუ უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი (გარდა საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირისა) სტანდარტული ვაუჭერის შესაბამის თანხას არ შეიტანს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესაბამის სახაზინო ანგარიშზე, ვინაიდან არ არიან საქართველოს

მოქალაქეები და ამავე დროს არ აქვთ შესაძლებლობა გადაიხადონ ვაუჩერის საფასური უჩერდებათ მოსწავლის სტატუსი. ამჟამად ასეთი 22-მდე ბავშვია, რომლებიც სწავლობენ ქართულ საჯარო სკოლებში და ვერ იხდიან სწავლის საფასურს ვაუჩერის სახით, არადა ისინი ვაუჩერებით სახელმწიფოსაგან არ ფინანსდებიან, რის გამოც ირღვევა საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის 3-ე ნაწილი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 1 დამატებითი ოქმი, მუხლი 2, ევროსაბჭოს სოციალური ქარტიის 10-ე მუხლი ბავშვთა უფლებათა კონვენციის 28-ე მუხლის 1 პუნქტი.

თვითრეპატრირებულების მდგომარეობა ასევე არასახარბიელოა სამედიცინო, დასაქმების, სოციალური უზრუნველყოფის, სახელმწიფო საზღვრის გადალახვის, ქონების გაფორმების, საყოფაცხოვრებო თუ სხვა დასაქმების საკითხებში. ხელოვნურად ექმნებათ ბარიერები თვითრეპატრირებულ მესხებს ქონების შეძენასთან დაკავშირებით. კერძოდ, (ნოტარიუსებსა და საჯარო რეესტრებში) საჯარო რეესტრებში არ ხდება ნასყიდობის ხელშეკრულებით უძრავი ქონების გადაფორმება. ნოტარიუსები თავს არიდებენ ნასყიდობის ხელშეკრულებების გაფორმებას. უარი ეთქვა ზოგიერთ თვითრეპატრირებულს სახელმწიფო საზღვრის გადმოკვეთისათვის, სადაც დასკვნაში, რომელიც გაცემულია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, საფუძვლად მითითებულია საქართველოს კანონი „უცხოელთა და მოქალაქეობის არ მქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ 23-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი. რაც მიგვაჩნია არაკომპეტენტურად, რადგან არსებობს ეჭვი, რეპატრირებულებს ექმნებათ ხელოვნური ბარიერები და ასეთ შემთხვევაში შესამოწმებელია დასკვნის სანდოობის ნამდვილობა, რისი უფლებაც არასამთავრობო ორგანიზაციებს არა აქვთ. ადგილი აქვს ოჯახების ხელოვნურად გაყოფას, ნაწილს აქვს ნებართვა საქართველოში შემოსვლის, ნაწილს არა.

რეპატრირებული მესხების გვარის აღდგენის პროცედურა მეტად გართულებულია და მასთან დაკავშირებული ხარჯები მესხთა ეკონომიკურ შესაძლებლობებს აღემატება. ეს კი ართულებს მათ ინტეგრაციას საზოგადოებაში, ხშირ შემთხვევაში უქმნის

დამთრგუნველ კომპლექსებს და ხელს უწყობს მათ გაუცხოებას.

საქართველო არა ფორმალურად, არამედ მთელი სერიოზულობით უნდა ემზადებოდეს ამ პრობლემების გადასაჭრელად, რომ იგი მძიმე ტვირთად არ დააწევს მომავალ თაობებს.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მცხოვრებ რეპატრირებულ მესხთა უფლებები ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებთან დაკავშირებით დარღვეულია. მინდა თქვენი ყურადღება გავამახვილო მაჰმადიან მესხთა სამართლებრივ მდგომარეობაზე სამცხე-ჯავახეთში.

2011 წლის იანვრიდან სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ასოციაცია „ტოლერანტი“ „მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიურ ინსტიტუტთან“ და „აზერბაიჯანის ჰუმანიტარული კვლევის საზოგადოების ცენტრთან“ პარტნიორობით ახორციელებს ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტს „რეპატრირებულთა ჰუმანიტარული დახმარება „თვითრეპარტიაციის პრევენცია“ რომლის მიზანია საქართველოში ადაპტაციისა და ჰუმანიტარული დახმარების ცენტრების საქმიანობის გზით რეპატრირებულ მესხთა უფლებების დაცვა. კონკრეტულად:ამჟამად, სამცხე-ჯავახეთში ცხოვრობს რეპატრირებულ მესხთა 26 ოჯახი, მათ შორის საქართველოს მოქალაქეა 83, 32 შეტანილი აქვს დოკუმენტაცია სტატუსის მისაღებად, 35 არ მიუმართავს არსად, 9-ამ აიღო რეპატრირებულის სტატუსი.

ოზურგეთის რაიონის სოფელ ნასაკირალში არის 32, ოჯახი, ყველა საქართველოს მოქალაქეა. გარდა 1-ისა, ისიც ახლად მოყვანილი რძალია.

სამტრედიის რაიონის სოფელ იანეთში არის 27 ოჯახი, ყველა საქართველოს მოქალაქეა.

წითელუბანში არის 12 ოჯახი, 11-ს არ აქვს საქართველოს მოქალაქეობა.

2012 წელს ახალციხის რაიონიდან საქართველოს მოქალაქეობა მიიღო ბოდირშა ხამდიევმა და საქართველოს მოქალაქეობა დაუდგინდა ხეირია მურსალოვას.

სამართლებრივი თვალსაზრისით რეპატრირებული მესხების მდგომარეობა არასახარბიელოა. ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით სამცხე-ჯავახეთში მცხოვრებ მაჰმადიან მესხთა

გარკვეულ პროცენტს არა აქვს მინიჭებული მათ მიერ მოთხოვნილი საქართველოს მოქალაქეობა, თანამემამულის სტატუსი, თუ ბინადრობის მოწმობები, რომ აღარაფერი ვთქვათ უძრავი ქონების ნასყიდობებზე, რაც რა თქმა უნდა ხელს შეუშლის და შეაფერხებს მათი ისტორიული სამართლიანობის აღდგენას. ზემოთ აღნიშნულ მოქალაქეებს ერთადერთი გზა რჩებათ, რომ საქართველოს მოქალაქეობა მიიღონ საქართველოს ორგანული კანონის საქართველოს მოქალაქეობის შესახებ” 27-ე მუხლის შესაბამისად, 26-ე მუხლის „ა“, „ბ“ „გ“ და „დ“ პუნქტებითგათვალისწინებული პირობების დაუცველად და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების 2006 წლის 26 იანვრის #80 ბრძანებულების „უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შესახებ“ დებულების 2-ე მუხლის შესაბამისად.

სამგზე-ჯავახეთში მცხოვრები დეპორტირებული მესხები, რომლებსაც 2008-2009 დაწერილი აქვთ განცხადებები რეპატრიანტის სტატუსის მინიჭების შესახებ, დღემდე მათი განცხადებები განხილული არ არის. ესენია: ზანნა გოვჰაროვა (წინაპართა გვარია – თურმანიძე), დაბადებული ადიგენის რ-ნი სოფ. დიდი სმადა; იუნუს გოვჰაროვი; ფაბზია გოვჰაროვა; რაჰმან ნაზიროვი (წინაპართა გვარია - ალანდარიძე); გულხან ნაზიროვი. ისინი რამდენიმე წელია ელოდებიან პასუხს, რეპატრირებულის სტატუსის მინიჭების შესახებ, რის გამოც ურთულდებათ მოქალაქეობის მიღება გამარტივებული წესით. 2012 წლის 21 სექტემბერს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან იბულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროდან მიღებულ იქნა ჩვენი მოთხოვნის თანახმად პასუხი, რომ განცხადებებს რეპატრიანტის სტატუსის მინიჭების შესახებ სამინისტრო განიხილავს „ყოფილი სსრკ-ის მიერ მე-20-ე საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-დან იბულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, არადა კანონში არსად არ არის მითითებული ვადები იმის შესახებ, რომ განცხადებების განხილვას რეპატრიანტის პირის მაძიებლად ყოფნისა და რეპატრიაციის სტატუსის მინიჭების შესახებ სჭირდებოდეს რამდენიმე წელი.

არიან ადამიანები, რომლებსაც 2008-2009 წლებში ჰქონდათ შეტანილი განცხადებები რეპატრიანტის სტატუსის მინიჭების შესახებ, მაგრამ აღნიშნული არ არის შესული არც საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში და არც წარმომადგენლობაში საზღვარგარეთ, სადაც ეს ადამიანები მუდმივად ცხოვრობენ. ფაქტობრივად განცხადებები დაკარგულია. მაგალითად, ლტოლვილთა სამინისტროდან 2012 წლის 12 სექტემბერს მიღებული აქვს პასუხი ასოციაცია „ტოლერანტს“ იმის შესახებ, რომ ჰუსეინ ბასატოვის (წინაპრების გვარი - ლორთქიფანიძე) განცხადება, რომელიც როგორც თვითრეპატრირებული 2007 წლიდან ცხოვრობს აბასთუმანში, რეპატრიანტის სტატუსის მინიჭების შესახებ არ შესულა. ასევე არ არის აღრიცხვაზე იმავე სამინისტროში ფარმან დურსუნოვის (წინაპრების გვარი - სანიკიძე) განცხადება.

ამ ადამიანთა უფლებები კიდევ უფრო დარღვეულია, ვინაიდან მათ განმეორებით აღარ აქვთ უფლება შეიტანონ განცხადება რეპატრიანტის სტატუსის მინიჭების შესახებ, რამეთუ ვადა ამოწურულია, ხოლო საქართველოს ორგანული კანონი მოქალაქეობის შესახებ თავისი სტადიებით უფრო მეტ სირთულეებთან არის დაკავშირებული.

ფლორა ფაზლიევა (წინაპრების გვარი-ცაცანიძე) დაბადებული 1995 წელს, მშობლებთან ერთად საქართველოში ცხოვრობს 2007 წლიდან, მისი მშობლები საქართველოს მოქალაქეები არიან. ფლორა ფაზლიევას მისცეს საქართველოს მოქალაქეობა, მაგრამ იგი, როდესაც მიემგზავრებოდა პოლონეთში, რომელიც შერჩეული იქნა ბავშვთა ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად, ჩათვალა, რომ მას მოქალაქეობა შეცდომით ჰქონდა მიღებული და გააუქმეს. დღესდღეისობით ფლორა ფაზლიევას მიღებული აქვს მხოლოდ ბინადრობის მოწმობა.

თვითრეპატრირებულებს უჭირთ არა თუ რეპატრიაციის სტატუსის და საქართველოს მოქალაქეობის მიღება, რომელიც განზრახ ჭიანჭურდება და გაჭიმულია დროში, არამედ ბინადრობის მოწმობის მიღებაც კი. კერძოდ, თვითრეპატრირებულმა რამილ

ფაზლიევმა (წინაპრების გვარი-ცაცანიძე) დაბადებული 1983 წელს, მისი მშობლები და მეუღლე საქართველოს მოქალაქეები არიან, ისინი ცხოვრობენ საქართველოში, ახალციხეში 2007 წლიდან, განცხადება ბინადრობის მოწმობის მიღებაზე შეიტანა სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2012 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილებით რამილ ფაზლიევს უარი ეთქვა მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე. საფუძვლად მითითებულია საქართველოს კანონი „უცხოელთა და მოქალაქეობის არ მქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ 23-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, რის თანახმად „თუ არსებობს კომპეტენტური ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ“.

ზემოთ აღნიშნული მუხლის „ბ“ ქვეპუნქტიდან დაწყებული „კ“ ქვეპუნქტით დამთავრებული საჭვოა, რომ რომელიმე პუნქტი დარღვეული ჰქონოდა რამილ ფაზლიევს, ხოლო თუკი არსებობს კომპეტენტური ორგანოს დასკვნა, მისი სანდოობა და ნამდვილობა ჩვენთვის ხელმიუწვდომელია, არსებობს ეჭვი, რომ რამილ ფაზლიევს ხელოვნური ბარიერი ექმნება, რომ მან არ მიიღოს საქართველოში ცხოვრების მუდმივი ბინადრობის მოწმობა. კერძოდ, სამცხე-ჯავახეთში, რამეთუ, იგივე საფუძვლებით მიეცა ბინადრობის მოწმობა, სოფელ იანეთში მცხოვრებ მოქალაქეს.

-მაჰმუდ გოვჰაროვი (წინაპრების გვარი-თურმანიძე) დაბადებული 1938 წელს, ადიგენის რ-ნი სოფ. დიდი სმადა, 1944 წელს განახლებული იქნა შუა აზიაში, იგი აზერბაიჯანის მოქალაქეა.

2008 წელს მისი ოჯახი - მეუღლე, შვილი, რძალი, შვილიშვილები საცხოვრებლად შემოვიდნენ საქართველოში, როგორც თვითრეპატრირებულები. მათ ჰქონდათ დაწერილი განცხადებები რეპატრიანტის სტატუსის მინიჭების შესახებ, მაგრამ მათი განცხადებები საერთოდ არ არის აყვანილი აღრიცხვაზე არც ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში და არც

საქართველოს წარმომადგენლობაში აზერბაიჯანში.

მაჰმუდ გოვჰაროვი ვინაიდან არ იყო საქართველოს მოქალაქე, მხედველობა არ ჰქონდა ცალ თვალში,სამკურნალოდ წავიდა აზერბაიჯანში, მაგრამ დაბრუნებისას სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე იგი საქართველოში არ შემოუშვეს. არსებობს შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპეტენტური ორგანოს დასკვნა, რომ მას უარი ეთქვა საქართველოში შემოსვლაზე - საქართველოს კანონი „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ 14-ე მუხლი 1 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე (საქართველოში მისი ყოფნა საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ წესრიგს და უშიშროებას, საქართველოს მოქალაქეებისა და საქართველოში მცხოვრებ პირთა ჯანმრთელობას, უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას). ეს დასკვნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან გადმოგზავნილი იქნა სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური ასოციაცია „ტოლერანტი“ 24.02.2012წ. #245948. აღნიშნული დასკვნა, ისევე როგორც რამილ ფაზლიევის მიმართ გაცემული დასკვნა, არის საეჭვო, მაჰმუდ გოვჰაროვის მთელი ოჯახი იმყოფება საქართველოში, იგი ჩარჩენილია აზერბაიჯანში, მისი მოვლა იქ უზღებდათ მეზობლებსა და ახლობლებს. ადგილი აქვს ოჯახის ხელოვნურ გაყოფას.

სამცხე-ჯავახეთის ასოციაცია „ტოლერანტი“-დან გაგზავნილი იქნა წერილები სხვადასხვა ინსტანციებში. 2012 წლის 3 სექტემბერს საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს უშიშროების საბჭოს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახალხო დამცველის აპარატში, სადაც ვითხოვდით მაჰმუდ გოვჰაროვისადმი დახმარებას, არც რეპატრიანტის სტატუსს, არც საქართველოს მოქალაქეობას, არც ბინადრობის მოწმობას, მხოლოდ ერთს, მას მისცემოდა საშუალება ჩამოსულიყო საქართველოში თავის ოჯახთან და სიცოცხლის ბოლო წლები გაეტარებინა აქ. საქართველოს შსს სამინისტროსაგან მივიღეთ უარყოფითი პასუხი, საქართველოს კანონის უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ 14-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად. სხვა უწყებისაგან არანაირი პასუხი არ მიგვიღია.

სოფელ აბასთუმანში მცხოვრებ მეხრიბან ბინალიევას

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსაგან 2012 წლის ოქტომბერში უარი ეთქვა მოქალაქეობის მიღებაზე გამარტივებული წესით, დარღვეულია საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის #87 დადგენილება „რეპატრიანტის სტატუსის მქონე პირისათვის საქართველოს მოქალაქეობის გამარტივებული წესით მინიჭების შესახებ“.

დარღვეულია სოფელ კლდეში მცხოვრებ რეიზ მანზულოვის სამოქალაქო უფლებები. იგი 2008 წლიდან ცხოვრობს საქართველოში, როგორც თვითრეპატრირებული. მას თავის დროზე შეტანილი ჰქონდა განცხადება რეპატრიანტის სტატუსის მინიჭების შესახებ და განცხადება საერთოდ არ არის აღრიცხული. მან 2009 წელს სოფელ კლდეში შეიძინა საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთი, რომელიც საკუთრების უფლებით დაარეგისტრირა საჯარო რეესტრში. მიიღო საჯარო რეესტრიდან ამონაწერი საკუთრების უფლებაზე, მაგრამ რამდენიმე ხანში გაურკვეველი მიზეზებით საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ახალციხის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ ბათილად იქნა ცნობილი გადაწყვეტილება საცხოვრებელი სახლისა და მიწის ნაკვეთის მიკუთვნებს შესახებ, ვინაიდან იგი არ იყო საქართველოს მოქალაქე, ვერ შეიძენდა საცხოვრებელ სახლს და მიწის ნაკვეთს.

ყველასთვის ცნობილია ის სტიქიური უბედურება, რაც დაატყდა 2012 წლის ზაფხულში როგორც კახეთს, ასევე სამცხე-ჯავახეთს. გაანადგურა ნათესები, საცხოვრებელ სახლებსა და დამხმარე სადგომებს გადაეხადა სახურავი. ადგილობრივმა თვითმმართველობამ როგორც სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებულს, უარი უთხრა რეიზ მანზულოვს, ვინაიდან იგი არ არის საქართველოს მოქალაქე და ამდენად ვერ დაეხმარებოდნენ საცხოვრებელი სახლის გადახურვაში ან შიფერის გადაცემაში.

ასევე დარღვეულია რეიზ მანზულოვის შვილის, მუსტაფა (ნათლობის სახელი - გიორგი, მოინათლა მართლმადიდებლური წესით) მანზულოვის ინტერესები. იგი ახალციხის #2 საჯარო სკოლის მე-8-ე კლასის მოსწავლეა. მან შეიტანა განცხადება თანამემამულის სტატუსთან დაკავშირებით, რადგან სამომავლოდ მიეცეს საშუალება ატესტატის აღებისა და საქართველოში სწავლის

გაგრძელებისათვის. საქართველოს იუსტიციის სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს გადაწყვეტილებით 2012 წლის 5 ოქტომბერს #1000289645 მუსტაფა მანზულოვს უარი ეთქვა თანამემამულის სტატუსის მინიჭების შესახებ, სადაც საფუძვლად მითითებულია საქართველოს კანონი: „უცხოეთში მცხოვრები თანამემამულებისა და დიასპორულ ორგანიზაციების შესახებ“, მე-9 მუხლის 1 ნაწილი. აღნიშნული საფუძველი კი ითვალისწინებს: უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმას.

თანამემამულის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის არც ერთი საფუძველი მუსტაფა მანზულოვის მიმართ არ არსებობს.

მუსტაფა მანზულოვს, რომელიც მე-8 კლასის მოსწავლეა არ შეიძლება ჰქონდეს განხორციელებული საქართველოს ინტერესების საზიანოდ რაიმე ქმედება. მას არ ჰქონდა არანაირი ყალბი დოკუმენტი თანამემამულის სტატუსის მისაღებად. ასევე მას თანამემამულის სტატუსის მიღებისათვის ყველა დოკუმენტი ჰქონდა წარდგენილი, რასაც ითვალისწინებს ზემოთ აღნიშნული კანონის მე-5 მუხლის 1 პუნქტი.

ამდენად, დასკვნა-გადაწყვეტილება თანამემამულის სტატუსის მიღებაზე უარის თქმის შესახებ დაუსაბუთებელია და კიდევ ერთხელ ილახება ადამიანის უფლებები.

სავალალო მდგომარეობაში არიან რეპატრირებული მესხი ბავშვები, რომლებიც სწავლობენ საჯარო სკოლებში. ასეთი სულ 22 ბავშვია. საქართველოს კანონის „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების შესახებ“ განათლების მინისტრის 2012 წლის 6 იანვრის ბრძანების საფუძველზე 4-ე მუხლის „გ“ პუნქტის შესაბამისად უჩერდებათ მოსწავლის სტატუსი თუ უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არ მქონე პირი (გარდა საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არ მქონე პირისა) სტანდარტული ვაუჩერის შესაბამის თანხას არ შეიტანს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესაბამის სახაზინო ანგარიშზე. ვინაიდან ეს ბავშვები ჯერ არ არიან საქართველოს მოქალაქეები, მათი დაფინანსება ვაუჩერით სახელმწიფოსაგან ვერ ხერხდება და

დადგენილი წესით უზრუნველყოფს მოსწავლის სტატუსი.

ყოველი ახალი სასწავლო წლის დადგომისას სამცხე-ჯავახეთის ასოციაცია „ტოლერანტი“ აღნიშნულ მოსწავლეებს გადასცემს სასკოლო სახელმძღვანელოებს, მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარია ისაა, რომ ჭიანჭურდება მოქალაქეობის მიღების საკითხი და ყველა შესაძლო საყოფაცხოვრებო თუ სამართლებრივი პრობლემა მათი თანმდევი.

ასოციაცია „ტოლერანტმა“ 4-ჯერ მიმართა საქართველოს განათლების სამინისტროს დახმარებისათვის მოსწავლეთა ვაუჩერებით დაფინანსების შესახებ და დღემდე პასუხი არ ჩანს. იმედია ახალი ხელისუფლება გაითვალისწინებს სხვა დანარჩენ პრობლემებთან ერთად მესხ ბავშვთა სწავლების საკითხსაც და დაეხმარებიან მათ.

-ალი მეხრიევი (წინაპრების გვარი - ყურაძე) ცხოვრობს სოფ. ახასთუმანში. ახალციხის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 22 ივნისის განაჩენით ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ს 239-ე მუხლის 1 ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 1 (ერთი) წლის ვადით.(დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა 2000 ლარი, რაც გადაიხადა) რაც საქართველოს სსკ-ს 63-64-ე მუხლის საფუძველზე შეეცვალა პირობითი მსჯავრით - 2 წლის გამოსაცდელი ვადით.

ალი მეხრიევმა ნასამართლობის მოხსნის თაობაზე მიმართა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს, პრობაციის ეროვნული სააგენტოს სამცხე-ჯავახეთის პრობაციის სამსახურს. მან მიუთითა, რომ გასულია გამოსაცდელი ვადის ნახევარზე მეტი, ერთი წელი და 4 თვე, მის შემდეგ სხვა დანაშაული არ ჩაუდენია, ხასიათდება დადებითად, არის 44 წლის, მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის აფხაზეთის ომში, ჰყავს ოთხი შვილი, აქედან უმცროსი 2 წლის - ეპილეფსიით დაავადებული და 2-ე ჯგუფის ინვალიდია. ყოველთვის ცხადდება პრობაციის სამსახურში დანიშნულ დროს, არანაირი დარღვევა არ აქვს. მიუხედავად ზემოთ აღნიშნული შემამსუბუქებელი გარემოებისა, პრობაციის სამსახურმა არ გაითვალისწინა მისი მდგომარეობა და

ნასამართლობის მოხსნაზე უარი ეთქვა. კიდევ კარგი წამოეწია 2012 წლის 28 დეკემბრის კანონი ამნისტიის შესახებ.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ამჟამად სასჯელს იხდის სულეიმან ბარბაქაძე (თაღლითობისათვის), მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა 11 წლის ვადით. მიუხედავად მისი განსხვავებული ხედვისა რეპატრიაციის პროცესებთან დაკავშირებით ეს არ უნდა ყოფილიყო მის მიმართ, ეგ. წ. სისხლის სამართლის საქმის „შეკერვისა“. ამით კიდევ ერთხელ დაირღვა ადამიანთა უფლება. აღნიშნულ პირთა უფლებებისა დარღვევა თუ ჩინოვნიკის ნებაზეა დამოკიდებული, დასკვნა თქვენთვის მოგვიჩვენეთა მსმენელო.

ამრიგად, თქვენი მოწვევის მიზანი დღევანდელ კონფერენციაზე ერთ-ერთი ისიცაა, რომ ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემები იქნებ ერთობლივი ძალისხმეირი ქმედებებით ერთხელ და სამუდამოდ გადაიჭრას.

Summary

On July 11, 2007 the parliament of Georgia adopted the Law on “Repatriation of Forcefully Deported Persons from Georgian SSR by the Soviet Union in 1940s”. The aim of the law is to create a legal mechanism for the return of forcefully deported persons from Georgia in 40s of the 20th century and their descendents to Georgia, and to restore historical justice, to provide for voluntary return and gradual repatriation. Pursuant to the law, those willing to repatriate had to apply for the status of repatriate, on the basis of which they would acquire Georgian citizenship through simplified procedures. Regretfully, many did not file necessary applications, whereas the deadline for the submission of applications expired on January 1, 2010. Due to this, many deported and their descendents were left without a status of repatriate. Barriers to the complex solution of the implementation of the law still

exist. Considering that the Council of Europe adopted new resolution, based on which the repatriation deadlines were postponed until 2013. Currently, the Ministry of Internally Displaced Persons from Occupied Territories, Refugees and Accommodation has finalised the receipt of the applications, though there is no deadline defined for processing of applications for repatriate status from the date of their submissions. Some words about the legal conditions of Muslim Meskhetians in Samtskhe-Javakheti: award of residence permits to self-repatriates remains problematic, they cannot receive them without well-certified grounds. Barrier to the award of Georgian citizenship through simplified procedures is that the documents, necessary for the award of the citizenship, are not provided on time from other countries, namely Azerbaijan. The Law of Georgia on "Compatriots/Expatriates Residing Abroad and Diaspora Organisations" was also used by Meskhetians, though none of them was awarded the status of compatriot. The Meskhetian children encounter unfavorable conditions at the educational institutions. Pursuant to paragraph "C" of the Article 4 of the Decree of the Minister of Education and Science of January 6, 2012, the status of pupils is suspended for the citizens of foreign country or those without citizenship, if they fail to pay for their education by voucher; however they do not receive state voucher financing, which implies breach of human rights. Conditions of self-repatriates in terms of medical assistance, social security, state border crossing, property registration, employment and other issues are poor. Considering all the above mentioned, the Samtskhe-Javakheti Regional Association "Toleranti" has applied several times to the relevant ministries to restore justice, though the problems still remain unresolved.

მუსლიმი მესხები და ქართული მედია 2011 -2013 წწ

შესავალი

მონიტორინგი ზოგადად გულისხმობს ინფორმაციის სისტემატურ შეკრებასა და დამუშავებას რომელიმე კონკრეტულ საჭირბოროტო საკითხზე და მიღებული ცოდნის გამოყენებას არსებული ვითარების გასაუმჯობესებლად.

მედიის მონიტორინგი სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციაა, რომელიც პროფესიონალური და დამოუკიდებელი ჟურნალისტიკის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

სათაური პირობითია, რადგან მოხსენება მთლიანად ქართულ მედია სივრცეს ნამდვილად არ მოიცავს. პროექტის – „რეპატრირებულთა ჰუმანიტარული დახმარება „თვითრეპატრაციის“ პრევენცია“ ფარგლებში თვალყურს ვადევნებდი სხვადასხვა მედია საშუალებებს, რომლებიც მუსლიმი მესხების თემას აშუქებდა და აქცენტზე სწორედ ამ მედია-სუბიექტებზე გავაკეთე. გამოიკვეთა ძირითადად ბეჭდური მედია.

პრესის მედია-მონიტორინგი მოიცავს რაოდენობრივ და თვისებრივ კომპონენტებს. რაოდენობრივში შედის სუბიექტებისთვის დათმობილი ფართობი და გაშუქების ტონი. თვისებრივი მონიტორინგის კომპონენტები კი არის: ბალანსი, მიუკერძოებლობა, ფაქტებზე დაყრდნობილი გაშუქება, წყაროთა მრავალფეროვნება, საკითხის მნიშვნელობა, თემის ანალიტიკურობა (რამდენად სიღრმისეულადაა საკითხი გაშუქებული), ჟურნალისტიკის/სტატიის ენა.

თვისებრივად მონიტორინგის დროს ასევე ყურადღება ექცევა ბალანსს ანუ რამდენად არის სტატიაში წარმოდგენილი გაშუქებული საკითხის გარშემო არსებული განსხვავებული

მოსაზრებები. ასევე სიზუსტეს, რომლის შესაფასებლადაც მონიტორი აკვირდება, თუ რამდენად შესაბამისია ერთმანეთთან ჟურნალისტის დასკვნა და სტატიაში გამოყენებული მასალები. არის თუ არა შეცდომები სახელწოდებებში, რიცხვებში, რესპონდენტების ვინაობაში. ამ მხრივ კი ნამდვილად გვხვდება ხარვეზები

რადგანაც ეს არ არის ტიპიური მედია-მონიტორინგი და მხოლოდ ზოგადი ანალიზით შემოვიფარგლები, კონკრეტული მაგალითების დასახელებისგან თავს შევიკავებ, თუმცა მინდა აღვნიშნო, რომ საკმაოდ ცნობადი გაზეთები ორგანიზაციის სახელწოდებებში, რიცხვებში, რესპონდენტების გვარსა და სახელებში, კანონმდებლობაში ხშირად უშვებენ შეცდომებს. ეს განპირობებულია იმით, რომ მედია საშუალებების უმეტესობა, მხოლოდ სატელეფონო ზარებით შემოიფარგლება და მხოლოდ ერთეული ჟურნალისტები ჩადიან ადგილზე მუსლიმი მესხების პრობლემების გასაცნობად. იშვიათად არის ასევე ზუსტი მონაცემები, თუ რამდენმა მუსლიმმა მესხმა შეიტანა რეპატრიანტის სტატუსზე დოკუმენტაცია, აქედან რამდენმა მესხმა მიიღო სტატუსი, რამდენს აქვს მოქალაქეობა. რამდენი ოჯახში ცხოვრობს საქართველოში. მთლიანი ბაზა, სადაც მოცემულია საქართველოში მცხოვრები მუსლიმი მესხების არა მარტო რაოდენობა, არამედ მთლიანი მოინაცემები მათ შესახებ სამცხე-ჯავახეთის რეგიონულ ასოციაცია „ტოლერანტს“ აქვს.

მონიტორინგისთვის შერჩეული მედია საშუალებები

სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ორენოვანი (ქართული სომხური) გაზეთი „სამხრეთის კარიბჭე“, netgazeti.ge ჟურნალი „ტაბულა“ ჟურნალი „ლიბერალი“, გაზეთი „24 საათი“

ჟურნალი „ტაბულა“

სტატია „დეპორტირებული მესხები: „ფერგანამდე და უკან“ ორი წლის განმავლობაში ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი სტატია მუსლიმი მესხების შესახებ. ავტორები: ლევან სუთიძე, სალომე უგულავა

„სამხრეთის კარიბჭე“

თამამად შეიძლება ითქვას, რომ გაზეთს არ დარჩენია არცერთი მნიშვნელოვანი მოვლენა მუსლიმი მესხების შესახებ, რომ არ

გაეშუქებინა. გაზეთი თანაბრად წერდა, როგორც პრობლემებზე, ასევე მუსლიმი მესხების ყოველდღიურობაზე. ჟურნალისტები მკითხველს აწვდიდნენ საკმაოდ საინტერესო მასალას სამშობლოში დაბრუნებულ მოსახლეობაზე.

ზემოთ აღნიშნული მედია საშუალებების მიერ ჟურნალისტური საქმიანობის განხორციელებისას დაცული იყო ძირითადი ჟურნალისტური სტანდარტები, როგორცაა ბალანსი, ობიექტურობა და ადამიანის ფუნდამენტურ უფლებების პატივისცემა.

მწირი მასალა საშუალებას არ იძლევა ვისაუბროთ რეგიონალურ ტელეკომპანიებში მუსლიმი მესხების თემის გაშუქებასა და ტენდენციებზე, თუმცა გამოყოფ ადგილობრივ, რეგიონულ ტელეკომპანია „მეცხრე არხს, რომელიც დინამიურად, პროფესიონალურად აშუქებდა მუსლიმი მესხების პრობლემასა თუ ყოველდღიურობას.

გაზეთ „24 საათი“ -ში არ მოიძებნა არცეთი სტატია მუსლიმი მესხების შესახებ.

ჟურნალი „ლიბერალი“ შემოიფარგლა სახალხო დაცველის 2012 წლის ანგარიშის მიმოხილვით, თუმცა წინა წლებში (2009 -2010) „ლიბერალი“ საკამოდ ხშირად წერდა მუსლიმი მესხების შესახებ.

ბლოგი მუსლიმ მესხებზე

<http://meskhebi.wordpress.com> ბლოგი შეიქმნა ორგანიზაცია ტრანზიშნს ონლაინის (TOL) მიერ გამოცხადებული სოციალური მედიის მცირე გრანტის ფარგლებში, 2010 წლის ოქტომბერში და გაგრძელდა 2012 წლამდე.

„ჩვენი მიზანია ხელი შევუწყოთ საქართველოში დაბრუნებულ მაცმადიანი მესხების ინტეგრაციას“ – არის ბლოგის მთავარი ლოზუნგი, თამამად შეიძლება ითქვას, რომ განსხვავებით სხვადასხვა მედია საშუალებებისგან სწორედ ამ ბლოგში იყო განხილული მუსლიმი მესხების ყველა პრობლემა.

„იმისათვის, რომ შეიცვალოს საზოგადოების დამოკიდებულება მათადმი, ვფიქრობ, საუკეთესო გამოსავალია ეს ადამიანები თავად მოყვნენ თავიანთ ისტორიებს, სად და როგორ ცხოვრობდნენ, რატომ გადაწყვიტეს დაბრუნება და როგორი იყო მათი გზა სხვა

ქვეყნიდან უკან, სამშობლომდე“, – წერს ბლოგზე ბლოგის ავტორი ნინო ნარიმანიშვილი.

სიძულვილის ენა

1944 წლის 15 ნოემბრის ღამეს, საბჭოთა ხელისუფლებამ სამხრეთ საქართველოს მთელ რიგ რაიონებში განახორციელა მკაცრად გასაიდუმლოებული და მასშტაბური ოპერაცია: მესხეთის რამდენიმე ასეული სოფელი ერთ ღამეში დაცარიელდა. ათეულობით ათასი კაცი ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე შეყარეს სატვირთო მატარებელში და შუა აზიის გზას გაუყვნეს.

აღნიშნული დეპორტაცია განხორციელდა სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1944 წლის 31 ივლისის N6279-ს დადგენილებისა და იმავე წლის 20 სექტემბრის სსრკ შსს N00117 ბრძანების საფუძველზე, რომელიც ინსტრუქციით ადგენდა თურქების, ქურთების, ხემშილების, აზერბაიჯანლების, იეზიდებისა და თათრების საქართველოს სსრ-ს საზღვრისპირა რაიონებიდან, კერძოდ ახალციხის, ადიგენის, ახალქალაქის, ასპინძის, ბოგდანოვკის, აგრეთვე — აჭარის ა/რ ბათუმის, ქობულეთის, ქედისა და ხულოს რაიონებიდან სპეცგადასახლების წესსა და რიგს.

შენიშვნა: იმ დროინდელ ოფიციალურ დოკუმენტებში მაჰმადიანი მესხები მოხსენიებულნი არიან, როგორც თურქული წარმომავლობისა და ეროვნების პირები. ტერმინები — „კავკასიელი თურქები“, „საბჭოთა თურქები“, „მესხეთელი თურქები“ და „თურქი მესხები“ საბჭოთა კავშირის საინფორმაციო საშუალებების მიერ მოგვიანებით, 70-იან წლებში დამკვიდრდა, რომელთაგანაც უკანასკნელმა ორმა ტერმინმა განსაკუთრებით ფართო გავრცელება ჰპოვა.

„ტერმინი „სიძულვილის ენა“ მოიაზრებს გამოხატვის ყველა ფორმას, რომელიც ავრცელებს, იწვევს, ხელს უწყობს ან ამართლებს რასობრივ შუღლს, ქსენოფობიას, ითვლება, რომ ტერმინი „სიძულვილის ენა“ ფარავს სიძულვილის გამომხატველი გამოთქმების ფორმებს, გამოხატვის რა საშუალებაც უნდა იყოს გამოყენებული, ინტერნეტისა და ნებისმიერი სხვა მედიის ჩათვლით.“

ტერმინი „თურქი მესხი“ არაერთხელ არის გაუღერებული და დაწერილი სხვადასხვა მედია საშუალებებში.

წამყვანი მედია საშუალებები ტერმინს „თურქ მესხს“ ხმარობენ, თუმცა წინ უწერენ ეგრეთწოდებული, როცა უმარტივესია დაწერო მხოლოდ მუსლიმი მესხი.

იხილეთ ლინკი: http://www.interpressnews.ge/ge/index.php?option=com_content&view=article&id=234486:thurgethi-mzadaris-saqarthvelos-ets-thurqi-meskhebis-repatriaciashi-dakhmareba-gautsios&catid=5:politika&Itemid=6&ar=A

http://www.interpressnews.ge/ge/index.php?option=com_content&view=article&id=234443:davith-jandieri-ets-thurqi-meskhebis-repatriacize-gadatsyveteleba-momavlshi-iqneba-mighebuli&catid=5:politika&Itemid=6&ar=A

http://www.interpressnews.ge/ge/index.php?option=com_content&view=article&id=167402:qpanarmeniannetq-javakheli-somkhebi-mahmadiani-meskhebis-javakhetchshi-chasakhlebas-gaaprotesteben&catid=5:politika&Itemid=6&ar=A

თემა, რომელიც აქტუალურია, თუმცა არაპოპულარული მედია-ექსპერტ ზვიად ქორიძის თქმით საქართველოში დეპორტირებული მოსახლეობის შესახებ ინფორმაცია ქართულ მედიაში იშვიათად შუქდება.

„ერთი-ორი პუბლიკაციის გარდა, რეალურად ამ პრობლემას არავინ აშუქებს. ამ თემას საერთოდ არ ეხებიან ეროვნული მაუწყებლები. საზოგადოებრივ მაუწყებელს ეს პირდაპირ ევალება, – ამბობს ზვიად ქორიძე და ამატებს, რომ ამ თემით არც რეგიონული მედიასაშუალებები ინტერესდებიან: ყოველთვის ვადევნებ თვალს რეგიონულ მედიას. ძალიან ბევრი გაზეთი ამ თემას საერთოდ არ ეხება. იქაც ასეთივე მარტივი მიდგომაა, რომ ეს მხოლოდ სამცხე-ჯავახეთის პრობლემაა და რატომ უნდა გააშუქოს ამაზე მაგალითად კახეთმა“.

კავკასიური ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორის, ექსპერტის ავთანდილ ჯოხაძის თქმით, ქურნალისტები ამ საკითხში საკვანძო პოზიციაში არიან და მათი მოვალეობაა უშუალოდ შეზღვედნენ და გაეცნონ დეპორტირებული მოსახლეობის პრობლემებს.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ მათ სწორედ გააშუქონ ის საკითხები, რაც დეპორტირებულ მოსახლეობას ეხება:

„ინფორმაციის წყაროდ ამ ადამიანებს უნდა იყენებდნენ და არა სამოქალაქო ორგანიზაციებს, ან ხელისუფლებას. თუმცა, უნდა იყოს მეორე მხარეც. გარდა ამისა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, სამოქალაქო ორგანიზაციები და მედია კოორდინირებულად უნდა მოქმედებდნენ. ეს არის პოლიტიკური განზომილების მქონე სერიოზული პრობლემა და მარტო სახელმწიფო ვერ მოერევა“.

მუსლიმი მესხების პრობლემები, რომლების აუცილებლად უნდა გაშუქებულიყო ყველა მედია საშუალებით

1 – მოქალაქეობის არმქონე მოსწავლეებს მოსწავლის სტატუსი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის დიმიტრი შაშვინის 2012 წლის 6 იანვრის ბრძანების საფუძველზე შეუჩერდათ.

საქართველოს კონსტიტუცია უფლებას აძლევს ყველას მიიღოს ზოგადი განათლება. პრობლემა მართლაც იყო, თუმცა გაშუქდა მხოლოდ სამი მედია საშუალებით – ესაა „ნეტგაზეთი“, „სამხრეთის კარიბჭე და ადგილობრივ ტელეკომპანია „მეცხრე არხი“. სტატიებსა და სიუჟეტში კონკრეტულად იყო განხილული პრობლემა, ბალანსი დაცული იყო და ექსპერტებისა და იურისტების მიერ მოგვარების გზებზეც იყო საუბარი.

2- 76 წლის მუსლიმი მესხი მაჰმუდ გოვჰაროვი საქართველოში დაბრუნებას უკვე მესამე წელია უშედეგოდ ცდილობს.

მაჰმუდ გოვჰაროვი აზერბაიჯანში ექიმთან სამკურნალოდ 2011 წელს წავიდა. საქართველოში მას ოჯახი, ცოლი, შვილები, რძალი და შვილიშვილები ჰყავს, თუმცა მოხუცი უკან ვერ ბრუნდება.

მაჰმუდ გოვჰაროვი შვიდი წლის იყო, პირველად რომ გაასახლეს. 69 წლის წინ გასახლებული და დაბრუნებული 76 წლის მოხუცი აზერად სამშობლოში დაბრუნებას ისევ ითხოვს.

ეს ფაქტიც დარჩა მედია საშუალებების მიღმა და უყურადღებოდ.

სტატუსმინიჭებული მუსლიმი მესხების პრობლემებიც მედიის მიღმა დარჩა. სტატუსი არ არის მოქალაქეობა. სტატუსის მინიჭების შემდეგაც მუსლიმ მესხებს ბევრი პრობლემის გადალახვა უწევთ, მათ არ იციან კანონმდებლობა, არ იციან რა ნაბიჯები უნდა გადადგან სტატუსიდან მოქალაქობამდე. ასოციაცია „ტოლერანტი“

კონსულტაციებს ამ საკითხების ირგვლივ მათ ყოველთვის უწევს, თუმცა მედიის კოორდინირებულ მუშაობას ბევრი რამის შეცვლა შეუძლია.

მედია ცოტათი გააქტიურდა როცა 2012 წლის ომბუცმენის ანგარიშში საუბარი იყო მესხების რეპატრიაციის შესახებ, თუმცა ამჯერადაც ბეჭდური და სატელევიზო საშუალებები მხოლოდ ომბუცმენის ანგარიშის მიმიხილვით შემოიფარგლნენ.

ბეჭდური მედია საშუალებების მონიტორინგის მეთოდოლოგიის მიხედვით მონიტორინგის დროს დაკვირვება ხდება თანდართულ ილუსტრაციაზე. ფასდება ილუსტრაციის ტონი იმის მიხედვით, რა განწყობას უქმნის ფოტო მკითხველს.

ამ მხრივ გამორჩეულია „სამხრეთის კარიბჭისა“ და ტელეკომპანია „მეცხრე არხის“ სტატია-სიუჟეტები. სადაც ჟურნალისტებს თანამდებდროვე ფოტოების გვერით მოძიებული აქვთ არქივის ფოტოებიც

ქართულ მედიაში ვნებათაღელვა გამოიწვია საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მათა ფანჯიკიძის მიერ გაკეთებულმა განცხადებამ მუსლიმი მესხების რეპატრიაციასთან დაკავშირებით. არადა მინისტრმა განაცხადა, რომ რეპატრიაციის მსურველთა 5 000 ზე მეტი განცხადებაა შესული სამინისტროში. დაინტერესებული პირებისა და ამ საქმეზე მომუშავე ჟურნალისტებისთვის ეს ინფორმაცია ინტერესმოკლებული იყო, რადგან ეს ცნობილია უკვე დიდი ხანია.

ეს განცხადება ამა წლის მარტის თვეში გააკეთა მინისტრმა და ეს პერიოდი გამოირჩეოდა მედიაში მუსლიმი მესხების საკითხების გაშუქების მხრივ. თუმცა, ამავდროულად არ დადებულა სიღრმისეული მასალა თუ რა სიძნელებები ახლავს რეპატრიაციისა და „თვითრეპატრიაციის“ პროცესს.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ასოციაცია „ტოლერანტის“ ვებ გვერდზე – toleranti.ge და გაზეთი „ფესვებში“ რეგულარულად იწერებოდა მუსლიმი მესხების პრობლემებზე. მუდმივად ხდებოდა საზოგადოების ინფორმირება.

ქვეყანაში სამი მედია საშუალება ვერ შექმნის ამინდს. შედეგს ყველა მედია საშუალებების, არასამთავრობოებისა და სახელმწიფოს კოორდინირებული მუშაობა მოგვეცემს.

Summary

In general, monitoring implies regular collection and processing of information on any specific problematic issue and using the received knowledge to improve the existing situation.

Media monitoring is the function of the civil society, which contributes to formation of professional and independent journalism.

The title is general, as the thesis does not really cover the entire Georgian mass media. In the frames of the project "Provision of humanitarian assistance to repatriates, prevention of "self-repatriation", I was following different media means, which covered the issues of Muslim Meskhetians and I focused on exactly these media subjects. Mainly, the print media dominated.

Press monitoring includes quantitative and qualitative components. The quantitative part comprises the space dedicated to the subjects and the tone of the coverage. The qualitative component includes: balance, objectivity, coverage based on factual information, diversity of sources, significance of the issue, analysis of the topic (the level of in-depth coverage of the topic), language of journalist/article.

During the qualitative monitoring attention is also paid to balance, i.e. how the article manages to present several different opinions about the topic covered. Accuracy is another important component, which is assessed by the monitor by identifying the compatibility between the conclusion of the journalist and the materials used in the Article; whether there are mistakes in the titles, numbers, personality of respondents. We do come across inaccuracies in this regard.

Given that this is not typical media monitoring and I just made a general analysis, I shall refrain from naming concrete examples. Though, I would like to note that rather well-known newspapers make mistakes in titles of the organisations, numbers, names and surnames of respondents, legal matters. This is due to the fact that the majority of mass media means limit themselves with only telephone conversations and

only few journalists make field visits to familiarise with the problems of Muslim Meskhetians. The media rarely gives accurate data on how many Muslim Meskhetians applied to acquire the status of repatriate and how many of them did receive the status, how many Meskhetians have citizenship, how many of their families live in Georgia. The common data base, which includes not only number, but also data of Muslim Meskhetians living in Georgia, is at the Samtskhe-Javakheti Regional Association "Toleranti".

მაჰმადიან მესხთა რეპატრიაციის პროცესი ქართველი
პოლიტიკოსების აღქმაში
კვლევის ანგარიში

*"ჩვენზე არის დამოკიდებული ამ ადამიანების
მიმართ განხორციელებული უსამართლობის აღმოფხვრა"*

შესავალი

მესხების რეპატრიაციის პრობლემა თითქმის ნახევარ საუკუნეს ითვლის. 1944 წელს გადასახლებული მოსახლეობის საქართველოში დაბრუნების საკითხი დღის წესრიგში ჯერ კიდევ 50-იან წლებში, ე.წ. „დეტალინიზაციის“ პერიოდში დადგა. ბევრ სხვა დეპორტირებულ ხალხებისგან განსხვავებით, საბჭოთა ხელისუფლებამ მესხებს დაბრუნების უფლება არ მისცა. 70 – იან წლებში დისიდენტური მოძრაობის ქართველი წევრები ამ საკითხში საბჭოთა კავშირის პოლიტიკის წინააღმდეგ გამოდიოდნენ და მესხებს ქართველი ერის განუყოფელ ნაწილად თვლიდნენ (Kilimik, Tarkhan-Mouravi & Trier, 2011).

საბჭოთა რეჟიმის რღვევის პერიოდში ეროვნული მოძრაობის ლიდერებმა შეცვალეს საკუთარი შეხედულებები. თურქულენოვანი მოსახლეობის მასობრივ დაბრუნებაში მათ მომავალი სახელმწიფოსთვის საშიშროება დაინახეს. 90-იან წლებში კი საერთაშორისო საზოგადოების გავლენით საქართველოს პოლიტიკურმა ელიტამ მხარი დაუჭირა დაბრუნების პროცესის დაწყებას, თუმცა დიდი ხნის განმავლობაში პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათის სირთულეების გამო, ეს მხარდაჭერა უფრო ფორმალურ ხასიათს ატარებდა. 2007 წელს კანონის მიღებასთან ერთად რეპატრიაციის პოლიტიკამ უფრო ქმედითი ხასიათი მიიღო.

ყოველივე ზემოდთქმული აჩვენებს თუ რამდენად მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ რეპატრიაციის საკითხში საქართველოს პოლიტიკური ელიტები. ამავე დროს, მესხების რეპატრიაციის საკითხი დევნილობის წინააღმდეგ მიმართული საერთაშორისო რეჟიმის ნაწილად შეგვიძლია განვიხილოდ. ცივი

ომის დასრულების შემდეგ ამ რეჟიმის ფარგლებში რეპატრიაცია ლტოლვილობის პრობლემის გადაჭრის ყველაზე სასურველ სტრატეგიად იყო მიჩნეული, რასაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, პოსტ-საბჭოთა სივრცეზე არსებულმა უწესრიგობამაც მისცა ბიძგი (Toft, 2007).

საერთაშორისო რეჟიმების შესახებ არსებულ თეორიულ ლიტერატურაში საერთაშორისო რეჟიმების ფუნქციონირებაში პოლიტიკური ელიტების როლი სხვადასხვაგვარად არის გაშუქებული. კოგნიტიური თეორიის თანახმად, სახელმწიფოს მიერ დადებული ხელშეკრულებების და აღებული ვალდებულებების მხარდაჭერა ან უარყოფა ელიტების წარმომადგენლების იდეოლოგიური შეხედულებებით არის ნაკარნახევი. ამის საწინააღმდეგოდ, სტრუქტურალისტური, რაციონალურ არჩევანზე დაფუძნებული და ფუნქციონალისტური თეორეტიკოსები ამტკიცებენ, რომ ობიექტური გარემოებები პოლიტიკურ ლიდერებს უბიძგებენ, მათი იდეოლოგიური შეხედულებების მიუხედავად, დაიკავონ ის პოზიცია, რომელიც მიმდინარე მომენტში ყველაზე მეტად შესაბამეა სახელმწიფო ინტერესებს (Haggard & Beth, 1987).

ჩვენი კვლევის ამოცანა იყო კოგნიტივისტების თეზისის შემოწმება მესხების რეპატრიაციის საკითხთან მიმართებაში. რამდენად გავს ან განსხვავდება პოლიტიკოსთა წარმოდგენები მესხურ პრობლემაზე და მისი გადაჭრის გზებზე? ჩვენ ვვარაუდობდით, რომ პოლიტიკოსებს განსხვავებული ხედვები ექნებოდათ მესხური პრობლემის რაობაზე და შესაბამისად ამ პრობლემის მოგვარების სტრატეგიაზე.

წინამდებარე კვლევა არ ატარებდა აკადემიური ხასიათის. კვლევის მიზანი იყო იმის გაგება, თუ რა ღირებულებები და წარმოდგენები ახდენენ გავლენას პოლიტიკოსების პოზიციაზე რეპატრიაციასთან დაკავშირებით. აღნიშნული მიზნის მიღწევა დაეხმარება ასოციაცია "ტოლერანტს", მესხების საკითხებზე მომუშავე სხვა ორგანიზაციებს და თავად მესხთა სამოქალაქო ორგანიზაციებს მომავალში უკეთ დაგეგმონ რაიმე სახის ადვოკატირების კამპანია რეპატრიანტთა და „თვითრეპატრიანტთა“ უფლებების დასაცავად. კვლევა ჩატარდა პროექტ "რეპატრირებულთა ჰუმან-

ნიტარული დახმარება და თვითრეპატრიაციის პრევენცია” – ის ფარგლებში და წარმოადგენს ამ პროექტის ერთერთი კომპონენტის, კერძოდ, ადვოკატირების კომპონენტის შეფასებას. შეფასებისთვის არჩეულ იქნა სტრატეგია, რომელიც ლიტერატურაში ცნობილია როგორც ” ფორმატიული შეფასება ” (Formative evaluation, Patton, 2002). შეფასების ასეთი ტიპი განსხვავდება პროექტის შეფასების ტრადიციულ ფორმებისგან. მის მიზანს არ წარმოადგენს პროექტის მიმდინარეობის ან მისი შედეგების შეფასება. ფორმატიული შეფასების მიზანი არის სამომავლო საქმიანობის უკეთ დაგეგმვა.

კვლევის შედეგებმა არ გაამართლეს ჩვენი მოლოდინი. გამოკითხულ პოლიტიკოსებს შორის პრინციპული საკითხების გარშემო გამოვლინდა კონსენსუსის საკმაოდ მაღალი ხარისხი (კონტენტ – ანალიზის დროს მინიჭებული ქულების დიაპაზონი 3–დან 5–მდე, იხ. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი და მეთოდოლოგიის აღწერა). კონსენსუსის არსებობს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებში, როგორც არის მეხების საზოგადოებაში ინტეგრაციის საჭიროება, საგანმანათლებლო კამპანიის ჩატარების საჭიროება, მესხების კულტურულ უფლებების დაცვა და სხვა. იმ საკითხებიდან, რომელთა შესახებაც რესპონდენტებს შორის თანხმობა არ იყო, გამოყოფის ღირსია პროცედურული პრობლემები და ევროპის საბჭოს წინაშე აღებულ ვალდებულებებთან დაკავშირებული მდგომარეობა ამ ეტაპზე. შეიძლება ითქვას, რომ კვლევამ არ დაადასტურა კონიტიური თეორიიდან გამომდინარე ვარაუდი და აჩვენა, რომ ამ საკითხში პოლიტიკური ელიტები, პარტიული მიკუთვნებულობის მიუხედავად, სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის უცვლელობას უჭერენ მხარს.

ცხრილი. სხვადასხვა თემების გარშემო დეპუტატების მიერ
გამოთქმულ შეხედულებებს შორის თანხმობის საკითხი

საკითხი	შეთანხმებულობის დონე (მაქს. -5, მინ. -1)
რეპატრიაცია როგორც ისტორიული ვალდებულება	5
მესხების ეთნიკური მიკუთვნებულობა	5

ინტეგრაცია	5
რუსეთის როლი	5
პოლიტიკური პრობლემები: საზოგადოების დამოკიდებულება	4
პოლიტიკური პრობლემები: სამცხე - ჯავახეთის მოსახლეობის დამოკიდებულება	4
კულტურული უფლებების დაცვა	4
"თვითრეპატრიანტა" პრობლემები	3
პროცედურებთან დაკავშირებული პრობლემები (მ.შ. ვადები)	2
ევროპის საბჭოს წინაშე აღებული ვალდებულებები	2
პოლიტიკური პრობლემები: პარტიების დამოკიდებულება რეპატრიაციის საკითხის მიმართ	2
თურქეთის როლი	1

მეთოდოლოგია

კვლევის პირველ ეტაპზე მოხდა რეპატრიაციასთან დაკავშირებული უახლესი (ბოლო 2 წელი) პუბლიკაციების მიმოხილვა. შედეგად გამოვლინდა პუბლიკაციებში დასახელებული რეპატრიაციასთან/თვითრეპატრიაციასთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემების სია. პრობლემების ეს სია საფუძვლად დაედო ჩაღრმავებული ინტერვიუების მეგზურს (იხ. დანართი).

კვლევის სამიზნე ჯგუფს სხვადასხვა პარტიებიდან წარმოდგენილი საქართველოს პარლამენტის დეპუტატები შეადგენდნენ. კვლევის მიზანი იყო არსებულ შეხედულებათა მრავალფეროვნების გამოვლენა. შესაბამისად, გამოკითხულ იქნა პარლამენტში წარმოდგენილ თითქმის ყველა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი¹. რესპონდენტთა უმრავლესობა პარლამენტის ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის წევრები იყვნენ². სულ ჩატარდა 3 ჩაღრმავებული ინტერვიუ, ასევე წერილობით მიღებული იქნა პასუხები ორი დეპუტატისგან. წერილობითი სახით ინტერვიუს ჩატარების

¹ კვლევაში მონაწილეობაზე უარი თქვა პარტია „თავისუფალი დემოკრატები“-ს წევრმა ამ კომიტეტში ყველა პარტია წარმოდგენილი არ არის და შესაბამისად კვლევის ერთი მონაწილე სხვა კომიტეტის წარმომადგენელი იყო.

საჭიროება დეპუტატების შემჭიდროებულ სამუშაო გრაფიკთან იყო დაკავშირებული.

ინტერვიუების ტრანსკრიპტების და წერილობითი პასუხების დამუშავება მოხდა კონტენტ-ანალიზის მეთოდის გამოყენებით. ანალიზის დროს გამოყენებულ იქნა როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი კონტენტ-ანალიზის ელემენტები. ტრანსკრიპტების და პასუხების რმდენიმე გადაკითხვის შედეგად გამოიკვეთა რეპონდენტების მიერ დასახელებული ყველაზე მნიშვნელოვანი თემები. ანალიზის ერთეულად აღებულ იქნა ტრანსკრიპტის/წერილობითი დოკუმენტის ის აზვაცები, რომელშიც ყველაზე სრულად იყო წარმოჩენილი შესაბამისი თემა. გაანალიზებულ იქნა ამ თემაზე გამოთქმული შეხედულებები, ასევე შეხედულებებს შორის არსებული მსგავსებები და განსხვავებები. რაოდენობრივი ანალიზის მიზანი, კვლევითი კითხვიდან გამომდინარე, იყო გამოთქმულ მოსაზრებებს შორის თანხმობის ხარისხის გამოვლენა. თანხმობის ხარისხის გასაზომად ყოველ თემას მიენიჭა ქულა შკალაზე 1 –დან (მინიმალური) 5 –მდე (მაქსიმალური). ქულების გადანაწილება შემდეგი კრიტერიუმებით მოხდა:

5 – სრული თანხმობა პრინციპული ხედვების და სამომავლოდ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.

4 – სრული თანხმობა პრინციპული ხედვების და ნაწილობრივი თანხმობა სამომავლოდ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.

3 – სრული თანხმობა პრინციპული ხედვების გარშემო და უთანხმოების მაღალი ხარისხი სამომავლო მოქმედების კურსის შესახებ

2– ნაწილობრივი თანხმობა პრინციპული ხედვების გარშემო

1–პრინციპულ ხედვების გარშემო თანხმობის არარსებობა

ინტერვიუების და წერილობითი პასუხების ანალიზი

ამ ნაწილში გაანალიზებული იქნება დეპუტატების მიერ გამოთქმული მოსაზრებები რეპატრიაციის საკითხთან დაკავშირებით. დეპუტატების მოსაზრებები თემების მიხედვით

არის დალაგებული. ყოველი თემის სათაურთან მითითებული იქნება ქულა, რომლის მეშვეობითაც მოხდა ამ თემის შიგნით დეპუტატებს შორის თანხმობის შეფასება. ტექსტში დახრილი შრიფტით მოყვანილია ციტატები დეპუტატების ინტერვიუებიდან და წერილობით პასუხებიდან.

ევროპის საბჭოს წინაშე აღებული ვალდებულებები – 2

დღეს ვართ იმ ეტაპზე, რომ საქართველომ ნაწილობრივ შეასრულა აღებული ვალდებულება..... ვალდებულება უკვე შევასრულეთ იმის გათვალისწინებით, რომ 2007 წელს შეიქმნა საკანონმდებლო ბაზა, მაგრამ ბაზის შექმნა, თუკი ის არ არის ფუნქციონირებადი, ეს არ არის შესრულება.

გამოკითხულ დეპუტატთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ევროპის საბჭოს წინაშე აღებული ვალდებულებების მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე შესრულებულია. შემუშავებულია შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა და ამ კანონმდებლობის განხორციელების მექანიზმები, რეალურად დაიწყო რეპატრიაციის პროცესი. მათი აზრით, ვალდებულებების სრულად შესრულება მოხდება რეპატრიანტთა ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციის დაწყებასთან ერთად.

დეპუტატები გარკვეულ შეზღუდვებს ხედავენ იმაში, თუ რამდენად შორს შეიძლება წავიდეს სახელმწიფო აღებული ვალდებულებების შესრულების დროს. ეს შეზღუდვები ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობასთან და შიდა დევნილების არსებობასთან არის დაკავშირებული. ერთ-ერთი დეპუტატის თქმით, სწორედ ამის გამო ამბობს უარს საქართველო რაიმე სახის ეკონომიკური ვალდებულების აღებაზე. მეორე დეპუტატის აზრით, რეპატრიაციის პროცესში წარმოქმნილი ეკონომიკური პრობლემების გადასაჭრელად აუცილებელია სხვა ქვეყნებთან, მათ შორის, ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან, თურქეთთან ან რუსეთთან (ამ უკანასკნელის, მხოლოდ სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობის ფორმატში) თანამშრომლობა.

პროცედურების მაქსიმალურად გამარტივებისა და ორი წლის განმავლობაში, შემოტანილი განცხადებების მაქსიმალურად

დაკმაყოფილების შემთხვევაში, ევროსაბჭოს წინაშე აღებული ვალდებულებები გვექნება შესრულებული.

დეპუტატთა მეორე ჯგუფი ვალდებულების ფორმალურ მხარეზე ამახვილებს ყურადღებას. მათი აზრით, რეპატრიაციის სამართლებრივი მექანიზმების შემუშავების, ამ მექანიზმების დახვეწის და რაც შეიძლება მეტი განცხადების დაკმაყოფილების შედეგად, მოხდება ვალდებულებების სრული შესრულება. ეს დეპუტატები არ უარყოფენ ინტეგრაციის პრობლემის მნიშვნელობას, თუმცა, ინტეგრაციის საკითხს უფრო სახელმწიფოს შიდა პოლიტიკის კონტექსტში განიხილავენ.

რეპატრიაცია როგორც ისტორიული ვალდებულება – 5

შეგვეძლო აგვექნია ხელი ამ ვალდებულებაზე.... მაგრამ ეს არ იქნებოდა მთლად სამართლიანი და, მე ვიტყვოდი, ქართული.

რეპატრიაციის, როგორც ისტორიული უსამართლობის აღმოფხვრის, საკითხის მიმართ დეპუტატებს შორის სრული კონსენსუსი იკვეთება. ისინი თვლიან, რომ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სახელმწიფო არ წარმოადგენს საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრეს და მას არ აწევს ამ უკანასკნელის დანაშაულის შედეგების გამოსწორების პირდაპირი ვალდებულება, სახელმწიფო სწორად მოიქცა, როდესაც აღიარა ეს ვალდებულება და დაიწყო ამ ვალდებულების შესრულება. დეპუტატების აზრით, ეს ვალდებულება მორალურ ხასიათს ატარებს და დაკავშირებულია ისეთ საერთო საკაცობრიო ღირებულებებთან, როგორც, მაგალითად პასუხისმგებლობა და სამართლიანობა. დეპუტატების ნაწილი ამ კონტექსტში ასევე ქართული კულტურის თავისებურებებზე საუბრობს.

პოლიტიკური პრობლემები: საზოგადოების დამოკიდებულება

- 4

საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას უნდა შევეუწყოთ ხელი..... ვერ განხორციელდება რეინტეგრაცია, თუკი ეს კომპონენტი, ანუ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, არ იქნება სათანადო დონეზე გააზრებული.

გამოკითხული დეპუტატებიდან ყველა აღიარებს, რომ საზოგადოების ნაწილი რეპატრიაციის საკითხისადმი უარყოფი-

თად არის განწყობილი. გამოსავალს ისინი სახელმწიფოს მიერ საგანმანათლებლო კამპანიის ჩატარებაში ხედავენ.

დეპუტატებს განსხვავებული მოსაზრებები აქვთ მსგავსი განწყობების წარმოშობის მიზეზების შესახებ. ზოგი მიიჩნევს, რომ ეს განწყობები წარსულში მუსლიმი მოსახლეობის მხრიდან ქრისტიანულ მოსახლეობაზე განხორციელებული ძალადობის ფაქტებს უკავშირდება. სხვა დეპუტატების აზრით, მოგონებები ადგილობრივი მუსლიმების მხრიდან განხორციელებული ძალადობის შესახებ უფრო მეტად საბჭოთა უშიშროების მიერ შექმნილ მითებს ეყრდნობა, ვიდრე რეალურ ფაქტებს. კიდევ ერთი დეპუტატი თვლის, რომ მსგავსი განწყობები გამოწვეულია საბჭოთა რეჟიმის დროს და შემდგომ პერიოდში დაზარალებულ პირთა დიდი რაოდენობით; მისი აზრით, სახელმწიფოს მიერ დახმარების გაწევა დაზარალებულთა მხოლოდ ერთი კატეგორიისთვის შესაძლებელია გარკვეული უსამართლობის შეგრძნებას აჩენდეს.

დეპუტატების ნაწილი რეპატრიაციის საკითხისადმი უარყოფითი განწყობების ტირაჟირებაში ზოგიერთი პარტიის წარმომადგენლებს ადანაშაულებს.

პოლიტიკური პრობლემები: სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის დამოკიდებულება – 4

სამცხე-ჯავახეთში მოსახლეობის მიერ მათ ჩასახლებაზე გამოთქმული პროტესტის გამო არ უნდა შეჩერდეს ეს პროცესი.

კვლევაში მონაწილე ყველა დეპუტატი, მაჰმადიანი მესხების სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მასობრივ ჩასახლებაში გარკვეულ საფრთხეებს ხედავს. ეს საფრთხეები ადგილობრივი მოსახლეობის უარყოფით დამოკიდებულებასთან არის დაკავშირებული. ამ დამოკიდებულებას მხოლოდ ისტორიული მესხიერება არ უდევს საფუძვლად: თუ მესხები მოითხოვენ ჩასახლებას იმ ადგილებში, სადაც მათი წინაპრები ცხოვრობდნენ, დაპირისპირება შეიძლება ეკონომიკური რესურსების განაწილებასთან დაკავშირებით მოხდეს.

რესპონდენტებს განსხვავებული აზრი ჰქონდათ იმის შესახებ, თუ რა უნდა გაკეთდეს აღნიშნული პრობლემის თავიდან ასაცილებლად. ნაწილი მიიჩნევს, რომ სახელმწიფომ, პირველ

ეტაპზე მაინც, ხელი უნდა შეუწყოს მესხების სამცხე-ჯავახეთის ფარგლებს გარეთ დასახლებას. სხვა დეპუტატის აზრით, იმის გამო, რომ სახელმწიფოს ამ საკითხში არანაირი ფინანსური ვალდებულება არ აუღია, სამცხე-ჯავახეთში მესხების ჩასახლების თავიდან აცილება შეუძლებელი იქნება.

პოლიტიკური პრობლემები: პარტიების დამოკიდებულება რეპატრიაციის საკითხის მიმართ –2

არა მგონია ვინმეს [უარყოფით] დამოკიდებულებას გავლენა ჰქონდეს პროცესებზე.

კვლევის მონაწილეებმა ისაუბრეს საკუთარი და სხვა პარტიების დამოკიდებულებაზე რეპატრიაციის საკითხის მიმართ. გამოიკვეთა ორი პოზიცია. დეპუტატების ნაწილი მიიჩნევს, რომ რეპატრიაციის მოწინააღმდეგეების გავლენა პოლიტიკური ისტებლიშმენტის შიგნით უმნიშვნელოა. მეორე ნაწილის აზრით, პოლიტიკოსებს შორის საკმაოდ არიან ისეთებიც, რომლებიც რეპატრიაციის თემას ბოროტად იყენებენ და ამ საკითხის გარშემო ცრუ ინფორმაციასაც ავრცელებენ.

საკუთარ პარტიას დეპუტატები წარმოაჩენენ პასუხისმგებლობის მქონე ძალად, რომელიც რეპატრიაციის საკითხს სახელმწიფოებრივი ინტერესების და საერთაშორისო ვალდებულებების კუთხით უყურებს.

მესხების ეთნიკური მიკუთვნებულობა – 5

მესმოდა..... რომ ჩამოვიდნენ ჩვენი ფერი და ხორცი, რომლებმაც იქ ფერი იცვალეს, დაავიწყდათ ენა და ახლა ბრუნდებიან უკან.

ინტერვიუების დროს დეპუტატები საუბრობდნენ მესხების ეთნიკური მიკუთვნებულობის შესახებ. ყველა მათგანის წარმოდგენით, მესხები ეთნიკური ქართველები არიან. თურქული მმართველობის პერიოდში, ქართველთა ამ ჯგუფს საკუთარ იდენტობაზე უარის თქმა მოუწია. კვლევის მონაწილეთაგან რამდენიმე აღნიშნავს, რომ მესხებს შორის არიან ასევე სომხების და თურქების შთამომავლები, თუმცა ისინი უმცირესობას წარმოადგენენ. არგუმენტი მესხების ქართული წარმომავლობის შესახებ დეპუტატების მხრიდან გამოიყენება მათი დაბრუნების აუცილებლობის დასასაბუთებლად

და სააწინაღმდეგო განწყობების გასაბათილებლად.

ამასთან ერთად, პოლიტიკოსები აღიარებენ მესხური თემის წარმომადგენლების უფლებას, თავად განსაზღვრონ საკუთარი ეთნიკური იდენტობა. ინტერვიუებში დეპუტატები ხშირად უსვამდნენ ხაზს მესხებს შორის სამოქალაქო ცნობიერების დანერგვის და პატრიოტიზმის გაღვივების აუცილებლობას.

კულტურული უფლებების დაცვა – 4

ეს ადამიანები, რომლებიც ჩამოდიან და უნდათ, ისტორიული უკუღმართობის მიუხედავად, ამ ქვეყანას თავის სამშობლოდ ხედავდნენ, შინაგანად ამ ქვეყნის მოქალაქეები არიან... არა მგონია, რომ ამ ადამიანებმა ხვალ და ზეგ მოითხოვონ თურქული სკოლის გახსნა.

კვლევის მონაწილეთა უმრავლესობა არ ფიქრობს, რომ მომავალში შესაძლოა თავი იჩინოს მესხების განსხვავებული იდენტობის აღიარებასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა. ისინი ფიქრობენ რომ საქართველოში დაბრუნების მსურველი მესხების მიზანი საზოგადოებაში ინტეგრაცია იქნება და არა - განცალკავებული თემის შექმნა. ასევე არგუმენტებად სახელდება რეპატრიაციის მსურველთა მცირე რაოდენობა.

იმ შემთხვევაში, თუ მესხური თემის წარმომადგენლების მხრიდან გაუღერდება მოთხოვნა კულტურული უფლებების რეალიზაციის შესახებ, პოლიტიკოსები მზად არიან ამ მოთხოვნების გარკვეული ნაწილის დაკმაყოფილებას დაუჭირონ მხარი. ამავე დროს, დეპუტატებს განსხვავებული ხედვა აქვთ იმის შესახებ, თუ რამდენად ფართო უნდა იყოს ამ რეგულაციის მინიჭებული უფლებები. ერთ-ერთი დეპუტატის აზრით, ეს უნდა მოხდეს ეროვნული უმცირესობების დაცვის არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს ფარგლებში. სხვა დეპუტატები მიიჩნევენ, რომ თურქულენოვანი სწავლების მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში გარკვეული საზღვრების დაცვა იქნება საჭირო.

ინტეგრაცია 5

ინტეგრაციას მაშინ შეუწყობთ ხელს, თუკი ჩავსვამთ ამ ოჯახებს უკვე მოქმედ პროგრამებში, რაც მიზნად ისახავს ქართული ენის შესწავლას თუ სხვა ტიპის დახმარებას ოჯახებისთვის და იმ

შემთხვევაში, თუ ეს პროგრამები ვერ პასუხობს ამ კონკრეტულ და სპეციფიკურ მოთხოვნებს, მაშინ ვიფიქრებთ იმაზე, ხომ არ არის ახალი პროგრამები შესაბამისები.

ინტეგრაციაზე საუბრისას პოლიტიკოსები ყურადღებას ამახვილებენ სახელმწიფო ენის არცოდნის პრობლემაზე. გამოსავლად მათ უმცირესობებისთვის განკუთვნილ, უკვე არსებულ, პროგრამებში მესხების ჩართვა ესახებათ. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია სპეციალური პროგრამების ამუშევრაც. ენის ცოდნას პოლიტიკოსები უკავშირებენ ქვეყნის კულტურის და კანონების გაცნობის საკითხს, რაც ასევე აუცილებლად მიაჩნიათ მესხების ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის. ზოგიერთმა რესპონდენტმა უნივერსიტეტში ჩაბარების მსურველი მესხი ახალგაზრდებისთვის გარკვეული კურსების შექმნის ან სპეციალური კვოტების დაწესების იდეაც მოიწონა.

ენის შესწავლის გარდა, რამდენიმე ინტერვიუში, მესხების ეკონომიკური ინტეგრაციის თემამაც გაიჟღერა. დეპუტატების ნაწილის აზრით, სახელმწიფომ რეპატრიანტებისთვის ღირსეული საცხოვრებელი ადგილების შესაქმნელად ყველაფერი შესაძლებელი უნდა გააკეთოს, თუმცა ერთმა დეპუტატმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტსაც, რომ საქართველოს ამ პირების წინაშე არანაირი ფინანსური ვალდებულება არ გააჩნია.

თურქეთის როლი 1

ამ კუთხით ვიქნები ძალიან ფრთხილი. და რატომ... იმ განცხადებებიდან გამომდინარე, რაც ინტერნეტ საიტებზე ვნახე, იქ დასახელებული იყო სხვა ქვეყნების ცალკეული ნაწილები, რომლებიც უნდა დაბრუნდეს თურქეთის გავლენის ქვეშ. მათ შორის იყო მესხეთი.

ინტერვიუების დროს დეპუტატებს დაესვათ კითხვა რეპატრიაციის პროცესით თურქეთის დაინტერესების შესახებ. დეპუტატებმა განსხვავებული შეხედულებები დააფიქსირეს ამ საკითხის შესახებ.

მათი ნაწილი სიფრთხილით ეკიდება ხსენებულ თემას. ერთ-ერთი დეპუტატის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი

საქართველოს მოკავშირეა, პანთურქისტული ჯგუფების საქმიანობა საშიშროებას უქმნის ჩვენი სახელმწიფოს ინტერესებს. თურქული ორგანიზაციების მონაწილეობა რეპატრიაციის საქმეში არ უნდა გახდეს სამცხე-ჯავახეთში ან საქართველოს სხვა რეგიონებში პანთურქისტული იდეოლოგიის გავრცელების ინსტრუმენტი. მეორე დეპუტატის აზრით, რეპატრიაციის პროცესში თურქული სახელმწიფოს მონაწილეობამ შეიძლება გააძლიეროს ამ პროცესის მიმართ საქართველოს მოსახლეობაში არსებული ნეგატიური განწყობები.

განსხვავებული პოზიცია აქვს სხვა დეპუტატს: მისი აზრით, თურქეთის სახელმწიფოს დაინტერესება ამ საკითხით ლეგიტიმურია და ორი ფაქტორით არის გამოწვეული. პირველი არის რეპატრიანტთა შორის თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები პირების არსებობა, ხოლო მეორე - ის კამპანია, რომელიც ბოლო პერიოდში საქართველოში მიმდინარეობს საქართველოს მუსლიმი მოქალაქეების წინააღმდეგ. დეპუტატის აზრით, თურქეთის დაინტერესება რეპატრიანტთა ბედით სრულიად ბუნებრივია და მთლიანად პროცესის წარმატებაც დიდწილად არის დამოკიდებული იმ სახელმწიფოების თანამშრომლობაზე, რომელთა მოქალაქეებს შორისაც ხდება მიმოსვლა.

რუსეთის როლი – 5

*არასწორია ამ საკითხის მხოლოდ საქართველოზე გადა-
მისამართება იმიტომ, რომ თავად ოკუპანტმა რეჟიმმა და მისმა
სამართალმემკვიდრემ, რუსეთმა, უნდა აიღოს თავის თავზე
პასუხიმგებლობა, რაც აქამდე არ მომხდარა.*

დეპუტატები რუსეთის როლს რეპატრიაციის პროცესში აფასებენ, როგორც არაკონსტრუქციულს. ერთ-ერთი მათგანი მიიჩნევს, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებში მესხების პრობლემის პედალირებით რუსეთი ცდილობს თავიდან აიცილოს პასუხისმგებლობა მის ტერიტორიაზე ჩასახლებული მესხების კეთილდღეობაზე. ასევე რუსეთის სახელმწიფოსთვის გარკვეულ საშიშროებას წარმოადგენს ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზე კიდევ ერთი ეთნიკური ჯგუფის კომპაქტური დასახლების არსებობა. ყოველივე ეს არ უნდა იქცეს საქართველოსთვის მყი-

სიერი მოქმედების მიზეზად; რუსეთმა თვითონ უნდა მიიღოს მონაწილეობა არსებული პრობლემების გადაწყვეტაში და არ უნდა ცდილობდეს მთელი პასუხისმგებლობის საქართველოსთვის გადაბარებას.

სხვა დეპუტატიც აღნიშნავს, რომ რუსეთმა, როგორც საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრემ, თავისი წილი პასუხისმგებლობა უნდა აიღოს ამ პრობლემის მოგვარების საქმეში. ამის მაგივრად კი, ხსენებული ქვეყანა ცდილობს გაამწვავოს ეს პრობლემა: აღსანიშნავია, რომ რუსეთი ტერმინის "თურქი - მესხები" ტირაჟირებას ახდენს, რაც, სავარაუდოდ, რეპატრიანტთა და მიმღები ქვეყნის მოსახლეობას შორის ეთნიკური დამაბულობის შექმნას ემსახურება. დეპუტატის თქმით, ადგილი ჰქონდა პირდაპირ პროვოკაციებსაც, რომლებიც, სავარაუდოდ, რუსეთის სპეცსამსახურების მიერ იყო დაგეგმილი და რეპატრიაციის პროცესის ობსტრუქციას ისახავდა მიზნად.

"თვითრეპატრიანტთა" პრობლემები –3

იყო რაღაც ობიექტური მიზეზებიც, მაგრამ ჩვენი საქმიანობა უნდა იყოს მიმართული ამ ობიექტური მიზეზების აღმოფხვრისკენ.

დეპუტატებს კითხვა დაესვათ ე.წ. თვითრეპატრიანტთა განათლების და ჯანდაცვის სერვისებზე წვდომასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ. მათი უმრავლესობა მხარს უჭერს ამ პრობლემების მოგვარებას. ამავე დროს, მათ აქვთ გარკვეული შენიშვნები ამ საკითხთან დაკავშირებით.

ერთ-ერთი დეპუტატი გამოთქვამს ვარაუდს, რომ შესაძლოა ე.წ. "თვითრეპატრიანტთა" შორის ყველა არ იყოს მესხი. ამიტომ ჯერ მათი წარმომავლობა უნდა დადგინდეს და მხოლოდ შემდეგ მოხდეს შესაბამის სახელმწიფო პროგრამაში ჩართვა. მეორე დეპუტატის თქმით, პრობლემა ობიექტურად კანონის მოთხოვნების ზედმიწევნით შესრულებასთან არის დაკავშირებული სხვა ქვეყნის მოქალაქეები უფასო სერვისებს სახელმწიფოსგან ვერ მიიღებენ. თუმცა, ამ ჯგუფის მიმართ ქართული სახელმწიფოს განსაკუთრებული დამოკიდებულებიდან გამომდინარე, აქ დაშვებულ იქნა გამონაკლისი და "თვითრეპატრიანტთა" შვილებს დღეს სკოლაში სიარულის საშუალება აქვთ. მისი აზრით, გრძელ-

ვადიან პერსპექტივაში, ეს პრობლემა თვითრეპატრიანტების მიერ საქართველოს მოქალაქეობის მიღების გზით უნდა გადაწყდეს.

ვადებთან და პროცედურებთან დაკავშირებული პრობლემები 2
თავად განაცხადებების რაოდენობა, რომელიც იქნა მიღებული, ადასტურებს, რომ ეს იყო ხელმისაწვდომი მათთვის, ვინც დაინტერესდებოდა ამ საკითხით.

დეპუტატები გამოხატავენ მზადყოფნას, განიხილონ რეპატრიაციის მსურველთათვის საბუთების შემოტანის დამატებითი ვადების დაწესების საკითხი. ამასთან ერთად, ბევრი მათგანი არ ეთანხმება ექსპერტების და სამოქალაქო აქტივისტების მიერ გამოთქმულ შეხედულებას თითქოს რეპატრიანტთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა ვერ მოასწრო დაწესებულ ვადებში საბუთების შემოტანა და შესაბამისად, აუცილებელია დაწესებული ვადების წინ გადაწევა. ამის კონტარგუმენტად კვლევის მონაწილეებს ვადის ორჯერ გახანგრძლივების ფაქტი და ამ ეტაპზე შემოსული განსცხადებების მცირე რაოდენობა მოჰყავთ. მათი თქმით, ვადის გადაწევის ინიციატივა საფუძვლიან დასაბუთებას მოითხოვს.

საბუთების შეგროვებასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ დეპუტატებს არ გააჩნიათ ერთიანი აზრი. ზოგი მათგანი თვლის, რომ პროცედურების გაადვილება დასაშვებია. სხვების შეხედულებით, პროცედურების გამარტივება უკვე საკმარისად მოხდა და ამ მიმართულებით კიდევ რამის გაკეთება მიზანშეწონილი არ იქნება.

დასკვნები

დეპუტატების მიერ გამოთქმული შეხედულებები შეიძლება დაფყოთ სამ ჯგუფად. ეს არის ზოგადი ხედვები საკითხის გარშემო, ხედვები მიმდინარე პრობლემების შესახებ და მომავალში სავარაუდო პრობლემების მოგვარების გზები. ქვემოთ შეჯამებულია დეპუტატების მოსაზრებები ამ საკითხებთან დაკავშირებით.

საკითხის ზოგად ხედვაში შეგვიძლია მოვიაზროთ ოთხი თემა: მესხების ეთნიკური მიკუთვნებულობა; ქართულ საზოგადოებაში მათი ინტეგრაციის პრობლემა; რეპატრიაციის, როგორც ისტორიული ვალდებულების, გააზრება; და ევროპის საბჭოს წინაშე აღებული

ვალდებულებები. ამ უკანასკნელი თემის გარდა, ყველა ჩამოთვლილ საკითხზე პარტიების წარმომადგენლებს მსგავსი შეხედულებები აქვთ. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ პოზიციათა ეს სიახლოვე პოლიტიკური კონიუნქტურით, კერძოდ, ხელისუფლებაში ყოფნის წარსული ან ამჟამინდელი გამოცდილებით არის ნაკარნახევი. მესხების რეპატრიაციის მიმართ საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან გამოკვეთილი ინტერესის გამო, ხელისუფლებაში მყოფი პარტიები იძულებულები არიან ცალსახა პოზიცია დაიკავონ ამ საკითხის ზოგად ხედვასთან მიმართებაში. ამ ვარაუდის გამოთქმის საშუალებას ისიც გვაძლევს, რომ კვლევაში მონაწილე ზოგიერთი პარტიის წარმომადგენლები წარსულში აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით განსხვავებულ შეხედულებებს აფიქსირებდნენ. ასევე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული კონსენსუსი, რომელიც 2012 წლის ოქტომბერში პოლიტიკური ელიტის უკანასკნელი გადახალისების შედეგად ჩამოყალიბდა, გრძელვადიანად შენარჩუნდება. პარტიებისთვის ან კონკრეტული პოლიტიკოსებისთვის ერთხელ გაცხადებული პრინციპული პოზიციის შეცვლა არც მომავალი პოლიტიკური კარიერის განმავლობაში იქნება ადვილი. ამ ეტაპზე ხდება საწინააღმდეგო შეხედულებების მარგინალიზება. ინტერვიუების დროს დეპუტატები ცდილობდნენ რეპატრიაციის საკითხში საკუთარი პარტიის „მეინსტრიმული“ დამოკიდებულების ხაზგასმას. თვითონ მესხების რეპატრიაციის საკითხი ამ ეტაპზე მნიშვნელოვანი არ არის და მისი წინ წამოწევა მხოლოდ რეპატრიაციის პროცესში რაიმე დაძაბულობის წარმოქმნის შემთხვევაში არის მოსალოდნელი.

უფრო ნაკლებია თანხმობა მიმდინარე პრობლემების განხილვის დროს. შეხედულებების ნაწილში (საინფორმაციო/საგანმანათლებლო კამპანიის საჭიროება, რუსეთის არაკონსტრუქციულობა აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში) დეპუტატთა შორის თანხმობის მაღალ დონეს ვხედავთ. სხვა საკითხებში კვლევის მონაწილეები მხოლოდ ნაწილობრივ ეთანხმებიან ერთმანეთს. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი დეპუტატი, მიმდინარე პრობლემებზე საუბრისას (თვითრეპატრირებულთა პრობლემები, პროცედურასთან დაკავშირებული პრობლემები), კანონის

მოთხოვნების შესრულების და სახელმწიფო რესურსების ეკონომიურად ხარჯვის საჭიროებას უსვამს ხაზს. მათი აზრით, ამ იმპერატივებსა და მესხთა მოთხოვნების დაკმაყოფილებას შორის გარკვეული ბალანსი უნდა იყოს დაცული.

რეკომენდაციები

- საზოგადოებაში მესხების მიმართ დადებითი დამოკიდებულების ფორმირების საჭიროებაზე საუბრობენ როგორც პოლიტიკური ელიტის, ისე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები. ამ მიზნისკენ მიმართული კამპანიების განხორციელებაში აუცილებელია ამ ორი სექტორის თანამშრომლობა.
- პოლიტიკური ელიტების წარმომადგენლებს შორის მოქმედი სტერეოტიპის თანახმად, მესხები წარმოადგენენ ადამიანთა ჯგუფს, რომლებიც ქართული სახელმწიფოს მფარველობას საჭიროებენ. მსგავსი პატერნალისტური დამოკიდებულება რეპატრიანტთა მიმართ მთელს მსფოფლიოში არის გავრცელებული (Bradley, 2013). არასამთავრობო ორგანიზაციები აქტიურად უნდა ეცადონ ამ წარმოდგენების შეცვლას. საზოგადოებაში, მათ შორის, პოლიტიკოსთა წრეებში, უნდა დაინერგოს წარმოდგენა მესხებზე, როგორც ადამიანებზე, რომელთაც საკუთარ სამშობლოში დაბრუნების ლეგიტიმური უფლება აქვთ. ამასთან ერთად, ხაზი უნდა გაესვას ამ ჯგუფის წარმომადგენლების უნარს, წვლილი შეიტანონ ქვეყნის განვითარებაში.
- მესხების, როგორც სახელმწიფო მზრუნველობის პასიური მიმღებების, შესახებ სტერეოტიპის დანგრევას თავად რეპატრირებულთა საზოგადოებრივმა აქტიურობამ უნდა შეუწყოს ხელი. შესაბამისად, არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა მესხებს შორის სამოქალაქო აქტიურობის გაღვივებისკენაც უნდა იყოს მიმართული.
- არასამთავრობოების მიერ რეპატრიანტთა პრობლემებზე მომზადებული შეთავაზებები ფაქტებს და მათ საფუძვლიან ანალიზს უნდა დაეყრდნოს. ამ გარემოებამ, სავარაუდოდ,

უნდა გაზარდოს მსგავსი შეთავაზებების განხილვის ან მიღების შესაძლებლობა პოლიტიკური ელიტის მხრიდან. სასურველია, მსგავსი შეთავაზებები პოლიტიკის ნარკვევების (policy paper) სახით ჩამოყალიბდეს.

- მესხების კულტურულ უფლებებთან მიმართებაში პოლიტიკური ელიტის და საზოგადოების შიგნით აუცილებელია ცალსახა დამოკიდებულების დანერგვა. მესხებმა, სურვილის შემთხვევაში, ყველა იმ კულტურული უფლებით უნდა ისარგებლონ, რომლითაც საქართველოში მცხოვრები სხვა უმცირესობები სარგებლობენ.

Politicians views on the issue of Meskhetian repatriation Report of research

“Restoration of justice for these people depends on us”

Introduction

The repatriation of Meskhetians to Georgia has been widely debated over almost a half century. Discussions on this issue started in the 50s of the last century, the so called “destalinization” period. Unlike some other deported ethnic groups, Meskhetians had not been allowed to return to their homeland. Representatives of anti-soviet dissident movements in Georgia criticized this policy, considering Meskhetians as an indispensable part of Georgian Nation (Kilimik , Tarkhan-Mouravi & Trier, 2011).

During the downfall of the soviet regime, leaders of national movement of Georgia took a different stance on the topic. They thought that the mass return of Turkish speaking population would represent an additional threat to the already vulnerable young Georgian state. In the middle of the 90s, under the influence of the international community, political elites in Georgia lent their support to the repatriation. However, due to economic and a political constrains, this support was rather formal. Only with the adoption of the law on repatriation of 2007, repatriation policy started to be effectively implemented.

All these developments demonstrate the importance of the role played by political elites in the process of repatriation. At the same time, repatriation of Meskhetians should be understood as part of an international anti-refugee regime. After the end of the Cold War, repatriation became the dominant strategy in the framework of this regime, partially as a response to widespread disorders in the post-soviet space (Toft, 2007).

Different views on the role of political elites in sustaining international regimes can be found in the exiting theoretical literature. According to cognitivist theories, support or denunciation of international obligations is related to the ideological views held by the representatives of elite groups. Against this views, structuralists, rational choice and functionalist theoreticians argue that politicians are guided in the context of given situation by objective state

interests (Haggard & Beth, 1987).

The aim of my research was to determine whether a cognitivist approach can explain the case of Georgian politicians' attitude towards the issue of Meskhetian repatriation. What similarities do their views on the issue and its solutions present? Our initial assumption was that politicians have different understandings of the problem and consequently, they tend to support different policies in this area.

Research was not an academic one. The aim was to identify values and opinions that influence a politician's attitude toward the Meskhetian issue. Findings of research will help the NGO "Toleranti" and other organizations working on the repatriation to plan and successfully implement advocacy campaigns for the rights of Meskhetian population. The research was conducted in the framework of the EU funded project "Provision of humanitarian assistance to the deported Meskhetians residing in Georgia without authorization and prevention of their illegal movement". It was commissioned as an evaluation of one of the components of the project, namely of the advocacy component. An evaluation strategy called "Formative evaluation" (Patton, 2002) was adopted. Unlike more traditional approaches to evaluation, focus in this research was not on the evaluation of process or results of project: the aim was rather to help the client to effectively plan future campaigns.

As a result of the research, the original hypothesis was falsified. High level of consensus on the issues discussed during the interviews was revealed (scores from 3 to 5, see table below and description of methodology). Consensus exist on priorities such as the one to integrate Meskhetians into Georgian society, and need for an educational campaign on repatriation, the protection of Meskhetians' cultural rights. Among the issues on which no substantial agreement was exhibited, two should be underlined: procedural issues with regard to repatriation and obligations before EC. Arguably, hypothesis derived from the cognitivist theory was falsified. There is a wide consensus among the representatives of political elites on the topic of repatriation and this consensus includes support for the continuation of repatriation policies.

Table. Level of agreement/disagreement between different MPs on repatriation.

Topic	Level of agreement / disagreement (5 max. agreement, 1 min.)
Repatriation as historical obligations	5
Meskehtian's ethnic identity	5
Integration	5
Role of Russia	5
Political obstacles : society attitude	4
Political obstacle : attitude of residents of Samtskhe-Javakheti	4
Protection of cultural rights	4
Problems of "self-repatriated"	3
Procedural issues	2
Obligations before European council	2
Political obstacle : positions of other parties	2
Role of Turkey	1

Methodology

At the first stage of research, review of recent (last 2 years) literature on Meskhetian problem was done. A list of issues identified in these publications was prepared, and an interview guideline was prepared based on it.

Participants of research were members of parliament from different political parties. The goal of the research was to expose the widest possible range of views on the issues related to repatriation. Therefore, members of almost all the parties represented in the parliament were asked to participate in research¹. Most of the research participants were members of the Committee of Human Rights and Civic Integration². Three in-depth face-to-face interviews were conducted. Due to the tight work schedule, two MPs decided to give answers in written form.

Transcripts of interviews were analyzed using content analysis method. During analysis, both quantitative and qualitative approaches to content analysis were applied. After several initial readings of texts of transcripts, several important themes were identified. Different views expressed on each of these themes were analyzed. Aim of analysis was to establish how views on repa-

¹ Member of "Free Democrats" party refused to take part in research.

² Republican Party is not represented in this committee. Therefore, participant of research from this party is a member of other committee.

triation policies were expressed by MPs according to a scale of convergence or divergent opinions. Each of the themes were scored on a scale from 1 (minimum) to 5 (maximum). The following criteria were used for scoring:

- 5 – Full consensus on the key issues and policies
- 4 – Full consensus on the key issues and partial agreement on policies
- 3 – Full consensus on the key issues and differing views on policies
- 2– Partial agreement on the key issues
- 1– Differing views on the key issues

Analysis of interviews and written responses

In this section we will analyze opinions given by the MPs on the issue of repatriation. The opinions are sorted thematically. Before each topic, the score of level of agreement between the MPs on it is shown. Italics in texts mark quotes from the MPs' interviews and written responses.

Obligations towards the European Council - 2

Considering that Georgian government created a legal base for the repatriation in 2007, it has partially fulfilled its obligations. But the mere creation of a legal base, without it functioning properly, means little.

Most of the interviewed MPs think that Georgia has fulfilled the major part of its obligations towards the European Council: the legal base and means for its implementation have been created, the process of repatriation has started in fact. In their opinion, the obligations will be completely fulfilled once the process of the repatriates' integration within the Georgian society starts.

The MPs find that there should be certain limitations to how far the state goes while satisfying its obligations. These limitations are related to economic conditions of the country and the existence of internal refugees. One of the MPs thinks that this is the main reason behind the refusal of Georgia to assume any economic obligation. According to others, cooperation with other states, including EU members, Turkey and Russia (with contacts with the latter restricted to a multi-partial format) is needed for solving the economic problems which arise during the repatriation process.

If we simplify the procedures and satisfy large number of applications for two years the obligations towards the European Council will be fulfilled. A second group of MPs focuses on the formal aspects of these obligations. In their view, developing the legal means for repatriation, refining them and

satisfying as many applicants as possible, will guarantee the complete fulfillment of these obligations. These MPs don't deny the significance of the problem of integration but think of it in terms of the internal political context.

Repatriation as a historical responsibility - 5

We could abandon these obligations ... but that wouldn't be fair and, I'd say, that wouldn't be Georgian.

There's a complete consensus between the MPs on seeing the process of repatriation as a positive response to historical injustice. They think that despite the fact that Georgia isn't a legal successor of Soviet Union and bears no direct responsibility for its crimes, the government made a right decision when it took these obligations and started fulfilling them. For the MPs these obligations have a moral dimension and are linked to universal values such as responsibility and fairness. Part of the MPs also mentions specific characteristics of Georgian culture.

Political problems: Public opinion – 4

We should influence the process of public opinion formation... Reintegration won't go on if this component - raising the public consciousness – isn't given a proper consideration.

None of the MPs deny that there is a certain part of society whose attitude towards repatriation is negative. They suggest the state to address this problem by education campaigns.

The MPs opinions vary on what is the reason for such attitudes. Some of them think that these attitudes are caused by the violence carried out by Muslims on Christian population in the past. Others suggest that stories of violence are based on myths created by the KGB rather than on historical facts. And one of them believes that such attitudes are caused by the large number of people who have suffered during the soviet regime and after. When the state addresses problems of only one particular group it generates certain feeling of injustice. Parts of the MPs accuse certain political parties of propagating negative attitudes towards repatriation.

Political Problems: Attitude of Samtskhe-Javakheti population – 4

Settling [the repatriants] in Samtskhe-Javakheti shouldn't stop because of local population's protest.

Every participant of the research acknowledges that there are certain risks related to settling Muslim Meskhetians in Samtskhe-Javakheti region. These risks are primarily linked to the negative attitude shown by the local population. This attitude is based not only on historical memory: if Meskhetians demand to be settled in their ancestral villages, this can cause conflicts based on redistribution of economic resources.

The surveyed had different views on what has to be done to avoid these problems. Part of them thinks that the State, at least on early stages of the process, should encourage Meskhetians to settle outside the Samtskhe-Javakheti region. Other MP thinks that because the state hasn't taken any financial obligations, the process of Meskhetian's settling in Samskhe-Javakheti cannot be avoided.

Political problems : Polical parties' attitudes towards repatriation - 2

I don't think that anyone's [negative] attitude has any influence on the process.

The MPs discussed attitudes towards repatriation by their own and other parties.

Part of them feels that politicians who oppose repatriation have little influence within the political elite. According to others, there are certain politicians who exploit the topic and spread false information on it.

The MPs present their own parties as responsible political forces, which view the issue in the context of national interests and international obligations.

Meskhetians' ethnic identity – 5

I'd hear... that our kin and blood is coming. Ones who changed their skin in exile, forgot their language and are now coming back.

During the interviews the MPs spoke about Meskhetians' ethnic identity. For all of them, Meskhetians are ethnic Georgians. During the Turkish reign, this group of Georgians had to deny their ethnic roots. Part of the participants note that groups of Armenian and Turkish origins also constitute minority of Meskhetians. Politicians often emphasize Georgian ethnic origins of the Meskhetians to argue about the necessity of their return and challenge negative attitudes.

With that, the MPs also acknowledge the right of the Meskhetian commu-

nity to self-determine its ethnic identity. In interviews politicians also emphasized the importance of raising civic consciousness and patriotic sentiments in Meskhetians.

Cultural rights – 4

These people, who after all they've gone through, want to come back, who see Georgia as their homeland, are inherently citizens of this country... I don't think that they will demand Turkish schools in the future.

Most of the participants see no grounds for future problems related to recognizing Meskhetians specific identity. They think, that those Meskhetians, who want to return to the country will be willing to integrate in the society, rather than to create a separate community. Small numbers of repatriates is also mentioned to prove that risk of such problems' emergence is minimal.

If members of Meskhetian community still demand realization of their cultural rights, politicians are willing to support some of those demands. However, their opinions vary on how broad these rights should be. One of the MPs thinks that the rights should be given according to current legal base for defending ethnic minority rights. Others believe that if demands for Turkish language education are put forward, certain boundaries shouldn't be crossed while satisfying them.

Integration – 5

If we want to support integration, we should enlist these families to already existing programs that aim to teach Georgian and provide other means of help to them. And only if we find out that these programs can't address certain specific demands, we should start thinking about developing new programs.

When discussing the repatriants' integration in Georgian society the MPs focus on the problem of Meskhetians not knowing the official language of the country. They mean to solve this problem by enlisting Meskhetians to already existing programs for ethnic minorities. If needed, specific programs could be developed. Politicians link knowing the official language to a broader issue of introducing Meskhetians to the country's culture and its laws, which, they think, is necessary for their integration in the society. Some participants sug-

gested creating special courses for those young Meskhetians who are willing to go to Georgian universities or giving them special quotas.

Some of the interviewees discussed the issue of economic integration. Part of them think that the state should do everything it can to provide decent accommodation for the repatriates. However, one of the MPs noted, that Georgia bears no financial responsibilities towards them.

Turkey's role - 1

I'll be very careful while discussing this. And this is why... I've seen certain statements over the internet. There was a list of regions that should be returned to Turkey. And Meskhetia was one of them.

During the interviews the MPs were asked about Turkey's interests in the process of repatriation. Their opinions varied significantly on this issue. One of the MPs stated that even if Turkey is Georgia's ally, panturkist organizations pose a threat to the country. Involvement of Turkish organizations in the process of repatriation shouldn't be used for spreading panturkist ideology in Samtskhe-Javakheti or other regions of Georgia. In other MPs opinion, Turkey's involvement in the process of repatriation can strengthen negative attitudes towards it.

Different views are expressed by another MP. According to him/her, Turkey's interest toward the issue of repatriation is legitimate. Two factors are behind this interest : 1) There are Turkish citizens among repatriates and 2) campaign against Muslim citizens is currently going on in Georgia. Turkey's government interest toward the fate of repatriates is therefore natural. In general, success of the whole process of repatriation depends on cooperation between the receiving and a sending states.

Role of Russia – 5

It is not correct to put a whole responsibility on Georgia. Occupant regime and its legal heir, Russia, should take their own share of responsibility. This has not happened yet.

MPs see the role of Russia in the process of repatriation as unconstructive. According to one of them, Russia is trying to divert attention from the problems of Meskhetians living on its territory by stressing the issue of repatriation in international arenas. Also, Russian government is facing the risk of having one more ethnic minority group in the already troublesome Northern Caucasus. All this should not be counted as a reason for prompt action from the side of Georgian government. Russia should work on solutions of its own

problems and contribute to the solution of problem in general.

Other MPs think that Russia as a legal successor of Soviet Union should take its share of responsibility on solving of the repatriation problem. Instead, government of Russia is only trying to fuel this problem. It should be noted that Russia is popularizing the term “ Turk-Meskhtian”, trying to create a tension between population of receiving country and repatriates. There were instances of direct provocations and sabotage from the side of Russian intelligence services in process of receiving of applications.

Problems of “self-repatriates “ – 3

There were some objective [legal] circumstances, but our work should be directed at improving these circumstances.

MPs were asked about the problems with access of so called “self-repatriates” to public health and education services. Majority of the research participants were supporting certain solution to this problem. However, they also have articulated some critical comments on the issue.

One of the MPs mentioned that not all “self-repatriates” might be Meskhetians. Therefore, their origin should be identified and those who deserve this should be included into relevant state programs. Another MP said that restrictions are imposed by current law – citizens of other States cannot use public services for free. However, due to the special interest of state toward this group, exception is made. Children from self-repatriates family are now able to attend classes in public schools. According to this MP, the problem will be solved only when self-repatriates will change their status and became repatriate or citizen of Georgia.

Procedural issues (including extension of application period) - 2

The mere volume of applications is confirming that information was accessible for everyone who was interested in it.

MPs are expressing their readiness to discuss the issue of extension of application deadline. At the same time, some of them disagree with expert’s and civil society representative’s saying that an important part of Meskhetians had no time to apply and therefore deadlines should be extended or abolished. Small number of applications together with two times extension of deadline is offered as a counterargument. According to MPs, strong arguments are needed to seriously consider the initiative of extension of application period.

No consensus exists among MPs about the issue of problems related to

application procedure. Some of them believe that it is possible to ease some of the procedures. Others think that because procedure was already simplified enough, doing anything further in this direction is not possible or desirable.

Conclusions

Three broad themes can be identified in opinions of the MPs expressed during the interviews. These themes are classified as: 1) General visions of the problem 2) Visions on the current state of affairs and 3) Visions of future challenges. These themes are summarized below.

General visions of the problem can be divided into the four subtopics: Meskhetians' ethnic identity, problem of Meskhetian's integration into the Georgian society, repatriation as a historical responsibility and obligations before the Council of Europe. With the exception of the last subtopic, there is an agreement on all these issues. Supposedly, this consensus is shaped by political environment. Concretely, positions of parties are determined by their past and present experience of being in power. Parties are forced by strong interest of international community toward the repatriation to take unequivocal position on this problem. This guess can be supported by the fact that some of the parties participating in research were favoring different positions on issue of repatriation in past. Lasting consensus on repatriation is expected to prevail after 2012 October elections. It will be difficult for the parties to openly change once expressed positions. Currently, marginalization of an alternative views is going on, with representatives of all parties participating in research trying to emphasize credibility of their "mainstream positions". Repatriation itself is not occupying high position in political agenda and increase in the importance of this problem is expected only in case if some tension arises between local populations and repatriates.

More diverging opinions are expressed when current issues are discussed. Despite the clear consensus on some of the subtopics in this theme (the need for an educational campaign, the negative role of Russia), there is open disagreement on others. The last category includes issues such as problems of self-repatriates, procedural problems and others. Talking about these topics, MPs stress the need to conform to existing legal frameworks and the necessity to avoid misuse of public funds. They think that a certain balance between these imperatives and needs of repatriates should be achieved.

Recommendations

There is an agreement between politicians and representatives of civil society that awareness raising campaigns on repatriation are needed. Therefore, cooperation between these two actors is necessary and desirable.

Repatriates are pictured in politician's attitudes as being stateless and in need of protection from the Georgian state. This paternalistic attitude is widespread in different parts of the world (Bradley, 2013). Civil society should actively challenge this attitude. Vision of repatriates as bearer of legitimate rights to return should be actively popularized among politicians and wider society as well. At the same time, ability of representatives of this group to make its contribution to development of country should be emphasized.

Stereotypes of Mesketians as passive object of care should be broken with a more active participation of Mekhetians themselves. Civil society should actively work on sparkling civic engagement among repatriates.

All policy suggestions on issues of repatriation should be based on empirical facts and scientific analysis. This will increase the chance for the proposals to be seriously taken into consideration by political elites. Relevant format (e.g. policy papers) should be chosen for these proposals.

Support toward the protection of cultural rights of Meskhetians should be built. All the Meskhetians should have the opportunity to exercise their cultural rights.

References :

- Bradley, M. (2013). *Refugee repatriation justice, responsibility and redress*. New York: Cambridge University Press. Retrieved from http://www.brookings.edu/~media/research/files/papers/2013/02/refugee_repatriation_bradley/intro_refugee_repatriation_megan_bradley_2013
- Haggard, S., & Beth, S. (1987). Theories of international regimes. *International Organization*, 41(3), 491- 517.
- Kilimnik, F, Tarkhan-Mouravi, G & Trier, T. (2011). *Meskhetians : Homeward Bound*. Tbilisi. European Centre for Minority Issues.

Patton, Q. (2002). *Qualitative research and evaluation methods*. Thousand Oaks, Calif: Sage Publications.

Toft, M. (2007). The myth of the borderlessworld: Refugees and repatriation policy. Downloaded By: [Harvard College Library] At: 14:48 25 June 2008 *Conflict Management and Peace Science*, 24, 139–157. Retrieved from http://www.wcfia.harvard.edu/sites/default/files/Toft_TheMyth.pdf

რეპატრიანტთა ადაპტაციისა და ინტეგრაციის კონცეფცია და რეკომენდაციები

სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ასოციაცია „ტოლერანტი“ 10 წელზე მეტია, რაც რეპატრიანტთა ადაპტაციისა და ინტეგრაციის საკითხებზე მუშაობს. აღსანიშნავია, რომ თავის საქმიანობას „ტოლერანტი“ ბირითადად, რეპატრირებულთა მიმართ ადგილობრივი მოსახლეობის განწყობის თვალსაზრისით ერთ-ერთ ყველაზე რთულ რეგიონში სამცხე-ჯავახეთში ახორციელებს. ამ ხნის განმავლობაში მას ადგილობრივ მოსახლეობასა და რეპატრიანტთა შორის ურთიერთობების, ამ უკანასკნელთა სოციალური და ყოფითი პრობლემების გადაწყვეტის საქმეში საკმაოდ მდიდარი გამოცდილება დაუგროვდა. წინამდებარე კონცეფცია სწორედ ამ გამოცდილების, რეპატრიანტთა ადაპტაციისა და ინტეგრაციის საკითხებზე განხორციელებული არაერთი პროექტის ფარგლებში ჩატარებული სოციალური კვლევების გულდასმითი ანალიზის შედეგია.

მოკლე ისტორიული ექსკურსი

მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის ჩაბმის შემდეგ კომუნისტურმა რეჟიმმა ქვეყნის აზიურ ნაწილში ე. წ. არასანდო ხალხების იძულებითი გადასახლების პოლიტიკა განახორციელა. 1941 წელს საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილიდან მის აზიურ ნაწილში გაასახლეს ეთნიკური გერმანელები. მოგვიანებით გერმანელთა ხვედრი ყირიმელმა თათრებმა და ჩრდილოკავკასიელმა მთიელებმა ჩეჩნებმა, ინგუშებმა, ყარაჩაელებმა, ბალყარელებმა, ყალმუხებმა გაიზიარეს. საქართველოდან გასახლების ტალღა ჯერ გერმანელებს, შემდეგ კი სამხრეთ საქართველოში მცხოვრებ მაკმადიან მოსახლეობას შეეხო. 1944 წლის 15 ნოემბერს სამცხე-ჯავახეთისა და აჭარის მთიანი რეგიონის მუსლიმები სატვირთო ვაგონებში შეყარეს და ცენტრალური აზიის გზას გაუყენეს. გაუსაძლის პირობებში მგზავრობამასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, გადარჩენილებს კი ცენტრალური აზიის სტეპებში ცხოვრების ხელახლა დაწყება

საველე პირობებში მოუწიათ. კრემლის გეოპოლიტიკურ ფანტაზიებს შეწირულ უდანაშაულო ადამიანებს გადასახლების ადგილების დატოვება სასტიკად აეკრძალათ.

სამხრეთ საქართველოდან დეპორტირებულ მოსახლეობას ერთი დღითაც არ შეუწყვეტია ბრძოლა სამშობლოში დაბრუნებისთვის. გასული საუკუნის 50-იანი წლების შუა ხანებამდე ეს ბრძოლა განსაკუთრებით მძიმე იყო. 1956 წლის აპრილში დეპორტირებულ ხალხებს გარკვეული შეზღუდვები მოეხსნათ. 1957 წლის ოქტომბერში საქართველოდან დეპორტირებულთა ნაწილს, მათ, ვინც რეგისტრაციაში აზერბაიჯანულად იყო გატარებული, აზერბაიჯანში ცხოვრების უფლება მიეცათ, რითაც დაუყოვნებლივ ისარგებლა რამდენიმე ათეულმა ათასმა კაცმა. იმავე წელს დეპორტირებულებმა შექმნეს პირველი არალეგალური ორგანიზაციები, რომელთა მიზანი სამშობლოში დაბრუნება იყო.

1960-იანი წლების დასაწყისში რამდენიმე მაჰმადიანი მესხის ოჯახმა მოახერხა საქართველოში დაბრუნება. მესხთა უფრო დიდი ნაკადი ქვეყანაში 1969 წელს შემოვიდა. 1982-1989 წლებში საქართველოში კიდევ რამდენიმე ასეულმა დეპორტირებულმა შემოაღწია, მაგრამ ხელისუფალთა მიერ მათ მიმართ გამოჩენილი გულგრილობის, ან სულაც, მტრული დამოკიდებულების, ეკონომიური, სოციალურ-ყოფითი და სხვა ხასიათის სიძნელების გამო ბევრი მათგანი იძულებული გახდა კვლავ დაეტოვებინა სამშობლო.

1993 წლიდან საქართველოში პოლიტიკური კლიმატი კიდევ ერთხელ შეიცვალა. შეწყდა რეპატრიანტთა დევნა-შევიწროება. 1999 წელს ჩვენი ქვეყნის მიერ ევროსაბჭოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად, დაიწყო დეპორტირებულთა რეპატრიაციისთვის საჭირო სამართლებრივი ბაზის შექმნის პროცესი. 2007 წლის ივლისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი რეპატრიაციის შესახებ, რასაც რეპატრიანტის სტატუსის მოსაპოვებლად განცხადებების მიღების პროცესი მოჰყვა. თუმცა, ორი წლის განმავლობაში ამით მხოლოდ 5841 ათასმა კაცმა ისარგებლა. კიდევ უფრო მოულოდნელი ის არის, რომ მაჰმადიანი მესხები არც ამ სტატუსის მოპოვების შემდეგ ჩქარობენ სამშობლოში დაბრუნებას.

მიზანი

წინამდებარე კონცეფციის მიზანია ასოციაცია „ტოლერანტის“ პროექტის „რეპატრირებულთა ჰუმანიტარული დახმარება და „თვითრეპატრაციის“ პრევენცია“ ფარგლებში განესაზღვროთ ის კონცეპტუალური ჩარჩო, რომლის პრაქტიკული რეალიზაცია უზრუნველყოფს რეპატრირებულთა ადაპტაციის და ინტეგრაციის, დეპორტირებული მოსახლეობის მიგრაციის რეგულირებისა და ლეგალიზების პროცესის ხელშეწყობას, თვითრეპატრაციის შემთხვევების მინიმუმანდე დაყვანას, თვითრეპატრირებულთა ჰუმანიტარულ, სამართლებრივ, სოციალურ და სხვა სახის დახმარებას, მათ მიმართ ადგილობრივი მოსახლეობისა და ხელისუფლების მხრიდან კეთილგანწყობილი გარემოს შექმნას. მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ ქართულ საზოგადოებაში რეპატრიანტთა სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაცია, ქართულ კულტურულ გარემოსა და საზოგადოებაში მათი ადაპტირება მიიღწევა მხოლოდ ადამიანის უფლებების განუხრელი დაცვის საფუძველზე. ამისთვის კი აუცილებელია მთელი ამ პროცესის სრული გამჭვირვალობა, რაც, თავის მხრივ, დამოუკიდებელი საერთაშორისო და ეროვნული ექსპერტების, აგრეთვე, ადგილობრივი და რეპატრიანტი აქტივისტების მხრივ ყოვლისმომცველი მონიტორინგის განხორციელებასაც გულისხმობს.

ძალზე მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ადგილობრივ საზოგადოებაში რეპატრიაციის შედეგად მოსალოდნელი სოციალურ, ეთნიკურ, კონფესიურ სფეროებში დაძაბულობის, თუ რეპატრიაციის რთული პროცესის თანამდევი სხვა რისკების წარმოქმნის პრევენციაც.

ინტერვენციის სფეროები.

ზემოთ დასახელებული მიზნების მისაღწევად აუცილებელია ხელისუფლებასა და წამყვან საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა. რეპატრირებულთა ჰუმანიტარული დახმარებისა და თვითრეპატრიაციის პრევენციის პრობლემების გადაწყვეტა უნდა მოიცავდეს:

1. დეპორტირებულთა სამართლებრივ მომზადებას რეპატ-

რიაგისთვის, საქართველოს კანონმდებლობის სწავლებაში ხელშეწყობას, სამშობლოში დაბრუნებული პირების სამართლებრივ მხარდაჭერას, ქართულ საზოგადოებაში ადაპტაცია-ინტეგრაციის რთულ პროცესში მათ ადვოკატირებას.

2. საგანმანათლებლო საქმიანობას, თვითრეკატირებულთა მოზარდი თაობის მხარდაჭერას უფასო განათლების მიღებაში, რეპატრიანტათვის სასწავლო კურსების გახსნას, მათთვის ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის სწავლების ორგანიზებას და სხვ.

3. რეპატრიანტთა ქმედით დახმარებას ჯანდაცვისა და სოციალური პრობლემების მოგვარებაში, ახალი პროფესიების ათვისებაში, დასაქმებაში მათ ხელშეწყობას და ა. შ.

4. რეპატრიანტთა და ადგილობრივი მოსახლეობის შეხვედრების ორგანიზებასა და კოორდინირებას, მათ შორის სოციალური დაძაბულობის გაჩენის პრევენციას და ა. შ.

პრობლემის სირთულე

1944 წელს სამხრეთ საქართველოდან დეპორტირებული მოსახლეობის პრობლემა რთული, მრავალწახნაგოვანი პრობლემაა. მასში ერთმანეთს კვეთს როგორც ქართული სახელმწიფოს, ისე ადგილობრივი მრავალეთნიკური მოსახლეობისა და რეპატრიანტთა ინტერესებიც. გასათვალისწინებელია, აგრეთვე, სხვადასხვა კონფესიების ურთიერთავსებადობის, ეთნოფსიქოლოგიური განსხვავებულობის, საკმაოდ მძიმე ისტორიული მემკვიდრეობის, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული პოლიტიკური, სოციალური, სამართლებრივი ხასიათის სხვა პრობლემებიც.

საკითხის სირთულე განაპირობებს მისადმი საზოგადოებრივი აზრის წინააღმდეგობრივ ხასიათსაც. არცთუ ისე დიდი ხნის წინ ქართული საზოგადოების, განსაკუთრებით კი სამხე-ჯავახეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი, მკვეთრად ნეგატიურად იყო განწყობილი რეპატრიაციისადმი, რასაც მძიმე ისტორიული მემკვიდრეობა, საზოგადოების ამ ნაწილის მიერ პრობლემის სამართლებრივ ასპექტებში გაურკვეველობა, აგრეთვე, ქართველი ინტელიგენციის ზოგიერთი პოლიტიზებული წარმომადგენლის

მიერ უახლოეს წარსულში დეპორტირებულთა მიმართ გაჩაღებული ცილისმწამებლური კამპანია განაპირობებდა.

